1134
2004

# არილი

№1-2 (196-197) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი იანვარი-თებერვალი
ფასი 1.50 ლარი

161





ჩაით დახატული პავიჩი



#1-2
2004

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი


მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - ნანა ჩხვიმიანი
*კომერციული დირექტორი* - გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე



ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






№1-2, იანვარი-თებერვალი, 2004


## ლიტერატურა


ბესიკ ხარანაული
ლექსები ........ 1

დათო ქარდავა
გალილეის შთამომავლები ........ 2
ალექსანდრე ........ 11

ზაზა შათირიშვილი
რექვიემი შედევრისათვის ........ 15

ერიკ ლინკლეიტერი
ზღვისკატის ტყავის შარვალი ........ 18

ჰერმან ჰესე
მოკლე ავტობიოგრაფია(I) ........ 25

უმბერტო ეკო
მცენარეული და მინერალური მეხსიერება:
წიგნების მომავალი ........ 34

ლეონიდ ანდრეევი
უცხოელი ........ 42

ლია მოლარიშვილი
ნადირობა გომისმთის ტყეში ........ 48

გელა მძელური
მოძერა ........ 55


## პერსონა


თანასის ლალასი
მილორად პავიჩი: „როგორც მწერალი
ორასი წლის წინ დავიბადე“ ........ 58

მილორად პავიჩი
ორი ერაყელი სტუდენტი ........ 64

იასმინა მიჰაილოვიჩი
მილორად პავიჩის პოსტმოდერნული
პოეტიკის ელემენტები ........ 70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

23427

## სიმღერა

რაზე ვღელავ, ვერ გავიგე,
ერთი თავი მაბარია,
სირცხვილია, სინდისია,
სამშობლოა, მთა-ბარია,
მე არც ერთი მეკითხება,
არც ერთი არ მაბარია,
რომც ვიკითხო, ვინ მომისმენს,
ახლოსაც არ მაკარიან,
საშუალოთა მიწაა,
საშუალოთ სახმარია,
ჩემთვის მარტო მზე-მთვარეა,
ეს ყინვა და ნაქარია,
ზაფხულია, გაზაფხული,
შემოდგომა, ზამთარია,
მიწა გაუცვეთელია,
ზეცა ისე მაფარია,
ისევ ამათ დავენდობი,
ჩემთვის ესეც საკმარია,
ისიც მეყო, რაც ვიღელვე,
დრო ტყუილა გამპარვია...

## სიმღერა

ნეტა, რა ელდამ აგაგდო,
მზეო, ამ დილაადრიან,
ის თუ გაიგე, ბეჩავსა
სამარეს რომ მიმზადიან,
ბარსა და ნიჩაბს იღებენ,
ცალგულად მიწას გასჭრიან,
ჩამდებენ, ჩამასვენებენ,
ცრემლნამულ მიწას მაყრიან,
მასუკან დაილოცვიან,
დაიშალნიან, წავლიან...

## ფანჯრები სულ დამეჩრდილა

ფანჯრები სულ დამეჩრდილა
მეზობლის სარეცხისაგან,
რა აქვთ ამდენი საჭეჭყი,
ვერ გავიგე ვერვისაგან,
მაგათ ისეთი ქალი ჰყავთ,
ნაქებია ბევრისაგან,
იმის საცვალი ვინიშნე
ჭუჭულისა ფერისაგან,
აქეთ-იქით შემაქანა
დავიწყებულ სენისაგან,
მაგრამ გული გავიმაგრე,
- არ ეგების ბებრისაგან!
ცოტა ჯეილი რომ ვიყო,
ვერ დამხსნიდნენ ხელისაგან,
ისეთ ბადეს მოვუქსოვდი
კოცნისა და ხვევნისაგან...

## ცუკანი

ცუკან გარეთ გამოვიდა,
საფსმელადა, ლამფაითა,
შხივილ წამააღებინა,
მე მეგონა, ცა დაიქცა,
- ეჰ, ნეტავი, ჩემო თავო,
მიწაიმც გქმნა, ბალახიმცა...
რა მალევ განედლდებოდი,
მკვდარიმც იყო, ნალახიმცა.

## ცუკანის თეთრმა პერანგმა...

ჯერ ყველა იმის ბრალია,
რაც თავმა მიყო, ვერანმა,
თავი რომ ჩრდილში მედო და
ფეხები მზეში მეყარნა,
ხელში ჩაქუჩის ჭერამა,
ცელისა გამოკვერამა,
გაღმიით გაკიდებულმა
ცუკანის თეთრმა პერანგმა,
მემრე ჩრდილისა ქანებამ,
რო გაიკრთომოს ჯერანმა,
ცუკანის ქმარმა, ბებერმა,
მხართუკან გამობღვერამა,
ცუკანის სახლში შემალვამ,
დამწუხრებულმა მზერამა.

[library stamp]

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## პირველი ღამე ცუკანთან...

რო გაიხადა პერანგი,
ძვალ-რბილი გამეყინაო,
იმისი ტანის სითეთრემ
თითქოს ცას შესჭიხვინაო,
ღამე გააპო, გაჰკვეთა,
მინდორი გააბრწყინაო,
მიაწყდა გალმა სახლებსა,
ააცახცახა მინაო,
ისეთი შუქი მოფინა,
ვაჟკაცსა შემეშინაო,
- ვაიმე, შენ ჩემო თავო,
განა ქვეყანას სძინაო,
ახლა რომ თავზე დამეცნენ,
ჩემი პატრონი ვინაო!..
ისევ ნაბადმა მიშველა,
დაბლა რომ დამეფინაო,
დავწექით, დავიფარენით,
შემოვიბურეთ ბინაო,
წამს იქით ჭირში ნამყოფსა
წამს აქეთ მომელხინაო,
ცხრა სადღეგრძელო დავცალეთ,
ცხრა ოფლი მოგვედინაო!..

## სიმღერა



- ეგ გინდა, სულო ოხერო,
წინწანაქარი არაყი,
ჭიქა, პირთამდე გავსილი,
ჯაჭვმოდებული ვარაყით,
ეგ გინდა, დაუსვენარო,
ეგ გინდა, დაუდგომელო,
გადაჰკარ, გადაიწურე,
კვლავ სააქაოს მოხველო,
ნეტავი, როდემდე გასტან,
შენ, ჩემო სულო, ოხერო.




დათო ქარდავა

# გალილეის შთამომავლები

## ამბავი ცისა და ქალის სხეულებისა



გახსოვთ მოხუც ასტრონომზე რომ გიამბობდით? როგორ მასწავლიდა ვარსკვლავებისა და სხვა ციური სხეულების დახმარებით ქალის ასაკის გამოცნობას. გახსოვთ? მინდოდა მასზე დაწვრილებით მომეთხრო, მაგრამ ვერ მოვასწარი. სწორედ მაშინ გაგიტაცათ "ზაზვამ," - ჩვენ შორის ზღვარი გაავლეთ და, ყოველი შემთხვევისთვის, იქვე გუშაგებიც დააყენეთ, ახლოს რომ არ გაგკარებოდით. მაგრამ მე მაინც გიამბობთ... რა თქმა უნდა, ზღვარის გადაულახავად.

მაშ ასე: ისტორია მოხუც ასტრონომზე, ვარსკვლავებსა და ქალებზე!

### I
### "გალილეის შთამომავლები"

გაგიკვირდებათ, მაგრამ ასტრონომიამ ჯერ კიდევ მეოთხე კლასში სწავლისას გამიტაცა. ყველაფერი სასწავლო, ე.წ. სამოყვარულო ტელესკოპიდან დაიწყო, რომელიც ბიჭებმა ღამით ეზოში მოათრიეს. ხელსაწყო ერთ დაძენძილსა და დაკემსილ ჯვალოს ტომარაში ეგდო. ტომარას საგულდაგულოდ ჰქონდა მოკრული თავი ალუმინის მავთულით. ბავშვების უმეტესობამ არ ვიცოდით, თუ რასთან გვქონდა საქმე, ვერ ვხვდებოდით ამ შავად გადაღებილი მილის დანიშნულებას.

- ტელესკოპია! - თქვა ყორბესამ, ყველაზე ასაკოვანმა ჩვენ შორის.

- ტელესკოპი?..

- ტელესკოპი, დიდი დურბინდია რა!..

რალა დაგიმალოთ და სწორედ ამ ორგზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრეკლასელმა ყორბესამ მოიპარა ეს ხელსაწყო სკოლის მცირე ობსერვატორიიდან და ამგვარი უღირსი საქციელით მსოფლიო კოსმოსში ჩაკარგულ "ალმა მატერს", ისედაც ახლომხედველი თვალები, საერთოდაც დათხარა.

ტელესკოპის ახალი პატრონი ყველა სხვა სიკეთესთან ერთად გულმოწყალეც აღმოჩნდა.

- კარგად დაღამდეს, - თქვა მან, - სახურავზე ავიდეთ. გაჩვენებთ, რა შეუძლია მეცნიერებას, ოღონდ სიტყვა არავისთან დაგცდეთ! - ყორბესას ბოლო სიტყვებში თხოვნაზე მეტად მუქარა იგრძნობოდა.

მართლაც, იქნებოდა ღამის ათი საათი, როცა რამდენიმე ბიჭი, ზურგზე საიდუმლო ტვირთით, ხუთსართულიანი კორპუსის, ეგრეთ წოდებული "ხრუშოვკის" სახურავზე ავედით.

ყორბესამ გამოცდილი მეცნიერის თავდაჯერებით გამართა შტატივი, ზედ დაამაგრა გიგანტური ჭოგრიტი და შავი "ტრუბის" მოციმციმე თვალს საგულდაგულოდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმიზნებდა მოპირდაპირე შენობის გაბრდღვიალებულ ფანჯარას, რომლის თხელი, სიფრიფანა ფარდა ჩვენი ოპტიკური მოწყობილობის წინაშე სრულიად გამჭვირვალე იყო.

ნეილონის სიფრიფანა ფარდებს მიღმა უბნის აღიარებული ლამაზმანის, სარას ღამის ცხოვრება დუღდა!

ტელესკოპთან ყველაზე მეტ დროს, ბუნებრივია, ხელსაწყოს პატრონი ატარებდა. დანარჩენებისთვის მკაცრად შეზღუდული ლიმიტი იყო დაწესებული.

* * *

ყორბესა, გარდა იმისა, რომ ოთხი-ხუთი წლით უფროსი იყო, "ძნელად აღსაზრდელადაც" ითვლებოდა. იგი "ბავშვთა ოთახშიც" კი ჰყავდათ აღრიცხვაზე აყვანილი.

მაინც რას აკეთებდა ისეთს, სკოლის პედკოლექტივისა და არასრულწლოვანთა ინსპექციის ყურადღება რომ მიიპყრო?

სკოლის ტუალეტში, სადაც ძალიან, ძალიან გაჭირვებული ადამიანი თუ შევიდოდა, მასავით თავზეხელაღებულ უფროსკლასელებთან ერთად ყორბესა სიგარეტს ეწეოდა; პირველ გაკვეთილს, როგორც წესი, ყოველთვის აცდენდა, ჩანთის მაგივრად კი ღიაყავისფერი "პაპკა" დაჰქონდა, რომელზეც ბურთულიანი პასტით ისარგაყრილი გული წარწერით I Love You, ფირმა ადიდას-ის ემბლემა და "ფორმულა-1"-ის ავტომანქანა ეხატა. და, რაც მთავარია, ფურცელივით სიფრიფანა "პაპკა" მუდამ ცარიელი იყო, ისევე როგორც ყორბესას თავი. გამონაკლისის სახითაც კი არ წერდა საშინაო ან საკონტროლო დავალებას; არ ყოფილა შემთხვევა ხელი აეწია ან გაკვეთილის მოსაყოლად დაფასთან გასულიყო. ყორბესა კლასიდან კლასში მასწავლებლებს ერთადერთი მოსაზრებით გადაჰყავდათ - რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინათ თავიდან.

ასე გრძელდებოდა სემესტრიდან სემესტრამდე, წლიდან წლამდე, სანამ მეცხრე კლასში არ გადავიდა. მის ნავარდს ასტრონომიის მოხუცმა მასწავლებელმა დაუსვა წერტილი. ჯერ საშემოდგომო გამოაყოლა, შემდეგ კი სულაც კლასში ჩატოვა!..

ვილჰელმ ფანცულაია ის კაცი არ იყო, ვინმე - გინდა კლასის დამრიგებელი, გინდა სკოლის დირექტორი - გადაწყვეტილებას რომ შეაცვლევინებდა. ეს იყო საკმაოდ ხანდაზმული, საკმაოდ ენეგიული და საოცრად არაორდინალური საქციელის ადამიანი. კოლეგები ვილჰელმ მასწავლებლის უცნაურობებზე საუბრისას (ზურგს უკან, რა თქმა უნდა) საჩვენებელ თითს შუბლზე იდებდნენ და მრავალმნიშვნელოვნად ულიმოდნენ ერთმანეთს, აქაოდა, ცოტა ვერააო. და მართლაც, მოხუცი ასტრონომის უცნაურობებზე მთელ სკოლაში (და არა მარტო სკოლაში) ლეგენდები დადიოდა. ერთხელ მან გამოსაშვებ გამოცდაზე ოქროსმედალოსნობის კანდიდატ გოგონას გაზუთხული ნიუტონის კანონების თხრობა შეაწყვეტინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მის ცხვირწინ, მერხზე მუშტი დასცხო, თან მთელ ხმაზე იყვირა: "აბა, რომელია ქმედება, რომელი უკუქმედება, მიპასუხე, შვილო!"

ცარცივით გაფითრებულმა გოგონამ საწყალობლად ახედა თვალებგადმოკარკლულ, თმებგაწეწილ მოხუც მასწავლებელს და ცრემლები წასკდა, გული ამოუჯდა: ტიროდა დაბალ ხმაზე, ღვარად მომდინარე ცრემლებისა და სლუკუნის თანხლებით. სკოლის ყველაზე წარჩინებული მოწაფის დაწყნარება ვერავინ შეძლო. ცივმა წყალმა, ვალერიანის წვეთებმა და ფერებამ შედეგი ვერ გამოიღო. სკოლის დირექტორი იძულებული გახდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელთან მოლაპარაკების შემდეგ, ფიზიკის გამოცდა მომდევნო კვირისათვის გადაეტანა.

ვილჰელმ ფანცულაიას სწავლების მეთოდიკაც განსხვავებული ჰქონდა. მან ტექნიკის მიღწევების პედაგოგიკის სამსახურში ჩაყენება გადაწყვიტა, რისთვისაც ბაზრობაზე, სავარაუდოდ მისივე ასაკის, უზარმაზარი "ბაბინებიანი" მაგნიტოფონი შეიძინა. ვილჰელმ მასწავლებელი სახლში, მაგნიტოფონზე იწერდა გაკვეთილის ახსნის მთელ პროცესს. დილისთვის კი მასიურ ხელსაწყოს ხელოვნური ტყავით გაწყობილ მუყაოს მკვრივ შალითაში ათავსებდა და ოფლის ღვრითა და ხვნეშა-ხვნეშით სკოლისაკენ მიიჩქაროდა. "ახალი მასალის" ნოვატორულად გადმოცემის ეს მეთოდი, ბუნებრივია, ხარვეზებისაგან სრულად როდი იყო დაცული...

- ვაშაკიძე, ლომიძე! გამოიტანეთ მაგნიტოფონი ლაბორატორიიდან და აი აქ დადგით! - ვილჰელმ მასწავლებელმა ბრძანება გასცა და ბავშვებს მაგიდის კიდეზე მიუთითა. მარცხენა შავი ღილაკით "ლენტა გადაახვია", წითელით შეაჩერა. სულ მალე სადღაც შორიდან ვილჰელმ მასწავლებლის ხმა გაისმა:

"იტალიელი მოაზროვნე ფილიპო-ჯორდანო ბრუნო 1548 წელს ქალაქ ნოლაში, ნეაპოლის მახლობლად დაიბადა.

ბრუნოს მშობლები ღარიბები იყვნენ. როცა ბრუნო ათი წლის გახდა, სასწავლებლად ნეაპოლში გაგზავნეს. ნეაპოლის მახლობლად მდებარე დომინიკანელთა მონასტრის ბერებმა ბრუნო თავის კმაყოფაზე მიიღეს. 15 წლის ასაკიდან ბრუნომ მიიღო ამ მონასტრის ბერობა ჯორდანოს სახელწოდებით, ნაცვლად ფილიპოსი, რომელიც მას დაბადებიდან ერქვა.

მონასტერში ბრუნომ შეისწავლა არისტოტელეს, პლატონისა და სხვა ფილოსოფოსების შრომები. გაეცნო დიდი პოლონელი მეცნიერის, კოპერნიკის შრომებს. მონასტრის სიმყუდროვეში მან დაწერა დრამატული ნაწარმოები "სანთელი". თავისი გონებამახვილური ისარი ბრუნომ მიმართა არა ეკლესიის და მათ მსახურთა, არამედ პედანტ მეცნიერთა წინააღმდეგ.

მონასტერში ბრუნომ დაწერა აგრეთვე "ნოეს კიდობანი". ამ ნაწარმოებში ბრუნო მკაცრად აკრიტიკებს ბერებს და საერთოდ ეკლესიას. ის არც არისტოტელეს ავტორიტეტს შეუშინდა და მის წინააღმდეგაც გაილაშქრა.

1575 წელს ბრუნოს მიმართ ინკვიზიციამ საქმე აღძრა, ამიტომ იგი ტოვებს მონასტერს და რომში მიდის..."

მონოტონური თხრობა თითქმის ათი წუთი გრძელდებოდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად სიტყვებს - "...ბრუნო აცხადებდა: დაწვა არ ნიშნავს უარყოფას, მომავალ საუკუნეებში მე გამიგებენ და შემაფასებენო," - ვილჰელმ მასწავლებლის ისტერიული ყვირილი მოჰყვა: "კი, მაგრამ სად არის ჩაი! რით ვერ ადუღდა... ერთი ლიტრი წყლის ერთ საათში ადუღებას ერთი კალორია სითბო სჭირდება, რა გახდა ბოლოს და ბოლოს, ჩაიდანია თუ ავზი?!"

ბავშვების სიცილმა ლამის სკოლა დაანგრია. მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწყობა ვილჰელმ მასწავლებელსაც გადაედო. მოითქვა თუ არა სული, აცრემლებული თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა და თქვა:

- "სპეციალურად შევაპარე ტექსტში. გამოგცადეთ, მაინტერესებდა, ყურადღებით უსმენდით თუ არა. ყოჩაღ, კარგი ბავშვები ყოფილხართ!"

ფიზიკის კაბინეტში გათამაშებულ ამ სცენას არც ერთი უცხო თვალი არ შესწრებია, თუ არ ჩავთვლით კედლიდან მომზირალ გენიოსებს: გალილეის, ნიუტონს, ფარადეის, აინშტაინსა და კეპლერს.

სიცილის რა მოგახსენოთ, მაგრამ, რატომლაც ყველა მათგანი იღიმებოდა...

* * *

ტელესკოპის დაკარგვამ ვილჰელმ ფანცულაია, რბილად რომ ვთქვათ, გააოგნა. ობსერვატორიიდან გაფითრებული გამოვიდა. მერე, როგორც მასწავლებლებმა თქვეს, წნევამ აუწია და ხანგრძლივი დროით ჩაწვა. თითქმის მთელი ორი თვის განმავლობაში ცდებოდა ფიზიკისა და ასტრონომიის გაკვეთილები...

ამასობაში ტელესკოპთან ასტრონომიით, უფრო კი სარას ღამის ცხოვრებით დაინტერესებულ ნორჩ მეცნიერთა რიგი დღიდან დღემდე იზრდებოდა. რიგში მდგომთა რიცხვის ზრდის პარალელურად მცირდებოდა დროის დაწესებული ლიმიტი, თუმცა, ასაკის სიმცირის მიუხედავად, პირველ ღამეს ერთი თუ ორი წუთი მეც შემხვდა. და განა რა დავინახე დროის ამ მცირე მონაკვეთში?

კარგად მახსოვს მცირე ზომის ოთახი ვარდისფერი შპალერით: უზარმაზარი შავი გარდერობი, მაგიდა თეთრი სუფრით, რომელზეც იასამნით სავსე ორლიტრიანი ქილა და შამპანურის ბოთლი იდგა. მაგიდას ზოლებიან პიჯაკში გამოწყობილი სტუმარი - გამხდარი მამაკაცი უზის, ნერვიულად ეწევა სიგარეტს და ხშირ-ხშირად ისვამს ხელს საოცრად წვრილ ულვაშზე.

თქვენც მიხვდებოდით, იმ ღამეს არ გამიმართლა: ლამაზმანი სარა ჩემთვის გამოყოფილი ორი-სამი წუთის განმავლობაში ოთახში არ იმყოფებოდა...

ტელესკოპის წყალობით უბნის ბიჭები სარას ცხოვრების ყველა თანამგზავრს სახეზე ვცნობდით. ცოტანი როდი იყვნენ. სიმრავლის გარდა გაკვირვებას იწვევდა ის, თუ როგორ ახერხებდნენ "თანამგზავრები" თითქოსდა გარდაუვალი შეჯახების თავიდან აცილებას. პლანეტები მშვიდობიან თანაარსებობას კეპლერის კანონებს უნდა უმადლოდნენ. ჩემთვის დღემდე უცნობია, რა კანონებს ემორჩილებოდნენ სარას თანამგზავრები. არადა, ვის აღარ ნახავდით მის ორბიტაზე: თანამგზავრთა შორის იყვნენ ფიზკულტურის მასწავლებელი ძია ჟორა, რომელიც "კალიასკიან მოტოციკლს", ალბათ კონსპირაციის მიზნით, მეზობელ ეზოში ტოვებდა; ხისფეხა კონმექანიკოსი ბიჭიკო და ტელესკოპის პატრონის, ყორბესას მამა, ღრმადპატივცემული ვარლამ პლატონიჩი - ცნობილი თამადა და საოპერო არიების თვითნასწავლი შემსრულებელი.

როცა ძია ვარლამი მღეროდა, პირს არაბუნებრივად დიდზე აღებდა. ამ დროს შავად დაფჩენილ ხახაში პატარა, ვარდისფერი ენა სასაცილოდ ფართხალებდა. სიმღერის შესრულების დროს მისი ყურება ერთი სიამოვნება იყო. სიცილისგან გული შეიძლებოდა წაგსვლოდათ...

სარასთან პლატონიჩის ყველა ვიზიტი, როგორც წესი, სიმღერით - "სერდცე კრასავიცი სკლონნა კ იზმენე..."-თი იწყებოდა.

უნდა გითხრათ, რომ "ასტრონომიით" ჩვენი გატაცება ისევე მოულოდნელად და სწრაფად დასრულდა, როგორც დაიწყო.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს სარამ გათხოვება გადაწყვიტა!

დოლისა და ზურნის ჭყვიტინი მაშინღა მიწყდა, როცა ვიღაც ჰალსტუხიანმა ბიძამ, უსაშველოდ გავასქელი ქალები რომ ახლდნენ თან, თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალი ლურჯ-თეთრ-ვარდისფერი ზონრებით გადაჭრელებულ მწვანე "მოსკვიჩში" ჩასვა.

მანქანამ ეზოდან გასვლამდე ერთი-ორჯერ დაიჭყვიტინა, ჰაერში ნეკერჩხლის გაყვითლებული ფოთლებიააფრიალა და თვალს მიეფარა.

აუტანელმა სიჩუმემ დაისადგურა ჩვენ ქუჩაზე, დაახლოებით ისეთმა, სასაფლაოდან მობრუნებულ ჭირისუფალს რომ დახვდება ხოლმე დაცარიელებულ სახლში. საშინლად მოიწყინა უბანმა - ბოლო წუთამდე არავის სჯეროდა სარას გათხოვებისა. ის ხომ ყველასი იყო, როგორც მთვარე ღამის მგზავრებისთვის, როგორც მზე მის გარშემო მბრუნავი პლანეტებისთვის...

მზე, ბუნებრივია, არ ჩამქრალა, მაგრამ, კარგად მახსოვს, იმ წელს მზის დაბნელება კი ნამდვილად მოხდა...

* * *

სარას გათხოვების დღიდან მოყოლებული, ტელესკოპის არსებობა აღარავის გახსენებია. ერთხელაც ბებიამ ანტენის სანახავად ("ხომ არავინ მოიპარა ის უპატრონოო") სახურავზე ამაგზავნა. ის იყო უკან უნდა დავბრუნებულიყავი, როცა საგანგებოდ მოწყობილი სამალავიდან ამოჩრილ ტომარას მოვკარი თვალი. ხელსაწყოს გამართვა არ გამჭირვებია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ტელესკოპთან რიგი არ იდგა. ბუნებრივია, დროშიც არ ვიყავი შეზღუდული. წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, იმ საღამოს ტელესკოპის ელვარე თვალი სარას ჩაბნელებული ფანჯრების ნაცვლად, ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ მივმართე. ასე რომ, გალილეის მსგავსად მეც შემეძლო მეთქვა: "გვერდზე მივატოვე რა მიწიერი, მივმართე ცის დაკვირვებებს".

თბილი, ტენისგან თითქმის სრულად დაცლილი საღამო იდგა. ჰაერიც საოცრად მსუბუქი და გამჭვირვალე იყო. სწრაფად გავასწორე ფოკუსი და...

მოციმციმე ვარსკვლავები, როგორც ოქროს მტვერი, სახეზე, თმებზე, მხრებზე გადამეყარა...

* * *

ჩუმ-ჩუმად დავძვრებოდი სახურავზე. ხან სახლიდან ვიპარებოდი, ხანაც კლასელთან გაკვეთილების დასანიშნად ხუთი წუთით გასული, რატომლაც გვიან ღამით ვბრუნდებოდი. თავზე რომ არ დამთენებოდა, ანუ დროისშეგრძნებადაკარგული თვალუწვდენელ კოსმოსში რომ არ დავკარგულიყავი, ძველმანების ბაზრობაზე ხუთ მანეთად ტყავის სამაჯურიანი ძველისძველი საათი შევიძინე. იმის გამო, რომ ტელესკოპი მოპარული იყო, სახლში მიტანას ვერ ვბედავდი. ბებია აუცილებლად მკითხავდა - საიდან? რა უნდა მეპასუხა... ასე რომ იძულებული ვიყავი, ჩუმ-ჩუმად მეძრომიალა სახურავზე და ჩუმ-ჩუმად მეჭვრიტა მთვარისა და შორით მოციმციმე ვარსკვლავებისათვის...

ასე გრძელდებოდა თითქმის ორი თვე, სანამ ერთხელაც სახურავზე ასულს სამალავთან ყორბესა არ დამხვდა.

- შენ აქ საიდან? - იკითხა გულწრფელად გაკვირვებულმა.

რა მეპასუხა, არ ვიცოდი. ტყუილად სახურავზე არ ამოვიდოდა, თანაც ხელში ნაჭრის უზარმაზარი ჩანთა ეჭირა, რომელიც ცარიელს არ ჰგავდა.

- მიგაქვს? - ვკითხე თავჩაღუნულმა.

არ მიპასუხა. გვერდი ამიარა და სადარბაზოში ჩასასვლელი კიბეებისაკენ გაემართა. მივხვდი, თუ ახლა არ ვიღონებდი რამეს, ტელესკოპს სამუდამოდ დავკარგავდი. სირბილით დავეწიე და წინ გადავუდექი.

- მიგაქვს? - ტირილამდე ბევრი აღარაფერი მაკლდა.

- ეეე, რა გჭირს, ბიჭო?! - ყორბესა ჩემმა საქციელმა გააკვირვა,- ვერ ხედავ, რომ მიმაქვს!

- სად მიგაქვს?

- მიმაქვს რა!

გვერდის ავლა აღარ უცდია. გზის დათმობას ითხოვდა. ისე ახლოს იყო მოსული, რომ სახით მკერდზე ვებჯინებოდი.

- სად?

- ბიჭო, შენ ხომ არაფერი გეშლება! რა შენი საქმეა, სად მიმაქვს!

ერთი რომ შემოეკრა, სულს გამაცხებინებდა. როგორც იქნა, თავს მოვერიე და ენის ბორძიკით ვკითხე.

- უნდა გაყიდო?

- მერე...

- ფული გჭირდება?

ყორბესა - უბნისა და სკოლის ცნობილი ნაძირალა, ჩემგან ამდენ სითამამეს არ ელოდა. ჯერ გაფითრდა, თუმცა რამდენიმე წამში ხუმრობისა და შაყირის ხასიათზე დადგა.

- რაო, ბიჭი, ყიდვას ხომ არ აპირებ?

ყველა სხვა შემთხვევაში ყორბესასთან ასეთ საუბარს ვერ გავბედავდი. მასთან ღამით, თანაც სახურავზე, ერთი ერთზე დარჩენისაც შემეშინდებოდა, მაგრამ, ეტყობა, იმ ღამეს მარტო არ ვიყავი. როგორც ჩანს, მთვარე, ვარსკვლავები და ყველა სხვა ციური სხეულები ჩემ მხარეს იყვნენ...

მოულოდნელად ყორბესას სახიდან დამცინავი, უტიფარი ღიმილი გაქრა:

- ხვალ საღამოსთვის 40 მანეთი მჭირდება!

- მოვიტან! - ვუპასუხე მე, - ოღონდ ეს უნდა მომცე!

- ჯერ ფული! - კბილებში გამოცრა.

სანამ დავშორდებოდით, მარჯვენა ხელით ნიკაპი აміწია, თვალებში ჩამხედა და წაისისინა: ფული მჭირდება, გასაგებია?

ხმა არ გამიცია.

- გასაგებია? - შემომიღრინა.

- გასაგებია... - უხალისოდ ვუპასუხე და თავის გაქნევით ნიკაპი გავითავისუფლე.

მარტო დავრჩი. ყორბესას ფეხის ხმა შორიდან ისმოდა, ბოლოს კი სულაც მიწყდა. ახლაღა შევამჩნიე, რომ მუხლები მიკანკალებდა. ტირილი მინდოდა, აუცილებლად ვიტირებდი კიდევაც, მარტო რომ ვყოფილიყავი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცაზე მიმოფანტული ყველა ვარსკვლავი მე მომჩერებოდა.

სირბილით დავეშვი კიბეზე...

* * *

მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ჩანთაც ყორბესას ჰქონდა და ფულიც. სანამ ზურგს შემაქცევდა, სიგარეტს მოუკიდა და ჩვენ შორის დააფურთხა. ვიდექი და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. რამდენიმე წამიც და ფულიან-ჩანთიანად გაუჩინარდებოდა.

რამე უნდა მეღონა, მაგრამ რა?

მუცელში დავლილმა სიცივემ, ნელ-ნელა ფეხებისაკენ ჩაინაცვლა. წინასწარ მოფიქრებული რაიმე გეგმა არ მქონია, ყველაფერი თავისთავად, ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა. მახსოვს, მთელ ხმაზე ვიღრიალე და ყორბესას ზურგს მივაწყდი. მართალია, არ დაცემულა, მაგრამ მოულოდნელობისაგან თუ დაჯახების სიძლიერის გამო ჩანთა ხელიდან გაუვარდა. სანამ გონს მოეგებოდა, ჩანთიანად სახურავის იმ კიდისკენ მოვკურცხლე, რომელიც უკანა ეზოს გადაჰყურებდა. ყორბესას რეაქციას არ დავლოდებივარ, სახურავის გუდრონით დაფარულ მოაჯირზე შევხტი და ავყვირდი:

- არ მომეკარო, თორემ გადავხტები!

სახეზე სითეთრემ გადაუარა.

- ხომ მოვილაპარაკეთ, ფული ხომ მოგეცი, მეტი რაღა გინდა...

არ ელოდა. თანაც ვისგან, ჩემგან, ცხვირმოუხოცავი ლაწირაკისაგან.

- თუ გინდა, გაპატიო, ჩამოდი და ჩანთა დამიბრუნე! - ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა.

- არაფერსაც არ დაგიბრუნებ... - ვთქვი და ჩანთაჩაბღუჯული ხელით ცრემლები მოვიწმინდე.

ყორბესა ნელ-ნელა მოიწევდა წინ. სწრაფად უნდა დამერწმუნებინა, რომ კიდევ ერთი ნაბიჯიც და სახურავიდან გადავეშვებოდი.

- ნაბიჯი არ გადმოდგა, თორემ გადავხტები! - მეტი დამაჯერებლობისათვის თავი გვერდზე მივატრიალე. ჩემს უკან დაახლოებით 20 მეტრი სიღრმის სიცარიელეს დაეფჩინა პირი. მუქარამ გაჭრა - ყორბესა გაჩერდა.

- დამიბრუნე ჩანთა, თორემ იცოდე, მწარედ განანებ! - წაისისინა მან.

ერთმანეთისაგან ხუთიოდე მეტრი გვაშორებდა. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. ყორბესამ ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა.

- თუ გინდა რომ წავიდე, ჩამოდი! ... ჩამოდი, მაგ ტრუბის დედაც! ჩამოდი, მართლა არ გადავარდე...

- ჯერ წადი!

- ე, ბიჭო, რა ჩემ ფეხებად მინდა, ჩამოდი რა... - ყორბესამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, - აი, ხომ ხედავ, მივდივარ...

- წადი და ჩამოვალ!..

- ჯერ ჩამოდი, თორემ არ წავალ!

ყორებასას სადარბაზოში შესასვლელ კარამდე ორიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა.

- ჩამოდი, თორემ არ წავალ, დილამდე აქ ვიდგები!

არ ვენდობოდი, მაგრამ იმდენად მინდოდა მისი თავიდან მოშორება, მისი წასვლა, გაქრობა, აორთქლება, რომ დაუჯერებელი დავიჯერე და მოაჯირიდან ჩამოვედი. როგორც კი ფეხი დავდგი ძირს, მაშინვე ვინანე, - ჩემსკენ გამოქანდა. ფიქრის დრო აღარ იყო: მოაჯირს იდაყვით დავეყრდენი, ტანი გადავითრიე და სახურავიდან გადავეშვი...

იმ დროს, როცა ჩემი საქციელით, უფრო სწორად კი "სიკვდილით" გულგახეთქილი ყორბესა კიბეებზე ჩარბოდა, მე ბოლო, მეხუთე სართულის აივნის სახურავზე მუხლის ჩოქებზე ვიდექი და სიმწრის ოფლში ვცურავდი. ზუსტად გავთვალე: სწორედ იმ ადგილიდან გადავხტი, სადაც თეთრი ფერის ზეთის საღებავით მსხვილად იყო მიდღაბნილი: "იურა + ლარისა = სიყვარულს".

ვიცოდი, ვის "კალამს" ეკუთვნოდა ეს შედევრი. ჩემი მეზობელი იურა ხამისი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მთელი სამი თვის განმავლობაში მეხუთე სართულის აივნის სახურავზე ემზადებოდა: კითხულობდა ფიზიკისა და მათემატიკის სახელმძღვანელოებს, აჭრელებდა რვეულის ფურცლებს...

"აქ სიგრილე და სიმყუდროვეა, - ამბობდა იურა, - მე აქ მირჩევნია, გოგრაც უკეთესად მუშაობს".

სახლის სახურავიდან აივნის სახურავზე ჩახტომის "შემაძრწუნებელი რიტუალიც" პირველად მისი შესრულებით ვიხილე. რომ არა უკიდურესი გაჭირვება, ვფიქრობ, იმავეს გამეორება გამიჭირდებოდა, მაგრამ იურას მიერ მოცალეობის ჟამს გაკეთებული წარწერის ("სიყვარულის ფორმულის") წყალობით ყველაფერმა მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

აღარ დავყოვნებულვარ. სამალავიდან ამოვხოხდი და როგორც კი დავრწმუნდი, რომ სახურავზე არავინ იყო, შინისაკენ მოვუსვი. კიბეები სწრაფად ჩავირბინე. მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი, ვერაფრით მოვახერხე დაძინება. გათენდა თუ არა, საწოლის ქვეშ დამალული ტელესკოპი გამოვიღე და, სანამ ბებია გაიღვიძებდა, სკოლისაკენ გავიქეცი. შენობაში ტუალეტის ჩამსხვრეული ფანჯრიდან შევძვერი. გავიარე გრძელი, ნავთით მოპრიალებული დერეფანი, ავირბინე კიბეზე და ფიზიკის კაბინეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესულმა ტელესკოპი ფრთხილად, მასწავლებლის მაგიდის თაროში შევაცურე. ხუთიოდე წუთში შენობა იმავე გზით დავტოვე. ეჭვი ჩემზე რომ არ აეღოთ, პირველი გაკვეთილი გავაცდინე...

კარგად მახსოვს: ის იყო სამასწავლებლოს ჩავუარე, რომ ვილჰელმ მასწავლებლის გულიანმა სიცილმა ხის მასიური კარი გამოანგრია, გრძელი დერეფნები, დახვეული კიბეები დაიარა და აქა-იქ შემორჩენილი, ჩაუმსხვრეველი მინები დააზრიალა. თავი ვერ შევიკავე და მეც გავიცინე...

## II
## აქედან ვერ წაშლი

ამ ამბიდან დიდი დრო გავიდა. ახდა დედაჩემის წინასწარმეტყველება, შენგან კაცი არ გამოვაო.

მართლაცდა, ჩემგან არც ექიმი გამოვიდა, როგორც ეს დედაჩემს უნდოდა; მამაც დავაღალატე - იურიდიული განათლება ვერ მივიღე; პოლიტექნიკურში ჩაბარება და ინჟინერობა (როგორც ბებია იტყოდა) თავად არ ვისურვე.

- აბა, რა გინდა შვილო? - მკითხა ერთხელ მამამ.

ფიზიკოსი უნდა გამოვიდე-მეთქი, ვუპასუხე.

არაფერი უთქვამს, შეტრიალდა და სამსახურში წავიდა. დედა და ბებია კი მთელი ერთი წლის განმავლობაში რიგ-რიგობით ამშვიდებდნენ და ასულიერებდნენ ერთმანეთს.

როცა დედას დაეწყებოდა ისტერიკები, ბებია ეტყოდა: კარგი, ეთერი, დაწყნარდი გენაცვალე, ამ მასხარას გულისთვის თავს ხომ არ მოვიკლავთ!

როცა ბებიას ჯერი დადგებოდა, დედა ეტყოდა: დამშვიდდი, ფოთოლა, ამ ვაჟბატონს ჩვენი სიკვდილი უნდა, ჩაგვყრის მიწაში და დაისვენებს!

საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ყველა კითხვაზე მქონდა პასუხი, ერთის გარდა: ბიჭო, გალილეი და აინშტაინი გირჩენენ ცოლ-შვილს? იქნებ, ფარადეის იმედი გაქვს?

რა უნდა მეპასუხა...

უნივერსიტეტი იმ წელს დავამთავრე, თბილისში ავტომატს რომ აკაკანებდნენ. ცაში სროლა ყველაზე ნაკლებ ბოროტებად ითვლებოდა. სამიზნედ ზოგი დიდი დათვის თანავარსკვლავედს ირჩევდა, ზოგი პატარისას; ზოგს ვენერა არ მოსდიოდა თვალში, ზოგს კი - თეთრი ჯუჯები.

ვიღას ახსოვდა ფიზიკა და ასტრონომია?

მთელი სამი წელი პატიოსნად ვსვი შურა ბიწკინაშვილის "კარბიდის" ზეთისფერი არაყი. სმას რომ თავი დავანებე, თავი ხელმოცარულად სწორედ მაშინ ვიგრძენი. როგორც ყველა ხელმოცარულმა, მეც ჟურნალისტობა გადავწყვიტე. მას შემდეგ რვა წელი გავიდა, წერას კი თავი ვერ დავანებე. თუმცა, ბოლომდე ვერც ასტრონომიას შეველიე. უქმეებზე ყველა ღამეს, თუ რამე სასწაული არ ხდება, სკოლის პატარა ობსერვატორიაში ციური სხეულებისა და სამი ხანდაზმული მამაკაცის საზოგადოებაში ვატარებ.

კარს სკოლის დარაჯი, ჯემალა ძია მიღებს. ყოველდღე რომ მიხვიდე, მაინც ასე შეგხვდება:

- ეეე, სადა ხარ, დოდიკ შვილო, ჩემი და ერნესტას თავი ჯანაბას, მაგრამ მოხუცი მასწავლებლის დავიწყება იქნება?

ჯემალა ძია ნასვამია. ყელიც ჯინჭრით დაშუშხულს მიუგავს, არაბუნებრივად წითელი აქვს, თუ არ ჩავთვლით ლავიწის ძვლიდან "ადამის ვაშლამდე" ზმეიკის ფორმის მქონე თეთრ ნაწიბურს. ძველი, ორმოცი წლის წინანდელი შრამია...

ერთხელ მომიყვა, თურმე ვიღაც ბებიას გამოექომაგა მარშუტკაში. სულ ცოტა ოთხმოცის იქნებოდა, მაგრამ კინალამ საიქიოში შევასწარიო. შავებში ჩაცმული და შალის თავსაფარში გახვეული ბებია კართან ახლოს მჯდარა. ფეხებთან დიდი, მუცელგაბერილი ჩანთა ედო. ახალგაზრდა ქალი ("ნაშა" - აზუსტებს ჯემალა ძია) მარშუტკიდან ჩასვლას ცდილობს, მაგრამ გზას მოხუცი ქალის დონდლო სხეული და უზარმაზარი ჩანთა უღობავს. რომ იკადროს ნაშამ და ფეხი გადააბიჯოს, ყველაფერი მარტივად გასრულდება, მაგრამ "ნაშა" ბებიას აგდებით ელაპარაკება და გზის დათმობას ითხოვს. ბებია რაღაცას ჩიფჩიფებს (რა უნდა თქვას, თავს იმართლებს, ბოდიშს იხდის საწყალი). ჯემალა ძიას (მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილ კაცს) ბრაზი ახრჩობს (ცხონებული ბებიაჩემი თუ გამახსენდაო, ამბობს) და "ნაშას" მიმართავს:

- აბა, ერთი მომხედე! რა დაგემართა, გოგო, აწიე ფეხი, გადააბიჯე და ჩადი რა, ვითომ მაგაზე მაღლა არ აგიწევია!

ნაშა ახლა ჯემალა ძიას უბრუნდება, ლანძღავს და ემუქრება:

- შენ იცი მე ვინა ვარ, შენ იცი მე ვინა მტყნავს?

ჯემალა ძიას, მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილ კაცს, ამაზე ეცინება:

- შენი დედაც და შენი მტყვნელისაცო, ტემ ბოლეე აწიე ფეხი და გადააბიჯე! - პასუხობს.

შრამი ყელზე რომ აქვს, სწორედ იმ მტყვნელმა დაადო. ბოზურად, ღამით, გაჩერებაზე დახვდა ძმაკაცებთან ერთად. ეგონათ შეაშინებდნენ, მაგრამ ჯემალა ძია (ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი) ადვილად შესაშინებელი არ იყო, სულ მრავლობით რიცხვში აგინა გამზრდელი დედები. არ ელოდნენ, დაიბნენ და სიტყვა ვერ შეუბრუნეს, მხოლოდ იმან მოუქნია. გონზე საავადმყოფოში მოვიდა, რაღაც შლანგებში იყო გაბურდული: შლანგები ყელში, შლანგები ცხვირში, შლანგები მუცელში... ობობას ქსელში გახვეული ბუზივით ვიყავიო, ამბობს.

შურისძიება არ უცდია. საავადმყოფოდან ახალი გამოწერილი იყო, როცა იმ ტიპმა შუამავლები მიუგზავნა: შევრიგდეთო!

ჯემალა ძიამ (ჯერ კიდევ ყმაწვილმა კაცმა), რა პრობლემაა, ოღონდ ამიხსნას, რამ გადარიაო?

იმან, ჩემი ნაშისათვის ფეხის აწევა და ეგეთი რაღაცები არ უნდა ეკადრებიანაო? მაშინ ჯემალა ძიამ (რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ყმაწვილმა კაცმა), შევრიგდეთო, ოღონდ ერთი ეგ გამაგებინე, ფეხის აუწევლად როგორ ხმარობო!

ეს იყო და ეს. ჯემალა ძიაზე დიდი ხანია ყმაწვილი კაცი აღარ ითქმის, მაგრამ მას მერე ის ტიპი აღარასოდეს უნახავს, ქალაქიდან გადაიხვეწა, აი შრამი კი დარჩა.

ასტრონომიის კაბინეტიდან სხვენზე ხის კიბით ავდივართ, ბნელი ოთახი სუსტი, ძლივს მბჟუტავი ნათურითაა განათებული. სკოლის ობსერვატორიაში მოხუც მასწავლებელთან ერთად ერნესტაც გველოდება. ერნესტა გარდა იმისა, რომ ჩემი მეზობელია, ქალაქში ყველაზე მაგარ მალიარადაც ითვლება.

მერე რა რომ ისიც სვამს!

სვამსო, ის სიტყვა არ არის: როცა უნდა და რამდენიც უნდა იმდენს ისხამს, თუმცა მუშტარის დაკარგვის არ ეშინია და იცით, რატომ?

ამბობს: "პროფესიონალიზმ ნე პრაპიოშ!

და მართლაც: ერთი ბოთლის შემდეგ ისეთ სწორ ხაზს გაავლებს ჭერზე, მხაზველობითი გეომეტრიის პროფესორს შეშურდება!

ერნესტა ამაყობს თავისი სახელით. ბოლო დროს დაიჩემა, ჰემინგუეის სეხნია ვარ და ამ სახელის დარქმევით ცხონებულმა მამაჩემმა მისი კაცობა დამანათლაო. ტრაბახობს: მეც დიდი ამერიკელივით ყვერებიანი კაცი ვარო!

ადრე ამტკიცებდა, გინდა თუ არა ჩე გევარას სეხნია ვარო და დასტურად მარჯვენა მხარზე ამოსვირინგებულ, ღია ბალახისფერ ნაკოლკას მაჩვენებდა: კორდას ცნობლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოს ასლს - ბერეტიან, თმებგაშლილსა და წვერებიან ჩეგევარას შუქ-ჩრდილს. ნაკოლკას ისე არ გააშიშვლებდა, რომ არ დაემატებინა: იცოდე, დოდიკ, რევოლუციის გარეშე, რევოლუციონერად ვერ იქცევი!

სინამდვილეში გერმანიის კომუნისტური მოძრაობის სულისჩამდგმელის ერნსტ ტელმანის სეხნიაა, მაგრამ აბა ერთი გაუბედე და შეახსენე - გეტყვის, ერთი კომუნისტების დედაც და მერე შენიცო...

ჰოდა, არც არავინ ეუბნება, ან რატომ უნდა უთხრას? ბოლოს და ბოლოს ყველა ადამიანი ის არის, ვინც თავად უნდა რომ იყოს. ერნესტაც, იმისდა მიხედვით, რამდენი აქვს ჩარტყმული, ხან კილიმანჯაროს თოვლიანი მწვერვალი ელანდება, ხანაც რევოლუციის ალში გახვეული მსოფლიო!

- ოოო, როგორც იქნა, მოიცალა ვაჟბატონმა, - მილიმის ასტრონომიის მასწავლებელი, - არ დაგავიწყდით?

თავი ვიმართლო? არ ღირს. იცის, დრო რომ მქონდეს, ამ ოთახს, ამ ტელესკოპს ვერ მომწყვეტდნენ...

- მოგენატრებოდით! - მეც ხუმრობით ვპასუხობ.

- რატომაც არა, ამ ტრუბაში შენზე კარგმა ვინ უნდა გაიხედოს? ნეტა, ხშირად მოდიოდე... - ამბობს ჯემალა ძია და სიგარეტს უკიდებს.

- ვერ მოვდივარ, ხო იცით არა...

- ნუ წუწუნებ! - მაჩერებს ერნესტა. - როგორ არ ვიცით, მაგრამ, ერთი ეს გვითხარი, დღეს რამ მოგიყვანა - არც პარასკევია და არც - შაბათი...

- თქვენ ხუმრობთ, მაგრამ მთელი ერთი თვე ვეღარ მნახავთ! - დანაშაულივით ვაღიარებ.

- ერთი ამას შეხედე, - ამბობს ჯემალა ძია, - ჯერ არაფერს იტყვის, ისე გაქრება, მერე ხრენ ეგო ზნაეტ, როდის გამოჩნდება და იცით, რისთვის? რომ თქვას, კიდევ დიდი ხანი ვერ მნახავთო!

- ხომ მშვიდობაა, - მოხუცი ასტრონომი მეკითხება.

ახლაღა ვამჩნევ, რომ ძალიან მოტეხილა: ხელები უკანკალებს, სავარძელში ჯდომა და თავის შემაგრებაც უჭირს, არაბუნებრივად დაბლაა ჩაცურებული.

- მშვიდობაა, - ვპასუხობ, - ზეგ ამერიკაში მივფრინავ!

ხანგრძლივი სიჩუმე...

ჟურნალისტად მუშაობის 8 წელმა თვეში 300 ლარისა და კუჭის წყლულის გარდა არაფერი მომიტანა. ასე მეგონა ბოლო დრომდე, მაგრამ ორი დღის წინ ტელეფონით მაცნობეს: "ამერიკის საელჩოს კულტურის განყოფილებიდან გაწუხებთ. თქვენ გაიმარჯვეთ კონკურსში და სხვა შვიდ ჟურნალისტთან ერთად ოთხი კვირით ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებით... რა თქმა უნდა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით!"

"რა თქმა უნდა, არ ვიქნებითო", ვუპასუხე.

მოხუცმა ასტრონომმა ცისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი და არტისტულად წარმოთქვა:

- პერ ასპერა ად ასტრა - ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ! ბედნიერი კაცი ხარ, დაგიფასდა შრომა!

ერნესტა ადგილიდან არ დაძრულა. არაბუნებრივად დიდი მუშტი ლათინოამერიკელი რევოლუციონერივით შემართა და კბილებს შორის გამოცრა:

- მალადეც!

ჯემალა ძიამ კი, ეს ამბავი აღნიშვნის ღირსია, თანაც გზაც ხომ უნდა დავულოცოთო, ტყავის კეპკა დაიხურა და ოთახიდან ისე გავიდა, პასუხს არ დალოდებია.

ჯემალა ძია, შეიძლება ითქვას, ერნესტაზე მაგრად სვამს, თუმცა მის ბახუსობას სულ სხვა მიზეზი აქვს. ჯემალა ძიას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს დაკარგული. ცხრამეტის არ იყო, სახლიდან რომ გაიპარა. სოხუმისკენ მიმავალ გზაზე ავარიაში მოყვნენ. ოთხიდან მხოლოდ ის დაილუპა - ფუძის ძვალი გადაუტყდა. წახდა ჯემალა ძია - ვერა და ვერ მოერია თავს. ჩავიდოდა ეზოში, ჩამოჯდებოდა "ზესვედკაში" სკამის კიდეზე და ჩუმად, უხმოდ ტიროდა. ცრემლი გაუშრა, მაგრამ უცრემლოდაც ტიროდა... ამ ყოფაში იყო თითქმის ორი წელი, სანამ ერთმა მეზობელმა, ვითომ ნუგეშისსაცემად, ასეთი რამ არ უთხრა: კარგი, ჯემალა, რა გატირებს, ბიჭო, რა გაქვს სამგლოვიარო, ცხონებული შენი ქალიშვილი ვიღაც ახვარის ცოლი უნდა გამხდარიყო, ახლა კი ქრისტეს სასძლოთა რიცხვს შეემატა! კარგი, გეყოფა, ღმერთს ნუ სცოდავო!

მეორედ ჩარტყმა რომ ეცლიათ, უთუოდ მოკლავდა. მთელი საათი ზმუოდა, გონზე ვერ მოიყვანეს. სასწრაფო დახმარების ექიმმა ორჯერ გაუკეთა პრომიდოლის ნემსი. მოეშვა, მოდუნდა, ჩაცურდა და იატაკზე გაიშხლართა.

სულ ცრემლი და დორბლი სდიოდა...

თვალები, რომ გაახილა მიხვდა: ორად, როგორც თვითონ ამბობს, კარგ და ცუდ ჯემალად გახლეჩილიყო. ერთს პატარა ბავშვივით ჩვილი გული აქვს, მეორე კი მზად არის ცოფიანი ძაღლივით ირგვლივ სიკვდილი თესოს. ამას რომ მიხვდა, მას მერე დაიწყო სმა. ასე რომ, უმიზეზოდ არასოდეს თვრება: არაყი ორივეს სჭირდება - ცუდსაც და კარგსაც - ცუდს გასათიშად, კარგს გასამხნევებლად.

ჯემალა ძია 20 წუთში გაზეთის გიგანტური "ხინკლით" დაბრუნდა. "ხინკლის" მუცელში დაჭრილი ძეხვი, შავი პურის ნაჭრები და ხახვი ყრია. ჯემალა ძიას მეორე ხელიც აქვს და არყიანი ბოთლი სწორედ ამ ხელში უჭირავს. სუფრის გაშლაში ერნესტა ეხმარება. არაყს ჭიქებში ასხამს და ამბობს: რა ღვინო, რის ღვინო, არაყშია ჭეშმარიტება!

* * *

რა თქმა უნდა, არც ჯემალა ძია და არც ერნესტა ასტრონომები არ არიან. ერთი, როგორც უკვე ვთქვი, დარაჯია, მეორე კი მალიარი. ერნესტამ ჩვენი სკოლა პირველად ოცი თუ ოცდახუთი წლის წინ გაარემონტა, მაგრამ, არ ვიცი ვარსკვლავების სიყვარულით, არ ვიცი, ვილჰელმ მასწავლებლის ხათრით, ჩვენი სკოლიდან მას მერე ფეხი არ მოუცვლია. წლები გადის, ის კი უსასყიდლოდ ათეთრებს, ღებავს, რანდავს, აჭედებს, ლესავს და ასე შემდეგ...

აუცილებელი არ არის იყო ჰალეი ან ჰერშელი, რომ მიხვდე - ასტრონომის შრომა, უხეშად რომ ვთქვათ, ორ პირობით სფეროდ იყოფა: თეორია და დამზერა. ბუნებრივია, ჩვენი "ასტრონომიული კლუბის" ყველაზე სუსტი მხარე თეორიაა. ჯემალა ძია და ერნესტა იმ ასაკში არ არიან, ნიუტონის, კეპლერის ან გალილეის კლასიკური შრომები რომ იკითხონ. რაც შეეხება დამზერას, ისინი სიამოვნებით იჭყრიტებიან ვილჰელმ მასწავლებლის მიერ მომზადებულ სასწავლო ტელესკოპში. მართალია, დიდი მცდელობის მიუხედავად, ახალი პლანეტები და ვარსკვლავები არ აღმოგვიჩენია, მაგრამ ჩვენს გატაცებას კარგად შესწავლილი მოვლენებით (მთვარის დაბნელება, ასტეროიდთა წვიმა და ასე შემდეგ) ტკბობა და მოხუცი ასტრონომის თხრობის უჩვეულო მანერა ახალისებს. ვილჰელმ მასწავლებელი ყველა ასტრონომიულ მოვლენას (ალბათ "კლუბის" წევრებისთვის მარტივად გასაგები რომ იყოს) ქალური ბუნებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებით ხსნის.

თითქოს რა უნდა ჰქონდეთ საერთო ციურ და ქალის სხეულებს?

...მაგრამ ვილჰელმ მასწავლებელს შეუძლია თქვას: ჩემო ჯემალა, შენ გგონია დიდი განსხვავებაა პლანეტებსა და ქალებს შორის? პლანეტები ეს იგივე მოხეტიალე ვარსკვლავები, ანუ, როგორც ძველმა ბერძნებმა თქვეს, ცდომილები არიან. განა ქალებზეც იმავეს არ ამბობენ ხოლმე?.. შეცდა, შეაცდინეს, აცდუნეს...

ნორჩმა ასტრონომმაც კი იცის, რომ ციური სხეულები "კონუსური კვეთის" წირებზე მოძრაობენ. თუმცა ვილჰელმ მასწავლებელი ამის ნაცვლად ერნესტას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუბნება: ციურ სხეულებს არ შეუძლიათ თავის ხუშტურზე "სიარული". იყვნენ ასეთი კაცები: კეპლერი და კოპერნიკი, რომლებიც პირველი მიხვდნენ, რომ სხეულები ერთმანეთისკენ ისწრაფვიან (ტოჩნო ტაკჟე კაკ ჟენშჩინა ი მუჟჩინა), მოძრაობით კი სალვინე კასრების (და არა კონუსის) წირებზე მოძრაობენო.

- ბოჭკებზე? - საქმიანად კითხულობს ერნესტა.

მოხუცი ასტრონომი უხსნის, რომ თუ კასრს მართი კუთხით გაჭრი, კვეთაში მიიღებ წრეწირს, თუ ირიბად გაჭრი - ელიფსს, კიდევ უფრო მახვილი კუთხით - პარაბოლას, თუ ვერტიკალურად - ჰიპერბოლოიდს...

ერნესტა კმაყოფილია, მერე რა რომ "კონუსური კვეთის სტერეომეტრიაში" დიდად ვერ ერკვევა, სამაგიეროდ ბოჭკაა მისთვის სულის შეძვრამდე ნაცნობი და ეს ნაცნობობა ასტრონომიის ლაბირინთებში გზის გაკვლევაში ეხმარება, ყოველ შემთხვევაში მას ასე ჰგონია და ამაში ცუდი არაფერია.

ნიუტონის სამი საუკუნის წინანდელ აღმოჩენას - მთვარე იმიტომ უვლის დედამიწას გარს, რომ ჩვენი პლანეტა თავისკენ იზიდავს და არ აძლევს მიტოვებისა და ნებისმიერი მიმართულებით გაჭრის საშუალებასო - მოხუცი ასტრონომი ამგვარ ანალოგიას უძებნის: "რა აკავებს ქალს კაცის ორბიტაზე? რა თქმა უნდა, მიზიდულობა, თორემ, შენ გააჩერებდი?"

მოკლედ, მთელი თეორია აქვს ჩამოყალიბებული, რომელსაც ჩვენ - მე, ერნესტამ და ჯემალა ძიამ, "ცდომილთა - ქალთა თუ ციურ სხეულთა თეორია" დავარქვით. ამ თეორიის თანახმად, ქალებს და ვარსკვლავებს ვარდნისკენ მიდრეკილებაც აერთიანებთ. თანაც, ქალებიც და ვარსკვლავებიც ვარდნის შემდეგ ქრებიან, ველარ ანათებენ!

მაგიდასთანაც მოხუცმა ასტრონომმა ასეთი რამ თქვა: ვარსკვლავების არ იყოს, თუ ჭეშმარიტად გსურს ქალებით ტკბობა, შორიდან უნდა უმზიროო.

- ამას რას ამბობს ეს კაცი? - გულწრფელად გაიკვირვა ერნესტამ. - როგორ თუ შორიდან! ვარსკვლავებს კიდევ ხო, მაგრამ ქალებსაც?

- ქალებსაც კი არა, ქალებს პირველ რიგში!

- ეეე, მაიცა რა! - აღშფოთდა ერნესტა, - რა დაკვირვებით, რას ამბობ, კაცო! თავიდან კიდევ მესმის, მაგრამ ბოლომდე ხომ არ დააკვირდები, როცა იქნება ხომ უნდა იმოქმედო არა?

- ეჰ, რა ერნესტ, - მიმართა ასტრონომმა, - შენთვის ქალი მარტო გავა, მკერდი და ფეხებია. მე სხვა რამეზე გელაპარაკები...

- სხვა რა უნდა იყოს...

- სიყვარული!

- მერე? - ჩაიცინა ერნესტამ, - განა კოხტა ტრაკი, სავსე მკერდი და გრძელი ფეხები სიყვარულში ხელს გიშლიან? უტრაკო, უმკერდო და უფეხებო ქალის დედაც ვატირე და მისი მყვარებელისაც!..

- ბიჭო! - სიცილით მიმართა ასტრონომმა, - მე სიყვარულის უკვდავებაზე გელაპარაკები, ამაღლებულზე, შენ კიდევ... გავა, მკერდი და ლამაზი ფეხებიო - ეგ ყველაფერი დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, ფაფუ! ჩემი არ გჯერა, ჯანდაბას, მაგრამ პლატონიც რომ იმავეს ამბობს: ყველაფერი ზღაპარია, მხოლოდ იდეაა უკვდავი და ნაღდიო!!!

აღარ შეკამათებია ერნესტა, მაგრამ ბოლომდე გაჩუმებაც ვერ შეძლო.

- მარტო დავაკვირდე და ხურუშიანვით დორბლი ვღვარო?.. ნე ზა ჩტო, ეგ საქმე ანანისტებისთვის დამითმია!

ჯემალა ძიამ, თვალი ჩაუკრა ერნესტას და კამათში ჩაერია:

- ბატონო ვილჰელმ, ამას წინათ "აგანიოკის" ძველ ნომერში ერთი იტალიელი რეჟისორის ინტერვიუ წავიკითხე. სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ ეს კაცი დაახლოებით ასეთ რაღაცას ამბობს:

ბიბლიამდელი ლეგენდის თანახმადო, ადამიანები კაცებად და ქალებად როდი იყოფოდნენო. თურმე, სქესი არ ჰქონიათ, უფრო სწორად ორივე სქესი ერთ არსებაში ყოფილა შეერთებული, ისევე როგორც ანგელოზებსა და ზოგიერთი სახეობის რეპტილიებში გვხვდებაო. ამ ლეგენდის თანახმად, განსხვავება მოგვიანებით გაჩნდა, როცა მამაზეციერმა ადამის სხეულის ნაწილისგან ევას გამოძერწვა ისურვა. მას შემდეგაა, რომ მამაკაცი გამუდმებით დაეძებს თავის ყოფილ ნახევარს - იმას, რომელიც მარადიულობის წინ დაკარგა. თუ გაუმართლა და იპოვა თავისი ანარეკლი, მხოლოდ ამის შემდეგ გამთლიანდება და დაიბრუნებს სულიერ სიმშვიდესო. მთავარია, იპოვოო, მაგრამ ყველას კი არ უმართლებსო...

ვერც ჯემალა ძიამ და იტალიელმა რეჟისორმა გადაარწმუნეს მოხუცი ასტრონომი. ჯიუტად ამტკიცებდა: ქალი ციური სხეულივითაა - თუ დასაშვებზე მეტად მიიზიდავ, ჩამოვარდება, დიამსხვრევა და დაიწვებაო!

- ვა, მაშ ყველაფერი ეგრე მრაჩნად არის? ესე იგი კაცს არაფერი შეუძლია? - გულწრფელად იკითხა ერნესტამ.

- რას გულისხმობ?

- რას და განა მართლა შეუძლებელია, ეს შენი ციური სხეული ისე მოიზიდო, რომ არ ჩამოაგდო, არ დაწვა და არ გათახსირო?

- როგორ არა, მაგრამ მაგას დიდი ცოდნა სჭირდება!

- მერე?

- რა მერე, ბევრი გინახავს მცოდნე?

- კაცო, განა ე მაგ შენ ასტრონომიაზე გეუბნები? ქალებზე გელაპარაკები!..

- ქალების ცოდნა უფრო ძნელი არ არის?

- მაიცა რა! რა არის ძნელი: ერთს რომ ჩამოაგდებ, მეორეს რომ ჩამოაგდებ და ასე შემდეგ, ასს რომ ჩამოაგდებ, დედას რომ უტირებ, კიდევ უცოდინარი და უბირი იქნები?

- შენ, ჩემო ერნესტ, გამოცდილებას და ცოდნას ერთმანეთში ურევ!

- ვა, განა რა განსხვავებაა?

- როგორ არ არის. აბა, პლატონს კითხე?

- პლატონს ჩემმა მტერმა კითხოს...

- პლატონი ამბობს, რომ გამოცდილება ცოდნის წყარო არ არისო...

- მოიცა, მოიცა... რა პლატონი, რის პლატონი. კაცო, გურამასა და მისი ფრანგი ქალის ამბავი დაგავიწყდა? შენც იტყვი ხოლმე რა...

- გურამა რა შუაშია, - ერნესტასა და ასტრონომის კამათში ჩავერიე, - რამ გაგახსენა...

გურამა ორი რამით იყო ცნობილი: ნახევრადდუდაბნოს ზონაში გაშენებულ ქალაქში, ალბათ, ერთადერთი მეზღვაური იყო და კიდევ: გურამას ცოლად ფრანგი ქალი ჰყავდა. ანეტა დეიდა, სანამ შეეძლო, 21-ე სკოლაში ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

გურამა 93-ში გარდაიცვალა. ცოლის წლისთავი ერთი თვის გასული იქნებოდა, მეზობლებმა მკვდარი რომ იპოვეს სახლში. გრძელსახელოებიანი ტელნიაშკით იწვა იატაკზე, დივანთან ახლოს.

ერთ ფეხზე ფლოსტი ეცვა, მეორეზე კი რეზინებდაწყვეტილი, მოფლაშული წინდა. შიმშილით გარდაცვლილს არ ჰგავდა - ქვაბში ობმოკიდებული პურის ნაჭრები ეყარა, ორლიტრიანი ბანკაც სანახევროდ იყო სავსე. არ მახსოვს ბორში იყო თუ წყალწყალა ბულიონი... ბებიამ წაიღო და უნიტაზში ჩააპირქვავა. მახსოვს, აღარ იჭმევაო, რომ თქვა. უნიტაზში რომ ჩავიხედე, გამდღრეული მაკარონის ნაჭრები რატომღაც აფუთფუთებულ მატლებად წარმოვიდგინე და ვარწყიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაცამ სასწრაფო დახმარებაში დარეკა, მაგრამ ისეთი დრო იყო, ორი დღის მკვდრებს ექიმი კი არა, პოლიციიდანაც არავინ აკითხავდა. არ გაუჭრიათ გურამა და ვერც ვერავინ გაიგო, რამ მოკლა.

რა დროს მაგის სიკვდილი იყოო, ამბობდნენ ეზოს კაცები. იანგარიშეს, მაგრამ ვერაფრით დააზუსტეს რამდენი წლის იყო. ბოლოს სამოცდარვაზე შეთანხმდნენ. სესე ამაშუკელზე სამი წლით უმცროსი იყოო; სესე რომ ჯარიდან ჩამოვიდა, ეგ მაშინ გაიწვიესო. სესე ვინ იყო, არ ვიცი, მაგრამ ამით გურამა ძიას ასაკზე კამათი შეწყდა. მერე ქალები რომ სახლს ალაგებდნენ, ხის უზარმაზარ გარდერობში ვერცხლის კოვზების "ნაბორს", უფრო სწორად, ნაბორის ყუთს მიაგნეს. ფორმით ჭადრაკის დასაკეც დაფას ჰგავდა, მუცელში ფიგურებს რომ იტევს; გარედან რუხი იყო, შიგნიდან კი მუქი შინდისფერი ხავერდი ჰქონდა ამოკრული. წკაპ-წკუპ - ხმაურით იკეტებოდა და იღებოდა. მისი გახსნა და დახურვა ერთი სიამოვნება იყო. ყუთი ქაღალდებით იყო გამოტენილი. ხელნაწერების გარდა უამრავი ობლიგაცია ეყარა შიგ, მათ შორის იყოს გურამასა და ანეტა დეიდას პასპორტებიც.

სამოცდახუთის ყოფილა!

გაკვეთა კი არა, ბალზამის გაკეთებაც კი ვერ მოხერხდა. ყველას უჭირდა. ფული სხვა რამეში დაგვჭირდება, ქრისტიანული წესით სამ დღეში დავასაფლაოთ, გაფუჭებას ვერ მოასწრებსო, მეზობლებმა ამით იმართლეს თავი.

ერნესტამ თქვა, ბალზამის გარეშე შეიძლება ფონს გავიდე, მაგრამ გურამა კუბოს ნამდვილად იმსახურებდაო. არავინ შეკამათებია. ფული კუბოს შესაძენად იყო საჭირო. პირველ ჩამოვლაზე 147 ათასი კუპონი (სასახლეს 190 ათასი სჭირდებოდა), მეორე ჩამოვლაზე 214 ათასი აგროვდა.

ტორაძემ თქვა, მანქანას თუ გამიზაპრავკებთ, კუბო ჩემი მანქანით მოვიტანოთო. თეთრი "ნოლდვა" ჰყავდა, სახურავზე დადგმული საბარგულით. პერემიჩკით დაქოქეს. ტორაძის მამამ თავი იმართლა, აკუმულატორი დაჯდა, თორემ მატორი მხეცივით აქვსო. წინ ერნესტა ჩაუჯდა, უკან სარდიონოვიჩი. ნახევარ საათში აქ ვიქნებითო, თქვეს და წავიდნენ.

თხუთმეტ წუთში კუბოს გარეშე დაბრუნდნენ. ერნესტა მანქანიდან გადმოვიდა და გურამას ერთადერთი ნათესავი, 35 წლის წინ გარდაცვლილი მამიდის ქმარი, ახალციხელი პრაპორშიკი გვერდზე გაიხმო და საქმიანი საუბარი გაუბა. ალიკას აზრით, რა საჭირო იყო ფულის გადაყრა, როცა მშვენიერი, მისი თქმით, პალიროვკიანი კუბოს გაკეთება შეიძლებოდა.

გურამას უზარმაზარ ხის გარდეროზს გულისხმობდა...

იდეა სარდიონოვიჩს ეკუთვნოდა, მაგრამ ერნესტას იმდენად მომხიბვლელად ეჩვენა, რომ მიითვისა. ბებერი პრაპორშიკიც არ გაძალიანებია, მით უმეტეს, რომ დანაზოგით ქელეხის სუფრა უნდა გაშლილიყო.

გარდერობი ორი განყოფილებისგან შედგებოდა. ერთს, დიდს წყვილი კარი ჰქონდა შებმული, მეორეს, მომცროს კი - ერთი. სწორედ ეს ერთკარიანი მომცრო განყოფილება გადააკეთა სარდიონოვიჩმა სასახლედ. დიდი ჯაფა არ დადგომია - სამი ფიცარი გახერხა და თაროები ამოიღო. გვერდიდან, ანუ ჩახერხილი მხრიდან, მეტი სიმტკიცისა და სილამაზისთვის, დარჩენილი ორიდან, ერთი კარი მიაჭედა. იატაკზე რომ დადგეს, ნამდვილ სასახლეს ჰგავდა, მდიდრულს, ჰოლივუდის ფილმებში მაფიოზებს რომ ასვენებენ ხოლმე ისეთს.

ოღონდ ერთი ეგ იყო: სასახლეს, თავსახურის ნაცვლად, კარი ჰქონდა!

სასაფლაო, სადაც გურამას ფრანგი ცოლი იყო დასაფლავებული, ახალი გახსნილი იყო. ერთი მხრიდან შეგუბებული მტკვარი ესაზღვრებოდა, მეორედან რკინიგზა. მტკვარს სასაფლაოზე თოლიების გუნდი მოჰყავდა, გავეშებული ლოკომოტივი კი მათ იქ დარჩენისა და მოლხენის საშუალებას არ აძლევდა. ჭირისუფლების არ იყოს, თოლიებიც მოდიოდნენ და მიდიოდნენ...

სასახლე (უფრო სწორად, გარდერობის მესამედი) ნაყარი, ქვალორღიანი მიწის ბორცვზე დაასვენეს.

აბა, უკანასკნელ გზაზე გამგზავრების წინ გამოვემშვიდობოთო, თქვა ერნესტამ და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მეზობლებს გზა დაუთმო.

ერთი-ორმა გამოიდო თავი და ამით დასრულდა გამომშვიდობებაც. ერნესტას ჯერი დადგა. კუბოსთან დაიხარა, ჯერ ჩუმად იყო, მერე გასწორდა და თქვა: ეჰ, გურიკაჯან, ამას იფიქრებდი ბებერი მგელი, რომ აქ მოგიწევდა საბოლოოდ ლუზის ჩაშვება?

ერნესტამ კუბოს თავი დაახურა. თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ერნესტამ გურამას კუბოს კარი მიუხურა. მესაფლავეს მომარჯვებული ჩაქუჩი და ლურსმნები ხელში შეეყინა. ერნესტამ მარჯვედ მოარგო გასაღები კლიტეს და ორჯერ გადაატრიალა, რის შემდეგაც გულის ჯიბეში ჩაიცურა.

მეზობლები ხელით აყრიდნენ მიწას, მესაფლავე - უზარმაზარი ნიჩბით. მალე ანეტა დეიდას საფლავის გვერდით მოზრდილი ბორცვი გაჩნდა. ცოლ-ქმარი ისევ ერთად იყვნენ. სასაფლაოდან წამოსვლის წინ ერნესტამ ჯიბიდან შკაფის გასაღები ამოიღო და გურიკას თავთან დადგმული ჯვრის ძირას, მიწაში დაფლო.

გზაში აიჩემა, ეს რა იაღლიში მომივიდა, უკან უნდა მივბრუნდეო. მეც გავყევი. ყველაფერი ისე დაგვხვდა, როგორც დავტოვეთ. საფლავთან დაიხარა და მიწის ჩიჩქნა დაიწყო. მალე იპოვა: გასაღები იქ იდო, სადაც დატოვა. ცოტათი დამშვიდდა. როცა სული მოითქვა, გურამას ზურგი შეაქცია და ახლა ანეტა დეიდას საფლავთან ჩაიმუხლა. ახლა იქ დაიწყო მიწის ჩიჩქნა...

- ასე ჯობია, - თქვა ერნესტამ და მიწა ხელის გულით დატკეპნა, - გასაღები ანეტას ჰქონდეს!..

მოკლედ, ერნესტა ამტკიცებდა, გურამა ძიამ თავისი ანეტა მარსელის პორტის ერთ-ერთი ბორდელიდან წამოიყვანა და განა ვინმეს ენა მოუბრუნდება და იტყვის, რომ ქალაქში მასზე მეტად ვინმე ანათებდაო.

- ეგრეა, - დაეთანხმა ჯემალა ძია, - ეგრეა, თანაც, მარტო გურამასთვის ანათებდა... ცხონებული, ძალიან მაგარი კაცი იყო!

მსგავსი შინაარსის ყველა კამათი, როგორც წესი, უშედეგოდ სრულდება. მხარეები თავისას არ იშლიან. ყველა არგუმენტის გაბათილების შემდეგ მოხუცი მასწავლებელი უკანასკნელს მოიშველიებს და პათეტიკური ტონით იტყვის ფრაზას, რომელსაც გალილეის მიაწერენ: ის მაინც ბრუნავს! ანუ მდაბიურად - აქედან ვერ წაშლი!

* * *

აეროპორტში ერნესტა და ჯემალა ძია მაცილებენ. საზეიმოდ აცვიათ, პირიც გაუპარსავთ. ერნესტას პერანგის ღილები ბოლომდე აქვს შეკრული, ჯემალა ძიას მტკაველის სიფართე ოქროსფერი ყელსახვევი უკეთია, შავი კოპლებით. ხელები უკანკალებს, მაგრამ სახიდან ღიმილი არ შორდება. აშკარაა, დილიდან არ დაულევია. ესე იგი, მე ჯემალა ძიას კარგი ნაწილი მაცილებს.

ჯგუფის წევრები საბაჟო კონტროლის გავლას იწყებენ. მეც უნდა ვიჩქარო.

- რა ჩამოგიტანოთ? - ვეკითხები.

ჯემალა ძია კუბურ სიგარებს მაბარებს, ერნესტა - ამერიკის დროშას.

- აბა, არ დაგვღალატო, - მკოცნის ერნესტა და თვალს მიკრავს, - გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!

რას გულისხმობს?

განა თვითონ იცის?!

ილუმინატორთან ვიკავებ ადგილს. ძირს ვიყურები.

ჯერ კიდევ შეიძლება საგნების გარჩევა, თუმცა ჩემი მეგობრები არსად ჩანან. მეღიმება, მაგრამ თავს ვიკავებ - მეშინია გიჟი არავის ვეგონო, არადა, ზუსტად ვიცი: ჭეშმარიტების საძებნელად წავიდნენ!..

* * *

...სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის მონაცემებით, აშშ-ში 13 მილიონამდე არალეგალური ემიგრანტი ცხოვრობს. მიცნობდეთ: ამ 13 მილიონში ერთი მე ვარ. დავდივარ ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში... ვცდილობ ეროვნული თვითმყოფადობა შევინარჩუნო, ანუ შიდსი არ ავიკიდო და თავიც არავის გავაჟიმინო. ამ ამოცანას ჯერჯერობით როგორღაც ვართმევ თავს. გაცილებით ძნელი ნორმალური სამსახურის შოვნაა. ახლა ფლორიდაში ვარ (მაინ რიდის ლინდა ფლორიდა - ყვავილების მშვენიერი ქვეყანა! - არ გახსენდებათ?). სადაც მე ვმუშაობ, იმ ქალაქს მელბურნი ჰქვია. აქ ბევრი მზე და ბევრი წყალია - ქალაქი ოკეანის პირას არის გაშენებული. ნამდვილი მიწიერი სამოთხეა, მაგრამ ველარ ვჩერდები. მართლა არ ყოფილა ადვილი სალი კლდეების გაცვლა სხვა ქვეყნის სამოთხეზე. სულ მინდა წამოსვლა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვერ მოვდივარ; ხან ფული არ მაქვს, ხან პირიქით: ფული მაქვს, მაგრამ სამსახური არ მეთმობა. ახლაც, "ზენზოზაპრავკაზე" ვმუშაობ საღამოს ათიდან დილის რვამდე. ინდოელი ბოსი მყავს, მისტერ ლახირი. ყოველი ცვლის ბოლოს ინდურ მწვანე ჩაის მასმევს და თავლია კონვერტს მჩრის ხელში... დათვლა არ უნდა: 80 დოლარი დევს!

ჩემი მეწყვილე მყავს, პაველი ჰქვია, პავლიკას ვეძახი. ძველი ემიგრანტია, 91-ში ჩამოვიდა აქ. სიცილით კვდება, ტელეფონის აპარატთან რომ დამინახავს აყუდებულს. ამბობს, თავიდან მეც ეგრე ვიყავიო. "ვინც ამ ჯუნგლებში სულ ცოტა ერთი წელს მაინც გაძლებს, თავისი ფეხით აქედან წამსვლელი აღარ არისო", - იცინის, - "სამშობლო? ოჯახი? კუჭის წყლულივით არის: გტკივა, მაგრამ ეჩვევი. ამ ტკივილით შეიძლება ღრმა სიბერემდე იცოცხლო!"

ვცდილობ ასტრონომიაზე, ვარსკვლავებზე ველაპარაკო... სიტყვას ბანზე მიგდებს: "აქ ცაში არავინ იყურება, აქ მთავარია მიწაზე მყარად იდგე!.."

რატომ გიყვებით ყოველივე ამას?

დღეს სახლში დავრეკე. ჯემალა ძია გარდაცვლილა. რაც წამოვედი, ერთხელ არ შევხმიანებივარ, ერთხელ არ მომიკითხავს, სულ ვფიქრობდი, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ დავურეკავ-მეთქი, მაგრამ ვერაფრით მოვაბი თავი...

რა ძალიან მეცოდება!

ვიღაც ლაწირაკები შეპარულან სკოლაში. ამჯერადაც საპირფარეშოს ფანჯრიდან შემძვრალან. დამლაგებელს უნახავს: წელზემოთ შიშველი ეგდო იატაკზე. ალბათ, დასაძინებლად ემზადებოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს დასკვნაში ჩაუწერია, გარეგნულად ძალადობის ნიშნები არ ემჩნეოდაო.

ცხადია, არ შეემჩნეოდა: გული გასკდომია!

ერნესტას უთქვამს, ეტყობა, იმ ღამით "ცუდმა ჯემალამ" დალია, "კარგი" კი, აბა, რა წინააღმდეგობის გამწევი იყოო...

დედამ მითხრა, ერნესტაც აღარ ჰგავს თავის თავსო. ვარსკვლავები იქით იყოს და სმითაც ველარ სვამსო. პირდაპირ უთქვამთ ექიმებს: დალევ? წლის ბოლომდეც ვერ გაატანო! რა ქნას ერნესტამ - ერთი შვილი ჰყავს და ვერ დააღალატებს, მარტო ხომ არ დატოვებს! თავი დაანება ჭეშმარიტების ძებნას...

მოხუც ასტრონომსაც ჩამწარდა სიბერე: ქურდებმა, სხვა ნივთებს ტელესკოპიც გააყოლეს! ჩაიკეტა სახლში და გარეთ აღარ გამოდის... რაღა აცოცხლებს?

ხვდებით, ალბათ, რომ დავკარგე ყველაფერი, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა. დავკარგე როგორც პატარა ბავშვმა სახლის გასაღები, როგორც დღისით გაღვიძებულმა ბუმ მხედველობა, როგორც შუადღის მგზავრმა ჩრდილი... დავკარგე შეუმჩნევლად, დაუსწრებლად! რა გავაკეთო, არ ვიცი! იქნებ, დავუჯერო დედაჩემს, მივაფურთხო ყველაფერს და დავბრუნდე? ვერც ვერაფერი დამაკავებს: ვიყიდი ნორმალურ ტელესკოპს და დავახვევ!

...წინა კვირას კანავერელის კონცხზე, "კენედი სფეის სენთაში" ვიყავი (ჩვენი დასახლებიდან სულ რაღაც 28 მილშია). იქ ყველაფერი იყიდება, რაც ასტრონომიით დაინტერესებულ ადამიანს შეიძლება დასჭირდეს. აუცილებლად ვიყიდი და აუცილებლად დავბრუნდები!

ჩემი ქადილი პავლიკას სასაცილოდ არ ჰყოფნის. ალბათ, არც თქვენ გჯერათ!.. აი, ნახავთ! როგორც კი ფული გამიჩნდება, როგორც კი ერთი-ორ კაპიკს მოვუყრი თავს, აღარ გავჩერდები, მაშინვე წამოვალ, მაშინვე გამოვიქცევი... მთავარია, ეს ერთი-ორი კაპიკი ვიშოვო, მაგრამ სად?

"ლომის უკანალში!" - მიძახის პავლიკა, - "გეცოდინება, არის ასეთი თანავარსკვლავედი ანდრომედას გალაქტიკაში!"

დამცინის!

შევარჩინო?

ვიცი, რომ დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ ერთხელაც იქნება გავულაწუნებ!

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დათო ქარდავა

# ალექსანდრე



ორმოცდათხუთმეტისაც არ იყო, მაგრამ სანიმუშო მამისა და დარბაისელი კაცის როლი ყელში ჰქონდა ამოსული. როგორც კი მარტო დარჩნენ, ინგას მკვრივ ტრაკზე გადმოფენილი გრძელი კაბის ქვეშ ხელი ამოსდო. გოგონამ შეჰყვირა და წინ გახტომა სცადა, მაგრამ ალექსანდრემ მოასწრო და მუჭში ქალის სხეულის ის ერთი პროცენტი მოიქცია, რომელიც მთელ სამყაროს იტევს, საიდანაც მოძვრება მთელი კაცობრიობა და თავდავიწყების წუთებში ამ კაცობრიობის ძლიერი ნახევარი ძალლონეს არ იშურებს, რათა რაც შეიძლება ღრმად შევიდეს, რაც შეიძლება დიდხანს დაყოვნდეს შიგ.

იმის თქმა, რომ ალექსანდრესგან საფრთხეს არ მოელოდა, არ იქნება სწორი: ის, რასაც ალექსანდრე აკეთებდა, ინგას ხიფათად არც არასოდეს მიაჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ არ მოელოდა, იმის გამო, რომ არ დაეკითხნენ, წინააღმდეგობის გაწევა სცადა. თუმცა ალექსანდრე, ხეიბრობის მიუხედავად, ძლიერი მამაკაცი იყო. მტევანში გადაჭრილმა ცაციამ ინგა სახით მაგიდას დააკრა, სალმა მარჯვენამ კი, ჯერ ხელისგულისოდენა საცვალი გამოგლიჯა, შემდეგ კი ფეხებშუა გალვიძებულ მხეცს თბილი და მყუდრო ადგილი მიუჩინა.

ბრძოლა, როგორც ასეთი, არც ყოფილა. სიცარიელე ამოივსო თუ არა, ინგამ წინააღმდეგობა შეწყვიტა: წელში გაიზნექილმა, საჯდომი შეძლებისდაგვარად ზევით ასწია და დანებდა. ალექსანდრეც თავისუფლად მიმოდიოდა ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელ სხეულში, თვითონაც გაახალგაზრდავდა. დიდხანს გაძლო, ჯერ ინგამ იკივლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაემხო გრილად დანამულ ქალის ზურგს.

ხმა არ გაუღიათ, ერთმანეთისკენ არ გაუხედავთ, ისე დაიწყეს ტანსაცმლის გასწორება: ალექსანდრემ სალი მარჯვენა ხელით იოლად შეიკრა შარვალი და სიგარეტს მოუკიდა. ინგამ ჯერ იმ ღილების შებნევა სცადა, რომელიც მის კაბას შერჩა, შემდეგ კი დახეულ საცვალსაც წაეპოტინა.

ალექსანდრე, ვერ ვიტყვით, თავისი საქციელით კმაყოფილი იყოო, მაგრამ არც არაფერს ნანობდა. აღარც კი ახსოვს ბოლოს როდის ჰყავდა ქალი. რომ დაქვრივდა, 43 წლის იყო. არავის დაუძალებია, გინდა თუ არა მთელი ცხოვრება მგლოვიარე ქვრივისა და შვილებს გადაყოლილი მამის ნიღაბი ატარეო. ეს როლი მან ნებაყოფლობით აირჩია: არც ცოლი მოიყვანა და არც სხვა ქალებს სდია. დილას ბავშვები მიჰყავდა სკოლაში, მერე სამსახური, იქიდან მაღაზიები, ბაზარი, ისევ სახლი, ისევ ბავშვები და ასე შემდეგ... ამასობაში გოგოები გაიზარდნენ, გათხოვდნენ, ალექსანდრე კი მარტო დარჩა.

მარტოობით მოწოლილ დარდს მუშაობით იგერიებდა. ხელფასი დიდი არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ კერძო შეკვეთები ჰქონდა საკმარისზე მეტი. პროფილაქტიკების უმეტესობა სწორედ ალექსანდრესთან აგზავნიდა კლიენტებს რთული და ძვირადღირებული დეტალების გამოსაჩარხად. ალექსანდრეს მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და რთული ნახაზების წაკითხვა შეეძლო. მართალია, ხარატად მუშაობდა ალექსანდრე, მაგრამ რიგითი მასზე ნამდვილად არ ითქმოდა.

იცოდა, რომ გამართული დაზგის გარეშე, მარტო შიშველი ხელებით, შორს ვერ წავიდოდა. იშვიათი გულმოდგინებით უვლიდა ლითონის მეგობარს: თავის დროზე უცვლიდა ზეთსა და დანის პირს, ბენზინში რეცხავდა მნიშვნელოვან დეტალებს; დაბალ დენზე არ ამუშავებდა, არ ჩართავდა (საკუთარი ხარჯით, ტრანსფორმატორიც კი შეიძინა), არც უხარისხო ლითონს გააკარებდა... ერთი სიტყვით, თან ჰყვებოდა, ისე ექცეოდა, თითქოს დაზგა კი არა, ცოცხალი ადამიანი ყოფილიყოს.

იმ დღესაც, სანამ ჩართავდა, საგულდაგულოდ შეამოწმა, დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა და მხოლოდ ამის შემდეგ დააჭირა საჩვენებელი თითი შავ ღილაკს წარწერით "სტარტ". მანქანამ უცნაური ხმა გამოსცა. ელდანაცემმა უსწრაფესად მოწყვიტა კვებას, მაგრამ მალევე დამშვიდდა. სერიოზული არაფერი სჭირდა: ღვედი მოფლაშოდა მცირედით. შეცვლა ხუთ წუთზე მეტს არ წაართმევდა, მაგრამ ბედად საწყობი დაკეტილი დახვდა. მართალია, სამუშაო დღის დასრულებას მთელი საათი აკლდა, მაგრამ საწყობის გამგე აღარსად ჩანდა: არყის სმისაგან თვალებგაყვითლებული სიმონიჩი აბუჩად იგდებდა როგორც საკუთარ ჯანმრთელობას (დღის განმავლობაში სამ-ოთხ ბოთლს სვამსო, ამბობდნენ), ასევე შრომის კანონმდებლობას და რვასაათიან სამუშაო დღეს თვითნებურად ამოკლებდა. არადა, ალექსანდრეს შეკვეთა ჰქონდა დასამთავრებელი. "რა გაეწყობაო", გაიფიქრა და კვლავ დაზგასთან დაბრუნდა. იცის ალექსანდრემ, რომ მოტორის ამუშავება მოშვებული ღვედითაც შეიძლება. ამისათვის პატარა დახმარება, მცირედი ბიძგია საჭირო. კვლავ დააჭირა საჩვენებელი თითი ღილაკს წარწერით "სტარტ" და მარცხენა ხელის გული "შკივზე" გადაცმულ ღვედს წაჰკრა. პირველი ცდა გაუცუდდა. მეორედ წაჰკრა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. უნდა ეჩქარა, თორემ მოტორს დაწვავდა. ალექსანდრემ ფრთხილად ჩაავლო ხელი გაჯიუტებულ ღვედს და გაიქნია...

ტკივილი არ უგრძნია, მექანიკურად იყვირა. ხუთი წუთის შემდეგ მთელმა ქარხანამ მის დასისხლიანებულ დაზგასთან მოიყარა თავი. ქირომანტების პროფესიულ დიალექტზე რომ ვისაუბროთ, ის, რაც "სიცოცხლის ხაზს" ქვემოთ იყო, დაზგამ დაიტოვა, ალექსანდრეს კი ერთიორად დაგრძელებული ცერა თითილა შერჩა. საავადმყოფოში მის სანახავად მისულ თანამშრომლებს სწორედ ამ გაბზეკილ ცერა თითს აჩვენებდა და უხერხულობის გასაფანტად ხუმრობდა: ყვერებილა აკლია რა!

თუ არ ჩავთვლით 14 ლარიან პენსიას, ერთადერთი, რაც ქარხანამ მისთვის გაიმეტა, ერევნის ბიომექანიკის კომბინატში დამზადებული, 186 დოლარიანი პროტეზი იყო, რომელიც ალექსანდრეს ქალბატონმა რუსუდანმა პროფკავშირების სახელით პირადად გადასცა. ალექსანდრემ იფიქრა, ავიღებ და ამ პლასტმასის ნაჭერს ქალბატონ რუსუდანს ფანჯრიდან დავაწევო, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა. არც უნანია. დამშვიდებულ გულზე რომ შეათვალიერა, დარწმუნდა: ურიგო ნივთი არ იყო. სარკესთან მოირგო, ზედ ტყავის ხელთათმანი გადაიცვა და სალი ცერა თითი რომ შეათამაშა, იფიქრა: ვინც არ იცის, ვერც კი მიხვდება ცალხელა რომ ვარო!

ადამიანურ ცხოვრებას მიჩვეულ ალექსანდრეს ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან გაუჭირდა. 14 ლარი როგორ უნდა ეკმარა, წვრილმანი ნივთები კი, რასაც სარდაფში მოწყობილ სახელოსნოში ადრე მეზობლებისა და ნათესავებისთვის ამზადებდა (შანდლები, საფერფლეები, ხის კოვზები და ასე შემდეგ), მძიმედ საღდებოდა. გოგოები ეხვეწებოდნენ, ჩვენთან გადმოდი საცხოვრებლადო, მაგრამ გაჯიუტდა ალექსანდრე და საკუთარ სახლში დარჩა.

კი უთქვამთ, მშობლებს, ხელის თითებისა არ იყოს, შვილების გამორჩევაც უჭირთო, მაგრამ ალექსანდრე მზად იყო ეღიარებინა, რომ ის, რაც სიყვარულსა და ზრუნვაში იგულისხმება, უფრო მეტად უმცროს ქალიშვილს ხვდებოდა ხოლმე, ვიდრე უფროსს. უმცროსი იჯდა მამის კალთაში, უმცროსს უჩლექდნენ ენას, მას ეპატიებოდა ის, რის გამოც უფროსი მკაცრად ისჯებოდა; დებს შორის ატეხილ დავაშიც მშობლები უმცროსის მხარეს იჭერდნენ, უფროსს კი ანამუსებდნენ: როგორ არა გრცხვენია, შენ ხომ დიდი გოგო ხარ! ერთი სიტყვით, ალექსანდრეს ოჯახში სამყაროსავით ძველისძველი ამბავი განმეორდა: უმცროსმა დამ უფროსს ბავშვობა წაართვა!

ალექსანდრეს გული აუჩუყა იმან, რომ თავი მაინცდამაინც უფროსმა ქალიშვილმა გამოიდო, მაგრამ მაინც უარი თქვა გადასვლაზე. არ ესწავლებოდა ალექსანდრეს, რომ უმნიშვნელო ტვირთიც კი, შორეულ გზაზე, აუტანლად მძიმდება!

* * *

რუსთაველის მეტროდან ისნის სადგურამდე სულ რაღაც სამი გაჩერებაა და მათ გავლას ყველაზე დიდი 15 წუთი სჭირდება. არ არის დიდი დრო, მაგრამ 15 წუთში თბილისის მეტროპოლიტენში ბევრ უცნაურ რამეს ნახავს ადამიანი: აქ შეიძლება ვინმე ახალგაზრდა მანდილოსანმა ხალათის კალთები აიკაპიწოს და... ელმავლის მემანქანეს ლამაზად გათენებული დილა ჩაამწაროს! აქ, თბილისის მეტროპოლიტენში ხშირად ნახავათ პოლიციელს, ხელკეტით რომ აფხიზლებს უგონოდ მთვრალ მამაკაცს, რომელსაც ამ ქვეყანაზე ყველაფერს საკუთარ შარდში წოლა ურჩევნია...

ალექსანდრემ რუსთაველის მეტროდან ისნის სადგურამდე 2 ოქტომბერს იმგზავრა. კაცი, რომელსაც კოსტუმის მარჯვენა ცარიელი სახელო ჯიბეში ჰქონდა ჩატენილი, ვაგონში სწორედ იმ კარიდან შევიდა, სადაც ალექსანდრე იდგა. ცალხელა შემადგენლობის დაძვრას დაელოდა და მთელ ხმაზე იყვირა:

- კეთილშობილო და ბეჭდაუდებელო ქართველებო, დაეხმარეთ შრომის ინვალიდს, ნუ გაიმეტებთ სასიკვდილოდ!

ნათქვამი იმდენად არამათხოვრულად ჟღერდა, რომ ბევრს გაეცინა კიდეც. ამასობაში ცალხელამ მარჯვე მოძრაობით პიჯაკი უხელო მხრიდან გადაიგდო: იდაყვს ზემოთ მოგლეჯილი და, როგორც ჩანს, ექიმის ჩაურევლად შეხორცებული მარჯვენის დანახვაზე მგზავრების ერთმა ნაწილმა სახეზე ხელები აიფარა, მეორე ნაწილმა თავები გვერდზე მიატრიალა, დანარჩენებმა კი საფულეებში დაიწყეს ქექვა. არადა, ცალხელას იმ ერთი დაძახების ("კეთილშობილო და ბეჭდაუდებელო ქართველებო...") შემდეგ ხმა აღარ გაუღია. ხელი, უფრო სწორად ხელის უშნო ნარჩენი, წინ ჰქონდა გაშვერილი და დინჯად მიიწევდა ვაგონის მეორე ბოლოსაკენ. ალექსანრესთანაც მივიდა, ხელი არ ჩამოუშვია, ლამის სახეში ატაკა. "ფუ, რა საზიზღრობაა!" - გაიფიქრა ალექსანდრემ და მექანიკურად ჯიბეში ჩაიყო ხელი. ძნელია ასეთი სანახაობის გაძლება. უმეტესობას 20 თეთრის დაზოგვა არ უღირს იმად, რომ საკუთარ თავს ამის ყურება აიძულოს.

ცალხელა თავისუფლების მოედანზე ჩავიდა. გვერდზე რომ ჩაუარა, ალექსანდრემ მკაფიოდ გაიგონა: ღილინებდა!

* * *

ძველისძველი ლურჯი ფერის "მოსკვიჩი" ჰყავდა. ჯერ იფიქრა, გავყიდი და ფულს გამოვიზოგავო, მაგრამ გადაიფიქრა. განა, ჭკვიანი მეთევზე, როგორც არ უნდა შიოდეს, ანკესს თევზში გაცვლის?

არც გაცვალა!

ერთ დღესაც სანაპიროზე ნაყიდი ჭადრაკის მუყაოს დაფა შუაზე გადახია, საქარე მინას შიგნიდან გამოაკრა და რკინის ტაიჭზე ამხედრებულმა ლუკმა-პურის საშოვნელად გასწია.

კვირაში ხუთი დღე მუშაობდა. დილით უთენია გავიდოდა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა. ჩვევად ჰქონდა, მთელი დღე წყალს არ დალევდა, ლუკმას არ ჩაიდებდა პირში - სამუშაო დღის დასრულებას ელოდებოდა. ასეთი "მარხვა" განსაკუთრებულ სიამოვნებას ზაფხულის ცხელ დღეებში ანიჭებდა, როცა ჰაერის ტემპერატურა ორმოც გრადუსზე მაღალია და ოფლად დაღვრილი ორგანიზმი სასწრაფოდ წყლით შევსებას ითხოვს. წყურვილის პირველი შემოტევა სადღაც დღის ორი საათისთვის ეწყებოდა. ცოტა ხანიც და სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი. წყურვილს კი არ გრძნობდა, ხედავდა. მის წყურვილს დაორთქლილი, ოქროსფერი ლუდით სავსე კათხის სახე ჰქონდა. ყლაპავდა და ყლაპავდა ნერწყვს, სანამ პირი სულ არ გაუშრებოდა, სანამ მისი ენა მდინარის დამშრალ, დამსკდარ ფსკერს არ დაემსგავსებოდა.

დღის ბოლოს ალექსანდრე თავის ლურჯას მანქანების სადგომზე ტოვებს, ღამის დარაჯს ლარიანს უწვდის, თან აფრთხილებს, ბენზინი არ მოიპარონო, და იქვე, სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯში, ლუდის ბარში შედის. ორას გრამ ცივ არაყსა და ერთ კათხა კიდევ უფრო ცივ ლუდს ითხოვს. სულმოუთქმელად სვამს ყინულივით ცივსა და ყინულისავე ფერის სითხეს, რომელიც მხოლოდ მცირე ხნით ანელებს ცეცხლს, ისიც იმისთვის, რომ ყელში გაჩენილი წყურვილის ხანძარი კიდევ უფრო მეტი სიშლეგით გააჩაღოს. თვალებიდან მდუღარე სდის, სპირტის ოხშივარისგან სუნთქვა ეკვრის, ეჩვენება რომ, ცოტაც და გაიგუდება...

ხსნა - ოქროსფრად მოელვარე ქაფმოდებული, კამკამა ლუდი, რომელსაც სულმოუთქმელად, დიდზე დიდი ყლუპებით ხარბად სვამს! შიშინი ჩაესმის ყურში, თითქოს გავარვარებულ ლითონს წყალი დაასხესო. მალე მზერა ებინდება, საოცარ ნეტარებას განიცდის. ელანდება, თითქოს, გზააბნეული ბედუინია და უდაბნოში მრავალდღიანი ხეტიალის შემდეგ ცოცხალმკვდარმა მწვანედ აფეთქებულ ოაზისს მიაღწია. კლდიდან გადმომსკდარ ცივსა და კამკამა წყაროს ეწაფება: ყელიდან დაძრული სიგრილე ხერხემალს მიუყვება და გზადაგზა იტოტება - გადახურებული ფილტვებისკენ, გულისკენ, ფერდებისკენ მიიწევს; სიამოვნებისგან ლამის გული წაუვიდეს...

ნეტარების ამ წუთებში ალექსანდრეს თავი მართლა ბედუინი ჰგონია და ამაში გასაკვირიც არაფერია: მისთვის უდაბნო ბეტონის ქალაქია, არაბული ულაყის მაგივრობას რკინის ტაიჭი უწევს, ოაზისისას კი - მანქანების სადგომიდან ას მეტრში მდებარე ლუდის ბარი! ბედუინის არ იყოს, ვერც მას ჰკლავს უდაბნო. სხვებს შიმშილით სძვრებათ სული, ის კი მუდამ ახერხებს ლუკმაპურის შოვნას (მათხოვრობის გარეშე, რა თქმა უნდა)!

სახლში მისული გაუხდელად, მოწყვეტით ეცემა ლოგინზე. ძილის მორევში ინთქმევა. მკვდარივით ძინავს ალექსანდრეს, სიზმრებსაც კი ვერ ხედავს. შუაღამით გაღვიძებულს რამდენიმე წუთი სჭირდება გონზე მოსასვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად. მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგება, ტანისამოსს გაიძრობს და პლასტმასის მტევანს მოიხსნის. მარცხენა ხელის განითლებულ, გაოფლიანებულ დაბოლოებას საგულდაგულოდ ისრესს და ისევ იძინებს.

* * *

მანქანაში, რომ ჩაუსხდნენ და უთხრეს, იარეო, მაშინღა მიხვდა, თუ სად იკარგებოდნენ ის ტაქსისტები, რომელთა სურათებს მერე ვიდეოპატრულში ნახულობდა ხოლმე.

ორნი იყვნენ: ბიჭივით მოკლეზე შეკრეჭილი ლამაზი გოგონა და ქერათმიანი, მაღალი ბიჭი.

იარაღი კისერზე დაადო და ძალიან მშვიდი ხმით უთხრა: "გვერდზე გადაჯექი, ბიძა!"

ალექსანდრეს წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. შეეშინდა. ცალკე ხეიბრობის, ცალკე, ალბათ, შიშის გამო დიდი დრო მოანდომა გვერდითა სავარძელზე გადასვლას.

"არაფერია, არაფერია..." - ერთსა და იმავე სიტყვას ვინ იცის მერამდენედ იმეორებდა, სანამ ქერათმიანმა არ შეუღრინა: "ხმა, ხმა-მეთქი, შენი დედა!..".

საჭესთან გოგო დაჯდა.

რა უნდა ეფიქრა ალექსანდრეს: "მძარცვავენ? მაყაჩაღებენ? მოკვლას მიპირებენ?"

ჰქონდა კი ალექსანდრეს ფიქრის თავი?

ამასობაში ქალაქს გაცდნენ. მანქანამაც სვლას უმატა. ქერათმიანმა იარაღი დაუშვა და გოგოს მიმართა:

"ვაგვიანებთ, თენგიზა გაახურებს!"

"არაფერია, გადაიტანს".

"შენც ხარ რა!" - ქერათმიანის ხმაში საყვედური იგრძნობოდა, - "ერთი მიქინძული ტაქსის გულისთვის ამხელა ამბავი აწიე".

"არ გინდა რა, ნუ დაიწყებ ახლა..." - გოგომ სიტყვა ბანზე აუგდო.

"მე არაფერს დავიწყებ, თითქოს თენგიზას მყრალი ხასიათის ამბავი არ იცოდე!"

"მომკლავენ!" - ალექსანდრე კვლავ პანიკამ მოიცვა. საღი ხელით ოფლის მოწმენდა სცადა.

"არ გაინძრე, შე ნაბიჭვარო, თორემ გაგასხმევინე ტვინი!" - დაიღრიალა ქერათმიანმა და ცივი ლითონი ყურისძირში თხარა.

"მომკლავენ!" - გაიფიქრა ალექსანდრემ და ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი.

* * *

ხის დახვეული კიბით სარდაფში ჩაათრიეს. ქერათმიანმა ხელი ჰკრა და ბნელ ოთახში შეაგდო.

"აქეთ მოიწი!" - რკინის ჩაბეტონებულ მაგიდასთან მიათრია. მხრებში ხელები ჩაავლო და ქვემოთ დაქაჩა. წონასწორობადაკარგული ალექსანდრე წინ გადაიხარა. მოქნეულმა მუხლისთავმა ლამის დიაფრაგმა გაუფხრიწა. დაეცა.

თვალები რომ გაახილა, ბეტონის იატაკზე იწვა. ბორკილებიანი ხელები რკინის მაგიდის ფეხზე ჰქონდა შემოხვეული. მისდა გასაოცრად, ხელთათმანები ისევ ზედ ეცვა. ქერათმიანის სიბრიყვეზე გაეცინა: ბორკილები პროტეზიან ხელზეც ეკეთა! "ეტყობა ვერ შეამჩნია", - გაიფიქრა და ბეტონის იატაკზე წამოჯდა.

გაირინდა. სარდაფში ბნელოდა, სინათლე არსაიდან აღწევდა, მაგრამ ალექსანდრეს მოეჩვენა, რომ მარტო არ იყო. შეეშინდა. უნდოდა დაეძახა, შეხმიანებოდა თანასაკნელს, მაგრამ ვერ გაბედა. დაცდა ამჯობინა. შეძლებისდაგვარად იკავებდა სუნთქვას, სიბნელეს რომ მიჩვეოდა, თვალსაც იშვიათად აფახულებდა. იქნებ, ვცდებიო, ფიქრობდა, თუმცა მკაფიოდ ესმოდა სხვისი სუნთქვა, გრძნობდა სხვის სუნს...

* * *

- შენ? - გულწრფელად გაუკვირდა ალექსანდრეს მისი გამტაცებლის ასეთ ყოფაში ხილვა.

- შენ რაღას გერჩიან?

გოგონამ ხმა არ გასცა. მერე ისევ ალექსანდრემ იკითხა:

- რა გქვია?

- ინგა, - უხალისოდ უპასუხა. ჩანდა ნამტირალევი იყო.

- ინგა! - გაიმეორა ალექსანდრემ და თვითონაც არ მოელოდა ისე, მამაშვილურად ჰკითხა: რატომ ყაჩაღობ ინგა?

- შენ რატომ ტაქსაობ? - შემოჩხავლა გოგონამ.

- რატომ? - დაიბნა ალექსანდრე, - რატომ და შიმშილით რომ არ მოვკვდე!

- გამარჯობა! მეც მაგიტომ ვყაჩაღობ!

ერთი ხანობა ჩუმად იყვნენ. ალექსანდრეს ნებისმიერ დროს შეეძლო პროტეზის წაძრობა და თავის დახსნა, მაგრამ მერე რა უნდა ექნა?

- თენგიზაც აქ არის? - იკითხა ალექსანდრემ.

ინგამ თავი დაუქნია და ატირდა:

- დახოცავენ ერთმანეთს, ფულს ვერ იყოფენ!..

- ფულს? რა ფულს?

- შენ რა ტელევიზორს არ უყურებ?

საინფორმაციო გამოშვებები ბოლო ერთი კვირა სხვა არც არაფერს იუწყებოდნენ: ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებულია "ქიმიური კომბინატის" ერთი თვის სახელფასო ფონდი! (თანხის ოდენობა ზუსტდება) დაცვის ხუთი თანამშრომელიდან, ოთხი მოკლულია. გადარჩენილი პოლიციელის თქმით, თავდამსხმელთაგან ერთი ახალგაზრდა ქალი იყო!

- შენ?

- წადი შენი!.. - ინგამ ბინძურად შეიგინა, თუმცა ალექსანდრეს აღარაფერი ესმოდა. ისევ პანიკამ მოიცვა, - მომკლავენ, ამ გოგოსაც მოკლავენ!

არ უნდოდა ალექსანდრეს სიკვდილი!

რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ინგამ გააჩერა. თენგიზა და ქერათმიანი ყვიროდნენ. მძიმე საგნები ცვივოდა იატაკზე. მცირე ხნით, სულ რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოწვა, რასაც გასროლის ხმა მოჰყვა: სამი მოკლე და ერთი უსაშველოდ გრძელი ჯერი!

- დახოცეს ერთმანეთი ამ დეგენერატებმა, დახოცეს! ნაბიჭვრები! დამპლები!.. - მთელ ხმაზე ყვიროდა ინგა.

კარგა ხანს იცადა ალექსანდრემ, მაგრამ სამარისებური სიჩუმე, რომელიც სროლის შემდეგ ჩამოწვა, ერთხელაც კი არ დარღვეულა. მარჯვენა ხელი პლასტმასის თითებს მოუჭირა და მთელი ძალით დაქაჩა. უპროტეზო ხელი იოლად გაძვრა ფოლადის სალტეში. იდგა კარს მიყურადებული ალექსანდრე და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

უკან, მაგიდასთან დაბრუნდა.

- რა თქვი, რა მქვიაო?

- ინგა!

- ინგა, არანაირი სურვილი არ გაქვს, შენს მეგობრებს რომ დაუძახო?

- ...

- დარწმუნებული ხარ?

- ...

ალექსანდრე მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა. ცოტა ხნით მოცდა გადაწყვიტა.

ცოტა ხანმა ერთ საათზე მეტი გასტანა, ზედა სართულიდან კი ძველებურად ჩქამი არ ისმოდა. ალექსანდრე კართან მივიდა და ჯერ დააკაკუნა, შემდეგ კი მთელი ძალით დასცხო მუშტი.

- არის ვინმე ცოცხალი?

ალექსანდრემ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, გამოქანდა და მარჯვენა მხრით მიასკდა კარს. არც ამ ხმაურზე გამოჩენილა ვინმე. წიხლი დაუშინა. კარი ნელ-ნელა მოირყა და მალე ჩარჩოდანაც ამოვარდა.

ალექსანდრე ხის კიბესთან იდგა და ყოყმანობდა: ასულიყო თუ არა ზევით.

- არის ვინმე ცოცხალი?

კიბიდან ზედა სართულზე, დერეფანში მოხვდა. ორპირი ქარი ღია კარს თავის ნებაზე ათამაშებდა, გულისგამაწვრილებელი ჭრიალით ზანტად აღებდა, შემდეგ კი საშინელი ხმაურით ხურავდა. კარი ხელით დაიჭირა, თუმცა ზღურბლზე გადაბიჯება არც უფიქრია: იატაკზე ეყარნენ. თენგიზას - მისი ასაკის თავგაპარსულ მამაკაცს თამბაქოსფერი პერანგის გულისპირი წითლად ჰქონდა შეღებილი, გულაღმა იწვა და განზე გაშვერილ ხელში უკონდახო ავტომატი ეჭირა. მისგან სამიოდე მეტრში ქარათმიანი ეგდო. მას ტყვია მარცხენა წარბთან ჰქონდა მოხვედრილი. მაკაროვის პისტოლეტჩაბღუჯული მტევანი სისხლის მდინარეს აგუბებდა.

კედლები, ჭერი - ყველაფერი ტყვიებით იყო დაცხრილული. ქერათმიანმა დაასწრო, თუმცა თენგიზას სიკვდილისწინაკრუნჩხვებდავლილმ მარჯვენამ მთელი მჭიდის დაცლა მოახერხა.

ალექსანდრე უკან, სარდაფში დაბრუნდა.

* * *

ქალაქის შესასვლელთან პოლიციის საგუშაგოზე გააჩერეს. გზაზე ბეტონის უზარმაზარი ხერგილები ეყარა. ყველა მანქანას აჩერებდნენ. მძღოლები და მგზავრები სათითაოდ გადმოჰყავდათ, საბარგულებს ხდიდნენ და საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ.

- გადმობრძანდით მანქანიდან და საბუთები წარმოადგინეთ, - ახალგაზრდა ლეიტენანტი ალექსანდრეს მიმართავდა.

საბუთები დასახიჩრებული ხელით მიაწოდა.

- ძალიან გვეჩქარება. ქალიშვილი მიმყავს ექიმთან, დღე-დღეზე უნდა იმშობიაროს!

ლეიტენანტმა მუცელგაბერილ ინგას გაულიმა და ალექსანდრეს მიმართა:

- დიდხანს არ დაგაყოვნებთ... საბარგული ახადეთ!

არაფერი განსაკუთრებული: "კლუჩების ნაბორი", "ნასოსი", დომკრატი, ცარიელი "კანისტრა" და ასე შემდეგ...

"შეგიძლიათ მიბრძანდეთ", - ოფიცერმა ალექსანდრეს საბუთები დაუბრუნა და კვლავ მხედრული სალამი მისცა.

შვებით ამოისუნთქა, თუმცა ეს არ იყო იმ დღეს პოლიციასთან მისი ბოლო შეხვედრა. შინ მისულებს კარი ჩაკეტილიც კი არ ჰქონდათ, კაკუნის ხმა რომ გაისმა. რა უნდა ექნა - გააღო. ორი პოლიციელი შერჩა. ალექსანდრემ ინგას შეხედა: გოგონას მკვდრისფერი ედო, მუცელი კი ხელით ეჭირა.

- რა ხდება? - გაბზარული ხმით იკითხა ალექსანდრემ.

- უბნის რწმუნებული გახლავართ, ეს ჩემი თანაშემწეა (უმცროსმა სერჟანტმა მუჭში ჩაახველა). საარჩევნოდ აღრიცხვას ვატარებთ. შეიძლება?

შვებით ამოისუნთქა.

- მობრძანდით!

ალექსანდრემ ანკეტა შეავსო: სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი, პირადობის მოწმობის ნომერი და ასე შემდეგ...

უბნის რწმუნებულმა სხვა მონაცემებიც დააზუსტა და ფეხზე წამოდგა.

- სულ ეს იყო, წავედით! - თქვა და თანაშემწესთან ერთად დერეფნისკენ გასწია, - ნახვამდის!

როგორც კი მარტო დარჩნენ, ინგას მკვრივ ტრაკზე გადმოფენილ გრძელი კაბის ქვეშ ხელი ამოსდო. გოგონამ შეჰყვირა და წინ გახტომა სცადა, მაგრამ ალექსანდრემ მოასწრო და მუჭში ქალის სხეულის ის ერთი პროცენტი მოიქცია, რომელიც მთელ სამყაროს იტევს, საიდანაც მოძვრება მთელი კაცობრიობა და თავდავიწყების წუთებში ამ კაცობრიობის ძლიერი ნახევარი ძალღონეს არ იშურებს რაც შეიძლება ღრმად შევიდეს, რაც შეიძლება დიდხანს დაყოვნდეს შიგ.

იმის თქმა, რომ ალექსანდრესგან საფრთხეს არ მოელოდა, არ იქნება სწორი: ის, რასაც ალექსანდრე აკეთებდა, ინგას ხიფათად არც არასოდეს მიაჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ არ მოელოდა, იმის გამო, რომ არ დაეკითხნენ, წინააღმდეგობის გაწევა სცადა. თუმცა ალექსანდრე, ხეიბრობის მიუხედავად, ძლიერი მამაკაცი იყო. მტევანში გადაჭრილმა ცაციამ ინგა სახით მაგიდას დააკრა, საღმა მარჯვენამ კი, ჯერ ხელისგულისოდენა საცვალი გამოგლიჯა, შემდეგ კი ფეხებშუა გაღვიძებულ მხეცს თბილი და მყუდრო ადგილი მიუჩინა.

ბრძოლა, როგორც ასეთი, არც ყოფილა. სიცარიელე ამოივსო თუ არა, ინგამ წინააღმდეგობა შეწყვიტა: წელში გაზნექილმა, საჯდომი შეძლებისდაგვარად ზევით ასწია და დანებდა. ალექსანდრეც თავისუფლად მიმოდიოდა ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელ სხეულში, თვითონაც გაახალგაზრდავდა. დიდხანს გაძლო, ჯერ ინგამ იკივლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაემხო გრილად დანამულ ქალის ზურგს.

ხმა არ გაუღიათ, ერთმანეთისკენ არ გაუხედავთ, ისე დაიწყეს ტანსაცმლის გასწორება: ალექსანდრემ საღი მარჯვენა ხელით იოლად შეიკრა შარვალი და სიგარეტს მოუკიდა. ინგამ ჯერ იმ ღილების შებნევა სცადა, რომელიც მის კაბას შერჩა, შემდეგ კი დახეულ საცვალსაც წაეპოტინა.

* * *

მთელი ღამე ჭრაჭუნობდა ალექსანდრეს რკინის საწოლი. დილამდე არ მოუხუჭავთ თვალი. იმ იშვიათ წუთებში, როცა ერთმანეთს არ ებრძოდნენ, ტკიცინა კუპიურებს ითვლიდნენ და გიჟებივით ხარხარებდნენ.

დილისკენ ჩაეძინათ. ინგას ლამაზი, პატარა თავი ალექსანდრეს მკერდზე მიედო და უმანკო ბავშვივით ეძინა. ეძინა ალექსანდრესაც, რომელიც მოკლე ჭაღარა თმით, თეთრი ზეწრითა და ზეაშვერილი, გაბზეკილი ცერა თითით რომის მოწყალე იმპერატორს ჰგავდა.

384 ათასზე ჩაეძინათ, არადა ტომარა ჯერ კიდევ სანახევროდ სავსე იყო!..



# რეკვიემი შედევრისათვის

ზაზა შათირიშვილი



მოდით, პირველითგანვე დავსვათ ერთი მარტივი კითხვა არა - "რა არის ლიტერატურა?" არა - "რისთვისაა ლიტერატურა", არამედ - რა მოუვიდა ლიტერატურას? რა მოუვიდა ლიტერატურას XX საუკუნის ბოლო 30-წლეულში, რომლის განმავლობაშიც ნამდვილად არ გამოჩენილა არაფერი მსგავსი იმისა, რაც თუნდაც გასული საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა? "ახალი ფრანგული რომანისა" და "ლათინურ-ამერიკული პროზის", ანუ 70-იანი წლების შემდეგ ერთგვარი "სალიტერატურო გვალვის" პერიოდი დაგვიდგა. გამოჩნდა რამდენიმე კარგი მწერალი, შეიქმნა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები, მაგრამ, ქართველნო და არაქართველნო, არსად ჩანს გენიოსი და შედევრი.

არსებობს მოსაზრება, რომ ლიტერატურამ დაკარგა თავისი "პრივილეგირებული სტატუსი" და რომ "გენიოსი" და "შედევრი" დღეს უკვე შეუძლებელია. სანამ ამ საკითხს პასუხს გავცემდეთ, მე მგონი, ტრადიციისამებრ, ისტორიული ექსკურსი უნდა განვახორციელოთ: რა იყო ლიტერატურა "ძველებისთვის" და რა არის ის ახლა?

თუკი ანტიკურობიდან დაწყებული და XVIII საუკუნით დამთავრებული თვალს გავადევნებთ ლიტერატურის ფუნქციონირებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ლიტერატურა იყო ის, რისი მეშვეობითაც "შეგირდი" სწავლობდა წერა-კითხვას და, აქედან გამომდინარე, ლიტერატურა განსაზღვრავდა აღზრდასა და განათლებას: პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, ასე განსაჯეთ, რომანტიზმამდე მაინც - ლიტერატურა სასკოლო და საუნივერსიტეტო, როგორც ახლა ამბობენ, კურიკულუმის ცენტრალური ნაწილი იყო: ძველი ბერძნები, რომაელები, საშუალო საუკუნეების "ინტელექტუალები" (უფრო ზუსტად, ბერები და მღვდლები) და, ასე განსაჯეთ, ჰუმანისტები და განმანათლებლებიც კი წერა-კითხვას ქრესტომათიული სალიტერატურო ტექსტებით სწავლობდნენ (ლათინი ავტორები, უპირველეს ყოვლისა კი - ვერგილიუსი; სწორედ ამიტომაა ის დანტეს წინამძღოლი) - ანუ იმ ტექსტებით, რომელიც ქმნიდა სალიტერატურო კანონს. როგორც ერნსტ რობერტ კურციუსი აღნიშნავს,

> "კანონი არის ის, რისი შესწავლაცა და ცოდნაც სავალდებულოა... კანონის ფორმირება ტრადიციის შენახვას ემსახურება. სკოლაში არსებობს ლიტერატურული ტრადიცია, სახელმწიფოში - იურიდიული ტრადიცია, ეკლესიაში - რელიგიური ტრადიცია. ესენია შუა საუკუნეებში სამი ამქვეყნიური ძალაუფლება: *studium, imperium, sacerdotium*."

XVIII საუკუნიდან (ან მისი ბოლოდან) მოყოლებული კლასიკური სალიტერატურო კანონი რყევას იწყებს - ჩნდება ის, რასაც "ახალი ნაციონალური კანონი" შეიძლება ვუწოდოთ; ჩნდება ნაციონალური კულტურის ფენომენი და კონცეპტი; ჩნდება "გენიოსის" გაგება, რაც ნიშნავს უმარტივეს რამეს: არსებობს ნაციონალური სული (Geist) ან ხასიათი, რომლის საუკეთესო გამოხატულება გენიოსია (ხელოვნებასა და ცხოვრებაში, საზოგადოდ; მაგალითისათვის, პოლიტიკის სფეროში გენიოსი არის ნაპოლეონი - იხ.: თუნდაც გოეთეს შესაბამისი მოსაზრება).

"ახალი ნაციონალური კანონი" ინარჩუნებს კლასიკური კანონის (ანტიკური და საშუალო საუკუნეების სალიტერატურო ტექსტებს) ნაწილს, ოღონდ ათავსებს მათ ნაციონალური კანონის ფარგლებში: მაგალითისათვის, დანტეს *ღვთაებრივი კომედია* იტალიური ნაციონალური კანონის ცენტრალური ტექსტი ხდება.

ახალი, ანუ ნაციონალური კულტურა ავტონომიურია - იგი არათუ წყდება ეკლესიას და საეკლესიო კანონს, არამედ ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება კიდეც მას (როგორც აღნიშნავს გერმანელი თეოლოგი იოზეფ ლორტცი). მაგრამ ნაციონალური კულტურა ინარჩუნებს ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - ლიტერატურის პრივილეგირებულ მდგომარეობას სწავლა-განათლებაში: ჰუმანიტარული განათლება, კლასიკური და ნაციონალური ლიტერატურები საერო განათლებული ადამიანის (მისი "სულისა" და "გემოვნების") ფორმირებაში გადამწყვეტად ცხადდება. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მდგომარეობა II მსოფლიო ომამდე რამდენადმე უცვლელია.

II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მოხდა "ნაციონალური კულტურის" სრული დისკრედიტაცია (ნაციზმისა და ფაშიზმის წყალობით), ნელ-ნელა იწყება განათლების სისტემისა და "საგანმანათლებლო" ფასეულობების რადიკალური ცვლა: ახალი ადამიანის ფორმირებაში გადამწყვეტად არა ჰუმანიტარული, არამედ სამოქალაქო აღზრდა-განათლება ცხადდება. ლიტერატურა კარგავს თავის პრივილეგირებულ სტატუსს უნივერსიტეტსა და სკოლაში - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ადგილს პოლიტიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებები იკავებს, ხოლო სალიტერატურო კანონის ადგილს - სამოქალაქო კანონი.

აქედან გამომდინარე, თუკი "შედევრი" და "გენიოსი" ნაციონალური კულტურის საუკეთესო და თვალსაჩინო რეპრეზენტაციაა, თანამედროვე სიტუაციაში ერთიცა და მეორეც პრინციპულად შეუძლებელი ხდება - ლიტერატურა დღეს არის "ოდენ ლიტერატურა" - სალიტერატურო აქტების (ფრანგი ლიტერატურათმცოდნის ჟერარ ჟენეტის თანახმად, ესენია - "ფიქციურობა", "პოეტურობა" და "სტილი") წარმოება - ანუ დღეს ლიტერატურა დაკავებულია მხოლოდ საკუთარი თავით ("ენით", როგორც იტყოდა იოსიფ ბროდსკი).

სწორედ ასეთ სიტუაციაში უწევს ლიტერატურული მოღვაწეობა ზაზა ბურჭულაძეს (და არა ოდენ მას, ცხადია) - მისი *მინერალური ჯაზი* ესაა *შედევრის დაწერის შეუძლებლობა - რეკვიემი შედევრისათვის.*

ყველამ, ვინც კი ამა თუ იმ კუთხით შეეხო ბურჭულაძის ახალ რომანს, აღნიშნა მისი ძირითადი

თვისება - *მეტაფიქციურობა*. მაგრამ რას ნიშნავს მეტაფიქციურობა. მოდით, გავიხსენოთ მაგიური სიტყვა, რომელიც ევროპული ლიტერატურის საფუძველში ძევს და რომლის განჯადოებას დაახლოებით 25 საუკუნე ვუნდებით - *მიმეზისი*. თუკი ჟერარ ჟუნეტი მართალია (რაშიც პირადად მე ეჭვი არ მეპარება), და მიმეზისი არისტოტელესთან სხვა არაფერია, თუ არა *ფიქციურობა* - ანუ ის, რომ ლიტერატურა *გამონაგონია* (სწორედ ამიტომ აღმოჩნდა არისტოტელეს *პოეტიკის* მიღმა ლირიკა) - fiction - მაშინ, აქედან გამომდინარე, *მეტაფიქციურობა* ესაა - მეტამიმეზისი - metafiction - გამონაგონი, რომელიც საკუთარ ფიქციურობაზე მიუთითებს და ამ ფაქციურობით "თამაშობს".

მაგალითები? - ინებეთ: მიგელ დე უნამუნოს *ბურუსში* პერსონაჟს ეჭვი აღეძრება, რომ ის პერსონაჟია და ავტორთან, უნამუნოსთან მიდის; ანდრე ჟიდი (თუ მთხრობელი?) თავის *ყალბი ფულის მჭრელებში* მუდმივად მოგვმართავს და სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ალტერნატივას გვთავაზობს; კორტასარის მოთხრობაში - *პარკების უწყვეტობა* - ავტორი (მთხრობელი), ფაქტობრივად, მკითხველს კლავს; მილან კუნდერას *უკვდავება* პირდაპირ და უშუალოდ გვიყვება, როგორ იბადებიან პერსონაჟები მთხრობელის წარმოსახვაში...

მაშასადამე, XX საუკუნეში თითქმის შეუძლებელი გახდა თხრობა იმის გარეშე, რომ ავტორმა წამდაუწუმ არ შეგვახსენოს იმ ტექსტის ფიქციურობის შესახებ, რომელსაც ის წერს. ზაზა ბურჭულაძეს ეს "ხერხი" რადიკალურობამდე მიჰყავს - ის გვიყვება, თუ როგორ წერს (ან ვერ წერს) რომანს. ამ მხრივ, *მინერალური ჯაზი* ფედერიკო ფელინის *8½*-ის ლიტერატურული ტყუპისცალია.

ცხადია, ზაზა ბურჭულაძის რომანი მხოლოდ ამ ინტერტექსტით ოდნავადაც არ ამოიწურება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია "რომანის" საკუთრივ სალიტერატურო გენეალოგია, ანუ მისი ლიტერატურული ინტერტექსტები.

*მინერალური ჯაზი* იწყება რუსული ცირკის თბილისური გასტროლებითა და ფოკუსების ოსტატის, ცირკის "პროგრამის ლურსმნის" - გრაფი პიერ ორლოვის სიკვდილით. ქართული პრესის მიერ გაჩაღებული სარეკლამო კამპანიის გადმოცემისას (რომელიც, აქვე შევნიშნავთ, მიხაილ ბულგაკოვის საყვარელი ხერხით - მკითხველისათვის სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ცნობების მოწოდება - ხდება; ამ ხერხს, ცხადია, დოსტოევსკის პოეტიკასთან გავყავართ), მთხრობელი იმასაც კი გვაუწყებს, რომ ზოგიერთი გაზეთი წერდა: "...პიერ ორლოვი ფსევდონიმია, მისი ნამდვილი სახელი რაბინდრანათ ჰუსეინია", რომ ის "ფაკირებმა აღზარდეს და ფოკუსებიც მათ ასწავლეს" - რაც გვაგზავნის ოსტაპ ბენდერის ცნობილ აფიშასთან, რომელიც მუდმივად ინახებოდა დიდი კომბინატორის საკვოიაჟში ჩალმასთან და სხვა ნივთებთან ერთად:

"Приехал Жрец

(Знаменитый бомбейский брамин-йог) сын Крепыша

Любимец Рабиндраната Тагора ИОКАНААН МАРУСИДЗЕ

(Заслуженный артист союзных республик) Номера по опыту Шерлока Холмса. Индийский факир. Курочка невидимка. Свечи с Атлантиды. Адская палатка. Пророк Самуил отвечает на вопросы публики. Материализация духов и раздача слонов. Входные билеты от 50 к. до 2 р."

ხოლო დათვი, რომელიც, როგორც კარგად მოგეხსენებათ, რუსული ცირკის სიმბოლოა (თუ მეტის არა), რაღა თქმა უნდა, ანდრეი პლატონოვის *ქვაბულიდანაა* -

"Кузнец качал мехом воздух в горн, а медведь бил молотом по раскаленной железной полосе на наковальне. -- Скорее, Миш, а то мы с тобой ударная бригада!-- сказал кузнец. Но медведь и без того настолько усердно старался, что пахло паленой шерстью, сгорающей от искр металла, а медведь этого не чувствовал. -- Ну, теперь будя!-- определил кузнец. Медведь перестал колотить и, отошедши, выпил от жажды полведра воды. Утеряв затем свое утомленно пролетарское лицо, медведь плюнул в лапу и снова приступил к труду молотобойца. Сейчас ему кузнец положил ковать подкову для одного единоличника из окрестностей колхоза. -- Миш, это надо кончить поживей: вечером хозяин приедет -- жидкость будет!-- И кузнец показал на свою шею, как на трубу для водки. Медведь, поняв будущее наслаждение, с большей охотой начал делать подкову..."

"ცრუ-გრაფი" ორლოვის სიკვდილი იმის მაუწყებელია, რომ *მინერალური ჯაზის* მთხრობელი უარს ამბობს ავანტიურულ რომანზე, თხრობის ნარატიულ სტილზე, ავანტიურული რომანის "სისხლსავსე" პერსონაჟზე - ის არ დაწერს სიუჟეტურ რომანს... ის ირჩევს "პლატონოვის ხაზს" - ამიერიდან დათვი და ოდენ დათვი განსაზღვრავს რომანის "მწირსა" თუ მინიმალურ ამბავს (დამლაგებელს ხელი სწორედ დათვმა მოაჭამა - ხელი, რომელსაც ბოლოს ჯოჯოხეთში ჩავყავართ), ხოლო თავად რომანს, მის "სტილს" - ოდენ ავტორის ნარატიული დისკურსი, ავტორის, ასე ვთქვათ, "პლატონოვისეული სინტაქსი".

თანამედროვე ნარატოლოგია ერთმანეთისაგან განასხვავებს "ამბავს" (story) და თხრობას (ნარატიულ დისკურსს): პირველი - ესაა ნარატივის "რა", ხოლო მეორე - ნარატივის "როგორ". ბურჭულაძის რომანი ნარატიული დისკურსის ამბავზე უპირობო გამარჯვებაა, ანუ ესაა - პლატონოვის გამარჯვება ილფსა და პეტროვზე, "ჟანრულ" ლიტერატურაზე, იმ "სიუჟეტურ" ლიტერატურაზე, რომლის მთავარი წარმომადგენელი ჩვენში აკა მორჩილაძეა (ხოლო საგამომცემლო მოციქული და მარკეტინგული უზრუნველმყოფელი მისი - ბაკურ სულაკაური).

აი აქ კი, ჩემდა სამწუხაროდ, ერთი არასასიამოვნო ავტოექსკურსის განხორციელება მომიწევს, კერძოდ, ჩემი ძველი სტატიის მიმართულებით. მკითხველს ვარწმუნებ, რომ ეს ოდენ ფილოლოგიური კეთილსინდისიერების გამოვლინებაა და არა - ყბადაღებული ნარცისიზმისა. ამ სამიოდე წლის წინ, როდესაც ზურაბ ქარუმიძის *ლვინომუქ ზღვას* აკა მორჩილაძის პროზას ვადარებდი, მე ვწერდი:

"ქარუმიძის რადიკალურობა, "მოდერნისტულობა", კარგად ჩანს აკა მორჩილაძის "პოსტმოდერნისტული" პროზის ფონზე. აკა მორჩილაძე ყოველთვის ყვება რაღაც ისტორიას, ამბავს, თანაც, როგორც წესი, ესაა კრიმინალური ისტორიები ძალადობასა და მკვლელობაზე. ამ აზრით, იგი მაქსიმალურად "დამთმობია" მკითხველისადმი. მაგრამ ავტორის მთელი "ეშმაკობები" ჩადებულია ამბის თხრობაში. სწორედ აქ იყენებს აკა მორჩილაძე იმას, რასაც შეიძლება "წინარე" მეტყველებები ანუ სოციოლექტები და დისკურსები ვუწო-

დოთ. *მადათოვამდე* ავტორი ძირითადად იყენებდა ჟარგონსა და ვაკურ-თბილისურ სოციოლექტებს, *მადათოვის* სახით კი ჩვენ მივიღეთ მთელი ენობრივი კარნავალი – რომანის თითქმის ყველა თავი სხვადასხვა სოციოლექტით არის დაწერილი – აქ არის თბილისური "სომხური", XIX-XXს.ს.-ის მიჯნის ყოფითი და ჟურნალისტური პროზა, ცისფერყანწელების ესეისტიკა, ფრანგული პროზის ადრეული თარგმანები და ა.შ. სწორედ ამ სოციოლექტების გამოყენებით მიიღწევა რეალობის ის ეფექტი, რომელიც ასე აკლია თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. სოციოლექტები აკა მორჩილაძის პროზაში გამოხატავენ თხრობის სხვადასხვა კუთხეს, რის გამოც *მადათოვის* თხრობითი დისკურსი თავს აღწევს თანამედროვე ქართული პროზისათვის დამახასიათებელ მონოტონურობას და ერთფეროვნებას...

... მე ეჭვი არ მეპარება, რომ ესაა ორი ძირითადი ტენდენცია [ქარუმიძის მოდერნისტული "ანტინარატიულობა" და მორჩილაძის პოსტმოდერნისტული "ნარატიულობა" - ზ.შ.], რომელიც დიდი ხნით განსაზღვრავს ლიტერატურულ პროცესს საქართველოში..."

*მინერალური ჯაზის* სახით ჩვენს წინაშეა ანტინარატიული რომანი, რომელიც, ამავე დროს, რადიკალური მეტაფიქციურობით გამოირჩევა. ბევრმა კრიტიკოსმა შეამჩნია, რომ ავტორი (თუ მთხრობელი) თითქმის ყველანაირ "ფიქციონალისტურ კონტრაქტს" არღვევს მკითხველთან: ცვლის თუ იდენტობას უკარგავს პერსონაჟებს; აქრობს პერსონაჟს, მაგრამ ტოვებს მის ნაწილს - ასე ვთქვათ, სინეკდოქეს - ხელს; შეყავს მკითხველი რომანში (ჩვენ - მკითხველი - მთხრობელს ცალ თვალს ვთხრით); არ აკეთებს ნარატიული ლოგიკიდან გამომდინარე განსხვავებას მთავარ თუ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს შორის და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ *მინერალური ჯაზის* ერთ უმთავრეს თვისებასა თუ ხერხს რატომღაც ყველამ გვერდი აუარა - კერძოდ იმას, რომ თხრობას განსაზღვრავს იდიომების, ანდაზებისა თუ ფრაზეოლოგიზმების "გაცოცხლება", მათი "გაშლა-გავითარება". აი სწორედ ამაშია "პლატონოვის ეფექტი": ავტორი ხან გვეუბნება, რომ ორლოვს პირდაპირი გაგებით შეეძლო ხელის გულზე ერბოკვერცხის შეწვა, ხანაც "ბუკვალურად" აწვდის მაშველ რგოლს პერსონაჟს - გამომძიებელ შამუგიას, და ხან მთელ ტრაქტატს გვთავაზობს "წერტილის დასმის" შესახებ, სადაც რიგითი იდიომა თუ ფრაზეოლოგიზმი სტილურ ილეთად თუ სამწერლო ოსტატობის კრიტერიუმად მოიაზრება (არაა გამორიცხული, რომ აქ პირდაპირ ინტერტექსტუალურ რელაციასთანაც გვქონდეს საქმე იმავე პლატონოვის *ქვაბულთან*: "-- Зачем они твердый знак пишут? - сказал Вощев. Активист оглянулся. - Потому что из слов обозначаются линии и лозунги и твердый знак нам полезней мягкого. Это мягкий нужно отменить, а твердый нам неизбежен: он делает жесткость и четкость формулировок" - სადაც სწორედ ტექნიკურ ტერმინში ჩადებული "იდიომის" ბუკვალიზაცია ხდება, რაც, როგორც ვნახეთ, ბურჭულაძის უმთავრესი ილეთია). ანდაზის გაცოცხლების ერთი შესანიშნავი მაგალითია ბაღდადის დაბომბვაზე მითითება, დაბომბვაზე, რის შედეგადაც ბუზთა ქალაქი იღუპება, ხოლო ანდაზა - ქრება (*თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა*).



სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პარემიისა თუ იდიომის "გაცოცხლება"-"ნარატივიზაცია" ზურაბ ქარუმიძის *ლვინომუქ ზღვაშიც* მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. კიდევ ერთი ავტოექსკურსი, რის გამოც მკითხველს გულწრფელად ვუხდი ბოდიშს:

"ქარუმიძე იღებს იდიომას, ენის ამ გაქვავებულ შრეს, ჯერ აქცევს მას მეტაფორად ანუ იმად, რაც იდიომა ოდესღაც იყო (ლინგვისტური მითოლოგიის თანახმად) და ამის შემდეგ ახდენს მეტაფორის "სიუჟეტიზაციას". "ხელწერა", "ბედის წერა" – გამოთქმები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა გაქვავებული მეტაფორები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურ მეტყველებაში ავტომატურად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ვიყენებთ – ქარუმიძის რომანში "იბრუნებენ" ორაზროვნებას, იძენენ მეტაფორულ (საზოგადოდ, ტროპულ) განზომილებას, რომლის შემდეგაც ავტორი კიდევ ერთ ხერხს მიმართავს – ახდენს ტროპის ბუკვალიზაციას, მატერიალიზაციას, ხელი ხდება პერსონაჟი, "ხელწერა" – ამბავი, ის, რასაც ავტორი გვიყვება".

მაგრამ ბურჭულაძესთან ეს სტილური თუ დისკურსული ფიგურა ტოტალურ განზომილებას იძენს, რაც, ცხადია, მკითხველში ლინგვისტურ თავბრუსხვევას განაპირობებს. ეს გასაგებია - მაშ, რაღა დაგრჩენია, როცა ენა და სინტაქსი ფეხქვეშ გეცლება?!

ამგვარი "სინტაქსური თავბრუსხვევა" კი სწორედ პლატონოვის პროზის მთავარი თვისებაა, რაც შესანიშნავად წარმოაჩინა ცხონებულმა იოსიფ ბროდსკიმ:

"Вообще следует отметить, что первой жертвой разговоров об Утопии – желаемой или уже обретенной – прежде всего становится грамматика, ибо язык, не поспевая за мыслью, задыхается в сослагательном наклонении и начинает тяготеть к вневременным категориям и конструкциям; вследствие чего даже у простых существительных почва уходит из-под ног, и вокруг них возникает ореол условности. Таков, на мой взгляд, язык прозы Андрея Платонова, о котором с одинаковым успехом можно сказать, что он заводит русский язык в смысловой тупик или – что точнее – обнаруживает тупиковую философию в самом языке. Если данное высказывание справедливо хотя бы наполовину, этого достаточно, чтобы назвать Платонова выдающимся писателем нашего времени, ибо наличие абсурда в грамматике свидетельствует не о частной трагедии, но о человеческой расе в целом".

ბროდსკისათვის, რომელიც რამდენადმე იზიარებდა რაციონალობის განმანათლებლურ პათოსს, პლატონოვის დისკურსი ტრაგიკული აბსურდულობის (ვთქვათ პირდაპირ - რუსეთში განხორციელებული

უტოპიის) გამოხატულებაა, რეპრეზენტაციაა, ზაზა ბურჭულაძისათვის კი (ვსარგებლობ, ასე ვთქვათ, პირადი ინფორმაციით) პლატონოვი - ესაა მწერალი par exellance.

მკითხველი მეტყვის, რომ მე ამით ვამრავლებ იმ მწერალთა რიცხვს, ვისაც *მინერალური ჯაზის* ავტორს adარებენ, რომ ჯოისს გვერდით აგერ უკვე პლატონოვი ამოვუყენე. მეტყვის და - მართალიც იქნება. მაგრამ ერთიცა და მეორეც (ჯოისიცა და პლატონოვიც) სწორედ ის მწერლები იყვნენ, რომელთაც, ისევე როგორც მანამდე ტოლსტოისა და დოსტოევსკის (ცხადია, და არა ოდენ მათ), "ზეამოცანა" ამოძრავებდათ (რუსი ლიტერატურათმცოდნის, იგორ სმირნოვის შენიშვნით) - როცა მწერალი ცდილობს ლიტერატურის მეშვეობით ზელიტერატურული პრობლემა გადაჭრას; პრობლემა, ცხადია, არ იჭრება, მაგრამ, სამაგიეროდ, იწერება "გენიალური ნაწარმოები".

ზაზა ბურჭულაძესაც აქვს ზეამოცანა (განსხვავებით, ვთქვათ, აკა მორჩილაძისაგან, რომელიც - მისივე სიტყვებია - ოდენ "ბელეტრისტიკას" წერს; რაც, ცხადია, რეალობას არ შეესაბამება), მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ თვითონ ლიტერატურას ჰქონდეს "პრივილეგირებული სტატუსი" (რომელიც მან, სამწუხაროდ ზოგიერთებისათვის, ხოლო სხვათათვის - სასიხარულოდ, დაკარგა).

როცა ლიტერატურა ერთი ჩვეულებრივი სფეროა, რომლის მეშვეობითაც მხოლოდ ზოგიერთებს ასწავლიან წერა-კითხვას - წერაც და კითხვაც მარგინალური ხდება, რადგან, ვიმეორებ, დღეს მთავარი სამოქალაქო ღირებულებები და სამოქალაქო განათლებაა (არა ოდენ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა აქ - "დასავლეთში"). ასეთ დროს კი წერენ ისინი, ვისაც წერა-კითხვის ცოდნა უბრალოდ ევალებათ, ანუ - ფილოლოგები (უმბერტო ეკოთი დაწყებული და თუნდაც ბორის აკუნინით დამთავრებული). ასეთ დროს ლიტერატურას სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ მოიხელთოს საკუთარი თავი, საკუთარი ფიქციურობა - გამონაგონი, "სიცრუე" - იყოს მუდამ ასე მეტაფიქციური - არა სიბრძნე სიცრუისა, არამედ სიცრუე სიბრძნისა.

*იანვარი, 2004*
*ლოს-ანჯელესი*



არილი



## ერიკ ლინკლეიტერი

# ზღვისკატის ტყავის შარვალი



მე გიჟი არა ვარ - უსათუოდ უნდა გამიგოთ. ჩემი მდგომარეობა ჩათვალეთ ფაქტად, რომელზეც არ დავობენ. შოკის გამო რამდენიმე კვირის განმავლობაში მძიმედ ვიყავი ავად. ეს გახლდათ დიდი, ორმაგი შოკი, რადგანაც საშინელი შემთხვევით გამოწვეულ აშკარა ელდასთან ერთად არსებობდა ამ დაუჯერებელი ამბის გულშემზარავი სამხილიც - შემთხვევის ადგილზე დარჩენილი მარტივი და უტყუარი საბუთი, რომელიც ისეთი შემაძრწუნებელი იყო, რომ ჩემი აქაური მეგობრებიც კი, ეს ახირებული ხალხი, ვერ იჯერებდნენ მომხდარს, თუმცა ვერც უარყოფდნენ და ვერც რამე ახსნას უძებნიდნენ.

რა თქმა უნდა, უცებ მივხვდი რაც მოხდა და მას შემდეგ ხშირად მახსენდებოდა საბრალო კოლრიჯი, რომლის მშფოთვარე გონებას, განსხვავებით მისი ყოველდღიური ყოფისაგან, მოსვენება არ ეწერა. "ადამიანს სიზმრად სამოთხეში რომ გაესეირნა და იქ ყვავილი ეჩუქებინათ ნიშნად იმისა, რომ მისი სული ნამდვილად ეწვია სამოთხეს, - წერდა იგი, - შემდეგ ყვავილით ხელში რომ გაღვიძებოდა, ნეტავ, რა მოჰყვებოდა ამას? ან რა მოხდებოდა, იმავე ადამიანს ჯოჯოხეთი რომ დასიზმრებოდა და დამწვარი ხელით გაღვიძებოდა, ან ქაოსი ღასიზმრებოდა და სარკეში გაშტერებით შემაცქერალი უცხო სახე დაენახა?" კოლრიჯი ამ კითხვებს არ უღრმავდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, საამისოდ მეტისმეტად მხდალი იყო.

ასე იყო თუ ისე, მე ვაღიარე შემთხვევის ადგილზე დატოვებული სამხილი. ავადმყოფობის განმავლობაში სერიოზულად მაწუხებდა ეს ამბავი, დაწვრილებითა და ზედმიწევნით განვიხილავდი ყოველივეს. სხვა რამეზე თითქმის არ ვფიქრობდი. ამთავითვე აღვნიშნავ, რომ ძლიერი დარტყმა მივიღე, მაგრამ შეუპოვარი და მტკიცე ვიყავი და გონება თანდათანობით დამეწმინდა, მხედველობაც გამიუმჯობესდა, ამას ხომ დისციპლინა სჭირდება! ახლა კი შემიძლია თამამად განვაცხადო: ვიცი, რაც მოხდა. შეგნებული გონებრივი ძალისხმევით მე ჭეშმარიტად დავინახე და აღვიქვი რაც მოხდა. აი, როგორ იყო ეს ამბავი...

* * *

- რა საშინელებაა! - გაიფიქრა ქალმა.

ქალმა ზღვისპირა კლდის შვერილზე ბუნებრივად გამოკვეთილი საფეხურებით გამოაღწია, რომელიც ციცაბო კლდეს ვიწრო კუთხით კვეთდა დასავლეთისკენ. ამ ადგილას ნიავი არ უბერავდა და ჰაერი შუადღის მზით იყო გამთბარი. ადამიანის თვალს მოშორებული შვერილი თავის საქმროსთან, ჩარლზ სელინთან ერთად აღმოაჩინა კვირის დასაწყისში. ეს იდუმალებით მოცული ტერასა თეთრად აძარღვული ზღვიდან სამოცი ფუტის სიმაღლეზე მდებარეობდა. ბილიარდის მაგიდაზე დიდი იყო და მიტოვებული შუქურასავით უკაცრიელი გახლდათ. ქალ-ვაჟმა აქ ორჯერ გაატარა რამდენიმე ბედნიერი საათი. ქალს სიმაღლე იტაცებდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სელინს ხედი დიდად იზიდავდა. ოკეანისპირა ამ კოშკზე ერთად ყოფნის ნეტარებისას არანაირი ავხორცული და სხეულებრივი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ქალი კითხულობდა ჰილოინის "ნარკვევებს ბიოლოგიაში", ხოლო სელინი - ლენინის ნაშრომს "რა ვაკეთოთ?".

ქალ-ვაჟის ურთიერთობა უკვე ცოლ-ქმრულს წააგავდა, განა იმიტომ, რომ ამას ორმხრივი ვნება ითხოვდა, არამედ შიშის გამო, რომ ამხანაგებს არ დაეძრახათ ამგვარი თავშეკავებულობისათვის და ვერ მიხვედრილიყვნენ მათ ახირებულობასა თუ ხასიათის სისუსტეს. მართლაც, ისინი აწონდაწონილად იქცეოდნენ და შინ თუ გარეთ კარგა ხნის დაქორწინებულებივით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ციცაბო კლდეებში განმარტოებული ბაქანი მალული ხვევნა-კოცნისათვის მიგნებული ალაგი როდი იყო, უბრალოდ, სიამოვნებდათ, რომ მზე უთბობდათ და უფერადებდათ კანს და თავიანთ მშფოთვარე აზრებს ზღვის ტალღების ყრუ ბუტბუტში აცხრობდნენ. ახლა, როცა ჩარლზი, აქედან ერთი მილის დაშორებით საწერ მაგიდას უჯდა მეთევზეების პატარა სასტუმროში, ქალი უკვე ქვიშიან შვერილზე მისულიყო. ჩარლზიც ერთ-ორ საათში შეუერთდებოდა. ქალს კვლავ წამოეღო წიგნი: "ნარკვევები ბიოლოგიაში".

ქალმა ანაზდად შენიშნა, რომ განმარტოებით მდგარი მათი კოშკი უკვე დაეკავებინა უშნო გარეგნობის ადამიანს, რომელიც სულაც არ ჰგავდა ჩარლზს. უცხო კაცი შიშველი იყო, აშკარად ღონიერი ჩანდა, სხეული მოყავისფრო და მეტისმეტად თმიანი ჰქონდა. იგი კლდის პირას იჯდა და ზღვისკენ ჩაკიდულ ფეხებს აქნევდა, ხერხემლის გასწვრივ თმის ქედი გასდევდა, ასეთ ზოლს ვირის ზურგზე თუ ნახავდით, ხოლო მხრებზე ბალანი ჩიტის ბუმბულივით ბლუჯა-ბლუჯად ამოზრდოდა. ნირწამხდარმა ქალმა ვერ მოისაზრა, მყისვე გასცლოდა იქაურობას, წამით შეყოვნდა და შვებით ამოისუნთქა, რაკი თვალი მოჰკრა, რომ დამხვდური მთლად შიშველი არ იყო. კაცს მუქი ყავისფერი, დაბალწელიანი შარვალი ეცვა, რომელიც საკმარისად უფარავდა თეძოებს. აჯობებდა, უკან გაბრუნებულიყო და უცხო კაცის თანდასწრებით ბიოლოგიის წიგნი არ ეკითხა.

უცნობისათვის უკმაყოფილება რომ ეგრძნობინებია, ქალმა შეწუხებული ხმა გამოსცა; სანამ გატრიალდებოდა, კიდევ ერთხელ გაიხედა უკან, თუ მიმიხვდა განაწყენებასო.

კაცი შემოტრიალდა, ამრეზით შეხედა მოსულს, უფრო მეტი გაბრაზებითაც, ვიდრე ქალმა. უცნობს სქელი წარბები, დიდრონი მუქი თვალები, ფართო, აპრეხილი ცხვირი და დიდი პირი ჰქონდა.

- თქვენ როჯერ ფეარფილდი ხართ?! - გაოცებით წამოიძახა ქალმა.

უცნობი წამოდგა და დაჟინებით მიაცქერდა.

- საიდან მიცნობთ? - ჰკითხა მან.

- მახსოვხართ, - მიუგო ქალმა შეცბუნებით. მართლა იცნობდა, ახსოვდა ამ თავზე ხელაღებული კაცის სახელი, რომელიც როჯერს ედინბურგის უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წელს გაუვარდა. მაშინ, შემოდგომის ერთ პირქუშ დღეს, ხუთ გირვანქიანი ნიძლავის მოსაგებად, მან ჩრდილოეთ ბერუიკიდან ბასის კლდემდე გაცურა.

ეს ამბავი ერთ კვირაში ელვისებური სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს. ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ ნიძლავის დადებამდე როჯერი და მისი რამდენიმე ამხანაგი ერთად საუზმობდნენ და შეეძლოთ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ. როცა როჯერი ზღვაში შევიდა, ამხანაგები სწრაფად მოეგენ გონს და შეშინებულებმა პოლიციას აცნობეს. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, მაშველი ნავი გამოიძახა. ისინი აღელვებულ ზღვაში ამაოდ ეძებდნენ როჯერს. ბოლოს, როცა ზღვა დაწყნარდა, გამოჩნდა ბასის კლდეს შეფარებული როჯერის თავი, წყალზე მუქად რომ ლივლივებდა და ნავზეც ამოიყვანეს. რისკიანი თავგადასავლის მიუხედავად, ურიგოდ არ გამოიყურებოდა. პოლიციამ როჯერი წესის დარღვევაში დაადანაშაულა და სპეციალური საცურაო კოსტუმის გარეშე ზღვაში ცურვისათვის ორი გირვანქით დააჯარიმა.

- ჩვენ ორჯერ შევხვდით ერთმანეთს, - თქვა ქალმა, - ერთხელ ცეკვებზე, მეორედ კი მეკიში ყავა მივირთვით ერთად, აი მაშინ, მგონი შარშან. ჩვენ რამდენიმე ვიყავით და თქვენს თანმხლებ მამაკაცს ვიცნობდით. კარგად მახსოვხართ.

კაცი უფრო დაჟინებით მიაშტერდა, თვალები მოჭუტა, ვერტიკალურმა ნაოჭმა შუბლი ორად გაუყო.

- მეც ცოტათი ახლომხედველი ვარ, - ნერვიული სიცილით შენიშნა ქალმა.

- მე ჩინებული მხედველობა მაქვს, - მიუგო კაცმა. - მაგრამ მიჭირს ადამიანების გარჩევა. ადამიანები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს...

- ეს ერთ-ერთი ყველაზე უხეში შენიშვნაა, რაც კი ოდესმე მსმენია!



- დარწმუნებული ხარ?

- რა თქმა უნდა, ყველას მოსწონს, როცა ახსოვთ. არ არის სასიამოვნო, როცა გეუბნებიან არავინ ხარო.

კაცმა ნერვიული ჟესტი გააკეთა.

- ეგ არ მიგულისხმია. ახლა კი გიცანი. შენი ხმა გამახსენდა. გამორჩეული ხმა გაქვს და თანაც ძალიან სასიამოვნო. ერთი ოქტავით დაბალი, მკვეთრი "ფ" და შუა "ს" შენი ნიშანია.

- მხოლოდ ამგვარად განასხვავებ ადამიანებს?

- ეს ისეთივე კარგი მეთოდია, როგორც სხვა დანარჩენი.

- მაგრამ შენ ჩემი სახელი არ გახსოვს, ხომ ასეა?

- არა, - უპასუხა კაცმა.

- მე ვარ ელიზაბეთ ბარფოლდი.

კაცმა თავი დაუკრა.

- ჰო, ძალიან მოსაწყენი წვეულება იყო. იმას ვგულისხმობ, როცა ყავა მივირთვით ერთად.

- ვერ დაგეთანხმები. მე კარგად გავერთე. ჩემი აზრით, ყველამ მოვილხინეთ. ჩარლზ სელინი თუ გახსოვს?

- არა.

- ოჰ, რა გამოუსწორებელი ხარ?! - წამოიძახა ქალმა. - რა აზრი აქვს ადამიანების გაცნობას, თუ შემდეგ ყველა დაგავიწყდება?

- არ ვიცი, - თქვა კაცმა, - ჰოდა, მოდი დავსხდეთ და ამიხსენი.

იგი კვლავ კლდის პირას ჩამოჯდა, ფეხები ქვევით ჩაჰკიდა, ქალს მხარს ზემოდან გახედა და მიმართა:

- ერთი მითხარი, რა ხეირია ადამიანების გაცნობაში?

ქალი შეყოვნდა, სანამ უპასუხებდა:

- მე მომწონს მეგობრების შეძენა, ეს ბუნებრივია! აქ, უბრალოდ, წიგნის წასაკითხად მოვედი.

- კი, მაგრამ ზეზეურად კითხულობ ხოლმე?

- არა, რა თქმა უნდა, - თქვა ქალმა. მუხლებზე კაბა ფაქიზად გაისწორა და გვერდით ჩამოუჯდა. - რა მშვენიერი ადგილია! აქ წინათ თუ ყოფილხარ?

- კი, აქაურობას კარგად ვიცნობ.

- მე და ჩარლზი გასულ კვირას ჩამოვედით. იმ ჩარლზ სელინზე გეუბნები, შენ რომ არ გახსოვს. ჰოდა, გაისად დაქორწინებას ვაპირებთ.

- აქ რატომ ჩამოხვედით?

- მშვიდად ყოფნა გვინდოდა, ამ კუნძულებზე კი სიმყუდროვე საკმარისადაა. ორივენი საკმაოდ ბევრს ვმუშაობთ.

- მუშაობთ! - ჩაიცინა კაცმა. - დროს ნუკი ხარჯავთ, მაგის მაგიერ სიცოცხლე დახარჯეთ.

- უმრავლესობამ უნდა ვიმუშაოთ, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს თუ არა.

კაცმა მისი კალთიდან წიგნი აიღო, გადაშალა და ღეჭვით რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, მერე ფურცლების დასტაც გაშალა და მთქნარებ-მთქნარებით რომელიღაც პარაგრაფი ამოიკითხა.

- ედინბურგში შენი ამხანაგები ჩვენს ამხანაგებზე მდიდრები იყვნენ, - განაგრძო ქალმა, - მეც, ჩარლზსაც და ყველა ჩვენს ნაცნობსაც თავის სარჩენად გვიწევს შრომა.



- რატომ? - იკითხა კაცმა.

- იმიტომ, რომ თუ არ ვიმუშავებთ, შიმშილით დავიხოცებით.

- და შიმშილით სიკვდილს თუ გადაურჩით, რა მერე?

- იმედი უნდა ვიქონიოთ, - თავმდაბლად თქვა ქალმა, - რომ რაიმეში მაინც წავადგებით ქვეყანას.

- ამას თუ ეთანხმები? - ჰკითხა კაცმა, რომელიც მთქნარებას ძლივს იკავებდა და წიგნიდან ამოიკითხა: "ჩვენს ანალიზსა და შეფასებას აღემატება ჩანასახოვანი უჯრედის ფიზიკური ფაქტორი, მაგრამ შეგვიძლია კი თავი ავარიდოთ სუბიექტურობას საწყის ინიციატივებთან? ალბათ, გაცილებით იოლია, დავუშვათ, რომ გონებამ მოგვიანებით დაიწყო განვითარება. თუმცა ეს ვარაუდი არ უნდა ემყარებოდეს იმას, რომ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია თავი ავარიდოთ საკუთარი აზრის გამოხატვას უჯრედთან დაკავშირებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გონებას შეუძლია აშკარა თუ ფარული გზებით გავლენა იქონიოს სხეულზე; მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორ ხდება ეს. ფსიქო-ბიოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაშია."

- დიდებულია, არა!? - შენიშნა ქალმა.

- როგორ თქვი? - ჰკითხა კაცმა. - წავადგებით ქვეყანასო?!

- დიახ, ქვეყანას ესაჭიროება ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ, დიახ, აღიზარდნენ, რათა იფიქრონ. ადამიანს აქვს იმედი, რომ მცირედ ზეგავლენას მაინც მოახდენს სამყაროზე.

- ეს მცირედი ზეგავლენა, განა რას შეცვლის? შენ გგონია, რომ სამყაროს ახალი ტიპის აზროვნების განვითარება ესაჭიროება? ეგებ, მას საწყისი დირექტივა სჭირდება, იქნებ ძალიან ბევრიც, ხოლო ფსიქო-ბიოლოგია ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია. შენ კი არ იცი, ასეთი ცვლილებები როგორ ხდება, არა?

- არა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მეცნიერება ისე სწრაფად მიიწევს წინ, რომ ...

- 50 ათასი წლის შემდეგ? - შეაწყვეტინა კაცმა, - ფიქრობ, რომ მაშინ გეცოდინება?

- ძნელი სათქმელია, - დადინჯებით უპასუხა ქალმა. ზუსტი პასუხისათვის აზრებს ალაგებდა, მაგრამ როჯერმა კვლავ შეაწყვეტინა, ქალის აზრით, უხეშად და საკმაოდ უადგილოდ. კაცის ყურადღება მისგან და მისი წიგნიდან ქვემოთ მღელვარე ზღვაზე გადავიდა. იგი ქვემოთ იყურებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო.

- ცურავ?

- არც ისე კარგად.

- მე მაშინ ზღვაში მოქცევის დაწყებამდე შევედი, როცა სარეველა ბალახები ზღვის ფსკერზე პირიქითა მიმართულებით იყო გადავარცხნილი. ზღვა არასოდეს მოგაბეზრებს თავს, დამეთანხმები.

- მე რიგიანად არც კი მინახავს ზღვა, - თქვა ქალმა. - მინდა, კუნძულზე ვცხოვრობდე, ერთ პატარა კუნძულზე და ყოველი მხრიდან ზღვის ხმა მესმოდეს.

- კარგია! - კაცს ხმაში სითბო ჩაუდგა, - ეს ძალიან უჩვეულო სიტყვებია შენნაირი გოგოსაგან.

- შენი აზრით, რანაირი გოგო ვარ? - ქალს ხმაში გახელება დაეტყო, მაგრამ კაცმა სიტყვა ბანზე აუგდო და წაბლისფერი მკლავი ჰორიზონტისაკენ გაიშვირა:

- ამ რამდენიმე წუთში ზღვას ფერი შეემღვრა. წეღან ცის კიდესთან ზღვა ფერმკთალი იყო, ახლა კი ინდიგოსფერი სარტყელი გადაეკრა და ხელწერაც შეეცვალა, წყლის ზედაპირზე ქაფის ხაზები მაქვს მხედველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი იმას შეხედე! აი იქ, წყალქვეშა კლდეა და ყოველთვის, მოქცევის დაწყებიდან ნახევარ საათში, მით უმეტეს თუ ნაპირიდან მონაბერმა ქარმაც შეუწყო ხელი, შეგიძლია მკაფიოდ დაინახო. აი, იქ ორი პატარა მორევი და მათ გარშემო თეთრი წრე, ხედავ როგორ ფიგურას ქმნიან? ასეთია, არა? - ქვის ნატეხით მან კლდეზე დიაგრამა მოხაზა.

- იცი, ეს რა არის? - განაგრძო კაცმა. - ამ ფიგურას ჩინელები ტაი-ჩიის უწოდებენ. ამბობენ, რომ იგი ყველა არსების საწყისიაო. ეს არის ზღვის ხელწერა.

- კი, მაგრამ ქაფის ხაზებს ხომ შეუძლიათ, ნებისმიერი ფორმა მიიღონ? - გაეპაექრა ქალი.

- გეთანხმები, ნამდვილად შეუძლიათ, მაგრამ თქვენ იშვიათად თუ ახერხებთ მათ წაკითხვას. აი, ისიც! - წამოიძახა კაცმა და სამოცი ფუტის ქვემოთ მოძრავ წყალს ჩააშტერდა. - აი, ისიც, ბებერი ცუღლუტი!

კაცი ხელებს დაეყრდნო, ქუსლებით კლდეს მიებჯინა, ასე მჯდომარე გადაეშვა სივრცეში, შუა ნახტომში ჰაერში გასწორდა და ისე უშხეფოდ გააპო ზურმუხტისფერი წყლის გლუვი ზედაპირი, როგორც ხოჭო ჩაეშვება ხოლმე წყალში. ქვემოთ შვერილზე მზეზე მონებივრე მარტოხელა ალკამ სასწრაფოდ უშველა თავს და ზღვას შეეფარა. უეცარი მოძრაობით დამფრთხალი აურაცხელი თეთრი ჩიტი ჰაერში აიჭრა "კითივეიქ-კითივეიქის" ძახილით.

ელიზაბეთმა შეჰყვირა, ფეხზე წამოდგა, შემდეგ კლდის პირთან დაიჩოქა და დაბლა ჩაიხედა. მოლივლივე კამკამა წყალში იგი მკრთალ, მოძრავ სხეულს ხედავდა. კაცი ერთხანს გაუჩინარდა დაბინდულ სიღრმეში, სადაც დახლართულ მცენარეებს ფესვი აქვთ გადგმული. ორიოდე წუთში ზღვიდან თავი ამოყო, თმიდან ბრჭყვიალა წვეთები გაიბერტყა და ღიმილით ახედა ქალს. როდესაც წყალს მოაპობდა, მარჯვენა ხელში რაღაც ჩაებღუჯა. ქალის აღსაფრთოვანებლად მან მოზრდილი ქუფრი-ლურჯი კიბორჩხალა გამოაჩინა, რომელიც მერე იქვე მახლობლად ბრტყელ კლდეზე დააგდო, ზღვიდან სწრაფად ამოსრიალდა და კვლავ ხელში აიყვანა, თანაც ისე, რომ კიბორჩხალას მისთვის ვერ ეკბინა. სანამ შარვლის ჯიბეში პატარა თოკს მოძებნიდა, ქალს დაუძახა:

- ამას ბრჭყალებს შევუკრავ, რომ სავახშმოდ სახლში წაღება შეძლო!

ქალს ეგონა, შეუძლებელიაო ასეთ ფრიალოზე ცოცვა. თუმცა ხელების დახმარებით, ზემოდან შეუმჩნეველი, ბუნებრივად გამოკვეთილი საფეხურებითა და ხელსაკიდებით კაცი კლდეზე ნელ-ნელა ამოვიდა, კოშკურის ძირზე კიბორჩხალა დააგდო და კლდის პირთან მივიდა.

- ეს კიბორჩხალა ყველაზე დიდია, რაც კი ოდესმე გინახავს ცხოვრებაში, - დაიტრაბახა კაცმა. - იგი 14 ფუტს იწონის, დარწმუნებული ვარ, სულ მცირე 14 ფუტს მაინც. ერთი შეხედე, რამხელა აქვს მარჯვენა ბრჭყალი! ამით ქოქოსსაც კი გატეხავს. ერთი საათის წინ, როცა ვცურავდი, ეცადა ჩემთვის წვივი გაეგლიჯა. პირველად ხელიდან დამისხლტდა, სოროში შემასწრო. მაინც დავიჭირე ეგ ოხერი. დანაშაულებრივი ცხოვრების ოცი წელი ექნება გატარებული, ცოტა მეტიც. ოჰ, ეს შავი ბიჭი! ნეტა, თუ ხვდები, რომ შენზე დიდია? თუ ასაკით იმაზე მეტის არა ხარ, ვიდრე გამოიყურები? რამდენი წლის ხარ?

ელიზაბეთს კიბორჩხალასადმი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია. იგი უკან იხევდა, ვიდრე ზურგით კლდეს არ მიეყრდნო და მაგრად აეკრა. მისი ხელის გულები ქვაზე დაცოცავდნენ, თითქოს დაეძებდნენ საიდუმლო კლიტესა თუ ურდულს, რომელიც გასასვლელს გაუღებდა. სახე გაუფითრდა და ფერგამკრთალი ტუჩები უკანკალებდა.

კაცი შემოტრიალდა და შეხედა, რაკი ქალმა პასუხი არ გასცა და ჰკითხა, რაში იყო საქმე.

ქალს ხმაში შეკრთომა დაეტყო.

- ვინ ხარ? - ჩუმად, ენის ბორძიკით დაიჩურჩულა მან. - რა ხარ?

კაცს გამომეტყველება შეეცვალა, დაცვარული სახე ზღვისქვეშ მბრწყინავი კლდესავით შეუდრეკელი გაუხდა.

- სულ რამდენიმე წუთი გავიდა, რაც გაირკვა, რომ კარგად მიცნობდი. მომმართავდი, როგორც როჯერ ფეარფილდს, ხომ ასეა?

- მაგრამ სახელი საკმარისი არაა. იგი ყველაფერს არ გეუბნება.

- მეტი რაღა გინდა, რომ იცოდე?

ქალის ხმა ისეთი დაჭიმული და დასუსტებული იყო, რომ მისი სიტყვები აჩრდილებს ჰგავდნენ, უფრო სწორად, სიცივეში კანკალით ნათქვამ სიტყვებს:

- ზღვაში ამგვარი ჩახტომა ... არაადამიანურია!

კაცს ცივ სახეზე შუბლი შეეჭმუხნა.

- რა ცნობისმოყვარეობაა?!

- შენ თავს დაიღუპავდი, თუ ... თუ ...

კაცმა კვლავ გადადგა ნაბიჯი ზღვისკენ, ქვემოთ წყნარ მწვანე სიღრმეს ჩახედა და თქვა:

- აზვიადებ?! 50 ფუტზე მეტიც კი არ არის, შეუძლებელია 60 იყოს და წყალიც ღრმაა. დაბრუნდი! სად გარბიხარ?

- გამიშვი! - დაიყვირა ქალმა. - მე აქ დარჩენა არ მინდა, მეშინია.

- გულდასაწყვეტია. ამას არ მოველოდი.

- გთხოვ, გამიშვი!

- არ გაგიშვებ, სანამ არ მეტყვი, რისი გეშინია.

- რატომ? - ენა დაება ქალს. - რატომ გაცვია ბეწვის შარვალი?

კაცმა გაიცინა, სიცილით ქალს წელზე ხელი შემოხვია და იგი კლდის პირთან მიიყვანა.

- ნუ გეშინია, არ გადაგაგდებ. მაგრამ რაკი არ იშლი შარვალზე საუბარს, მგონი აჯობებს, კვლავ ჩამოვსხდეთ. შეხედე წყლის სიგლუვეს, მის ფერს, სინათლეს მის სიღრმეში: ოდესმე გინახავს ამაზე მშვენიერი რამე? ახედე ცას: რა მშვიდია?! შეხედე ფულმარს, ამ წუთას რომ გაიელვა ზღვაში, ეგ არის არხეინად და შენ რაღა გადარდებს?

ელიზაბეთი უკან გადაიხარა და მთელი სიმძიმით დაეყრდნო წელზე შემოჭდობილ ხელს. კაცს კუნთმაგარი მკლავი ჰქონდა, თითქოს სიმძიმეს ვერც გრძნობდა. დიდხანს მტირალი ბავშვივით უცრემლოდ სლუკუნებდა ქალი. კაცმა ყურადღებაც კი არ მიაქცია მის ტანჯვას და მსუბუქი, სასიამოვნო ტონით განაგრძობდა საუბარს, სანამ ქალს კუნთები დაეღლებოდა და მოეშვებოდა. ქალი კაცის მკლავებში მოექცა, დაჯდა, გაქცევას აღარ ცდილობდა, მაგრამ დამფრთხალ მკერდთან კაცის ხელს გრძნობდა.

- რა საჭიროა, პირობითობები შარვლის ტარებასთან დაკავშირებით, - წამოიწყო კაცმა. - ვიცი, არსებობენ ადამიანები, რომლებიც დასცინიან ნებისმიერ ჩვეულებას. ზოგიერთი ჩვევა იმსახურებს კიდეც ქილიკს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხება შარვლის ტარების ჩვეულებას! ასე რომ, ჩვენ ვაღიარებთ საფარველის აუცილებლობას და ყურადღებას ვამახვილებთ მატერიაზე. ჰო! მე მიყვარს კლდეზე ჯდომა ერთი რამის გამო. ამგვარი ჰობისათვის შარვლის ეს ქსოვილი მსოფლიოში საუკეთესოა. იგი მტკიცეა, რბილია და მოსახერხებელი. მე შემიძლია ვიცურო ზღვაში ნახევარი საათის მანძილზე ისე, რომ შარვალი არ გამიფუჭდეს და როდესაც კვლავ გამოვდივარ კლდეზე მზეს მისაფიცხებლად, ეს არც ცივია და არც სველი, არც ხუნდება და არც იძენძება დასველებით. ოჰ, უამრავი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ადამიანმა ამ ქსოვილის შარვალი ატაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არის ერთი რამ, რომელიც შენ არ მითხარი, - თქვა ქალმა.

- დარწმუნებული ხარ?

ქალი ახლა უფრო მშვიდი ჩანდა, სუნთქვაც დაიმორჩილა, მაგრამ მისი სახე ჯერაც ფერდაკარგული იყო და ტუჩებიც ნაზად უთრთოდა.

- ჩემს მოკვლას აპირებ?

- შენს მოკვლას? ღმერთო ჩემო, არა! რატომ უნდა მოგკლა?

- იმის შიშით, რომ სხვებს არ ვუამბო.

- კი, მაგრამ რა უნდა უთხრა სხვებს?

- თავადაც კარგად მოგეხსენება.

- დასკვნებს ძალიან სწრაფად აკეთებ: აი, რა არის შენი უბედურება. კარგი, ყოველივე ამის შემდეგ, შენთვის საცოდაობაა და ჩემთვის კი - უხერხული, რომ ნება დაგრთო და კიბორჩხალა სახლში გაგატანო სავახშმოდ. გულახდილად გეტყვი, არა მგონია, შენ ვახშმად სახლში წახვიდე.

ქალს შიშისაგან თვალები კვლავ ჩაუმუქდა, პირი დააღო, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, კაცმა თავისკენ მიიზიდა და ნებართვის გარეშე, უხეში კოცნით დაახშო იგი.

- ეს იმიტომ, რომ დაყვირებაში ხელი შეგიშალო. ვერ ვიტან, როცა ხალხის კივილი მესმის, - ღიმილით უთხრა კაცმა. - ხოლო ეს... - მან ქალს კვლავ აკოცა, ამჯერად ნაზად და გაცილებით ხანგრძლივი ჩახუტებით. - ეს კი, იმიტომ, რომ მინდოდა, მეკოცნა.

- არ უნდა გეკოცნა! - წამოიძახა ქალმა.

- მაგრამ გაკოცე.

- საკუთარი თავის არ მესმის! ვერ გამიგია, რა ხდება.

- ამ პატარა კოცნის გამო? - ჩაიბურტყუნა კაცმა.

- რაღაც საშინელება მოხდა!

- კოცნა?! ნუთუ, ასეთი საძაგელი ვარ?

- ეგ არ მიფიქრია. მე ვგულისხმობ რაღაცას ჩემს შიგნით. მე არ, არ..., ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მგონია, რომ მე არ მეშინია!

- შიშის არანაირი მიზეზი არა გაქვს.

- ამ ქვეყნად თუკი რამ შიშის მიზეზი არსებობს, ყველა მაქვს, მაგრამ არ მეშინია! შეშინებული არა ვარ, მაგრამ მეტირება.

- იტირე მერე, - დაუყვავა კაცმა და ქალი ლოყით მკერდზე მიიკრა. - ამ სასაცილო მოწყობილობით, ცხვირზე რომ გიკეთია, მოხერხებულად ვერ იტირებ.

მან ქალს რქის ჩარჩოიანი სათვალე მოხსნა და ზღვაში გადაისროლა.

- ოჰ! ჩემი სათვალე! - წამოიძახა ქალმა. - ეს რა ჩაიდინე?! ახლა ვეღარ ვხედავ. უსათვალოდ საერთოდ ვერ ვხედავ!

- ყველაფერი კარგადაა, - დაარწმუნა კაცმა ქალი. - ნამდვილად აღარ დაგჭირდება. გარდატეხა სავსებით განსხვავებული იქნება, - გაურკვევლად დასძინა მან.

ამ თითქოსდა მცირე, მაგრამ მოულოდნელმა ძალადობამ ქალის ცრემლები დუღილის წერტილამდე მიიყვანა, ისინი დუღდნენ და ამიტომაც, უდიდესი სასოწარკვეთის ნიშნად, ელიზაბეთმა მკლავები შემოხვია კაცს, მკერდზე მიეკრა და ჩუმად, მწარედ აქვითინდა. კაცმა იგრძნო თბილი ცრემლები, კანზე რომ ეწვეთებოდა. კაცის კანიდან ქალს თვალებზე ზღვის სიმლაშე მოხვდა და უფრო მოემატა ცრემლი. მან ქალს ძლიერი, მანუგეშებელი ხელი თმაზე გადაუსვა და როდესაც იგი დამშვიდდა, კაცის მკლავებში გაინაბა, ემოციები დაუცხრა. კაცი დაბალი, მომაჯადოებელი ხმით ჩუმად მღეროდა სიმღერას, რომელიც ასე იწყებოდა:

"კაცი ვარ ხმელეთზე,
ზღვისკატა - ზღვაში.
შორს, ნაპირიდან შორს,
სულ-სკერებში მაქვს სახლი."

პირველი თუ მეორე სტრიქონის შემდეგ, ქალმა თავი გაითავისუფლა მისი მკლავებიდან, წამოჯდა და მოწყენილი უსმენდა სიმღერას. მერე კაცს შეეკითხა:

- ოდესმე გავიგებ?

- ეს განუმეორებელი მოვლენა არ არის, ჩემი ვარაუდით, ასეთი რამ უწინ ხშირად ხდებოდა კორნუოლში, ბრიტანში და შოტლანდიის დასავლეთ კუნძულებს შორის; ეს ის ადგილებია, სადაც ადამიანები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ზღვისკატებით და სადაც ზღვისკატები ადამიანის სახეს იღებდნენ დრო და დრო. ერთი რამ, რაც უნიკალურია ჩემს შემთხვევაში, ჩემს მეტამორფოზაში არის ის, რომ მე ვარ ერთადერთი ზღვისკატა-ადამიანი, რომელიც ოდესღაც ედინბურგის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრი გახდა, მე ვარ უბადლო, ზღვისკატა-ადამიანის ერთადერთი დახვეწილი მაგალითი.

- ალბათ, შეშინებულივით გამოვიყურები. სულელურად მოვიქეცი, რომ ვიტირე. თვალები ძალიან დამიწითლდა?

- ქუთუთოები ოდნავ გაგივარდისფრდა, მაგრამ მიმზიდველობა არ დაგიკარგავს, შენი თვალები მუქია და საყვარელი, როგორც მთის ტბა ოქტომბრის მზიან დღეს. შენი თვალები უფრო გამშვენიერდნენ მას შემდეგ, რაც სათვალე გადაგიგდე.

- შენ ხომ იცი, რომ მე სათვალე მჭირდებოდა? უსათვალოდ სულელურად გამოვიყურები. მითხარი, რატომ ან როგორ ჩააბარე უნივერსიტეტში? როგორ შეძელი?

- ჩემო ძვირფასო გოგონა! სხვათაშორის, რა გქვია? სულ დამავიწყდა.

- ელიზაბეთი, - გაბრაზებით მიუგო ქალმა.

- ო, როგორ მიხარია, ეგ ხომ ჩემი საყვარელი სახელია. შენ ნამდვილად აღარ გინდა ფსიქო-ბიოლოგიის ლექციის მოსმენა?

- მე მინდა ვიცოდე, როგორ მოხდა ყველაფერი. შენ უნდა მითხრა!

- კეთილი, გახსოვს, რას ამბობს შენი წიგნი საწყის ინიციატივებზე? იქვე საჭიროა პატარა განმარტების დართვა, რომ ისინი არ შესუსტებულან სიცოცხლის გვიანდელ ხანამდე. როგორც იცი, ჩანასახოვანი უჯრედები ყოველთვის აღიდგენენ თავს და ინარჩუნებენ ინიციატივას, მუდამ არჩეულ მოდელს მისდევენ, გარდა გარკვეული ავადმყოფობებისა. გონების მართვა, - აი, ეს რა არის. სრულ მეტამორფოზაში უამრავ რამეს აკეთებენ ჯირკვლები, ჯერ თირკმელზედა, მერე კი პიტუიტარული ჯირკვალია. ცვლილების არსებობა დამტკიცებული არ არის, მაგრამ ჟამით-ჟამ ერთ-ერთი ჩვენგანი ამას აკეთებს, ჩვეულებრივად, უბრალო სიცელქის გამო, ხოლო ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებული მიზეზი არსებობდა.

- მითხარი, - სთხოვა ქალმა.

- ეს გრძელი ამბავია.

- მინდა, ვიცოდე.

- იცი, გასულ წლებში ჩემს ხალხში ძალიან დიდი მღელვარება იყო: ეჭვი, წინამძღოლების მიმართ უკმაყოფილება, სკეპტიციზმი ტრადიციულ რწმენაზე და სხვა ამგვარი. ზღვის საფარქვეშ დიდი დისკუსიები გვქონდა, მაგალითად, ადამიანის ბუნების შესახებ. ყოველთვის გვასწავლიდნენ, რომ მის შესახებ გარკვეული საკითხები პირდაპირ უნდა გვერწმუნა. ახლანდელმა მოვლენებმა, არა მგონია, დაადასტუროს ის, რასაც ჩვენი მასწავლებლები გვიამბობდნენ. რამდენიმე ახალგაზრდა უკმაყოფილო იყო. ამიტომაც მე გამოვთქვი სურვილი, გავსულიყავი ხმელეთზე და შემესწავლა ადამიანი. მე ჯერ კიდევ ვმუშაობ მოხსენებაზე, რომლითაც უნდა წარვსდგე მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე, ამიტომაც ამჟამად ორმაგი ცხოვრებით ვცხოვრობ. ხმელეთზე საფიქრალად გამოვდივარ და ზღვაში დასასვენელად ვბრუნდები.

- რას ფიქრობ ჩვენზე? - ჰკითხა ქალმა.

- საინტერესონი ხართ, მართლაც, ძალიან საინტერესონი. მალე თქვენს შორის გასაოცარი მუტაციები მოხდება, სავარაუდოდ, სამი ან ოთხი ათასი წლის განმავლობაში.

კაცი დაიხარა და წვივზე სისხლიანი ლაქა მოიწმინდა.

- ლიმფეტზე გავიფხაჭნე, ხომ იცი, მოლუსკები დღესაც ისეთები არიან, როგორებიც ორიათასი წლის წინ იყვნენ. ადამიანები ასეთი სტაბილურები არ არიან.

- შენი მთავარი შთაბეჭდილება ისაა, რომ ადამის მოდგმა არასტაბილურია?

- ნაწილობრივ. თუმცა, ჩვენი შეხედულებით, არსებობს უფრო გულდასაწყვეტი რამეც. ჩვენებურები საკმაოდ მარტივი არსებები არიან, ჩვენი რწმენა მცირეა და ამიტომაც მასზე ვართ მიჯაჭვულები. ჩვენი ცხოვრება შეგრძნებებით ცხოვრებაა. სულ მთლიანად არა, მაგრამ უმეტესწილად ასეა. ამის გამო უზომოდ ბედნიერები უნდა ვყოფილიყავით და ვიყავით კიდეც მანამ, სანამ ვკმაყოფილდებოდით გრძნობებითა და მცირე, ეჭვმიუტანელი რწმენით. ადამიანებთან შედარებით ჩვენ პატარა უპირატესობა გვაქვს. ადამიანმა უნდა ზიდოს საკუთარი სიმძიმე, არ იცის, რა ნეტარებაა, როდესაც წონას ვერ შეიგრძნობ, ხარ ტალღებზე დაბადებული, ტივტივებ ზანტ ტალღაზე, ძალდაუტანებლად ხტები მოდრეკილ ჩქერში და წყლის თეთრი ქაფიდან შესცქერი ტატნობის თვალისმომჭრელ ელვარებას, თავისუფლად ყვინთავ ზღვის წყნარ სიღრმეში, მერე უცებ მადაზე მოხვალ და სარეველა მცენარეების ძირში დაიჭერ ჰედოკს. ახლა თევზაობის დრო უნდა იყოს. წასვლის წინ რამდენიმე რჩევას მოგცემ. მოსამზადებელ ფაზას ცოტა დრო მიაქვს, დაახლოებით ხუთი წუთი დაგჭირდება, მერე კი შენ სულ სხვა არსება იქნები.

ქალს სული შეუგუბდა, თითქოს უკვე შეიგრძნო წყლის სიცივე და დაიჩურჩულა:

- ჯერ არა! ჯერ არა, გთხოვ.

კაცმა მკლავებში მარჯვედ მოიქცია ქალი და ძლიერი, ნაზი ხელით თმაზე მოეალერსა, მოეფერა მისი თავის სიმრგვალეს, კისერს, მხრებს. გრძნობდა, შეხებას როგორ პასუხობდა ქალის კუნთების მოძრაობა. ხელი ჩააყოლა ზურგის ღარს წელამდე, მერე ბარძაყებამდე. ისევ თავზე მოეფერა, კისერზე, მხრებზე. კიდევ და კიდევ. მისი ხელის სიძლიერემ და სიმტკიცემ ქალი დაამშვიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩურჩულით თქვა:

- ძილს მგვრი.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა კაცმა. - არ უნდა დაიძინო! ადექი, ადექი, ელიზაბეთ!

- ჰო, - მორჩილად თქვა ქალმა. - ჰო, როჯერ. რატომ ეძახი შენს თავს როჯერს? როჯერ ფეარფილდს?

- ეს სახელი დამხრჩვალი მეზღვაურის გადასახადების წიგნში ამოვიკითხე. ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს? შემომხედე, ელიზაბეთ!

ქალმა შეხედა და გაუღიმა. კაცს ხმა შეეცვალა.

- შოტლანდიისა და სილის კუნძულებს შორის შენ ულამაზესი ზღვისკატა იქნები. ახლა კი გულისყურით მომისმინე, - თქვა ბედნიერმა.

კაცი ქალს ნაზად მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა. ტუჩებში აკოცა, მერე ლოყაზე, თავი გადაუწია და ყელზე აკოცა. დაინახა ქალს სახეზე ფერი როგორ დაუბრუნდა.

- კარგია, - შენიშნა კაცმა. - ეს პირველი ფაზაა. ახლა ადრენალინი საამურად ერევა სისხლს. გახსოვს, ლორწოვანი გარსის შესახებ? ის თანდათან დაწყნარდება. ლორწოვან ჯირკვალში ორი ნაწილია, ანტერიორული და პოსტერიორული, ორივე ერთად უნდა ამოქმედდეს. ძნელი არ არის, გეტყვი, როგორ უნდა ამოქმედდეს.

მერე ისევ ჩასჩურჩულა აჩქარებით. ყურადღებით დააკვირდა ქალს. მცირე ხნის შემდეგ თქვა:

- ახლა მოდუნდი. მოდი, დავსხდეთ და დაველოდოთ, სანამ მზად იქნები. ნამდვილი ცვლილება ზღვაში ჩასვლამდე არ დაიწყება.

- უკვე მოქმედებს.

ქალმა გაიცინა და კაცს ხელი ჩაჰკიდა.

- ხუთი წუთიც მოვიცადოთ, - თქვა კაცმა.

- რანაირი იქნება? რას ვიგრძნობ, როჯერ?

- იგრძნობ, როგორ მოძრაობს წყალი სხეულის საწინააღმდეგოდ, როგორ გეფერება, როგორ გიხუტებს ზღვა.

- გული დამწყდება იმაზე, რასაც მივატოვებ?

- არა. არა მგონია.

- აკი, არ მოგწონდა ადამიანები? მითხარი რა აღმოაჩინე ამ სამყაროში?

- მოკლედ გეტყვი, - მიუგო კაცმა. - ჩვენ მოგვატყუეს.

- მაგრამ მე ხომ არ ვიცი, რა არის თქვენი რწმენა?!

- ხომ გიამბე? კარგი, ჩვენ გულუბრყვილოდ გცემდით პატივს ადამიანებს იმიტომ, რომ თქვენ შეგეძლოთ შრომა და მუშაობის სურვილიც გქონდათ. ეს, მართლაც, გმირულად გვეჩვენებოდა. იცი, ჩვენ საერთოდ არ ვმუშაობთ. შენ უსაზღვროდ ბედნიერი იქნები ჩვენთან. ზღვის ბინადრები არ ვწვალობთ თავის წყლის ზემოთ შესანარჩუნებლად.

- ყველა ჩემი ამხანაგი გულმოდგინედ მუშაობდა, - თქვა ქალმა. - არავის ვიცნობ ისეთს, ვინც ზარმაცობდა. უნდა გვეშრომა და უმრავლესობაც დადებითი მიზნისათვის იღვწოდა, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლიდნენ. შენ ასე არ ფიქრობ?

- ჩვენი მასწავლებლები გვიამბობდნენ, რომ "ადამიანებს მძიმე ჯაფა ადგათ იმ დოვლათის შესაქმნელად, რომელიც პურის მოსაპოვებელი ყოველდღიური შრომის შემდეგ შვებას მიანიჭებს. მათ ძნელად მოპოვებულ მოცალეობაში გამოიმუშავეს სიბრძნე, მოწყალება, სათნოება, ნატიფი ხელოვნება. ადამიანებმა შეიცნეს ღმერთი." ...მაგრამ ეს არ არის ამ სამყაროს ზუსტი დახასიათება, ხომ დამეთანხმები?

- არა, ეს არ არის მართალი, - კვერი დაუკრა ქალმა.

- არა, - გაიმეორა კაცმა, - ჩვენი მასწავლებლები ცდებოდნენ და ჩვენც მოგვატყუეს.

- ადამიანებს ყოველთვის ატყუებენ, ისინი მიეჩვიენ ჭეშმარიტების დაგვიანებით გაგებას და მიეჩვიენ საკუთარი თავის მოტყუებასაც, - თქვა ქალმა.

- თქვენ, ალბათ, ჩვენზე მამაცები ხართ. ჩვენ ხალხს არ ესიამოვნება სიმართლის თქმა.

- მე შენთან ვიქნები, - ქალმა ხელი ჩაჰკიდა კაცს, რომელიც წარბშეკრული აკვირდებოდა მოძრავ ზღვას.

გავიდა რამდენიმე წუთი და ქალი წამოდგა, თითების სწრაფი მოძრაობით კაბა გაიხადა.

- დროა!

კაცმა შეხედა. თითქოს, ქარმა ღრუბლები გადარეკაო, მისი მოლუშულობა გაქრა, აღტაცებამ სახე ისე გაუცისკროვნა, იფიქრებდი, მზის ცეცხლოვანი გვირგვინიდან ნათელი გამობრწყინდაო.

- მე მინდა ისინი დავსაჯო, - წამოიძახა კაცმა. - რადგან რწმენა მომპარეს. დამიჯერე, მაგრად დავსჯი. მე ახლა მათ საუნჯეს ვიპარავ, მთელი მათი საგანძურის საიდუმლო აკლდამას! ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ლამაზი იყავი! როცა იცურებ, შენი მშვენიე-

ბიბლიოთეკა

რებით ტალღები აელვარდებიან, როცა დასაძინებლად დაწვები - ვერცხლივით აბრჭყვიალდება ქვიშა, და თუ შენ შეძლებ, ასწავლო ზღვის წითელ ქმნილებას შენსავით ლამაზად შეიფაკლოს, მე არ მომენატრება ხმელეთის ვარდები.

- ჩქარა! - თქვა ქალმა.

კაცმა ლბილი სიცილით შეიხსნა ტყავის ქამარი, რომლითაც შარვალი ჰქონდა შეკრული, გაიხადა, ქალი ხელში აიყვანა.

- მზად ხარ?

ქალმა ხელები კისერზე შემოხვია და ლოყაზე ნაზად აკოცა. მერე დიდი ყიჟინით კლდიდან გადახტნენ, იმ პატარა ტერასიდან დაბლა, მწვანე აბრეშუმის მშვიდ ზღვაში...

* * *

მე გავიგონე შხეფების ხმა, როდესაც ჩავარდნენ. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ შხეფების ხმა მომესმა, როდესაც ციცაბო კლდის კუთხეში, შვერილთან შემოვუხვიე, კლდის პატარა ტერასამდე რომ მიდის, ჩვენს განმარტოებულ კოშკთან, როგორც ვეძახდით. პირველი, რაც თვალში მომხვდა და რამაც ნამდვილად მიიქცია ჩემი ყურადღება, იყო უზარმაზარი ქუფრი-ლურჯი კიბორჩხალა, თოკით შეკრული დიდრონი ბრჭყალებით, რომელიც სასაცილო მანერით ნაპირისაკენ მიცოცავდა. მგონი, ჩემს წამოსვლამდე გადაყირავდა, თუმცა ამაზე თავს ვერ დავდებ. მერე ელიზაბეთის წიგნი დავინახე - "ნარკვევები ბიოლოგიაში" და მისი ტანსაცმელი: თეთრი ტილოს კაბა ყავისფერი საყელოთი და ყავისფერი ბალთით, რაღაც სხვა სამოსი და ფეხსაცმელები, ყველაფერი იქ იყო. იქვე გვერდით, ფეხსაცმელებზე ზღვისკაცის ტყავის შარვალი იდო.

უმალ მივხვდი, რაც მოხდა, ან ახლა მგონია ასე. მტკიცედ მჯერა, რომ მყისიერად გავიაზრე, ან ალღო აშკარად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე წინათ მეგონა. ბევრი ვიფიქრე-მეთქი ამ ამბავზე ავადმყოფობის დროს და აზრი არ შემცვლია, მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა. ჩვეულებრივი, მაგრამ ყოვლისმთქმელი ფრაზა რომ გამოვიყენო, თვალის დახამხამებაში მივხვდი. ვერავინ მოახერხა, უარეყო ჩემი ალღოს კარნახი (ღირს კი ამის თქმა?), ვერავინ მოუძებნა ახსნა ელიზაბეთის ტილოს კაბის გვერდით დატოვებულ ზღვისკაცის ტყავის შარვალს.

ისიც მახსოვს, ამ აღმოჩენამ ჩემში სხეულებრივი ტკივილი შვა. რამდენიმე წუთის მანძილზე უდაბნოს ქარივით ცხელსა და მტვრიან ჰაერს ხან შევისუნთქავდი და ხან ამოვისუნთქავდი ფილტვებით. პირი გამიშრა და ყელი დამეშაშრა. მახსოვს, სუნთქვა დიდი წამება იყო ჩემთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა მესუნთქა.

მიუხედავად იმისა, რომ სულიერ და ფიზიკურ აგონიას განვიცდიდი, თავი არ დამიკარგავს. განსჯის უნარი არ წამრთმევია მანამ, სანამ დამცინებდნენ. დიახ, ისინი დამცინოდნენ. მერწმუნეთ, გარკვევით მესმოდა როჯერის ხმა და სინდისი მაიძულებს ვაღიარო, რომ აუწერლად ტკბილი და დაუვიწყარი მელოდია იყო, რაც კი ოდესმე მსმენია. ისინი, დაახლოებით, 40 იარდის მოშორებით იყვნენ, ორი მხარდამხარ მცურავი ზღვისკაცა. სალამოს სინათლე ისეთი სუფთა და სიმივით დაჭიმული იყო, რომ იფიქრებდი, კაცის ხმა უჩინარი რაკრაკით იღვრებაო ცადაქმნილი ცისარტყელის ფერადოვნებიდან. იგი მღეროდა სიმღერას, რომელიც მე და ელიზაბეთმა შოტლანდიური მუსიკის ალბომში აღმოვაჩინეთ მეთევზეების პატარა სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდით:

"კაცი ვარ ხმელეთზე,
ზღვისკაცა - ზღვაში.
შორს, ნაპირიდან შორს,
სულ-სკერებში მაქვს სახლი."

ხუმრობის გარეშე, როჯერის მიზანი ჩემი აბუჩად აგდება იყო. ისინი ერთად იყვნენ, ისინი ბედნიერები იყვნენ ოკეანის ფართოდ გაშლილი სივრცის სისადავეში. მე კი, ცხოვრების სირთულეებთან მარტოდ-მარტო დარჩენილს, ადამიანთა შორის ცხოვრებისთვის განწირულს, თავზარი დამეცა. მაშინ აღმომხდა ყვირილი. მესმოდა საკუთარი ყვირილის ხმა. ეს საშინელება იყო. მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. უნდა მეყვირა...

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნათია გაბიტაშვილმა*

**შენიშვნები:**

ტაი-ჩიი - *სრული სახელწოდებაა ტაი-ჩი-ჩუა, ჩინეთში განვითარებული ვარჯიშთა სისტემა, მოიცავს ნელ რიტუალურ მოძრაობებს.*

ალკა - *ფრინველი, Alca torda.*

ქითვეიკ-ქითვეიკ - *ჩიტების ამ შეძახილში მოისმის სიტყვები: "კატუნია" და "გაიღვიძე", ქართულად ასეთ ხმოვანებას იძლევა "კატაგვყრის-კატაგვყრის"*

ფულმარი - *ფრინველი, Fulmarus gracialis.*

პიტუიტარული - *ჯირკვალი მოთავსებულია თავის ტვინში ე.წ. ჯირკვალთა ჯირკვალი.*

ლიმფეტი - *მოლუსკი, რომელიც დაცოცავს კლდეებზე. გადატანითი მნიშვნელობით: ჩინოვნიკი, რომელიც მთელი ძალღონით ცდილობს სკამის შენარჩუნებას.*

ჰედოკი - *Melanogrammus aeglefinis, ატლანტიკური საჭმელი თევზი. ეს სიტყვა სასაუბრო ენაში ნიშნავს ნჯღრევას, ამერიკულში კი ფულს. უნებლიე ასოციაცია ანდაზისა to bring haddock to paddock - ყველაფერი დაკარგა, ცარიელ-ტარიელი დარჩა (სიტყვასიტყვით: თევზი ბაყაყს მიუტანა).*

## არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერმან ჰესე

# მოკლე ავტობიოგრაფია(1)



დავიბადე ახალი დროის მიწურულს, შუასაუკუნეებისკენ ხელახალ შებრუნებამდე ცოტა ხნით ადრე, მშვილდოსნის ნიშნით და იუპიტერის ერთგული მფარველობის ქვეშ. ჩემი ქვეყნად მოვლინება შედგა ცხელი ივლისის მიმწუხრისას, და სწორედ იმჟამინდელი სითბოა, მე რომ არაცნობიერად შევიყვარე და მთელი ცხოვრება ვილტვოდი მისკენ, ხოლო როდესაც მაკლდა იგი, საოცარ ტკივილს განვიცდიდი. ცივ ქვეყნებში ცხოვრება არ შემეძლო. ჩემი მოგზაურობანი - ყველა სამხრეთისაკენ იყო მიმართული. ღვთისმოსავ მშობელთა შვილს ნაზად მიყვარდა ისინი და უფრო მეტადაც მეყვარებოდნენ, ნაადრევად რომ არ გაეცნოთ ჩემთვის მეოთხე მცნება(2). მცნებები კი სამწუხაროდ, ყოველთვის ფატალურ ზემოქმედებას ახდენდნენ ჩემზე, რაც არ უნდა სწორი და კეთილი ყოფილიყვნენ ისინი - მე, ბუნებით კრავი და საპნის ბუშტივით დამყოლი ყოველგვარი მცნებებისადმი, - მეტადრე სიყმაწვილის წლებში - მუდამ ვჯიუტობდი. საკმარისი იყო ჩემთვის ეთქვათ; "შენ ასე გმართებს", რომ ჩემში ყოველივე უკუიქცეოდა და მყიფე და შეუვალი ვხდებოდი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი და უარყოფითი ზეგავლენა იქონია ხასიათის ამ უცნაურობამ ჩემ სკოლისდროინდელ წლებზე. მასწავლებლები, იმ თავშესაქცევ საგანში, რომელსაც მსოფლიო ისტორია ერქვა, გვასწავლიდნენ, რომ სამყაროს მუდმივად მართავენ და გარდაქმნიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ კანონებს გამოსცემენ და ასევე წინამორბედთა კანონებითაც ხელმძღვანელობენო. თანაც გვეუბნებოდნენ, ეს ხალხი პატივისცემის ღირსიაო. ოღონდ ეს ისეთივე ტყუილი იყო, როგორც ყოველივე ის, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ, რადგანაც თუ რომელიმე ჩვენგანი გაბედავდა კარგი ან თუგინდ ბოროტი განზრახვით რომელიმე მცნებას, ჩვევას ან მოდას წინ აღდგომოდა, მასწავლებლები მას არა თუ პატივისცემის ღირსად ან ჩვენთვის სამაგალითოდ მიიჩნევდნენ, არამედ სჯიდნენ, დასცინოდნენ და საკუთარი, ლაჩრული ძალაუფლების ქვეშ აქცევდნენ..

საბედნიეროდ, ბევრი რამ ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და ფასეული ჯერ კიდევ სკოლამდელ წლებში შევიმეცნე: ვფლობდი ცოცხალ, მგრძნობიარე და ფაქიზი აღქმის უნარს, რასაც შემეძლო თავისუფლად მივნდობოდი და რაც არაერთ სასიამოვნო წუთს მანიჭებდა. შემდგომ, როდესაც უკურნებლად დავსნეულდი მეტაფიზიკის ცდუნებით და ზოგჯერ საკუთარ მგრძნობიარე აღქმის უნარს ვახშობდი ჩემში და დაუდევრად ვექცეოდი მას, ფაქიზი მგრძნობელობა, განსაკუთრებით მხედველობითი თუ სმენითი შთაბეჭდილებები, მუდამ მაინც ჩემი ერთგული რჩებოდნენ. ისინი ცოცხლად მონაწილეობდნენ ჩემს იდეათა სამყაროში, მაშინაც კი, როდესაც აბსტრაქტულნი ჩანდნენ. ამგვარად, მე ცხოვრებისათვის შეიარაღებული აღმოვჩდი, როგორც მოგახსენეთ, სკოლის წლებამდე გაცილებით ადრე. ვიცნობდი ჩვენს მშობლიურ ქალაქს, ეზოებს, ტყეებს, ხილის ბაღებს, ოსტატთა სახელოსნოებს, ვცნობდი ხეებს, ჩიტებსა და პეპლებს, შემეძლო სიმღერა და კბილებს შორის სტვენა და სხვაც მრავალი, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია. ამას თან დაერთო სასკოლო მეცნიერებანი, რომლებიც მეადვილებოდა და მახალისებდა, განსაკუთრებით ლათინური ენა, ნამდვილ სიამოვნებას რომ მგვრიდა. ამიტომაც ლათინურად ლექსების თხზვა დავიწყე, თითქმის ისევე ადრე, როგორც გერმანულად. სიცრუისა და დიპლომატიის ხელოვნებას მეორე კლასში დავეუფლე, რასაც თავად მასწავლებლებმა - უფროსმა თუ უმცროსმა - მაზიარეს, მას შემდეგ, რაც ჩემი ბავშვური გულახდილობითა და მიმნდობლობით ერთი უბედურებიდან მეორეს ვაწყდებოდი. ამ ორმა აღმზრდელმა წარმატებით ამიხსნა, რომ პატიოსნება და სიმართლის სიყვარული ის თვისებები როდია, რასაც ისინი მოსწავლეებში ეძებენ. ერთხელ კლასში მომხდარი საკმაოდ უცოდველი დარღვევა მომაწერეს, თუმცა მასში სრულებითაც არ მედო წილი და მისი აღიარება ვერ მაიძულეს, წვრილმანი - ლამის სახელმწიფო პროცესად აქციეს და რაკი ერთობლივი ძალისხმევით, ტანჯვა-წამებით ვერ გამომტყუეს აღიარება (რაც უთუოდ არც იყო მოსალოდნელი), სამაგიეროდ ყოველგვარი რწმენა წამართვეს მასწავლებელთა კასტის პატიოსნებისადმი. თუმცა, დროთა განმავლობაში, მადლობა ღმერთს, გავიცანი ნამდვილად პატივისცემის ღირსი მასწავლებლები. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და იმ დროიდან მოყოლებული, ჩემი ურთიერთობა არა მხოლოდ მასწავლებლებთან, არამედ ყველა ავტორიტეტთან, არაბუნებრივი გახდა და სიმწრით აღსავსე. მთლიანობაში პირველი შვიდი თუ რვა წელი კარ-

გად ვსწავლობდი, ყოველ შემთხვევაში კლასის საუკეთესო მოსწავლეთა შორის ვიჯექი. მხოლოდ იმ შინაგანი ბრძოლების დაწყებასთან ერთად, რომლებიც ყველასადმი დაუნდობელია და პიროვნებად ჩამოყალიბებას უძღვის წინ, სულ უფრო მეტად დავიწყე სკოლასთან კონფლიქტი. ის შინაგანი ბრძოლები მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ გავაცნობიერე, ისინი უბრალოდ ჩემი ნების წინაალმდეგ არსებობდნენ, მათგან ვიყავი გარემოცული, როგორც რაღაც საშინელი უბედურებისაგან.

საქმე იმაში იყო, რომ ცამეტი წლიდან ერთი რამ ნათელი გახდა ჩემთვის, კერძოდ, რომ მსურდა გავმხდარიყავი პოეტი ან საერთოდ არავინ. ამ სიცხადესთან ერთად, თანდათან სხვა უსიამოვნო აზრიც მომდიოდა. შეიძლება გახდე მასწავლებელი, ექიმი, ხელოსანი, ვაჭარი, ფოსტის მუშაკი, აგრეთვე მუსიკოსი, მხატვარი ან არქიტექტორი - ყველა პროფესიისთვის არსებობს წინაპირობები, მისასვლელი გზა, სკოლები, მეცადინეობის ფორმები დამწყებთათვის. მხოლოდ პოეტისთვის არ არსებობს ყოველივე ეს! პოეტობა დაშვებული იყო და პატივსაცემიც კი: ე.ი. შესაძლოა იყო წარმატებული და ცნობილი, თუმცა, სამწუხაროდ, პოეტი ამ დროს უკვე ხშირად მკვდარია. მაგრამ როგორც მალე მივხვდი, პოეტად გახდომა შეუძლებელი იყო, ამის სურვილი კი სასაცილო და სამარცხვინო. ძალიან მალე გავერკვიე ამ ვითარებაში: პოეტი ისეთი რამ არის, რაც მხოლოდ უნდა იყო და შეუძლებელია პოეტად გახდომა. და შემდგომ: პოეზიისადმი ინტერესისა და ჩემი პოეტური ნიჭის გამო, მასწავლებლები ეჭვის თვალით მიყურებდნენ, ამიტომაც ხშირად მაძლევდნენ შენიშვნას ან დამცინოდნენ და არცთუ იშვიათად, მამცირებდნენ და შეურაცხმყოფდნენ. პოეტების საქმე ისევეა, როგორც გმირებისა და ყოველთა ძლიერთა და მშვენიერთა, მამაცი და გამორჩეული პიროვნებებისა თუ მისწრაფებებისა: წარსულში ისინი შესანიშნავნი არიან. ყველა სახელმძღვანელო ხოტბას ასხამდა მათ, აწმყოსა და სინამდვილეში კი სძულდათ ისინი. მასწავლებლები კი, როგორც ჩანს, მოწოდებულნი და განსწავლულნი არიან საიმისოდ, რომ შეძლებისდაგვარად ხელი შეუშალონ გამორჩეულ, თავისუფალ ადამიანებს და დიად საქმეთა განხორციელებას.

ამგვარად, საკუთარ თავსა და მიზანს შორის გარდა უფსკრულისა, ვერაფერს ვხედავდი, ყველაფერი გაურკვეველი იყო, მხოლოდ ერთი რამ მწამდა მყარად: პოეტი მინდოდა ვყოფილიყავი ყველაფრის მიუხედავად - ადვილი იყო თუ ძნელი, სასაცილო თუ საპატიო. გარეგნული შედეგები ამ გადაწყვეტილებისა - ან უფრო ბედისწერის ნებისა - შემდეგში მდგომარეობდა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ცამეტი წელი შემისრულდა და ის იყო ეს კონფლიქტი იწყებოდა, ჩემი საქციელი როგორც მშობლების სახლში, ასევე სკოლაში, იმდენად ტოვებდა უკეთესის სურვილის შთაბეჭდილებას, რომ გადასახლებაში გამამწესეს სხვა ქალაქის(3) ლათინურ სკოლაში. ერთი წლის შემდეგ თეოლოგიური სემინარიის(4) მსმენელი გავხდი, ვსწავლობდი ძველებრაულ ანბანს და თითქმის უკვე მესმოდა, რას ნიშნავს " Degesch forte implicitum"(5), როცა თავს მოულოდნელად ქარიშხალი დამატყდა, რომელმაც ჩემი სულის სიღრმეებიდან ძალუმად იფეთქა და საბოლოოდ სამონასტრო სკოლიდან(6) გაქცევამდე, კარცერში მძიმე სასჯელამდე და სემინარიასთან დამშვიდობებამდე მიმიყვანა.

გარკვეული პერიოდი ვცდილობდი სწავლა ერთერთ გიმნაზიაში(7) გამეგრძელებინა, მაგრამ იქაც ყოველივე კარცერითა და გამოთხოვებით დასრულდა. შემდგომ ვიყავი შეგირდი წიგნების გამყიდველთან, ისევ გავიქეცი და მშობლებისათვის მეტად შემაშფოთებლად, რამდენიმე დღითა და ღამით გავუჩინარდი. ნახევარი წელი მამას ვეხმარებოდი, წელიწადნახევარი მექანიკურ სახელოსნოში პრაქტიკანტად ვიყავი და კოშკის საათების ქარხანაში ვმუშაობდი.

მოკლედ, ოთხ წელზე მეტ ხანს, რასაც კი ცდილობდნენ ჩემთვის, ყველაფერი უკუღმა მიდიოდა: არც ერთ სკოლას არ სურდა ჩემი ატანა, მე კი არანაირი სწავლების ატანა დიდხანს არ შემეძლო. ნებისმიერი მცდელობა ჩემგან სასარგებლო ადამიანის შექმნისა, ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა, ხშირად სამარცხვინოდ და სკანდალით, გაქცევით ან გარიცხვით. მიუხედავად ამისა, ჩემში აღიარებდნენ კარგ უნარებს და კეთილი ნების გამოვლინებასაც კი ხედავდნენ! გარდა ამისა, თუმცა ყოველთვის გამოვირჩეოდი ჩინებული გულმოდგინებით, - უსაქმურობის კეთილი ზემოქმედება აღტაცებას იწვევდა ჩემში, მაგრამ მასში ვერასოდეს დავოსტატდი. თხუთმეტი წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც სკოლებთან არ გამიმართლა, ცნობიერად და ენერგიულად დავიწყე თვითგანათლება და ჩემდა საბედნიეროდ, აღმოვაჩინე, რომ მამაჩემის სახლში პაპაჩემის დროინდელი უდიდესი ბიბლიოთეკა იყო, რომელიც დიდ ნეტარებას მისახავდა თვალწინ, მთელი დარბაზი სავსე იყო ძველი წიგნებით, რომელთა შორის იყო ისეთებიც, მეთვრამეტე საუკუნის მთელ გერმანულ პოეზიასა და ფილოსოფიას რომ მოიცავდა. თექვსმეტიდან ოც წლამდე არა მხოლოდ გავავსე ქაღალდების გროვა პირველი პოეტური მცდელობებით, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ნახევარიც გადავიკითხე. შეუპოვრად ვმუშაობდი ხელოვნების ისტორიაში, უცხო ენებში, ფილოსოფიაში, რაც ნორმალური სკოლისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა.

შემდეგ წიგნებით მოვაჭრე გავხდი, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარი პურის ფული თავად მეშოვა. წიგნები ასე თუ ისე უფრო მიზიდავდა, ვიდრე ჩარხები და თუჯის კბილანა ბორბლები, რომლებთან მუშაობითაც გაწამებული ვიყავი მექანიკოსობის დროს. თავიდან თითქოს კმაყოფილებით დავცურავდი ახალი და უსასრულო ლიტერატურის ზღვაში და შეიძლება ითქვას, მისგან წალეკილი - ზღვის მონაბერ ტკბობას შევიგრძნობდი. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სულიერ სფეროში მხოლოდ დღევანდელი დღით, ახლითა და უახლესით ცხოვრება აუტანელი და უაზროა, რომ მხოლოდ უწყვეტი კავშირი წარსულთან, ისტორიასთან, ძველთან და უძველესთან, გვაძლევს სულიერი ცხოვრების შესაძლებლობას. და როდესაც ჩემი პირველი კმაყოფილება სრულიად ამოიწურა, გამიჩნდა მოთხოვნილება, სიახლეებით მოყირჭებულს, ძველზე გადავსულიყავი და ავისრულე კიდეც იგი: წიგნების მაღაზიიდან ანტიკვარიატში გადავედი. ამ სამუშაოს ერთგული დავრჩი მანამ, სანამ ის საარსებოდ მესაჭიროებოდა. ოცდაექვსი წლის ასაკში, პირვალი ლიტერატურული წარმატების(8) გამო ეს ხელობაც დავთმე.

და აი, ამჯერად, ამდენი ბობოქრობისა და მსხვერპლის შემდეგ, მიზანი მიღწეული იყო: მე გავხდი პოეტი, რაოდენ აუხდენელ ოცნებადაც არ უნდა მჩვენებოდა იგი - ხანგრძლივი, მწვავე ბრძოლა სამყაროსთან მაინც მოვიგე. მოწაფეობისა და ჩამოყალიბების მწარე წლები, როდესაც ხშირად დაღუპვასთანაც კი ვიყავი ახლოს, დავიწყებას მიეცა და უკვე სიცილს იწვევდა - ახლობლები და მეგობრებიც კი, რომლებიც იმედგაცრუებულნი იყვნენ ჩემით, ახლა მეგობრულად მიღიმოდნენ. მე გავიმარჯვე და ჩემს ყოვლად სულელურ და არაფრად ღირებულ ნაწარმოებებსაც კი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, ისევე როგორც თავად ვიყავი საკუთარი თავით აღფრთოვანებული. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რა საშინელ მარტოობაში ვცხოვრობდი მაშინ და წლიდან წლამდე როგორი საშიშროება მემუქრებოდა. აღიარების საამო ნიავმა თავბრუ დამახვია და ნელ-ნელა თვითკმაყოფილ კაცად ვყალიბდებოდი.

გარეგნულად ჩემი ცხოვრება საკმაოდ კარგა ხანს მშვიდად და სასიამოვნოდ მიედინებოდა. მყავდა მეუღლე, ბავშვები, მქონდა სახლი და ბაღი(9). ვწერდი წიგნებს, ღირსეულ მწერლად ვითვლებოდი და ვცხოვრობდი სამყაროსთან თანხმობაში. 1905 წელს ვეხმარებოდი ჟურნალის დაარსებას, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო ვილჰელმ II-ის პირადი ძალაუფლების წინააღმდეგ, თუმცა სინამდვილეში შინაგანად სერიოზულად არ ვიღებდი ამ პოლიტიკურ მიზანს. მშვენიერი მოგზაურობები მოვაწყვე შვეიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და ინდოეთში. როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზე იყო.

მაგრამ დადგა 1914 წლის ზაფხული და უცებ შინაგანად და გარეგნულადაც ყველაფერი შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი აქამდელი კეთილდღეობა არამყარ ნიადაგზე იდგა და ახლა ცუდი დრო დადგა - დიადი აღზრდის მომენტი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ე.წ. დიად დროს ღირსეულად ან სხვებისგან განსხვავებულად შევხვდი. რაც მაშინ სხვებისგან განმასხვავებდა, იყო იმ დიდი ნუგეშის არქონა, რასაც ყველა განიცდიდა - ეს იყო აღფრთოვანება. ამან მაიძულა საკუთარ თავს დავბრუნებოდი და კვლავ შევსულიყავი კონფლიქტში გარე სამყაროსთან. ისევ სკოლაში მოვხვდი, კვლავ გადავეჩვიე ცხოვრებას სამყაროსთან თანხმობაში და ამ განცდით გადავაბიჯე ცხოვრების ხელდასხმის ზღურბლს.

ვერაფრით ვივიწყებ ერთ პატარა მოვლენას, რომელიც ომის პირველ წელს მოხდა. ერთ დიდ ლაზარეთში მივედი იმ შესაძლებლობის ძიებით, რომ ნებაყოფლობით მეპოვა რაიმე, რითაც ცნობიერად მოვერგებოდი შეცვლილ სამყაროს, რაც მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჯერ კიდევ შესაძლებლად მიმაჩნდა. დაჭრილთა ამ ჰოსპიტალში გავიცანი ერთი მოხუცი მარტოხელა ქალბატონი, რომელიც დალხენილ დროს თავისი კაპიტალის პროცენტებით ცხოვრობდა, ახლა კი ამ ლაზარეთში მომვლელად მუშაობდა. მან ამაღელვებელი აღფრთოვანებით მიამბო, თუ რაოდენ მოხარული და ამაყი იყო, რომ წილად ხვდა ამ დიად დროს მოსწრებოდა. რა თქმა უნდა, მესმოდა მისი, რადგან ამ ქალისათვის ომი გახდა საჭირო, რომ შინაბერას მოშვებული და წმინდა ეგოისტური არსებობა ქმედით და სრულყოფილ ცხოვრებად ქცეულიყო. მაგრამ, როდესაც იგი თავის ბედნიერებაზე მიამბობდა იმ დერეფანში, რომელიც სავსე იყო დაჭრილი და შეხვეული ჯარისკაცებით, იმ დარბაზებს შორის, სადაც უამრავი ამპუტირებული და მომაკვდავი იყო, გული შემიტოკდა. მშვენივრად მესმოდა ამ "დეიდის" აღფრთოვანება, მაგრამ არ შემეძლო მისი გაზიარება და მხარდაჭერა. და რადგან ყოველ ათ დაჭრილზე ერთი ასეთი აღფრთოვანებული მომვლელი მოდიოდა, მაშინ ამ ქალბატონთა ბედნიერება, როგორც ჩანს, საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

არა, მე არ შემეძლო ამ დიადი დროის გამო სიხარულის გაზიარება; ისე მოხდა, რომ ომის დაწყებიდანვე ამ სიხარულს პირადად ჩემთვის საშინელი ტანჯვა მოჰქონდა, მთელი წელი სასოწარკვეთილი თავს ვიცავდი თითქოს გარედან, მოწმენდილი ციდან თავს დატ[illegible]ული უბედურებისგან, მაშინ, როცა ირგვლივ ყველანი ისე [illegible], თითქოს სასიხარულო აღფრთოვანებით იყვნენ აღსავსენი სწორედ ამ უბედურების გამო. და როცა ვკითხულობდი პოეტების საგაზეთო სტატიებს, რომლებშიც ისინი ომის მადლის აღმოჩენაზე საუბრობდნენ, პროფესორთა მოწოდებებს და მთელ რიგ ლექსებს ომზე ცნობილ პოეტთა შემოქმედებიდან, თავს კიდევ უფრო უბედურად ვგრძნობდი.

1915 წლის ერთ დღეს აღმომხდა ამ უბედურების სახალხო აღიარება და სიტყვა დასაგმობი იმის თაობაზე, რომ ე.წ. სულიერი ადამიანებიც კი, სხვას არას ჩადიოდნენ, თუ არა სიძულვილის ქადაგებას, სიცრუის გავრცელებას და დიდი უბედურების ხოტბა-დიდებას. ამ საკმაოდ მოკრძალებულად გამოხატული ჩივილის შედეგი გახლდათ ის, რომ საკუთარი სამშობლოს პრესამ მოღალატედ გამომაცხადა - ეს ჩემთვის სრულიად ახალი განცდა იყო, რადგან მიუხედავად პრესასთან ჩემი მრავალგზის შეხებისა, სახალხოდ განკიცხულის მდგომარეობა ჩემთვის უცხო ხილი იყო. სტატია ზემოთნახსენები ბრალდებებით საკუთარი სამშობლოს ოცმა გაზეთმა გადაბეჭდა და ჩემს თითქოსდა მრავალრიცხოვან მეგობართაგან პრესაში, მხოლოდ ორმა(10) გაბედა ჩემს დასაცავად გამოსვლა. ძველი მეგობრები მეუბნებოდნენ, გველი გაგვიზრდია უბეშიო და იმასაც დასძენდნენ, რომ გულები შემდგომში მხოლოდ იმპერატორისა და რაიხისთვის იძგერებდა და არა ჩემთვის - გადაგვარებულისთვის. ბევრი სალანძღავი წერილი მომდიოდა უცნობებისაგან, წიგნის მოვაჭრეებმა კი მაცნობეს, რომ ასეთი უღირსი მოსაზრებების მქონე ავტორი, მათთვის აღარ არსებობს. ამ წერილთაგან უმრავლესობაზე შევნიშნე ერთი რამ, რასაც ადრე არ ვიცნობდი, მრგვალი შტამპისმაგვარი რამ წარწერით: "ღმერთო, დასაჯე ინგლისი".

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ გაუგებრობის გამო ბევრი ვიცინე, მაგრამ ეს არ შემეძლო. თავისთავად , ამ უმნიშვნელო მოვლენამ შედეგად მეორე დიდი გადატრიალება მოახდინა ჩემს ცხოვრებაში.

გავიხსენოთ: პირველი გადატრიალება იმ მომენტში დაიწყო, როდესაც ჩემში პოეტად გახდომის გადაწყვეტილება მომწიფდა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოფილი სანიმუშო მოსწავლე ჰესე ცუდ მოსწავლედ იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა, დაიწყეს მისი დასჯა, გარიცხვა; ის არსად კარგს არ აკეთებდა, საკუთარ თავსა და მშობლებს საზრუნავს საზრუნავზე უჩენდა. და ეს ყოველივე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გულისხმა იმ სამყაროსთან, რომელიც მას გარს ეკრა იმ სახით, როგორიც ის იყო, ან როგორიც ჩანდა, შერიგების შესაძლებლობას ვერ ხედავდა. ყოველივე ეს ახლა, ომის წლებში, ხელახლა განმეორდა. კვლავ აღმოვჩნდი სამყაროსთან კონფლიქტში, იმ სამყაროსთან, რომელთან ერთადაც მანამდე თანხმობით, მშვიდად ვცხოვრობდი. ისევ არაფერში მიმართლებდა, ისევ გულსაკლავად მარტო დავრჩი. ყოველივე, რასაც ვამბობდი ან ვფიქრობდი, ისევ გაუგებარი იყო სხვებისთვის და მტრულად მიცქერდნენ. სინამდვილესა და ჩემთვის სასურველს შორის ისევ უიმედო უფსკრულს ვხედავდი.

ამჯერად თვითანალიზს ვერ გადავურჩი. დიდი დრო არ გასულა, რაც გამიჩნდა მოთხოვნილება, საკუთარ ვნებათა მიზეზი გარეთ კი არა, ჩემში, შიგნით მეძებნა. რადგანაც ერთი რამე გავიაზრე: არა აქვს უფლება არც ერთ ადამიანს, არც ღმერთს და მე მით უმეტეს, რომ ბრალი დასდოს მთელ სამყაროს შეშლილობასა და სისასტიკეში. მაშასადამე, თავად ჩემში უნდა ყოფილიყო რაღაც უწესრიგობა, რადგანაც მთელ სამყაროსთან ამგვარ კონფლიქტში აღმოვჩნდი, და უდიდესი ქაოსი მართლაც სახეზე იყო. არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებდა, ეს უწესრიგობა მომეთოკა და რაიმე წესრიგით შემეცვალა საკუთარ თავში. პირველ რიგში გაირკვა, რომ ის კეთილგანწყობა, რაც მე გარესამყაროსთან მაკავშირებდა, არა მარტო ძვირად მიღირდა. ის ისევე დალპა, როგორც გარეგნული მშვიდობა მსოფლიოში. მჯეროდა, რომ სიყმაწვილეში გამოვლილი მძიმე და ხანგრძლივი წინააღმდეგობებით მოვიპოვე ადგილი სამყაროში და პოეტობის უფლებაც. ამასობაში წარმატებამ და კეთილდღეობამ ჩემზე ჩვეულებრივ იმოქმედა: ვცხოვრობდი კმაყოფილებაში, გავზულუქდი და როცა საკუთარ თავს უფრო ყურადღებით დავაკვირდი, ძნელი გასარჩევი გახდა ნამდვილი პოეტი გამრთობი მწერლისაგან. ზედმეტად კარგად ვიყავი. ახლა კი ცუდად ყოფნაზე, რომელიც ყოველთვის კარგი და ენერგიული სკოლაა, უშურველად იზრუნეს და ამგვარად, სულ უფრო ვსწავლობდი მეცლია ცხოვრებისათვის საკუთარი სვლით ევლო და იმაზე ფიქრიც შევძელი, თუ რა წვლილი მედო თავად ამ საყოველთაო არეულობასა და დანაშაულში. მკითხველისთვის მიმინდია ამ თავსატეხის შედეგების ჩემს ნაწარმოებებში ამოკითხვა. მაინც მრჩება იდუმალი იმედი, რომ დროთა განმავლობაში ჩემი ხალხი, ყველა არა, მაგრამ ბევრი ფხიზელი და პასუხისმგებლობით სავსე ადამიანი, განახორციელებს მსგავს ანალიზს და ომის გამო ჩივილისა და ლანძღვის ნაცვლად, - ასევე ბოროტი მტრებისა და ბოროტი რევოლუციის გამო, - ათასობით გულები საკუთარ თავს დაუსვამენ კითხვას: როგორ გავხდი მე ყოველივე ამის თანამონაწილე? და როგორ ძალმიძს კვლავ უდანაშაულო გავხდე? რადგან ყოველთვის შეიძლება მოიხსნა დანაშაული, თუ გააცნობიერებ და ბოლომდე აიტან, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაული სხვას გადააბრალო.

როცა ახალმა შემობრუნებამ ჩემს ნაწარმოებებსა და ცხოვრებაში თავი იჩინა, ბევრი ჩემი მეგობარი თავს აქნევდა. ბევრმა მიმატოვა კიდეც. ყოველივე ეს ჩემი ცხოვრებისეული სურათის შეცვლას მოასწავებდა, ისევე როგორც სახლის, ოჯახისა და სხვა სიამეთა დაკარგვას. ეს ის დრო იყო, როდესაც ყოველდღიურად რაღაცას ვემშვიდობებოდი, თან გაოცებული ვიყავი, თუ როგორ შემეძლო გადამეტანა ყოველივე ეს და ისევ ცოცხალი დავრჩენილიყავი; ამ უცნაურ ცხოვრებაში კიდევ მყვარებოდა რაღაც, რასაც ჩემთვის ეტყობა მხოლოდ ტკივილი, გაცრუება და დანაკარგი მოჰქონდა.

სხვათა შორის, ყველაფერი რომ კვლავ აღმედგინა, ომის წლებშიც კი თითქოს თან მსდევდა კეთილი ვარსკვლავისა თუ მფარველი ანგელოზის მსგავსი რამ. სანამ საკუთარი მტანჯველი ვნებით შეპყრობილი თავს მარტოსულად ვგრძნობდი, შემობრუნების დაწყებამდე საკუთარ ბედისწერას საათობით ვგმობდი და უბედურად მივიჩნევდი მას. სწორედ ჩემი ეს ტანჯვა-წამება და მის ტყვეობაში ყოფნა გამოდგა მცველი და ჯავშანი გარე სამყაროსაგან. ომის წლები საშინელ პოლიტიკურ გარემოში გავატარე; შპიონაჟის, მოსყიდვის, კონიუნქტურული ოინების გარემოცვაში, რომლებიც იმ დროისთვისაც კი ესოდენ კონცენტრირებული სახით გვევლინებოდნენ ერთმანეთის გვერდით დედამიწის მხოლოდ მცირე მონაკვეთზე, კერძოდ ბერნში - გერმანულ, ნეიტრალურ და მტრული დიპლომატიის გარემოცვაში. ქალაქში, რომელიც თვალის დახამხამებაში გადაიტვირთა მოსახლეობით; პირველ რიგში დიპლომატებით, პოლიტიკური აგენტებით, ჯაშუშებით, შემსყიდველებითა და გადამყიდველებით. მე დიპლომატებსა და სამხედროებს შორის ვცხოვრობდი; ამათ გარდა ურთიერთობა მქონდა ძალიან ბევრ, მათ შორის მტრული ქვეყნების წარმომადგენელ ხალხთან. ჰაერი ჩემს ირგვლივ შპიონაჟისა და კონტრშპიონაჟის, პროვოკაციისა და ინტრიგის, პოლიტიკური და პირადი მოღვაწეობისაგან ნაქსოვ ბადეს წარმოადგენდა - მე კი მთელი ამ წლების განმავლობაში ყოველივე ეს ვერ შევნიშნე! თურმე მისმენდნენ, მაპროვოცირებდნენ, მჯაშუშობდნენ, ჩემში ეჭვი შეჰქონდათ მტრებს, ნეიტრალებს, ზოგჯერ თანამემამულეებსაც, მე კი ყოველივე ამას ვერ ვამჩნევდი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ვიგებდი ხან ერთ, ხან მეორე ნიუანსს ამ ამბებიდან და არ მესმოდა, როგორ შემეძლო ამგვარ ატმოსფეროში ხელუხლებლად და ყოვლად უვნებლად მეცხოვრა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს მე გამომივიდა.

ომის დამთავრებასთან ერთად, ერთმანეთს დაემთხვა ჩემი გადატრიალების დასასრული და მტანჯველ ვნებათა კულმინაცია. ჩემი ეს ვნებანი უკვე აღარ იყო დამოკიდებული არც ომზე და აღარც სამყაროს ბედზე, გერმანიის დამარცხებაც კი, რომელსაც ჩვენ, ემიგრანტები უკვე ორი წელი ველოდით, იმ მომენტში საშინელებად აღარ გვეჩვენებოდა. მე მთლიანად საკუთარ თავში, ჩემს ბედისწერაში ჩავიძირე, თუმცა იმის შეგრძნებით, რომ საქმე მთელი კაცობრიობის ბედს ეხება. კვლავ აღმოვაჩინე ჩემში: ომის წყურვილი, მთელი სამყაროს მიერ ტკბობა მკვლელობით, მთელი მისი ქარაფშუტობა, უხეში ავხორცობა და სილაჩრე, ისევ დავკარგე საკუთარი თავისადმი პატივისცემა. შემდეგ განვაგდე უპატივცემლობა საკუთარი თავისა და სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, თუ არა ის, რომ ბოლომდე მედევნებინა თვალი ამ ქაოსისათვის: ხან იმედით, ხანაც სასოწარკვეთით, რათა ამ ქაოსის მეორე მხარეს ისევ მეპოვა ცოცხალი ბუნება და

ეროვნული

უმანკოება. ყოველი ფხიზელი და მართალი ცნობიერებისათვის მოსული კაცი ერთხელ ან რამდენჯერმე აუცილებლად გაივლის ამ ვიწრო ბილიკს უდაბნოში - სხვებთან ამაზე საუბარი კი ამაო გარჯა იქნებოდა.

როდესაც მეგობრები მღალატობდნენ, ზოგჯერ ვნაღვლობდი, მაგრამ დისკომფორტს არ განვიცდიდი, ამას უფრო როგორც ჩემს მიერ არჩეული გზის დადასტურებას, ისე აღვიქვამდი. ის ძველი მეგობრები ალბათ მართლებიც იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ ადრე ესოდენ სიმპათიური ადამიანი და პოეტი ვიყავი, საკუთარი პრობლემების გადაჭრისას კი, ახლა, უბრალოდ აუტანელი გავხდი. გემოვნებისა და ხასიათის საკითხებზე იმ დროისათვის უკვე კარგა ხანია აღარ ვმსჯელობდი, არავინ იყო ირგვლივ, ვისაც ჩემი ენა ესმოდა. მეგობრები ალბათ არც ცდებოდნენ, როცა მსაყვედურობდნენ, რომ ჩემს ნაწარმოებებს მშვენიერება და ჰარმონია დაეკარგათ. ამგვარი სიტყვები მხოლოდ სიცილს მგვრის - რა არის მშვენიერება, ჰარმონია მისთვის, ვინც სასიკვდილოდ არის განწირული, რომელიც ჩამოქცეულ კედლებს შორის დარბის საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად? იქნებ საკუთარი ცხოვრებისეული რწმენის წინააღმდეგაც ვიყავი ამხედრებული და არა პოეტი. იქნებ ესთეტიკურ სფეროში მთელი ჩემი მოღვაწეობა მხოლოდ დაბნეულობა იყო? რატომაც არა, მაგრამ ესეც აღარ იყო მნიშვნელოვანი.

მათგან უმრავლესობა, რაც საკუთარ თავში ჯოჯოხეთური მოგზაურობიდან შემრჩა, იყო მხოლოდ თავბრუსხვევა და არაფერი ღირებული, ან იქნებ სულაც ილუზია საკუთარი მოწოდების ან კიდევ ნიჭისა. მაინც რაოდენ უმნიშვნელო იყო ყოველივე ეს! ისიც კი, რასაც ოდესღაც სავსე პატივმოყვარეობითა და ბავშვური სიხარულით საკუთარ მოწოდებად ვთვლიდი, სადღაც გამქრალიყო. ჩემს ამოცანას და უფრო მეტად ჩემს გზას გადარჩენისაკენ კარგა ხანია უკვე ლირიკაში, ფილოსოფიაში ან კიდევ რომელიმე სპეციალურ სფეროში როდი ვხედავდი, არამედ იმაში, რომ ნება მიმეცა საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა იმ მცირედსა და ძლიერს, რაც კიდევ იყო ჩემში, მხოლოდ უტყუარ ერთგულებას იმისადმი, რაც კიდევ ფეთქავდა ჩემს შიგნით. ეს იყო სიცოცხლე, ეს იყო ღმერთი. მას შემდეგ, რაც ამაღლებული და სიცოცხლისათვის საშიში დაძაბულობის პერიოდი ჩაივლის, ყველაფერი უცნაურად სხვაგვარად გამოიყურება, იმიტომ, რომ წარსულ ვითარებათა შინაარსი და სახელები დღეს მნიშვნელობადაკარგულია და გუშინდელი სიწმინდეები დღეს შესაძლოა სასაცილოდაც ჟღერდეს.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ომი ბოლოს და ბოლოს ჩემთვისაც დამთავრდა, შვეიცარიის ერთ მივარდნილ კუთხეში გავემგზავრე და განდეგილად ვიქეცი. იმის გამო, რომ მთელი ცხოვრება (ეს იყო მემკვიდრეობა მშობლებისგან და წინაპართაგან(11)) ძალიან ვიყავი ინდური და ჩინური სიბრძნით დაკავებული და ჩემს ახალ განცდებს ზოგჯერ აღმოსავლურად ხატოვანი ენით გამოვხატავდი, ხშირად "ბუდისტს" მეძახდნენ, რაზეც მხოლოდ მეცინებოდა, რადგან, კაცმა რომ თქვას, არც ერთი მოძღვრებისაგან არ ვყოფილვარ ისე შორს, როგორც ამისაგან. და მაინც, რაღაც იყო აქ მართალი, ჭეშმარიტების მარცვალი იმალებოდა მასში, რაც მხოლოდ მოგვიანებით შევნიშნე. რომ შეიძლებოდეს რელიგიის არჩევა, მაშინ ჩემი შინაგანი მისწრაფებით, აუცილებლად რომელიმე კონსერვატორულ რელიგიას მივაკუთვნებდი თავს: კონფუციზმს, ბრაჰმანიზმს ან რომაულ ეკლესიას. ამას ჩავიდენდი საწინააღმდეგო პოლუსისაკენ მიდრეკილების გამო და არა იმის გამო, რადაც დავიბადე, რადგან ღვთისმოსავ პროტესტანტთა ვაჟად არა თუ შემთხვევით გავჩნდი, არამედ ბუნებითაც ვარ პროტესტანტი (რასაც ჩემი უდიდესი ანტიპათია დღევანდელი პროტესტანტული აღმსარებლობისადმი არანაირად არ ეწინააღმდეგება). რადგანაც ჭეშმარიტი პროტესტანტი ეწინააღმდეგება საკუთარ ეკლესიას, ისევე როგორც სხვას და ამას საკუთარი არსება კარნახობს ქმნადობას სცეს თაყვანი და არა ყოფნას. ამ გაგებით კი, ბუდაც პროტესტანტი იყო.

რწმენა ჩემი პოეტობისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ფასეულობის შესახებ, ზემოხსენებული შემობრუნების შემდეგ, სრულიად გამიქრა. წერა უკვე ნამდვილ სიხარულს აღარ მგვრიდა. მაგრამ ადამიანს უნდა გააჩნდეს სიხარული და მეც, ჩემი ყოველგვარი გაჭირვების პირობებში, ამის პრეტენზია მქონდა. შემეძლო სამართლიანობაზე, გონიერებაზე, სამყაროში ცხოვრების არსზე მეთქვა უარი. ვხედავდი, რომ ეს სამყარო მშვენივრად ახერხებს ყოველგვარ ამ აბსტრაქციათა გარეშე არსებობას - მაგრამ მცირედ სიხარულზე უარს ვერ ვიტყოდი და ამ პატარა სიხარულის მოთხოვნა ამჯერად ერთი იმ პატარა ნაპერწკალთაგანი იყო, რისაც ჯერ კიდევ მჯეროდა და რომლისგანაც სამყაროს ხელახლა შექმნას ვიმედოვნებდი. ხშირად სიხარულს, ოცნებას, დავიწყებას ბოთლ ღვინოში ვეძებდი და ძალიან ხშირად მშველოდა კიდეც, რის გამოც ის ხოტბას იმსახურებს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. და აი, საოცრება! ერთ მშვენიერ დღეს სრულიად ახალი სიხარული აღმოვაჩინე. უკვე ორმოცი წლის ასაკში ხატვა დავიწყე. იმიტომ არა, რომ თავი მხატვრად მიმაჩნდა ან მსურდა ვყოფილიყავი. მაგრამ ხატვა არაჩვეულებრივია, იგი სიხარულს განიჭებს და მოთმინებით აღგავსებს. ხატვის შემდეგ გაქვს არა შავი თითები, როგორც წერის შემდეგ, არამედ - წითელი და ლურჯი. ამ მხატვრობამაც განარისხა ბევრი ჩემი მეგობარი. ამ მხრივ ბედი არ მწყალობს - ყოველთვის, როდესაც რაიმე საჭიროს, ბედნიერს ან მშვენიერს წამოვიწყებ, ხალხი უსიამოვნოდ იჭმუხნება. მათ მხოლოდ სურთ, დარჩე ის, რაც იყავი და საკუთარი სახე არ შეიცვალო. მაგრამ ჩემი სახე ამას ეწინააღმდეგება, მას სურს ხშირი ცვალებადობა, ეს მისი მოთხოვნილებაა.

მეორე საყვედური, რომელსაც მიყენებენ, სრულიად სამართლიანად მეჩვენება: მე მართლაც მღალატობს ხოლმე სინამდვილის აღქმის უნარი. როგორც ნაწარმოებები, რომლებსაც ვწერ, ასევე ნახატები, მე რომ ვხატავ, არ შეესაბამება სინამდვილეს. თხზვის დროს ხშირად მავიწყდება ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც განათლებული მკითხველი ნამდვილ წიგნს უყენებს. უპირველეს ყოვლისა, მართლაც მაკლია პატივისცემა სინამდვილისადმი. ვფიქრობ, სინამდვილე ეს ისეთი რამაა, რაზეც ყველაზე ნაკლებად უნდა ვიზრუნოთ, რადგანაც ის საკმაოდ აბეზარია, სულ აქ არის, მაშინ, როცა უფრო მშვენიერი საჭირო რამეები ითხოვენ ჩვენ ყურადღებას და მზრუნველობას. სინამდვილე არის ის, რითაც არანაირ ვითარებაში არ შეიძლება კმაყოფილი იყო, რომელსაც არანაირ სიტუაციაში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა სცემდე თაყვანს და არ უნდა ადიდებდე, რადგან ის შემთხვევითობაა, - ცხოვრების ნარჩენი. და ეს საცოდავი, ყოველთვის იმედის გამცრუებელი, უსიხარულო სინამდვილე სხვა არანაირად არ შეგვიძლია შევცვალოთ, თუ არა ისე, რომ უარვყოთ იგი, რათა ვაჩვენოთ, რომ მასზე ძლიერი ვართ.

ჩემს ნაწარმოებებში ხშირად მოისაკლისებენ ჩვეულებრივ პატივისცემას სინამდვილისადმი: როდესაც მე ვხატავ, ხეებს სახეები აქვთ, სახლები კი იცინიან ან ცეკვავენ ან კიდევ ტირიან, ხოლო ჩემს მიერ დახატული ხე მსხლისაა თუ წაბლის, ამის გარჩევა ძირითადად შეუძლებელია. ეს საყვედური მართლაც უნდა მივიღო. უნდა ვაღიარო, რომ საკუთარი ცხოვრებაც ხშირად სწორედ ზღაპარივით მეჩვენება, გარე სამყაროს ხშირად ჩემს შინაგან სამყაროში ვხედავ და ვგრძნობ იმგვარ ურთიერთკავშირსა და თანხმობას, რასაც მე მაგიურს ვუწოდებდი.

ზოგჯერ სისულელეებიც მომდის, მაგალითად ერთხელ საკმაოდ უწყინარი აზრი გამოვთქვი ცნობილი პოეტის, შილერის შესახებ, რის გამოც მაშინვე მთელმა სამხრეთ-გერმანულმა კეგლის კლუბებმა მშობლიურ სიწმინდეთა შემბღალავად გამომაცხადეს. ამჟამად კი, უკვე წლების განმავლობაში, ვახერხებ აღარ ვთქვა ისეთი რამ, რაც სიწმინდეებს შეურაცხყოფს და ადამიანები რისხვისაგან გაწითლდებიან. ამ მხრივ წინსვლას ნამდვილად ვამჩნევ.

რადგანაც ახლა ეგრეთწოდებული სინამდვილე ჩემთვის დიდ როლს არ ასრულებს, რადგანაც წარსული ხშირად ახლანდელივით მავსებს და ახლანდელი კი უსაზღვროდ შორს მეჩვენება, ამიტომ მაინცდამაინც არც მომავლის მკვეთრად გამოცალკევება შემიძლია წარსულისაგან, როგორც ამას ჩვეულებრივ ახერხებენ. ძალიან ბევრს ვცხოვრობ მომავალში და ამდენად არ ვსაჭიროებ ჩემი ბიოგრაფიის დღევანდელი დღით დასრულებას, არამედ თავისუფლად შემიძლია მას მშვიდად გაგრძელება ვაცადო.

მოკლედ, მინდა გიამბოთ, და ჩემი ცხოვრების რკალი მთლიანად შევკრა. 1930 წლის წინამორბედ წლებში კიდევ დავწერე რამდენიმე წიგნი, რათა ამ საქმიანობისთვის შემდგომ სამუდამოდ ზურგი მექცია. საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ჩემი პოეტებისადმი მიკუთვნება, განხილულ იქნა ორი ბეჯითი ახალგაზრდის დისერტაციაში, მაგრამ პასუხგაუცემელი კი დარჩა. უახლესი ლიტერატურის დაწვრილებითი გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ფლუიდები, რომელსაც უახლოეს დროში პოეტები შეისწავლიან, ისეთ გაფერმკრთალებულ ფორმას იღებენ, რომ უკვე შეუძლებელი ხდება განსხვავების დადგენა პოეტსა და ლიტერატორს შორის. ამ ობიექტური ანალიზის საფუძველზე ორივე დოქტორანტი მაინც საწინააღმდეგო დასკვნამდე მივიდა. ერთ-ერთი, უფრო სიმპათიური, იმ აზრისა იყო, რომ მსგავსი სასაცილოდ შეთხელებული პოეზია უკვე აღარ წარმოადგენს პოეზიას. და რადგანაც უშინაარსო ლიტერატურა აღარ არის სიცოცხლისუნარიანი, იმის თანახმად, თუ რას ეძახიან ჩვენს დროში პოეზიას, თავისუფლად შეგვეძლო მისთვის მშვიდი სიკვდილით განსვენება გვეცლია. მეორე უდაოდ დიდი თაყვანისმცემელი იყო ამგვარად შეთხელებული პოეზიისაც კი, და ამის გამო თვლიდა, რომ, სიფრთხილისათვის, უმჯობესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცნო ასი არაპოეტი, ვიდრე უსამართლოდ მოექცე თუნდაც ერთ პოეტს, ვის ძარღვებშიაც შესაძლოა კიდევ ჩქეფს თუნდაც ერთი წვეთი ჭეშმარიტი პარნასული სისხლისა.

მე ძირითადად ხატვითა და ჩინური მაგიით ვიყავი დაკავებული, თუმცა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ დროს ვუთმობდი მუსიკას. მოგვიანებით ჩემ პატივმოყვარე ოცნებად იქცა, დამეწერა რაღაც, ოპერის მსგავსი, რომელშიც ადამიანთა ცხოვრების ეგრეთ წოდებული სინამდვილე ზედმეტად სერიოზულად არ აღიქმებოდა, ცოტა დამცინავადაც კი, სამაგიეროდ იბრწყინებდა თავისი მარადიული ფასეულობებით, როგორც სურათ-ხატი ღვთაების ფრიალა სამოსისა. ცხოვრების მაგიური აღქმა ყოველთვის ახლოს იყო ჩემთან, არასოდეს ვყოფილვარ "თანამედროვე ადამიანი" და მუდამ ვთვლიდი ჰოფმანის "ოქროს ქოთანს" ან სულაც "ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენს"(12) საუკეთესო სახელმძღვანელოებად, მთელ მსოფლიო ისტორიასა და საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოებთან შედარებით (მართალია, მათშიც არაერთხელ ვპოულობდი აღმაფრთოვანებელ ნააზრევს). ახლა კი ჩემს ცხოვრებაში ის პერიოდი დაიწყო, როცა უკვე აზრი აღარა აქვს, აშენო და უფრო დაანაწევრო უკვე ფორმირებული და საკმარისზე მეტად დიფერენცირებული პიროვნება. მაშინ, როცა თავს იჩენს ამოცანა, რათა ადამიანის ფასეულ "მე"-ს სამყაროში კვლავ დაშვების ნება მივცეთ და საკუთარი თავი სწრაფწარმავალი ყოფიერების წინაშე მარადიულ და უჟამო წესრიგში კვლავ ჩავაყენოთ, ამ აზრების თუ ცხოვრებისეული განწყობების გამოსახატავ საშუალებად მხოლოდ ზღაპარი მესახებოდა, ხოლო ზღაპრის უმაღლეს ფორმად ოპერას ვხედავდი. შესაძლოა იმიტომ, რომ ჩვენს გაუფასურებულ და სასიკვდილოდ განწირულ ენაში სიტყვის მაგიისა ნამდვილად აღარ მჯეროდა, მაშინ, როცა მუსიკა ჯერ კიდევ ხე-ცხოვლად მიჩნდა, რომლის ტოტებმა დღესაც შეიძლება სამოთხის ვაშლები გამოისხან. მსურდა ის მეჩვენებინა ჩემს ოპერაში, რაც ნაწარმოებებში ვერ შევძელი: ადამიანთა ცხოვრებისათვის, მაღალი და მომხიბლავი აზრი დამესახა. მსურდა ხოტბა შემესხა ბუნების უმწიკვლოებისა და ამოუწურავი ენერგიისადმი და მსვლელობის განვითარება იქამდე მიმეყვანა, როდესაც იგი გარდაუვალი ტანჯვა-წამებისაგან იძულებულია სულს მიმართოს, შორეულ საპირისპირო პოლუსს, ხოლო ცხოვრების ქროლვა ორივე პოლუსს - ბუნებასა და სულს შორის მხიარულად, კეკლუცად, მთელი სრულყოფილებით ამესახა, როგორც გადაშლილი ცისარტყელა.

სამწუხაროდ, ამ ოპერის დასრულება არ დამცალდა. მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ჩემს ნაწარმოებებს. ლიტერატურა მას შემდეგ დავთმე, რაც ვნახე, რომ ყოველივე, რისი თქმაც მნიშვნელოვნად მიჩნდა, ათასჯერ უფრო ნათლად უკვე ნათქვამი იყო "ოქროს ქოთანსა" და "ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენში", ვიდრე ამას მე შევძლებდი. ასევე დაემართა ჩემს ოპერასაც. სწორედ მაშინ, როდესაც დავასრულე მუსიკაში მეცადინეობის რამდენიმეწლიანი მოსამზადებელი პერიოდი და ლიბრეტო, როგორც ნაწარმოების აზრისა და შინაარსის უფრო დამაჯერებლად წარმოჩენის საშუალება მრავალრიცხოვან ძიებაში, უცებ მივხვდი, რომ ჩემს ოპერაში სხვა არაფრის გადმოცემას ვცდილობდი, გარდა იმისა, რაც "ჯადოსნურ ფლეიტაში" უკვე კარგა ხანია, მშვენივრად არის გაჟღერებული.

ამის გამო ეს სამუშაო გვერდზე გადავდე და თავი მთლიანად პრაქტიკულ მაგიას მივუძღვენი. თუ ჩემი ოცნება ხელოვნებაზე თავისმოტყუება იყო, თუ არ შემეძლო არც "ოქროს ქოთნისა" და არც "ჯადოსნური ფლეიტის" შექმნა, მაშ ჯადოქრობისთვის ხომ მაინც ვიყავი დაბადებული. ლაო ძისა და "ი-ძინის"(13) აღმოსავლურ გზაზე უკვე იმდენად შორს ვიყავი წასული, რომ მშვენივრად ვიცნობდი ეგრეთ წოდებული სინამდვილის შემთხვევითობებსა და გარდაქმნებს. ამჯერად თვითონ განვაგებდი ამ სინამდვილეს მაგიის დახმარებით და, უნდა ვაღიარო, ამისგან დიდ სიამოვნებასაც ვიღებდი. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის როდი ვრჩებოდი ეგრეთ წოდებული თეთრი მაგიის მშვენიერ ბაღში, არამედ დროდადრო გადმომქონდა ცხოველი ცეცხლის პატარა ალი შავი მხრიდანაც.

მას შემდეგ, რაც სამოცდაათს გადავაბიჯე, და რაც ორმა უნივერსიტეტმა ღირსების ნიშნად საპატიო დოქტორის წოდება მომანიჭა, სასამართლოს წინაშე წარვდექი ჯადოქრობის მეშვეობით ახალგაზრდა გოგონას ცდუნების ბრალდებით. ციხეში ხატვის ნებართვა ვითხოვე. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს. მეგობრებმა საღებავები და ხატვისთვის საჭირო აღჭურვილობა მომიტანეს და ჩემი საკნის კედელზე დავხატე პატარა ლანდშაფტი. ამგვარად კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ხელოვნებას, და ყველა ბეწვის ხიდი, რომლის გავლაც მე მომიხდა როგორც ხელოვანს, ხელს ველარ შემიშლიდა, კიდევ ერთხელ შემესვა ეს სასმისი, მოთამაშე ბავშვივით კიდევ ერთხელ ამეშენებინა პატარა, საყვარელი, თამაშის სამყარო და ამით დამეოკებინა გული, კიდევ ერთხელ შორს მომესროლა ყოველგვარი სიბრძნე და აბსტრაქცია და ქმნადობის პრიმიტიული ხალისი განმეცადა. ისევ ვხატავდი, ვაზავებდი საღებავებს, ფუნჯს ვაწობდი მათში, კიდევ ერთხელ ალტაცებით ვიგემე ყოველივე ეს უსასრულო ჯადოქრობა: მეწამულის ნათელი, მხიარული ჟღერადობა, სიწმინდით სავსე ყვითელი, ღრმა და ხელშესახები ლურჯი და მათი ნაზავის მუსიკა შორეულ, უფერმკრთალეს ნაცრისფერამდე. ბავშვურად ბედნიერი მივსდევდი შესაქმის თამაშს, ვხატავდი რა ლანდშაფტს ჩემი საკნის კედელზე. ეს ლანდშაფტი ყოველივე იმას შეიცავდა, რაც კი მახარებდა ცხოვრებაში: მდინარეები და მთები, ზღვა და ღრუბლები, გლეხები მოსავლის აღებისას და კიდევ მთელი რიგი მშვენიერი რამეებისა, რაც სიამოვნებას მგვრიდა. სურათის შუაგულში კი მატარებელი გადიოდა. იგი მთისკენ მიემართებოდა და მთაში შედიოდა, ძვრებოდა, როგორც ჭია ვაშლში. ორთქლმავალი უკვე პატარა გვირაბში იყო შესული, რომლის ბნელი სიმრგვალიდან ბოლქვებად დანაწევრებული კვამლი ამოდიოდა.

ჯერ არასდროს გავუტაცივარ თამაშს ისე, როგორც ამჯერად. ხელოვნებაში ამგვარი დაბრუნებით მე არა მხოლოდ დავივიწყე, რომ პატიმარი და ბრალდებული ვიყავი, რომ მცირე იმედი მქონდა, დარჩენილი ცხოვრება სადმე სხვაგან გამეტარებინა საპყრობილეს გარდა, - ხშირად მავიწყდებოდა ჩემი მაგიური სავარჯიშოებიც კი და თავს უკვე საკმაოდ დიდ ჯადოქრად ვგრძნობდი, როდესაც წვრილი ფუნჯით პაწაწინა ხეს ან ნამცეცა ნათელ ლამაზ ღრუბელს ვქმნიდი.

ამასობაში, ეგრეთ წოდებული სინამდვილე, რომელთანაც მართლაც აღარაფერი მაკავშირებდა, ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველნაირად ცდილობდა მასხრად აეგდო ჩემი ოცნება და გაენადგურებინა იგი. თითქმის ყოველდღე ბადრაგის თანხლებით გავყავდი უაღრესად უსიმპათიო ოთახში, რომლის ცენტრშიც მიმოფანტულ ფურცლებს შორის ისხდნენ არასიმპათიური ადამიანები, რომლებიც დამკითხავდნენ, თან არ სურდათ ჩემი დაჯერება; მიყვიროდნენ და ხან სამი წლის ბავშვივით მეპყრობოდნენ, ხან კი - როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს. სულაც არ არის საჭირო ბრალდებული იყო, რომ გაიცნო კანცელარიის უცნაური, მართლაც კოშმარული ქაღალდების და აქტების სამყარო. ყველა იმ ჯოჯოხეთს შორის, რომელიც კი ადამიანს - რაც არ უნდა უცნაური იყოს - საკუთარი თავისთვის შეუქმნია, ეს ყოველთვის ყველაზე უფრო ჯოჯოხეთურად მეჩვენებოდა. საკმარისია დაგჭირდეს სადმე გადასვლა ან დაქორწინება გსურდეს, პასპორტი ან მოქალაქეობის მოწმობა მოითხოვო, უკვე ამ ჯოჯოხეთის შუაგულში დგახარ; იძულებული ხარ, მძიმე წუთები გაატარო დახურულ სივრცეში ქაღალდებით გარემოცულმა, სადაც მოწყენილი და მაინც მოფაციფუცე, უსიხარულო ადამიანები დაგკითხავენ და გიყვირიან, სადაც, რაც არ უნდა უბრალოდ და მართლად უპასუხო, მაინც ისე მოგექცევიან, როგორც სკოლის მოსწავლეს ან დამნაშავეს. მოკლედ, ეს ხომ ყველასათვის ნაცნობია. მე უკვე კარგა ხნის დამხრჩვალი და გამოფიტული ვიქნებოდი ამ ქაღალდის ჯოჯოხეთში, ჩემს საღებავებს სულ უფრო და უფრო რომ არ ვენუგეშებინე და გავეხალისებინე, ჩემს სურათს, ჩემს პატარა ლანდშაფტს ისევ ჰაერი და სიცოცხლე რომ არ ებოძებინა.

ერთხელაც, საპყრობილეში სურათის წინ ვიდექი, როდესაც ბადრაგები ისევ მოცვივდნენ თავისი მოსაწყენი გამოძახებით მოსამართლესთან და ჩემი ამ აღტაცებული საქმიანობისაგან მოწყვეტა სურდათ. მაშინ დაღლილობა ვიგრძენი და რაღაც გულისრევის მსგავსი რამ მთელი ამ უხეში და უსულო სინამდვილისადმი. მომეჩვენა, დრო მოვიდა, რომ ამ წამებისათვის წერტილი დამესვა. რადგან ნებას არ მრთავდნენ ხელის შეუშლელად, ყოვლად უწყინარი მხატვრის ჩემეული თამაში მეთამაშა, მაშინ სწორედ იმ უფრო სერიოზული ხელოვნებისათვის უნდა მიმემართა, რომელსაც ცხოვრების არაერთი წელი მივუძღვენი, მაგიის გარეშე ეს სამყარო აუტანელი იყო.

გავიხსენე ერთ-ერთი ჩინური შეგონება: ერთი წუთის განმავლობაში სუნთქვაშეკრული ვიდექი და გამოვეთიშე სინამდვილის დაბნეულობას. შემდეგ კი ბადრაგებს თავაზიანად ვთხოვე, ცოტა ხანს კიდევ მოეცადათ, რადგან ჩემს სურათზე მატარებელში უნდა ჩავმჯდარიყავი და იქ რაღაც მენახა. მათ გადაიხარხარეს, როგორც იციან ხოლმე, რადგან სულიერ ავადმყოფად ჩამთვალეს.

შემდეგ მე დავპატარავდი და ჩემს ნახატში შევედი(14), ჩავჯექი პატარა მატარებელში და ამ პატარა მატარებლით პატარა შავ გვირაბში შევედი. ცოტა ხანს კიდევ მოჩანდა მრგვალი ხვრელიდან გამონაბოლქვი კვამლი. შემდეგ კვამლი გაიფანტა და გაქრა. მასთან ერთად გაქრა მთელი სურათი და სურათთან ერთად - მეც.

ბადრაგები კი დაბნეულობისაგან ადგილზე გახევდნენ.

*გერმანულიდან თარგმნა*
*რუსუდან ბეჟაშვილმა*

## შენიშვნები

(1). თავად ავტორის თქმით, მან ეს ბიოგრაფია დაწერა იმ მეგობრებისათვის, ვისთვისაც მისი ცხოვრება იგი გამოცანას წარმოადგენდა. თხრობისას იგი მსუბუქ ირონიულ სტილს ირჩევს.

(2). ალბათ ლაპარაკია მეხუთე მცნებაზე ძვ.აღთქმიდან: "პატივი ეც მამასა და დედასა შენსა".

(3). 1890 წლის თებერვლიდან 1891 წლის მაისამდე ჰესე გამოცდებისთვის უკეთ მოსამზადებლად გიოპინინგენის ლათინურ სკოლაში დადიოდა.

(4).გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჰესე ჩაირიცხა მაულბრონის სემინარიაში 1891 წლის ივლისში, სადაც 1892 წლის მარტამდე დაჰყო.

(5). ძლიერი დაგეში - იგულისხმება: გარკვეულ თანხმოვან ბგერათა გაორმაგების ნიშანი ძველ ებრაულ ენაში.

(6). მიულბრონის სემინარიიდან გაქცევის ეპიზოდი და შთაბეჭდილებები ჰესეს ასახული აქვს მოთხრობაში "Unterm Rad" (1906).

(7). 1892 წლის ნოემბრიდან 1893 წლის ოქტომბრამდე ჰესე სწავლობდა ქალაქ კანშტატის გიმნაზიაში

(8). იგულისხმება: "Hinterlassene Schriften und Gedichte von Hermann Lascher" (1901) და "Gedichte" (1902).

(9). 1904 წელს ჰესე დაქორწინდა ბაზელელ მარია ბერნულიზე და გადავიდა სოფ. ჰაიენჰოფერში ბოდენის ტბაზე. აქ მან რვა წელი დაჰყო და შეეძინა სამი ვაჟი: ბრუნო, ჰაინერი და მარტინი.

(10). „Kœlner Tagebuch" 24.10.1915 წლის ნოემბერში მოწინავე სტატია ჰესეს „ლაჩარსა" და „მოღალატეს" უწოდებდა. ეს სტატია მრავალგზის იქნა გადაბეჭდილი. მწერლის ორი მეგობარი გამოვიდა მის დასაცავად, ესენი იყვნენ: თეოდორ ჰოისი - მწერალი და კრიტიკოსი და კონრად ჰაუსმანი - პოლიტიკოსი და იურისტი.

(11). როგორც ცნობილია, ჰესე მისიონერული ოჯახიდან იყო, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში

(12). დიდი გერმანელი მწერლის, ნოვალისის რომანი.

(13). "ი-ძინი" - ძველი ჩინური ფილოსოფიურ-მაგიური ლიტერატურის ძეგლი, რომელსაც მკითხაობის პრაქტიკაშიც იყენებდნენ. ჰესე ხშირად მიმართავდა ხოლმე "ი-ძინს".

(14). მხატვრის საკუთარ ნახატში გაქრობის მოტივი ხშირად გვხვდება ძველ ჩინურ ზღაპრებსა და მოთხრობებში.

არილი

# მცენარეული და მინერალური მეხსიერება: წიგნების მომავალი

უმბერტო ეკო

2003 წლის 1 ნოემბერს ალექსანდრიამ უმასპინძლა სახელგანთქმულ იტალიელ რომანისტსა და მეცნიერს, უმბერტო ეკოს, რომელმაც ახლახან გახსნილ Bibliotheca Alexandrina-ში ინგლისურ ენაზე წაიკითხა ლექცია ლიტერატურული და გეოგრაფიული მეხსიერების შესახებ. ამ ლექციის სრული ტექსტი Al-Ahram Weekly-მ გამოაქვეყნა.

არსებობს სამი ტიპის მეხსიერება. პირველი მათგანი, რომელიც ორგანული ხასიათისაა, ტვინის ფუნქციას წარმოადგენს. მეორე - მინერალურია და კაცობრიობისთვის ცნობილია ამგვარი მეხსიერების ორი სახეობა: ჯერ ერთი, ათასწლეულების წინ ადამიანი მიმართავდა ჩანაწერების ამოტვიფვრას თიხის ფირფიტებსა და ობელისკებზე, რაც ეგვიპტელებმა კარგად უწყიან. გარდა ამისა, მინერალურ ტიპს განეკუთვნება თანამედროვე კომპიუტერების ელექტრონული მეხსიერებაც. რაც შეეხება მცენარეულ მეხსიერებას, ის თავდაპირველად წარმოდგენილი იყო პაპირუსებით (რაც თქვენთვის ასევე ცნობილია), შემდეგ კი - ქაღალდით (თუმცა, უძველესი ხელნაწერების პერგამენტი ორგანული წარმოშობისა იყო, ხოლო ქაღალდი პირველად ჩვრებისგან მზადდებოდა და არა ხისგან). ნება მიბოძეთ, წიგნების შესახებ საუბრისას, სიმარტივისთვის, ვიგულისხმო მცენარეული მეხსიერება.

წარსულში შეიქმნა და, უეჭველია, მომავალშიც იქნება წიგნების შესანახი საგანგებო შენობები. ესაა მცენარეული მეხსიერების ტაძრები. კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე ბიბლიოთეკებში ინახება. ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ ერთგვარ სახეობას უნივერსალური „ტვინისა", რომლის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ დავიწყებული ცოდნა ან შევიძინოთ ახალი ინფორმაცია. მეტაფორას რომ მივმართოთ, ბიბლიოთეკა სხვა არაფერია, თუ არა ღვთაებრივი გონების ანალოგი; ამგვარად, ბიბლიოთეკის მეშვეობით, რომელიც ღვთაებრივი გონების მეტოქეა, ადამიანისთვის მისაწვდომია ყოველგვარი ინფორმაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გამოვიგონეთ ბიბლიოთეკები, რადგან არ გაგვაჩნია ღვთაების თვისებები, მაგრამ ყოველნაირად ვცდი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობთ, მივემსგავსოთ მას.

შეიძლება, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკის აშენება (ან, უფრო ზუსტად, აღდგენა) ზოგიერთმა გამომწვევ ან პროვოკაციულ აქტად მიიჩნიოს. ამჟამად, კომპიუტერებისა და ინტერნეტის ეპოქაში, ზოგიერთი ავტორი (საგაზეთო სტატიებსა ან აკადემიურ ნაშრომებში) მსჯელობს "წიგნების სიკვდილის" შესახებ. მაგრამ წიგნების გაუქმება (უძველეს ცივილიზაციათა ობელისკების ან თიხის ფირფიტების გაუქმების მსგავსად) საკმარისი მიზეზი როდია ბიბლიოთეკების ლიკვიდირებისთვის. პირიქით, მათ ისე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც წარსულის მონაპოვართა მუზეუმებს, როგორც ვუფრთხილდებით როზეტას ფილას მუზეუმში, რადგან ჩვევად აღარ გვაქვს დოკუმენტების ამოტვიფვრა მინერალთა ზედაპირებზე.

დიახ, ოპტიმისტურ ხოტბას ვუძღვნი ბიბლიოთეკებს. იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ ნაბეჭდ წიგნებს აქვთ მომავალი, და რომ ყოველგვარი შიში მათ გაუქმებასთან დაკავშირებით მარტოოდენ ერთ-ერთი გამოვლინებაა ადამიანის ოდინდელი შიშისა რაიმეს დასასრულის, მათ შორის - სამყაროს დასასრულის წინაშე.

ინტერვიუების ჩამორთმევისას ხშირად მთხოვენ, ვუპასუხო ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: "გააუქმებს თუ არა ახალი ელექტრონული მედია წიგნებს? გააუქმებს თუ არა ინტერნეტი ლიტერატურას? იქნებ, ჰიპერტექსტუალური ცივილიზაცია გამორიცხავს თვით ავტორობის იდეას?" ამგვარი შეკითხვების შეშფოთებულმა კილომ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ინტერვიუერებს სურთ, ვანუგეშო შესაბამისი პასუხების მეშვეობით, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე არაა. როდესაც ჟურნალისტებს ვეუბნები, წიგნები, ლიტერატურა, ავტორი არ გაქრება-მეთქი, მათ იმედები უცრუვდებათ, რადგან ჩემს სიტყვებში არაფერია სენსაციური. ჟურნალისტებს უნდათ გაიგონ, ხომ არ გასძვრა სული ნობელის პრემიის ლაურეატს, მაგრამ საღსალამათი ნობელიანტის ამბავი არავის აინტერესებს.

ახლა მსურს განვმარტო რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი, მაგრამ თავდაპირველად უკეთ უნდა გავიაზროთ, რას ვგულისხმობთ წიგნის, ტექსტის, ლიტერატურის, ინტერპრეტაციის და ა.შ. ცნებებში. ბევრი გულუბრყვილო შეკითხვა მოითხოვს პასუხის გონივრულად განსჯას და, ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს პრიმიტიული ინტერვიუების კულტურული ფუნქცია.

დავიწყოთ ეგვიპტური (თუმცა, ბერძნულად გადმოცემული) მითით. პლატონის "ფედროსის" მიხედვით, როდესაც ჰერმესმა ანუ ტოტმა წერა გამოიგონა და ამის შესახებ აუწყა ფარაონ თამუსს, ეს უკანასკნელი აღაფრთოვანა არნახულმა ხერხმა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევდა, დაემახსოვრებინათ ის, რასაც სხვა შემთხვევაში დაივიწყებდნენ. მაგრამ თამუსს ეჭვები ღრღნიდა. "მეხსიერება უდიდესი ჯილდოა, - თქვა მან, - რომელსაც ვინარჩუნებთ ხანგრძლივი წვრთნის მეშვეობით. შენი გამოგონების წყალობით კი ადამიანები ხელს აიღებენ ამ საქმიანობაზე და დაიმახსოვრებენ ამბებს არა შინაგანი ძალისხმევის, არამედ, უბრალოდ, გარეშე დამხმარე საშუალების მეოხებით".

ჩვენთვის გასაგებია თამუსის წუხილის მიზეზები. ნებისმიერი ახალი ტექნიკური გამოგონების მსგავსად, წერა ასუსტებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს, რადგან ის სხვა არაფერია, თუ არა ქვადქცეული სული, მეხსიერების კარიკატურული ფორმა, მინერალური მეხსიერება.

პლატონის ტექსტი, რა თქმა უნდა, ირონიულია. პლატონი თვითონვე აკრიტიკებდა წერის წინააღმდეგ მიმართულ ამ არგუმენტს, თუმცა ის აგრეთვე მიუთითებდა, რომ მისი ტექსტი ითქვა სოკრატეს მიერ, რომელსაც არაფერი დაუწერია. ამჟამად, ორი მარტივი მიზეზის გამო, არავინ ემხრობა თამუსის თვალსაზრისს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვიცით, რომ წიგნები არ ასუსტებს ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობებს. მხოლოდ წერის გამოგონების წყალობით შეიქმნა შედევრი მეხსიერების შესახებ - პრუსტის "დაკარგული დროის ძიებაში". გარდა ამისა, თუ ვისმე დასჭირდება მეხსიერების გაწაფვა, ეს შესაძლებელია ნაწარმოებთა გახსენების მეშვეობითაც. წიგნები კი არ აჩლუნგებს, არამედ - აუმჯობესებს მეხსიერებას. ამასთან, ხშირად გვეწვევა ხოლმე ისეთი განცდა, რომელიც წააგავს ფარაონის შიშს; ჩვენც ვშიშობთ, რომ ესა თუ ის ტექნიკური აღმოჩენა გაანადგურებს იმას, რაც ჯერ კიდევ მშვენიერი და ნაყოფიერია.

ზმნა "განადგურება" იმიტომ ვიხმარე, რომ გამახსენდა: დაახლოებით 14 საუკუნის შემდეგ მომხდარი მოვლენების აღწერისას ვიქტორ ჰიუგო, "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში", გვიამბობს, რომ მღვდელი კლოდ ფროლო სევდიანად უცქერდა ტაძრის კოშკებს. ბეჭდვის გამოგონებამდე, ფიქრობს ფროლო, ხელნაწერები მისაწვდომი იყო მხოლოდ წიგნიერი ადამიანების ელიტისთვის, ხალხის დასამოძღვრად კი გამოიყენებოდა ტაძრის კედლებზე გამოსახული ბიბლიური ამბები, ქრისტესა და მოციქულთა ცხოვრება, მორალური დოგმატები, ეროვნული ისტორიის ფაქტები ან ყველაზე ელემენტარული გეოგრაფიული თუ საბუნებისმეტყველო ფაქტები. შუა საუკუნეების ტაძარი გახლდათ ერთგვარი პერმანენტული და უცვლელი ტელეპროგრამა, რომელიც ადამიანებს აწვდიდა მათი ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელ ცნობებს და აიარაღებდა სულიერი ხსნისთვის საჭირო პრინციპებით.

მაგრამ ფროლო უცქერდა დაბეჭდილ წიგნს, რომელიც მის მაგიდაზე იდო, და ოხრავდა: "ceci tuera cela" - ეს გაანადგურებს იმას, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წიგნი გაანადგურებს ტაძარს, ანბანი გაანადგურებს გამოსახულებებს, წიგნი დაავიწყებს ადამიანებს უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს, თავგზას აუბნევს უსარგებლო ინფორმაციით, უბიძგებს ბიბლიის თავისუფალი ინტერპრეტაციისა და უგუნური ცნობისმოყვარეობისკენ.

60-იან წლებში მარშალ მაკლუენმა დაწერა წიგნი "გუტენბერგის გალაქტიკა", სადაც განაცხადა, რომ წრფივ აზროვნებას, რომელსაც ხელი შეუწყო ბეჭდვის გამოგონებამ, მალე ჩაენაცვლებოდა აღქმისა და განსჯის უფრო გლობალური ხერხი (ტელევიზიისა და ელექტრონულ მოწყობილობათა სხვა სახეობების მეშვეობით). თვით მაკლუენსაც და მრავალ მკითხველსაც შეეძლოთ, მიეთითებინათ ჯერ ტელეეკრანზე, შემდეგ კი - დაბეჭდილ წიგნზე და ეთქვათ: "ეს გაანადგურებს იმას". ამასთან, მაკლუენს დღემდე რომ ეცოცხლა, ალბათ, იტყოდა, გუტენბერგმა გაიმარჯვაო. მართალია, კომპიუტერი ისეთი მოწყობილობაა, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმბერტო ეკო და ვაცლავ ჰაველი

ლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გამოსახულებების შექმნა და ბეჭდვა; ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ინსტრუქციები ილუსტრირებულია გამოსახულებებით; მაგრამ ასევე უეჭველია, რომ კომპიუტერი იქცა, უპირველეს ყოვლისა, ანბანურ ინსტრუმენტად. მის ეკრანზე გამოისახება სიტყვები და სტრიქონები. ამიტომ კომპიუტერის გამოყენებამდე უნდა დაეუფლოთ წერა-კითხვას.

შეიმჩნევა თუ არა განსხვავება გუტენბერგის გალაქტიკასა და თანამედროვე გალაქტიკას შორის? რა თქმა უნდა, შეიმჩნევა. ადრეულ ოთხმოციან წლებში მხოლოდ არქაული ტექსტუალური პროცესორები უზრუნველყოფდა წრფივ წერილობით კომუნიკაციას. ამჟამად კომპიუტერები იმდენად ლინეარული აღარაა, რადგან მათ ძალუძთ ჰიპერტექსტუალური სტრუქტურის დემონსტრირება. საინტერესოა, რომ კომპიუტერების შემუშავებას სათავე დაუდო ტიურინგის მანქანამ, რომელიც, ფაქტობრივად, მინერალური ლოგიკის თანახმად ფუნქციონირებდა (ნული - ერთი; ნული - ერთი). ამასთან, მანქანის პროდუქცია ლინეარული კი აღარაა, არამედ - სემიოტიკური ფეიერვერკების სახით წარმოგვიდგება.

ახლა კი უნდა შევუდგე განმარტებას, რადგან ჰიპერტექსტუალური სტრუქტურის ცნებაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება ორი სხვადასხვა ფენომენი. ჯერ ერთი, არსებობს ტექსტუალური ჰიპერტექსტი. ტრადიციულ წიგნში ადამიანმა უნდა იკითხოს მარცხნიდან მარჯვნივ (ან მარჯვნიდან მარცხნივ, ან ზემოდან ქვემოთ, ამა თუ იმ კულტურის შესაბამისად). რა თქმა უნდა, შეიძლება გვერდების გამოტოვება ან მესამასე გვერდიდან მე-10 გვერდზე დაბრუნება, მაგრამ ეს ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. ჰიპერტექსტუალური ტექსტი კი, პირიქით, წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ქსელს ან ლაბირინთს, სადაც ნებისმიერი პუნქტი ან კვანძი შეიძლება პოტენციურად დაუკავშირდეს ნებისმიერ სხვა კვანძს. გარდა ამისა, ესაა სისტემური ჰიპერტექსტი. ფაქტობრივად, WWW-მ წარმოშვა ყველა ჰიპერტექსტი ანუ მსოფლიო მასშტაბის ბიბლიოთეკა, სადაც, სურვილისამებრ, შეგიძლიათ (ან მალე შეძლებთ) მოიპოვოთ ნებისმიერი წიგნი. Web-ი ყველა არსებული ჰიპერტექსტის საერთო სისტემაა.

ამგვარი განსხვავება ტექსტსა და სისტემას შორის უაღრესად მნიშვნელოვანია, რასაც ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა ნება მიბოძეთ, პასუხი გავცე ყველაზე ხშირსა და ყველაზე გულუბრყვილო შეკითხვაზე: "გააუქმებს თუ არა ჰიპერტექსტუალური დისკეტები, ინტერნეტი, მულტიმედია სისტემები წიგნებს?" თვით ეს შეკითხვა შეიძლება ორგვარად ჩამოყალიბდეს: (ა) გაქრება თუ არა წიგნები როგორც ფიზიკური ობიექტები, და (ბ) გაქრება თუ არა წიგნები როგორც ვირტუალური ობიექტები?

უწინარეს ყოვლისა, ვუპასუხებ (ა) შეკითხვაზე. თვით ბეჭდვის გამოგონების შემდეგაც წიგნები არ გახლდათ ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი საშუალება. არსებობს აგრეთვე ფერწერული ტილოები, ბეჭდური გამოსახულებები, ზეპირი სწავლება და ა.შ. უბრალოდ, წიგნების მეოხებით შეიძლებოდა ინფორმაციის გავრცელება ყველაზე იოლი გზით. არის ორი სახის წიგნები: საკითხავი წიგნები და ცნობარები. პირველი სახის წიგნებს კითხულობენ იმ ხერხით, რომელსაც მე "დეტექტიური ამბის კითხვის მეთოდს" ვუწოდებ, ე.ი. მკითხველი ეცნობა წიგნის პირველ გვერდებს (სადაც ავტორი გვაუწყებს, რომ მოხდა ბოროტმოქმედება), შემდეგ ის თვალყურს ადევნებს გამოძიების პროცესს და ბოლოს გებულობს, რომ დანაშაული ჩაიდინა ლაქიამ. წიგნის დასასრული და მისი კითხვის დასასრული ურთიერთს თანხვდება. ასევე მიმდინარეობს, ვთქვათ, ფილოსოფიური ტრაქტატის კითხვა. ავტორის მიზანია, მკითხველმა წიგნი პირველ გვერდზე გადაშალოს, გაიაზროს მასში წამოჭრილი საკითხები და დააკვირდეს საბოლოო დასკვნების გამოტანის პროცესს. მეცნიერებს შეუძლიათ, გამოტოვონ ამგვარი წიგნის რამდენიმე ნაწილი და სცადონ მისი პირველი და ბოლო ნაწილების დებულებათა კავშირის გამოვლენა. მათ აგრეთვე შეუძლიათ, დააკვირდნენ, ვთქვათ, სიტყვა "იდეის" გააზრებას მოცემულ თხზულებაში და ყურადღება გაამახვილონ მხოლოდ ამ ტერმინის შემცველ პასაჟებზე. ჩვეულებრივი მკითხველისთვის წიგნის კითხვის ამგვარი ხერხები მიუღებელია.

არსებობს, აგრეთვე, საცნობარო წიგნები, მაგალითად, სახელმძღვანელოები და ენციკლოპედიები. ენციკლოპედიებს არავინ კითხულობს თავიდან ბოლომდე. ადამიანი, რომელიც ყოველ ღამე ძილის წინ კითხულობს "ენციკლოპედია ბრიტანიკას" თავიდან ბოლომდე, კომიკური პერსონაჟია. როგორც წესი, ენციკლოპედიის ამა თუ იმ ტომს გადაფურცლავენ ხოლმე, რათა გაიგონ ან გაიხსენონ, როდის გარდაიცვალა ნაპოლეონი ან როგორია გოგირდმჟავას ფორმულა. მეცნიერები ენციკლოპედიებს უფრო რთული ხერხით იყენებენ. დავუშვათ, მსურს გავიგო, შეხვედრია თუ არა ნაპოლეონი კანტს. ამისთვის მჭირდება ენციკლოპედიის ორი ტომი - ერთი "კ" ასოზე, მეორე კი - "ნ" ასოზე. ვგებულობ, რომ ნაპოლეონი დაიბადა 1769 წელს და გარდაიცვალა 1821-ში, კანტი კი დაიბადა 1704 წელს, ხოლო გარდაიცვალა - 1804 წელს, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლეონი უკვე იმპერატორი გახლდათ. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ ეს ორი პიროვნება ერთმანეთს შეხვედროდა. ამის შემოწმების მიზნით დამჭირდება კანტის ან ნაპოლეონის ბიოგრაფიაში ჩახედვა, მაგრამ ნაპოლეონის (რომელიც ესოდენ ბევრ ადამიანს შეხვდა თავის ცხოვრებაში) მოკლე ბიოგრაფიაში კანტთან შეხვედრა შეიძლება მოხსენიებული არ იყოს, მაშინ, როდესაც კანტის ბიოგრაფიაში ნაპოლეონთან შეხვედრა აუცილებლად იქნება დაფიქსირებული. ამგვარად, მომიხდება ჩემს ბიბლიოთეკაში დაცული ბევრი წიგნის გადაფურცვლა, მონაცემების ამოწერა და მათი ურთიერთშეჯერება, რაც ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს.

მაგრამ ჰიპერტექსტის მეშვეობით შევძლებ მთელ ენციკლოპედიაში "მოგზაურობას"; შევძლებ დასაწყისში მითითებული მოვლენების შედარებას ტექსტში მოხსენიებულ ანალოგიურ ფაქტებთან; შევძლებ ყველა იმ სიტყვის ამოკრეფას, რომლებიც ა-ზე იწყება; შევძლებ, გავეცნო ყველა იმ შემთხვევას, სადაც ნაპოლეონის სახელი უკავშირდება კანტის სახელს; შევძლებ მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღთა ურთიერთშედარებას. მოკლედ, შევძლებ ჩემი სამუშაოს შესრულებას რამდენიმე წამის ან რამდენიმე წუთის განმავლობაში.

ჰიპერტექსტები უეჭველად გააუქმებს ენციკლოპედიებსა და ცნობარებს. ამასთან, კომპაქტ-დისკები და კომპიუტერი დაიკავებს იმ სივრცის ერთ მეხუთედს, რომელიც ეკავა ნაბეჭდ ენციკლოპედიას. ამ უკანასკნელის ტრანსპორტირება ისევე ადვილი როდია, როგორც - CD-ROM-ისა, თანაც საკმაოდ რთული საქმეა ნაბეჭდი ენციკლოპედიის მოდერნიზება. ამჟამად ჩემს ბინაში, ისევე, როგორც საჯარო ბიბლიოთეკაში, უზარმაზარი სივრცე უკავია ენციკლოპედიებს, რომლებიც ახლო მომავალში აღარ დამჭირდება. გავიხსენოთ ისიც, რომ უამრავი ადამიანისთვის მრავალტომიანი ენციკლოპედია განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენს არა (და არა მარტო) მისი სიძვირის გამო, არამედ - იმ სივრცის ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელიც სჭირდება ენციკლოპედიის შენახვას ბინაში. პირადად მე, ჩემი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში, შინ აუცილებლად უნდა მქონოდა 221-ტომიანი "Patrologia Latina". მისი ყიდვა (სიძვირის მიუხედავად) შემეძლო, მაგრამ არ შემეძლო ყიდვა ახალი ბინისა, სადაც განვათავსებდი 221 უზარმაზარ ტომს.

ჩაენაცვლება თუ არა ჰიპერტექსტუალური დისკი ან WWW საკითხავ წიგნებს? კიდევ ერთხელ უნდა განვსაზღვროთ, რა იგულისხმება ამ შეკითხვაში: ფიზიკურად არსებული წიგნები თუ ვირტუალური ობიექტები? თავდაპირველად კვლავ განვიხილოთ პირველი შემთხვევა.

სიამოვნებით უნდა გაუწყოთ, რომ წიგნებს ვერაფერი შეცვლის არა მარტო ლიტერატურაში, არამედ - ნებისმიერ ვითარებაშიც, სადაც საჭიროა ყურადღებით წაკითხვა არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების მიზნით, არამედ - აზროვნებისა და ფიქრისთვისაც. კომპიუტერის ეკრანზე ტექსტის კითხვა იგივე როდია, რაც წიგნის კითხვა. ავიღოთ, მაგალითად, კომპიუტერის ახალი პროგრამის შესწავლის პროცესი. პროგრამის მეშვეობით შეიძლება გავეცნოთ ყველა საჭირო ინსტრუქციას, მაგრამ მომხმარებლები, რომელთაც სურთ პროგრამის შესწავლა, ჩვეულებრივ, ბეჭდავენ ინსტრუქციებს და ამგვარად კითხულობენ მათ, ან კიდევ - ყიდულობენ ნაბეჭდ ინსტრუქციას. ესა თუ ის ვიზუალური პროგრამა თვალსაჩინოდ განმარტავს, როგორ უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს წიგნი, მაგრამ კომპიუტერის პროგრამის შექმნისა ან გამოყენებისთვის გვჭირდება ნაბეჭდი ინსტრუქცია.

როდესაც კომპიუტერთან თორმეტსაათიანი ჯდომის შემდეგ თვალები მეღლება, მსურს მყუდროდ ჩავეფლო სავარძელში და წავიკითხო გაზეთი ან კარგი ლექსი. ამგვარად, კომპიუტერებს, რომლებიც ავრცელებენ წიგნების ახალ ფორმას, არ ძალუძთ მათ მიერვე განპირობებული ყველა ინტელექტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გავიხსენოთ, რომ ებრაული ან ადრეული არაბული წიგნიერი ცივილიზაციები შექმნეს მომთაბარე ტომებმა. ძველ ეგვიპტელებს შეეძლოთ ამოეტვიფრათ ჩანაწერები ქვის ობელისკებზე, მაგრამ მოსეს და მაჰმადს ეს არ შეეძლოთ. როდესაც აპირებთ, გადაცუროთ წითელი ზღვა ან - არაბეთის ნახევარკუნძულიდან ესპანეთისკენ გაემართოთ, მანუსკრიპტები უფრო გამოგადგებათ ბიბლიის ან ყურანის ჩასაწერად და გადასატანად, ვიდრე - ობელისკი.

კომპიუტერებთან შედარებით, წიგნებს სხვა უპირატესობაც გააჩნიათ. თვით თანამედროვე უვარგისი ქაღალდიც, რომელიც დაახლოებით 70 წელიწადს ძლებს, გაცილებით საიმედოა, ვიდრე - მაგნიტური ფირები. წიგნებზე არ ზემოქმედებს ელექტროდენის ძაბვის ვარდნა ან დენის გამორთვა და ისინი უფრო მდგრადია ფიზიკური ზემოქმედების მიმართ.

ამჟამად წიგნები ჯერ კიდევ წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის ყველაზე ეკონომიურსა და მარჯვე საშუალებას. უკაცრიელ კუნძულზე, სადაც ვერ შეძლებთ კომპიუტერის ჩართვას ელექტროქსელში, წიგნი არ დაკარგავს თავის ღირებულებას. ერთხელ გამოგონების შემდეგ წიგნები აღარ გაუმჯობესებულა, რადგან ისინი ისევე სრულყოფილია, როგორც ჩაქუჩი, დანა, კოვზი ან მაკრატელი.

ამასთან, საყურადღებოა ორი ნოვაცია. ერთი მათგანი ისაა, რომ წიგნები იბეჭდება მათი მოთხოვნისას. ბიბლიოთეკების ან გამომცემლობების კატალოგთა სკანირების შემდეგ მკითხველს შეუძლია საჭირო წიგნის შერჩევა. ოპერატორი თითს დააჭერს ღილაკს და მექანიზმი მკითხველისთვის სასურველი შრიფტით დაბეჭდავს, შემდეგ კი - აკინძავს ერთადერთ ეგზემპლარს. ეს გამოგონება გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს მთელ საგამომცემლო ბაზარზე და, ალბათ, გააუქმებს წიგნის მაღაზიებს, მაგრამ არ შეეხება წიგნებსა და ბიბლიოთეკებს (ერთადერთ ადგილს, სადაც შეიძლება წიგნების შენახვა მათი სკანირებისა და ხელახლა დაბეჭდვის მიზნით). აბა, წარმოიდგინეთ: შესაძლებელი იქნება ყოველი წიგნის შეკვეთა მყიდველის სურვილისამებრ ისე, როგორც ოდესღაც უკვეთდნენ მანუსკრიპტებს.

მეორე გამოგონებაა ელექტრონული წიგნი, სადაც წიგნში მიკროკასეტის ჩადების ან ინტერნეტთან მიერთების გზით ადამიანს შეუძლია მიიღოს მის თვალწინ დაბეჭდილი წიგნი. ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც მივიღებთ წიგნს, თუმცა ის განსხვავდება არსებული წიგნებისგან, ისევე, როგორც ჩვენი წიგნები განსხვავდება პერგამენტზე დაწერილი ძველი მანუსკრიპტებისგან ან როგორც შექსპირის 1623 წლის დრო-

ინდელი პირველი ფოლიანტი განსხვავდება "პინგვინის" ბოლო გამოცემისგან. მაგრამ ელექტრონულმა წიგნებმა ვერ მოიპოვა ისეთი მასშტაბის კომერციული წარმატება, რომლის შესახებაც ოცნებობდნენ მათი გამომგონებლები. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთმა ჰაკერმა, რომელიც არ ეკარებოდა წიგნებს, ბოლოს დაიწყო ლიტერატურული შედევრების კითხვა ელექტრონული წიგნების მეშვეობით, მაგრამ, ვფიქრობ, ეს იშვიათად ხდება. ადამიანები ძირითადად ამჯობინებენ ქაღალდზე ნაბეჭდი ლექსების ან რომანების კითხვას. ელექტრონული წიგნები, ალბათ, გამოდგება ლექსიკონების ან სპეციალური დოკუმენტების გასაცნობად. ისინი დაეხმარება მოსწავლეებს, რომლებიც სკოლაში დაატარებენ ათ ან მეტ წიგნს, მაგრამ ელექტრონულ წიგნებს ვერ წაიკითხავთ, მაგალითად, საწოლში ძილის წინ.

უეჭველია, არსებობს უამრავი ახალი ტექნიკური მოწყობილობა, რომლებიც არ აუქმებს უკვე არსებულ საშუალებებს. მანქანები უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე - მოტოციკლები, მაგრამ ისინი ვერ ჩაენაცვლნენ მოტოციკლებს და არავითარ ტექნიკურ გამოგონებებს არ ძალუძს მოტოციკლების გაუმჯობესება. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ახალი ტექნოლოგია აუქმებს წინამორბედ საშუალებებს, ხშირად მცდარია. თუმცა ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ მხატვრებს მოეხსნათ მათი ზოგიერთი ფუნქცია, ეს არ ნიშნავს, რომ დაგერის გამოგონებამ მხოლოდ ბიძგი მისცა აბსტრაქტულ მხატვრობას. თანამედროვე ფერწერაში არსებობს მთელი ტრადიცია, რომელიც ვერ იარსებებს ფოტოგრაფიული მოდელების გარეშე. გავიხსენოთ, მაგალითად, ჰიპერრეალიზმი, სადაც მხატვარი აღიქვამს რეალობას ფოტოგრაფის მსგავსად. ეს ნიშნავს, რომ კულტურის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმეს უბრალოდ გაენადგურებინა სხვა რამ. უფრო საფიქრებელია, რომ ახალი გამოგონება ახორციელებდა არსებული საშუალებების ძირფესვიან ცვლილებას.

რათა დავასრულოთ ეს თემა, შევნიშნავთ, რომ შიში წიგნების გაუქმებასთან დაკავშირებით ზოგჯერ შეეხება არა მხოლოდ წიგნებს, არამედ, საერთოდ, ნაბეჭდ მასალას. სამწუხაროდ, მცდარია ვარაუდი, რომ კომპიუტერები და, განსაკუთრებით ტექსტუალური პროცესორები, ხელს შეუწყობს ხე-ტყის გადარჩენას. პირიქით, კომპიუტერებმა განაპირობა ნაბეჭდი პროდუქციის რაოდენობის გაზრდა. კომპიუტერებმა წარმოშვა ნაბეჭდი დოკუმენტების შექმნისა და გავრცელების ახალი სახეობები. ტექსტის გადაკითხვისა და მისი შესწორების მიზნით ადამიანს სჭირდება მისი დაბეჭდვა, შემდეგ - გადაკითხვა, შესწორება კომპიუტერში და ხელახლა დაბეჭდვა. არა მგონია, რომ ადამიანმა შეძლოს ასგვერდიანი ტექსტის დაწერა და შესწორება ისე, რომ რამდენჯერმე არ დაბეჭდოს ის.

სადღეისოდ არსებობს ახალი ჰიპერტექსტუალური პოეტიკა, რომლის მიხედვით, საკითხავი წიგნი და თვით ლექსიც შეიძლება ტრანსფორმირებულ იქნას ჰიპერტექსტის სახით. აქ ჩვენ გადავდივართ მეორე სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვე, რადგან პრობლემა ეხება არა (ან არა მარტო) წიგნების ფიზიკური არსებობის ასპექტს, არამედ - თვით შემოქმედებითი საქმიანობის არსს, კითხვის პროცესს. ამ რთული საკითხების განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ ჰიპერტექსტუალური კავშირის ცნება.

აქ არ ვგულისხმობთ მკითხველის მიერ ტექსტის უსასრულო ან შეუზღუდავი ინტერპრეტაციების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც შეესაბამება, მაგალითად, ჯოისის პოეტიკას (ჯოისის აზრით, "ფინეგანის ქელეხი" უნდა წაიკითხოს იდეალურმა მკითხველმა იდეალური უძილობის დროს) და მოითხოვს ინტერპრეტაციის, დეკონსტრუქციული კითხვისა და ზეინტერპრეტაციის საზღვრების დადგენას. ამჯერად მაინტერესებს შემთხვევები, როდესაც ინტერპრეტაციათა უსასრულო ან, ყოველ შემთხვევაში, შეუზღუდავ სიმრავლეს განაპირობებს არა მარტო მკითხველის ინიციატივა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით ფიზიკური მობილურობა ტექსტისა, რომელიც შექმნილია მხოლოდ მისი ხელახლა დაწერის მიზნით. იმისთვის, რათა გავიგოთ, როგორ "მუშაობს" ამგვარი ტექსტები, უნდა გადავწყვიტოთ, არის თუ არა ტექსტის სამყარო: ა) შეზღუდული და სასრული; ბ) შეზღუდული, მაგრამ ვირტუალურად უსასრულო; გ) უსასრულო, მაგრამ შეზღუდული; დ) შეუზღუდავი და უსასრულო.

პირველ ყოვლისა, უნდა განვასხვაოთ სისტემები და ტექსტები. სისტემა (მაგალითად, ლინგვისტური სისტემა) არის იმ შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ ნატურალურ ენაში. გრამატიკული წესების სასრული ერთობლიობა საშუალებას აძლევს მოლაპარაკეს, შექმნას გამონათქვამთა უსასრულო რაოდენობა. ამასთან, ყოველი ლინგვისტური შეტყობინება განმარტებულია სხვა ლინგვისტური ან სემიოტიკური შეტყობინებების მეშვეობით: სიტყვა - დეფინიციით, მოვლენა - მაგალითით, ცხოველი ან ყვავილი - ილუსტრაციით და ა.შ. და ა.შ.

ავიღოთ, მაგალითად, ენციკლოპედიური ლექსიკონი. მასში ძაღლი შეიძლება განსაზღვრული იყოს როგორც ძუძუმწოვარი. ამის შემდეგ უნდა მოვძებნოთ სტატია ძუძუმწოვართა შესახებ და თუ ძუძუმწოვრები განსაზღვრულია როგორც ცხოველები, მაშინ სანახავია სტატია ცხოველების შესახებ და ასე შემდეგ. ამავე დროს, ძაღლის ნიშან-თვისებები შეიძლება დემონსტრირებულ იქნას სხვადასხვა ჯიშის ძაღლების სურათებით; თუ ნათქვამია, რომ გარკვეული ჯიშის ძაღლები გავრცელებულია ლაპლანდიაში, უნდა მოვძებნოთ სტატია ლაპლანდიის შესახებ, რათა დაზუსტდეს მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ა.შ. სისტემა სასრულია, ენციკლოპედია ფიზიკურად შეზღუდულია, მაგრამ ვირტუალურად შეუზღუდავია იმ გაგებით, რომ შეგვიძლია მასში წრიული მოძრაობა ad infinitum. ამ თვალსაზრისით, ყველა წიგნი ეტევა კარგი ლექსიკონის ან კარგი გრამატიკის საზღვრებში. თუ შეგიძლიათ ინგლისური ენის ლექსიკონის სათანადოდ გამოყენება, "ჰამლეტის" დაწერასაც მოახერხებთ და მრტოოდენ უბრალო შემთხვევითობის შედეგია, რომ შექსპირმა დაგასწროთ. მიეცით გარკვეული ტექსტუალური სისტემა შექსპირსა და სკოლის მოსწავლეს, და მათ ექნებათ "რომეოსა და ჯულიეტას" დაწერის თანაბარი შანსები.

გრამატიკები, ლექსიკონები და ენციკლოპედიები სისტემებია. მათი მეოხებით შეიძლება ნებისმიერი ტექსტის შექმნა, მაგრამ თავისთავად ტექსტი არ წარმოადგენს ლინგვისტურსა ან ენციკლოპედიურ სისტემას. ყოველი ტექსტი ამცირებს სისტემის უსასრულო ან შეუზღუდავ შესაძლებლობებს, რათა შექმნას ჩაკეტილი სამყარო. თუ, მაგალითად, ვიტყვი: "ამ დილას საუზმისას მივირთვი...", ლექსიკონი საშუალებას მაძლევს, დავუმატო ბევრი სიტყვა და იგი უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას. მაგრამ თუ ვქმნი სასრულ ტექსტს და ვამბობ: "ამ დილას საუზმისას მივირთვი კარაქიანი პური", მაშინ მე გამოვრიცხავ ყველს, ხიზილალას და ვაშლს. ტექსტი კვეცს სისტემის უსასრულო შესაძლებლობებს. დასაშვებია "ათას ერთი ღამის" მრავალგვარი ინტერპრეტაცია, მაგრამ ამბავი აქ ხდება აღმოსავლეთში, აზიაში და არა - იტალიაში; ის მოგვითხრობს ალი-ბაბას ან შაჰრაზადას შესახებ და არ ეხება კაპიტანს, რომელიც მისდევს თეთრ ვეშაპს ან ტოსკანელ პოეტს, რომელმაც მოიარა ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე.

განვიხილოთ ზღაპარი, მაგალითად, "წითელქუდა". ტექსტის დასაწყისში დასახელებულია გმირებისა და სიტუაციების ერთობლიობა - გოგონა, დედა, ბებია, მგელი, ტყე - გარკვეულ საფეხურთა სერიის შემდეგ ვეცნობით მის დასასრულს. რა თქმა უნდა, შეიძლება ზღაპრის აღქმა ალეგორიის სახით, როდესაც მოვლენებსა და გმირთა ქცევას მივაწერთ სხვადასხვაგვარ მორალურ მნიშვნელობებს, მაგრამ შეუძლებელია "წითელქუდას" გადაკეთება "ჩინდერელად". ნამდვილად დასაშვებია "ფინეგანის ქელეხის" მრავალნაირი ინტერპრეტაცია, მაგრამ მასში ვერ ნახავთ ფერმას უკანასკნელი თეორემის დამტკიცებას ან ვუდი ალენის სრულ ბიოგრაფიას. ეს, ერთი შეხედვით, ტრივიალური მსჯელობაა, მაგრამ ბევრი დეკონსტრუქტივისტი შეცდომით ფიქრობს, თითქოს შეიძლება ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება ტექსტზე.

ახლა დავუშვათ, რომ სასრული და შეზღუდული ტექსტი ჰიპერტექსტუალურადაა ორგანიზებული მრავალი შემაერთებელი რგოლის წყალობით, რომლებიც აკავშირებს მოცემულ სიტყვებს სხვა სიტყვებთან. ლექსიკონსა ან ენციკლოპედიაში სიტყვა "მგელი" პოტენციურად უკავშირდება ნებისმიერ სხვა სიტყვას, რომელიც შეადგენს "მგლის" ცნების შესაძლო დეფინიციის ან აღწერის ნაწილს ("მგელი" უკავშირდება "ცხოველს", "ძუძუმწოვარას", "მძვინვარებას", "ფეხებს", "ბალანს", "თვალებს", "ტყეებს", იმ ქვეყნების სახელწოდებებს, სადაც მგელი ბინადრობს და ა.შ.). მგელი შეიძლება დაუკავშირდეს ნაწარმოების მხოლოდ იმ ნაწილებს, სადაც მისი გამოჩენა ტექსტუალურად აუცილებელია. შესაძლო კავშირების სერიები სასრული და შეზღუდულია. როგორ შეიძლება ჰიპერტექსტუალური ტექსტების გამოყენება იმისთვის, რომ სასრული და შეზღუდული ტექსტი "ღია" ტექსტად იქცეს?

პირველი შესაძლებლობაა ტექსტის აღჭურვა ფიზიკური შეუზღუდაობის თვისებებით, იმ გაგებით, რომ ის შეიძლება გამდიდრდეს სხვადასხვა ავტორის მიერ შეტანილი ჩანართებით ანუ დამატებითი (ორი ან სამი) განზომილებით. აქ ვგულისხმობ "წითელქუდას" საწყისი სიტუაციის (გოგონა შედის ტყეში) განვითარებას, ვთქვათ, ისეთი ჩანართის მეშვეობით, რომლის მიხედვით, გოგონა ხვდება არა მგელს, არამედ - ალი-ბაბას, რის შემდეგაც ისინი შედიან მო-

ჯადოებულ კოშკში, აქ მათ დახვდება ჯადოქარი-ნინანგი და ა.შ. ისე, რომ ამბავი შეიძლება უსასრულოდ განივრცოს. ტექსტის უსასრულობა ზოგჯერ მიიღწევა ნებისმიერი ნარატიული ნაწილის მიჯნაზე. მაგალითად, გოგონას შესვლა ტყეში სხვადასხვა ავტორმა შეიძლება სხვადასხვაგვარად წარმოადგინოს. ერთ ავტორთან გოგონა შეხვდება პინოქიოს, სხვასთან - გედად იქცევა, ან პირამიდაში შევა და აღმოაჩენს ტუტანჰამონის ვაჟის საგანძურს.

ამჟამად ეს სავსებით შესაძლებელია და ინტერნეტში იპოვით მსგავსი ლიტერატურული თამაშების საინტერესო ნიმუშებს.

ამ ეტაპზე შეიძლება წამოიჭრას თვით ავტორის ცნებისა და მხატვრული ქმნილების (როგორც ორგანული მთლიანობის) არსებობა-არარსებობის პრობლემა. მსურს, ვაცნობო ჩემს აუდიტორიას, რომ ეს უკვე მოხდა წარსულში, რის პირველ მაგალითსაც წარმოადგენს იტალიური "კომედია დელ არტე". აქ "canovaccio" ანუ ამბის ძირითადი ქარგა იცვლებოდა ყოველი სპექტაკლის დროს მსახიობების განწყობილებისა და ფანტაზიის შესაბამისად, ისე, რომ ვერ მივუთითებთ ერთადერთ ავტორს ერთადერთი ნაწარმოებისა სახელწოდებით "არლეკინი ემსახურება ორ ბატონს"; შეგვიძლია მხოლოდ დავაფიქსიროთ სერია სპექტაკლებისა, რომელთა უმრავლესობა უეჭველად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

მეორე მაგალითის სახით მივუთითებთ ჯაზურ იმპროვიზაციებს. შეიძლება, ზოგიერთმა ჩვენგანმა ივარაუდოს, რომ ოდესღაც არსებობდა Basin Street Blues-ის ერთადერთი მართებული შესრულება და შემოგვრჩა მხოლოდ მოგვიანებით ჩაწერილი იმპროვიზაციები, მაგრამ ეს ასე არაა. იმთავითვე არსებობდა უამრავი Basin Street Blues, შემსრულებლების ინტერპრეტაციათა მიხედვით და შემსრულებელთა ყოველი ახალი კოლექტივი ქმნის საწყისი თემის ახლებურ ვარიანტს. ამგვარად, ჩვენ უკვე შევეგუეთ იდეას არასაავტორო ხალხური შემოქმედების შესახებ.

თავისუფალი შემოქმედების ამგვარი ხერხები იქცა საზოგადოებრივი კულტურის ორგანულ ნაწილად.

მაგრამ არსებობს განსხვავება, ერთი მხრივ, უსასრულო და შეუზღუდავ ტექსტებსა და, მეორე მხრივ, უკვე შექმნილ ტექსტებს შორის, რომლებიც ექვემდებარება უსასრულო ინტერპრეტაციებს, მაგრამ ფიზიკურად შეზღუდულია. თანამედროვე საზოგადოება არ უგულებელყოფს და მიესალმება კიდეც ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის ახლებურ შესრულებას, ისევე, როგორც ახლებურ ჯაზურ იმპროვიზაციებს Basin Street Blues-ის თემაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, საავტორო ლიტერატურასა და ხელოვნებას ვერ გააუქმებს შემოქმედებითი კოლექტივის ვერანაირი მომხიბვლელი თამაში ან უსასრულო ისტორიები. უფრო საფიქრებელია, რომ მომავლის საზოგადოებაში თავისუფალი შემოქმედება შეუთავსდება უკვე დაწერილი ტექსტების ინტერპრეტაციას. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ძველს ახალი ჩაენაცვლება.



არსებობს აგრეთვე საქმიანობის ისეთი სახეობა, როგორიცაა ტელეზეპინგი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს კინოფილმების ყურებასთან, ტრადიციული გაგებით. ჰიპერტექსტუალური მექანიზმი საშუალებას იძლევა, გამოვიგონოთ ახალი ტექსტები, რაც განსხვავდება უკვე არსებული ტექსტების ინტერპრეტაციისგან. მე წინდაუხედავად ვცადე, მეპოვა შეუზღუდავი და სასრული ტექსტუალური სიტუაციების ნიმუში, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. ფაქტობრივად, თუ გვაქვს ელემენტების უსასრულო რაოდენობა, რატომ უდა შემოისაზღვროთ სასრული სამყაროს შექმნით? ეს თეოლოგიური პრობლემაა. კოსმიური თამაშის დროს ღმერთს შეეძლო განეხორციელებინა ნებისმიერი შესაძლო საქმე, მაგრამ მან თავისთავს წესები, ე.ი. საზღვრები დაუდგინა და შექმნა ძალზე პატარა და მარტივი სამყარო.

ახლა ნება მიბოძეთ, განვიხილო კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც, ერთი შეხედვით, გვიქადის შესაძლებლობათა უსასრულო რაოდენობას ელემენტთა სასრული რაოდენობით (სემიოტიკური სისტემის მსგავსად), მაგრამ სინამდვილეში გვთავაზობს მარტოოდენ თავისუფლებისა და შემოქმედებითობის ილუზიას.

შესაძლოა, ჰიპერტექსტმა შეგვიქმნას თვით ჩაკეტილი ტექსტის ღიაობის ილუზია: დეტექტიური ნაწარმოები შეიძლება ისე იყოს სტრუქტურირებული, რომ მკითხველები სურვილისამებრ შეარჩევენ მის დასასრულს და საბოლოოდ გადაწყვეტენ, ვინ განახორციელა ბოროტმოქმედება: ლაქიამ, ეპისკოპოსმა, პოლიციის მაძებარმა, მთხრობელმა, ავტორმა თუ მკითხველმა. ამიტომ მათ შეუძლიათ საკუთარი, პერსონალური ამბის აგება. მსგავსი იდეა ახალი როდია. კომპიუტერთა გამოგონებამდე პოეტები და პროზაიკოსები ოცნებობდნენ სავსებით ღია ტექსტების შესახებ, რომლებიც მკითხველებს შეუქმნიდა მათი ხელახალი (უსასრულო) ვარიანტების აგების შესაძლებლობას. ასეთი იყო Le livre-ის იდეა, რასაც ხოტბას ასხამდა მალარმე. რაიმონ კენომ გამოიგონა კომბინატორული ალგორითმი, რომლის საფუძველზე შეიძლებოდა მილიონობით ლექსის შეთხზვა ტაეპთა სასრული რაოდენობისგან. სამოციანი წლების დასაწყისში მაქს საპორტას მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული რომანი საშუალებას იძლეოდა, მისი ფურცლების დალაგების მეშვეობით შექმნილიყო ახალი ნაწარმოებები, ნანი ბალესტრინიმ კი კომპიუტერში შეიტანა ურთიერთდაუკავშირებელი სტროფები, რომელთაგანაც კომპიუტერმა შეადგინა მრავალი ლექსი. მუსიკალური პარტიტურებით მანიპულირების მეშვეობით ბევრმა თანამედროვე მუსიკოსმა შეთხზა ახალი ნაწარმოებები.

ფიზიკურად მობილური ტექსტები წარმოქმნის მკითხველის აბსოლუტური თავისუფლების შთაბეჭდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას, მაგრამ ესაა მხოლოდ თავისუფლების ილუზია. მექანიზმი, რომელიც ელემენტთა სასრული რაოდენობისგან უსასრულო ტექსტის შექმნის საშუალებას იძლევა, ათასწლეულების წინ ჩამოყალიბდა. ესაა ანბანი. სასრული რაოდენობის ასოთა მეშვეობით შესაძლებელია მილიარდობით ტექსტის შეთხზვა და ზუსტად ეს კეთდებოდა ლიტერატურაში, დაწყებული ჰომეროსით და დამთავრებული თანამედროვე მწერლობით, ხოლო იმგვარი ტექსტი, რომელიც გვაწვდის არა ასოებს ან სიტყვებს, არამედ - სიტყვების ან ფურცლების განსაზღვრულ თანმიმდევრობას, არ გვაძლევს თავისუფალი შემოქმედების ან გამომგონებლური საქმიანობის საშუალებას. ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ წინასწარ მოცემული ტექსტუალური ნაწილების გადაადგილება გარკვეული ხერხების მეოხებით. კალდერის სკულპტურა იმიტომ კი არ გვხიბლავს, რომ შეუძლებელია მისი მოძრაობების წინასწარ განჭვრეტა, არამედ - იმის გამო, რომ სკულპტურა მოძრაობს თვით კალდერის ჩანაფიქრის შესაბამისად.

თავისუფალი ტექსტუალობის მარგინალურ გამოვლინებას წარმოადგენს იმგვარი ტექსტი, რომელიც თავდაპირველად ჩაკეტილია ("წითელქუდა", "ათას ერთი ღამე"), მაგრამ შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლევა, სურვილისამებრ შეცვალოს ის. ამგვარად წარმოიქმნება თავდაპირველი ვარიანტისგან განსხვავებული მეორე ტექსტი, რომლის ავტორიც მკითხველია, თუნდაც მსგავსი მტკიცება უპირისპირდებოდეს საავტორო ლიტერატურის ცნებას. ინტერნეტი იძლევა ამგვარი ექსპერიმენტების საშუალებას და მათი უმრავლესობა მეტად მიმზიდველია. არაფერი გვიშლის ხელს, დავწეროთ ზღაპარი, სადაც წითელქუდა შეჭამს მგელს; არაფერი გვიშლის ხელს, შევაერთოთ განსხვავებული ნაწარმოებები და შევქმნათ ნარატიული მოზაიკა, მაგრამ ამას საერთო არაფერი აქვს წიგნების რეალურ ფუნქციასა და გულშიჩამწვდომ ხიბლთან.

თუმცა წიგნის მიერ შემოთავაზებული ტექსტი ღიაა მრავლობითი ინტერპრეტაციებისთვის, მაგრამ ის გვაუწყებს რაღაცას, რისი შეცვლაც შეუძლებელია. ვთქვათ, ადამიანს, რომელიც კითხულობს ტოლსტოის "ომსა და მშვიდობას", არ სურს, რომ ნატაშას შეუყვარდეს უბადრუკი ანატოლი; მას ასევე არ სურს, რომ ისეთი შესანიშნავი პიროვნება, როგორიცაა თავადი ანდრეი, მოკვდეს; ის ნატრობს, რომ თავადი ანდრეი დაქორწინდეს ნატაშაზე. თუ ასეთ მკითხველს აქვს "ომი და მშვიდობა" ჰიპერტექსტუალურსა და ინტერაქტიურ CD-ROM-ზე, მას ძალუძს, სურვილისამებრ, საკუთარი ნაწარმოების დაწერა და შეთხზვა ურიცხვი ახალი "ომისა და მშვიდობისა", სადაც პიერ ბეზუხოვი მოჰკლავს ნაპოლეონს ან სადაც ნაპოლეონი დაამარცხებს გენერალ კუტუზოვს. რა წარმტაცი თავისუფლებაა! ნებისმიერი ბუვარი ან პეკიუშე შეძლებს, იქცეს ფლობერად!

სამწუხაროდ, უკვე დაწერილი წიგნები, რომლებშიც ბატონობს ავტორის რეპრესიული ნება, ამის საშუალებას არ იძლევა. ჰიპერტექსტუალურსა და ინტერაქტიურ რომანს შეიძლება თავისუფლად და შემოქმედებითად მოვეპყრათ და ვიმედოვნებ, რომ ამგვარი გამომგონებლური აქტივობა განხორციელდება მომავლის სკოლებში. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ დაწერილი რომანი "ომი და მშვიდობაც" ჩვენს წარმოსახვას შეუზღუდავ შესაძლებლობებს კი არ ანიჭებს, არამედ - პირისპირ გვაყენებს იმ ულმობელ კანონებთან, რომლებიც განაგებენ სიცოცხლესა და სიკვდილს.

ვიქტორ ჰიუგოს რომანში "განკიცხულნი" მშვენივრადაა აღწერილი ვატერლოოს ბრძოლა, რაც განსხვავდება ამ ლაშქრობის სტენდალისეული აღქმისგან. "პარმის სავანეში" სტენდალი ასახავს ვატერლოოს ბრძოლას იმ გმირის თვალსაზრისით, რომელიც მონაწილეობს ბატალიაში და არ ესმის მისი სირთულე. ჰიუგო კი აღწერს ბრძოლას ყოვლისმცოდნე ღმეთის თვალთახედვით და აკვირდება მის თითოეულ დეტალს. მწერალმა არა მარტო იცის რა მოხდა, არამედ იმასაც ხვდება, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ჰიუგოს აზრით, ნაპოლეონს რომ სცოდნოდა სენ-ჟანის მწვერვალს გადაღმა ციცაბო ხევის არსებობის შესახებ, ინგლისელთა არმია ვერ გაანადგურებდა გენერალ მილოს კირასირებს, მაგრამ იმპერატორი არ ფლობდა სათანადო ინფორმაციას. ჰიუგომ იცის, რომ გენერალ ფონ ბიულოვის არმიის მეგზური მწყემსის მიერ სხვა მარშრუტის შერჩევის შემთხვევაში პრუსიელთა არმიას შეაგვიანდებოდა და ფრანგები გაიმარჯვებდნენ.

უეჭველია, ჰიპერტექსტუალური თამაშის დროს შეიძლება ვატერლოოს იმგვარი აღწერა, რომ გენერალ გრუშის არმია მივიდეს ნაპოლეონის საშველად. მაგრამ ჰიუგოსეული ვატერლოოს ტრაგიკული სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენები ვითარდება მკითხველთა სურვილებისგან დამოუკიდებლად. ტრაგიკული ლიტერატურის ხიბლი ისაა, რომ ჩვენ ვგრძნობთ: გმირებს შეეძლოთ ბედისწერის თავიდან აცილება, მაგრამ ისინი ვერ აღწევენ მიზანს მათი სისუსტის, სიამაყის ან წინდაუხედაობის გამო. სხვათა შორის, ჰიუგო აღნიშნავს: "განა ნაპოლეონის განუსჯელი მოქმედება, ამგვარი დამარცხება, ამგვარი შემუსვრა უმიზეზოდ მოხდა? არა... ამ დიადი პიროვნების განადგურების გარეშე ვერ დადგებოდა ახალი ეპოქა. ვიღაცამ იზრუნა ამის შესახებ... იქ ღმერთმა გაიარა, Dieu a passe".

ყოველი დიადი ქმნილება სწორედ იმას გვაუწყებს, რომ იქ ღმერთმა გაიარა და მან გაიარა მორწმუნისთვის, ისევე, როგორც სკეპტიკოსისთვის. არსებობს ხელშეუვალი წიგნები, რომლებიც მოწიწებას აღგვიძრავს. მათი რეპრესიული გაკვეთილი აუცილებელია, რათა მოვიპოვოთ უმაღლესი ინტელექტუალური ან მორალური თავისუფლება.

ვიმედოვნებ, Bibliotheca Alexandrina შეინახავს და გაუფრთხილდება ამგვარ წიგნებს, რათა ადამიანები დატკბნენ მათი კითხვის შეუდარებელი განცდით. დღეგრძელობას ვუსურვებ მცენარეული მეხსიერების ამ ტაძარს.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*თამარ ლომიძე*

არილი

ლეონიდ ანდრეევი

# უცხოელი

## I

სტუდენტი ჩისტიაკოვი დილის თერთმეტი საათიდან საღამოს რვა საათამდე გაკვეთილების ჩასატარებლად დარბოდა, უნივერსიტეტში ერთხელ თუ შეივლიდა კვირაში, ისიც ოთხშაბათობით, ვინაიდან ამ დღეს ცოტა უფრო ადრე იწყებდა მოწაფეებთან მეცადინეობას. ლექციებს თითქმის არასოდეს ესწრებოდა, ისიც არ იცოდა, მეორე კურსის იურისტებს რომელ აუდიტორიაში უტარდებოდათ ლექციები. არც პროფესორები ეხატებოდა მაინცდამაინც გულზე. მომავალ გაზაფხულს სასწავლებლად და საცხოვრებლად უცხოეთში აპირებდა გამგზავრებას, ამდენს და ასე თავდაუზოგავად სწორედ საამისო ფულის მოსაგროვებლად შრომობდა. იმის გამო, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ბერლინში დასახლებულიყო, საღამოობით გაკვეთილებიდან დაბრუნებული ახლა გერმანულ ენას უჯდა. მისი ერთი მეგობარი უკვე წელიწადია ბერლინში ცხოვრობდა, იქიდან გრძელ, აღფრთოვანებულ წერილებს სწერდა და ყოველ წერილში - ჩამოდიო, დაჟინებით სთხოვდა.

ჩისტიაკოვს კი თავი ზოგჯერ წისქვილის დოლაბივით უხრიალებდა, დაღლილ თვალებში მოწაფეების უსიამოვნო სახეები ედგა და გამუდმებით მარცხენა ფერდი სტკიოდა. როცა მეცადინეობის ჩატარება არ შეეძლო, ან ლოგინში იწვა, დანაზოგ ფულს ითვლიდა და ბერლინურ ცხოვრებაზე ოცნებობდა, ან ქვედა სართულზე სამოცდამეოთხე ნომერში ჩადიოდა, სადაც საღამოობით თავს მთელი "ჩრდილოეთ პოლუსის" (ასე ეძახდნენ ზედა სართულის ჩრდილოეთით მდებარე იმ ნომრებს, სადაც თავად ცხოვრობდა) სტუდენტები იყრიდნენ. მაგრამ ჩისტიაკოვს არ უყვარდა იქ შეყრილი სტუდენტები, ისევე როგორც არ უყვარდა ყველაფერი ის, რაც მის გარშემო იყო - არ უყვარდა ქუჩები, სადაც დადიოდა, არ უყვარდა საერთო საცხოვრებლის ნომრები, სადაც ცხოვრობდა, არ უყვარდა მთელი ეს მოუწყობელი, უხეში და უაზრო ცხოვრება. ადამიანებს, რომელთაც ყველგან, შინ თუ გარეთ ხედავდა, ბარბაროსებზე უარესად თვლიდა - ბარბაროსები შეუპოვრები მაინც არიან, ესენი კი პატივს არც თავის თავს სცემენ, არც სხვებსო. იმის შეგნება, რომ მალე ამ ყველაფერს სამუდამოდ გაეცლებოდა და მშვიდი, კეთილმოწყობილი ცხოვრებით იცხოვრებდა, ამ ადამიანების მიმართ შემგუებელს ხდიდა, თუმცა მის გულს ეს რატომღაც უცნაური სევდით და ყრუ, გაუცნობიერებელი სინანულით ავსებდა. მაღალი, მკერდჩავარდნილი, მარხულივით სახეგაფითრებული და ციებიანივით თვალებგაბრწყინებული სამოცდამეოთხე ნომერში თავშეყრილ სტუდენტებთან რომ შევიდოდა, მისი წყნარი "გამარჯობა" ისე ჟღერდა, როგორც სევდის მომგვრელი "მშვიდობით".

სამოცდამეოთხე ნომერში კი ყოველთვის მხიარულება, სიცილ-ხარხარი და ჟრიამული იდგა. იმის გამო, რომ აქ ბლომად არაყს სვამდნენ და ეწეოდნენ, ბევრს მღეროდნენ და ყვიროდნენ, ეძინათ იატაკსა და დივანზე, ჰაერი მძიმე და ჩახუთული იყო, იქაურობა შებოლილი ქაშაყისა და არყის სუნით ყარდა. მუდამ ისეთი უწესრიგობა სუფევდა და ეს ისეთი მუდმივი და დაუძლეველი იყო, რომ ჩისტიაკოვს ზოგჯერ წესრიგადაც ეჩვენებოდა. ნომრის პატრონები - ვანკა კოსტიურინი და პანოვი, თავისი ნომერივით უთავბოლოები და ყოველგვარ წესრიგს მოკლებულები, დილით ჩაის მაგივრად არაყს სვამდნენ, მთელ ღამეებს, როგორც წესი, ათენებდნენ, დღისით კი



იწვნენ და დილიდან დაღამებამდე ფეხგაუნძრევლად ეძინათ.

მართალია არც პანოვს და არც კოსტიურინს ბევრი არაფერი გააჩნდათ, მაგრამ, ფანჯრის რაფაზე ყოველთვის ბლომად ცარიელი ბოთლები იყო ჩამწკრივებული. კედლებზე დაირა და სამკუთხა დასარტყმელი საკრავი ეკიდა, ძირს, მათ ჩასწვრივ, საუცხოო გარმონი იდო. მას შემდეგ, რაც ერთმა სერბიელმა სტუდენტმა - რაიკო ვუკიჩმა ერთ მშვენიერ ღამეს დაირის ბრახაბრუხით მთელ დერეფანს ჩაუარა და იქ მცხოვრებ სტუდენტებს, იმის გამო, რომ ხანძარი ეგონათ, გულები დაუხეთქა, ყოველ საღამოს, დადგებოდა თუ არა თერთმეტი საათი, მოვიდოდა მეკორიდორე სერგეი, დაირას წაიღებდა, დილით ისევ მოიტანდა, თან ორ ბოთლ ლუდსაც მოაყოლებდა და გრძელულვაშა ვანკა კოსტიურინი, რომელსაც დილაობით მუდამ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, დაირაზე რაღაც პატარა, თავისავით პირქუშ სიმღერას წაიმღერებდა, მერე ხმატკბილი გარმონი აღუღუნდებოდა და დაიწყებოდა ჩისტიაკოვის ყოვლად უაზრო და გაუგებარი დღე.

საღამოს, როცა სამოცდამეოთხე ნომერში მთელი დღის ნაჯაფი, ფერმკრთალი და მკერდჩავარდნილი ჩისტიაკოვი გამოცხადდებოდა, ვისაც სახეზე ცხოვრების მკაცრად განსაზღვრული მიზანდასახულობის დაღი აჩნდა, ცოტა არ იყოს, დამცინავად და არც თუ ისე კეთილად ხვდებოდნენ.

- უცხოელი მობრძანდა! - გამოაცხადებდა ვანკა კოსტიურინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაიწყებდნენ სტუდენტები სიცილს, ვინაიდან მთელი თავისი გარეგნობით, თავისი გრძელი თმით, ლურჯი, ქურთუკს ქვემოთ ჩამოჩეჩილი ხალათით უცხოელს არაფერი უგავდა. მეტყველებაც ნამდვილი ველიკორუსული ჰქონდა - რბილი და ფიქრიანი.

სტუდენტებს არ უყვარდათ ჩისტიაკოვი. არ უყვარდათ იმის გამო, რომ იგი სრულიად გულგრილი იყო იმ ცხოვრების მიმართ, რა ცხოვრებითაც ისინი ცხოვრობდნენ. ცხოვრების მათებური სიხარულისა არაფერი გაეგებოდა. იმ ადამიანს ჰგავდა, მატარებლის მოლოდინში სადგურში რომ ზის, ეწევა, საუბრობს, ზოგჯერ თითქოს რაღაც გაიტაცებს კიდევაც, მაგრამ საათს თვალს მაინც წამითაც არ აცილებს... საკუთარი თავის შესახებ არასოდეს არაფერს ჰყვება, ამიტომაც არავინ იცის, ოცდაცხრა წლის კაცი ისევ მხოლოდ მეორე კურსზე რატომ ზის. სამაგიეროდ, ბევრს და ხალისით ლაპარაკობს საზღვარგარეთსა და იქაურ ცხოვრებაზე. ყველას, ვისაც პირველად შეხვდება, ჩუმი აღტაცებით მაშინვე სადღაც და ოდესღაც გაგონილ იმ ამბავზე გაუბამს საუბარს, ყველაზე საუკეთესო მოედანზე ქრისტიანმა ადამიანებმა ბიერნსონსა და იბსენს სიცოცხლეშივე ორი უმშვენიერესი ძეგლი როგორ აუგეს. მოედანზე გავლისას ბიერნსონი და იბსენი თუჯსა და ბრინჯაოში ჩამოსხმულ თავის გამოსახულებას შეხედავენ და ხალხის ეს სიყვარული ისე ახარებთ, ორივე თურმე ტირისო. ამ ამბის მოყოლისას თავს გვერდზე სწევდა, თვალები ცრემლით ევსებოდა და უწითლდებოდა.

სიამოვნებით ჰყვებოდა იმის შესახებაც, რომ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად უკვე ორასოცი მანეთი ჰქონდა მოგროვილი. იმაზე წუწუნით, როგორ უსინდისოდ მოექცნენ, როცა ერთ გაკვეთილში, ვითომც არაფერი, მთელი თერთმეტი მანეთი დააკლეს, ხოლო როცა მი,თხოვნა დაუწყო, ჯერ გაიცინეს, მერე კი ქუჩაში გაუძახეს, სტუდენტებს თავიც კი მოაბეზრა.

- ეს ხომ სისხლის ფასად მოპოვებული ფულია, - ამბობდა იგი რისხვითა და სევდით, - მე ხომ ეს ფული მთელი ორი წლის სიცოცხლედ მიღირდა.

- კარგი, ნუ წუწუნებ, - უთხრა ერთხელაც ვანკა კოსტიურინმა, თუ გინდა მოგიგროვებთ ამ ფულს?

მან ეს გულწრფელად, სუფთა გულით შესთავაზა და ძალიან გაოცებული დარჩა, როცა ჩისტიაკოვმა ამ შეთავაზებაზე უარით უპასუხა.

- არა, შენ ჩვენი ძმაკაცი არა ხარ... აბა ეს რა ამხანაგობაა, - უსაყვედურა კოსტიურინმა და ამას დანარჩენებიც დაეთანხმნენ.

ის, რომ ჩისტიაკოვი მათთან არ ძმაკაცობდა, იქიდანაც ჩანდა, რომ ყოველგვარ სტუდენტურ ინტერესს მუდამ გულგრილად ეკიდებოდა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო, როგორც არ უნდა გაცხარებულიყვნენ, ის მაინც გაჩუმებული იჯდა თავისთვის და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა, ხოლო კამათი თუ გაგრძელდებოდა, მთქნარებას იწყებდა და გერმანულ ენაში სამეცადინოდ გარბოდა.

- არა, მე აქაური არა ვარ, - მოიბოდიშებდა ვითომ ხუმრობით, მაგრამ, ამ ხუმრობაში იყო საშინელი და რატომღაც გულსატკენი სიმართლე. ამავე დროს იყო არასასიამოვნო განცდა იმისა, რომ ისინი თურმე სულაც არ იცნობდნენ ამ ფერმკრთალ, მკერდჩავარდნილ ახალგაზრდას, ვინც ასე უკან მოუხედავად მიისწრაფოდა თავისი მიზნისაკენ და იმის გაგებაც არ სურდათ, საიდან გაჩნდა ამდენი ძალა, სიმტკიცე და გამბედაობა მის ამ ავადმყოფ მკერდში.

განსაკუთრებით ვანკა კოსტიურინს არ მოსდიოდა თვალში, ვისაც ყოველთვის რუსული მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ზაფხულობით სოფელში ხიფთანს ატარებდა და ყველაფერი რუსული უყვარდა - არაყი, მსუქანი შჩი, ბურახი თუ რუსი გლეხკაცები. ცდილობდა ყოველთვის გლეხურად ელაპარაკა, "кажется"-ს ნაცვლად "кажись" ამბობდა და საუბრისას წამდაუწუმ "давеча"-ს ურთავდა. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო ჩისტიაკოვის სწრაფვა საზღვარგარეთისაკენ, ამას რატომღაც ისეთივე კატეგორიის მოვლენებს მიაწერდა, როგორიც თეთრი ხელთათმანები, მუდმივი სიფხიზლე, ვიზიტები და მოდური ჩექმებია; მეტსახელად "არისტოკრატს" და "ძაღლურ სიბერეს" ეძახდა, თუმცა დანარჩენებიც სრულიად გულგრილები იყვნენ ყოველგვარი რუსულისადმი, კოსტიურინს ხალისით აძაგებდნენ და ჩისტიაკოვს არწმუნებდნენ, ფული რომ ჰქონოდათ, ისინიც სიამოვნებით წავიდოდნენ სასწავლებლად საზღვარგარეთ. ამაზე ჩისტიაკოვი თავგამოდებით უმტკიცებდათ, ფულის შოვნა ყოველთვის შეიძლებაო, მაგრამ, შეხედავდა მათ კეთილ, უწყინარ, ნაბახუსევ სიფათეებს, გაიხსენებდა მათ სიზარმაცეს, თავაშვებულ ცხოვრებას და ხალისდაკარგული ჩუმდებოდა. მერე იქვე კუთხეში არეულ საწოლზე ჩამოჯდებოდა ფერმკრთალი და მკერდჩავარდნილი და იყურებოდა იქიდან შორსმზირალი, გაბრწყინებული თვალებით.

დანარჩენები კი ცხოვრობდნენ კვლავაც უზრუნველად და მხიარულად, ახალგაზრდულად უდარდელები და ჯანმრთელები, თითქოს არც გუშინდელი დღე ყოფილა, არც ხვალინდელი იქნება, არც ყოველდღიური ცხოვრების ყოველდღიური კითხვები. მხარბეჭიანი, სქელკისერა, წვრილთვალებიანი ტოლკაჩოვი ერთთავად თავისი დაბერილი კუნთების ჩვენებაში იყო, ყველას აიძულებდა ეცქირა, ფუთიან გირებს როგორ სწევდა და აღტაცებულიყო. სპორტული ტანვარჯიშის წრის წევრს მხოლოდ ძალა და უნივერსიტეტი სწამდა, სხვას ყველაფერს დასცინოდა, სწავლა-განათლება იქნებოდა ეს თუ მეცნიერება. მართალია ბევრს არ უყვარდა, მაგრამ ეშინოდათ მისი ძლიერი კუნთებისა და მოურიდებელი უხეშობისა. მისი თანდასწრებით რაიმე ისეთის თქმასაც კი ერიდებოდნენ, ხოლო რომელიმე მოთმინებიდან გამოსული შეპასუხებას თუ გაბედავდა, მხოლოდ სიტყვიერად:

- თავისი მრწამსის დაცვის უფლება ყველასა აქვს, მაგრამ შენ, ტოლკაჩოვო, მართალი არა ხარ...

თუმცა ტოლკაჩოვისთვის მათი ეს დელიკატურობა სრულიად გაუგებარი იყო:

- ეჰ, ღირს კი თქვენისთანა სულელებთან კამათი. ჩემი ნება რომ იყოს, ყოველდღე სათითაოდ საჯინიბოში მიგბეგვავდით, - შეაწყვეტინებდა ეგრევე მოკამათეს.

მათ კი თავი ისე ეჭირათ, ვითომ ამას ხუმრობად იღებდნენ და იცინოდნენ.

სამოცდამეოთხე ნომრის პატრონი - პანოვი შებოლილ ქაშაყს ხახვს აჭრიდა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. ტანდაბალი, ხმელ-ხმელი, ძარღვმაგარი სერბი რაიკო ვუკიჩი, ცხვირკეხიანი, გრძელულვაშა და ნიკაპზე ჯაგარივით წვერწამოზრდილი, არყის ბოთლს მისჩერებოდა და ელოდა, როდის დაასხამდნენ. უცნაური ვინმე იყო ეს რაიკო, ფხიზელი ხმას თითქმის არასოდეს იღებდა, მაგრამ, საკმარისია ცოტა დაელია, რომ სასაცილო, დამტვრეული რუსულით სერბიაზე სრულიად უინტერესო, უმნიშვნელო ამბებს გატაცებით ჰყვებოდა. ჰყვებოდა პარტიებზე, რადიკალებზე, თურქებზე, ვიღაც ნამუსგარეცხილ ბოდემლიჩსა და, ვინ იცის, კიდევ რაზე არა. რაიკო ისე აქებდა თავის პატარა, უმაქნის სერბიას, ყველანი სიცილით იგუდებოდნენ და კიდევ უფრო აღიზიანებდნენ.

- ღმერთო ჩემო, - გაიკვირვა ახლაც ვანკა კოსტიურინმა, - იმ სერბიას აქებს, აი ამ ქაშაყისოდენაც რომ ძლივსაა. დაავლებს თურქი პირს და გადასანსლავს.

- ყელში გაეჩხირება, - აიფოფრა სიბრაზისაგან თვალებანთებული რაიკო.

- და გადმოაგდებს, ეს რა საშინელებააო, - არ დაუთმო ვანკა კოსტიურინმაც.

სერბმა ყველას განრისხებულმა გადახედა:

- ვირებო!

და ოთახიდან გავარდა. ბიჭები ხმამაღლა ხარხარებდნენ, ჩისტიაკოვი კი სევდიანად იღიმებოდა და ფიქრობდა - "მართლაც როგორი პატარა ქვეყანაა, მგზნებარე, სუსტი ადამიანების სამშობლო, ნაღვლის მომგვრელი და ისეთივე უმნიშვნელო, როგორც ჯარისკაცობანას თამაში". ეცოდებოდა პატარა რაიკო, უნდოდა თავისთან ერთად საზღვარგარეთ წაეყვანა, რათა საკუთარი თვალით ენახა, როგორი იყო ლაღი, თავისუფალი, გონივრული ცხოვრება.

ბოთლებში სასმელი რომ ჩანახევრდა, სტუდენტებმა სიმღერა წამოიწყეს და რაიკოსთან, რომელიც დაირაზე დაკვრის ნამდვილ დიდოსტატად ითვლებოდა, ვიღაც გაგზავნეს. რაიკო დაირას შუბლშეკრული ურტყამდა და მგელივით ანთებული თვალებით ყველას კრაზანასავით ნესტრავდა. ძალიან რომ შეხურდნენ, ადუღებულმა სისხლმა ძარღვებში დაუარათ, ვანკა კოსტიურინი წამოდგა, მხრები შეათამაშა და რუსულად ჩაბუქნა. ზორზოხა, ტლანქი, მოუხეშავი კოსტიურინი ცეკვის დროს ნიავივით მსუბუქი ხდებოდა. ქუსლებს ისე აბაკუნებდა, ისე ყვიროდა, ისეთ ხმაურსა და ყიჟინას ტეხდა, მთელ ოთახს ზანზარი გაჰქონდა, ყველას თვალები უბრწყინავდა, მხრებს ათამაშებდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ. მერე ერთი რომელიღაც კუთხეში მიდგა, ხელები აღტაცებულმა გაშალა და წამოვიდა სადღაც ოთახის სიღრმიდან ტკბილი და ვნების აღმძვრელი ე-ე-ხ!

ცეკვას რომ მორჩა, დაღლილი და ახვნეშებული ვანკა კოსტიურინი ახლა რაიკოს მიუბრუნდა:

- რაიკო, აბა გვიჩვენე, როგორი ცეკვა იციან თქვენში? ალბათ ასეთი არა.

- არა, ასეთი არა, უკეთესი.

- ჰოდა გვიჩვენე, რისი გეშინია.

რომ არა და აღარ მოეშვნენ, თვალებანთებულმა რაიკომ დაირა გვერდზე გადადო, შუბლი კიდევ უფრო მრისხანედ შეიჭმუხნა და რამდენიმე ისეთი სწრაფი, ფიცხელი, უცნაური მოძრაობა გააკეთა, თითქოს კი არ უნდა იცეკვოს, ვიღაც უნდა მოკლას, დაკაწროს, უნდა დაახრჩოს. სერიოზული და ცოტა საშიშიც კი, იგი ახლა ისე ჰგავდა ნამდვილ პატარა ველურს, ყველას ხარხარი აუტყდა, ხოლო რაიკომ ერთი გემრიელად შეიკურთხა და ოთახიდან გავიდა.

"როგორი უხეშები არიან", - შეეცოდა ჩისტიაკოვს პატარა რაიკო, ვისაც ასე მთელი სულითა და გულით უყვარდა თავისი პატარა სამშობლო.

სამოცდამეოთხე ნომერში კიდევ ერთი სტუდენტი დადიოდა, გვარად კარუევი, ყოველთვის მშვიდი, დარბაისელი და ოდნავ ქედმაღალი. მისი თანდასწრებით ყველაფერი სხვაგვარ სახეს იღებდა: მღეროდნენ მხოლოდ კარგ სიმღერებს, არ თავხედობდნენ, არ დასცინოდნენ და არ აღიზიანებდნენ რაიკოს. აი ახლაც კუნთმაგარი ტოლკაჩოვი, რომლის არც თავხედობას და არც მაამებლობას საზღვარი არ ჰქონდა, პალტოს ჩაცმაში თავაზიანად მიეხმარა, მაგრამ კარუევმა, ვითომ მისალმება დამავიწყდაო, გაწვრთნილი ძაღლივით ფოკუსები აკეთებინა:

- შენ ეი, ლეშო, აბა ერთი აწიე ეგ მაგიდა!

და ტოლკაჩოვმაც ასწია მაგიდა საკუთარი თავით კმაყოფილმა.

- აბა ახლა აბაზიანი გაღუნე!

იმანაც გაღუნა აბაზიანი და მორცხვად დასძინა:

- მამაჩემი ქარჩახს ბანტივით კვანძავდა.

მაგრამ კარუევი მას უკვე აღარ უსმენდა და სასაუბროდ განმარტოებით მჯდარი ჩისტიაკოვისაკენ მიაპყრობდა. მის მიმართ იგი მუდამ სერიოზული და ყურადღებიანი იყო, საუბრისას ახლოს და ალერსიანად შესცქეროდა თვალებში. ჩისტიაკოვსაც ეცოდებოდა და მასთან ერთად საზღვარგარეთ წასვლას სთავაზობდა.

- რას ვშვრებით, მივდივართ? - უთხრა კარუევმა.

- ორასოცი უკვე მოვაგროვე, ასორმოცი მაკლია. თქვენ? თქვენ რას იზამთ? - გაიღიმა ჩისტიაკოვმა.

- არაფერს. ეჰ, გაგიჭირდებათ იქ, გეთაყვა. თქვენი ჯანმრთელობის პატრონი...

- იქ ხომ მშვენიერი კლიმატია!

- ჰო, მაგრამ, ყირიმი მაინც სხვაა.

ფერმიხდილი სახე ჩისტიაკოვს კიდევ უფრო გაუმკრთალდა. ქუთუთოები გაუწითლდა და თითქოს გულიდან თავის საზღვარგარეთს გლეჯენო, შიშისა და ტკივილისაგან აკანკალებულმა სევდიანად ჩაილაპარაკა:

- მე აქ მოვკვდები... ღმერთო ჩემო, მე აქ მოვკვდები... იქ ადამიანები არიან, ცხოვრებაა, აქ კი... - და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

- კარგი, კარგი!.. - დაამშვიდა კარუევმა, - რახან ასე გინდათ, წადით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

- თქვენ კარგად იცით, - დაიწყო გულაჩუყებულმა ჩისტიაკოვმა, - ძეგლი ბიორნსენს იქ სიცოცხლეშივე დაუდგეს. იბსენსაც. ჩაუვლიან ყოველდღე გვერდით და უყურებენ. ღმერთო, ღმერთო ჩემო! ნეტავი ერთხელ მაინც შევეხებოდე სიკეთით სავსე იმ მიწას, ერთხელ მაინც ჩავისუნთქავდე იმ ჰაერს! გული, ვიცი, სუსტი მაქვს, შეიძლება ჭლექიც მჭირდეს, მაგრამ... ეჰ, ნეტავი იქ მოვკვდებოდე!

კარუევმა მუხლზე ხელი ფრთხილად გადაუსვა:

- არა, არ მოკვდებით, ჩვენზე დიდხანს იცოცხლებთ... ჩანს, ცხოვრებამ გვარიანად გაგტეხათ, ნერვები გღალატობთ...

- ნერვებიო! - გაიღიმა ჩისტიაკოვმა, - ნერვები კი არა, - თქვა მან და ყელზე თითი იტაკა, - აი სადა მაქვს ამოსული ჩვენი ეს ცხოვრება!

და მოჰყვა და მოჰყვა, როგორი იაფი იყო ყველაფერი საზღვარგარეთ, როგორი კეთილები იყვნენ ადამიანები, არა ისეთი, როგორც ჩვენში, სადაც ყველაფერს ცეცხლის ფასი ადევს და მხოლოდ ადამიანის შრომა, ადამიანის სიცოცხლეა იაფი.

## II

წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაძნელდა ჩისტიაკოვის ცხოვრება. სისუსტე კიდევ უფრო მოერია, მარცხენა ფერდში ტკივილმა უმატა. ახლა კიდევ უფრო ადვილად ღიზიანდებოდა გაკვეთილებზე, მოწაფეები კი, მისი აზრით, კიდევ უფრო უტვინოები, თავხედები და ზარმაცები იყვნენ. სამოცდამეოთხე ნომრის სტუდენტებს შორისაც ახლა თავს კიდევ უფრო უარესად გრძნობდა. იქ ერთი ისეთი ამბავიც მოხდა, რომელიც ყველამ მაშინვე მიივიწყა, ჩისტიაკოვი კი ამ ამბავმა ისე გააოგნა, მისი დავიწყება ვერა და ვერ შეძლო. ეს ამბავი ჯერ კიდევ ნოემბერში იყო. ჯანმაგარი ტოლკაჩოვი კოსტიურინს რაღაცაზე წაეჩხუბა და სახეში გაარტყა. გვიანი საღამო იდგა. ყველანი ეზოში იყვნენ შეჯგუფულები, მაგრამ იმის გამო, რომ ყველანი ძალიან მთვრალები იყვნენ, ხეირიანად ვერც კი გაიგეს, რა მოხდა.

- ჩემგან რა გინდა, რას მერჩი? - იყვირა კოსტიურინმა.

- რა და, აი ეს! - თქვა ტოლკაჩოვმა, სახეში ერთი მაგარი კიდევ სთხლიშა და გასისხლიანებული, წელში ოთხად მოკაკული კოსტიურინი კინაღამ მიწაზე გაიშხლართა.

ყველა შუბლს იკრავდა, ყვიროდა, ჩხუბში ჩარევას კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერავინ ბედავდა. მხოლოდ ჩისტიაკოვი ეცა ახმახ ტოლკაჩოვს ისტერიული ყვირილით და ისე უხერხულად დაარტყა, რომ ცერა თითი დაიზიანა. უცებ თავში ფუთიანი საწონივით რაღაც მძიმე მოხვდა, დაეცა და როცა წამოდგა, დაინახა, რომ ყველანი ტოლკაჩოვს მიხვეოდნენ, მაგრამ კი არ ურტყამდნენ, მხოლოდ ყაყანებდნენ. ტოლკაჩოვი ეტყობა ცოტა შეშინებული იყო - თავს იმართლებდა და ყველაფერში კოსტიურინს ადანაშაულებდა. ეს უკანასკნელი სისხლს თოვლზე აფურთხებდა და ამბობდა:

- ძმებო, განა ეს შეიძლება!

მაგრამ ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ კოსტიურინი და ტოლკაჩოვი შერიგებულები იყვნენ, ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და ჰკოცნიდნენ. ამის დანახვაზე ჩისტიაკოვმა ხელი ხელს შემოჰკრა და ტკივილის, წყენისა და ბრაზისაგან ატირდა:

- ღმერთო ჩემო, ამას ურტყამენ, ეს კი დგას და კოცნის. ეს ხომ საშინელებაა.

- შენ რაღას ეჩრები? - მხარზემოთ გადმოხედა ტოლკაჩოვმა.

- უცხოელი! - თქვა დამცინავად კოსტიურინმაც და სიცილ-სიცილით ყველანი ჟიშკრისკენ დაიძრნენ. მარტო დარჩენილი ჩისტიაკოვი ნომერში შევიდა, დაწვა და სიბნელეში დიდხანს ტიროდა. ძალადობა თავზე ღრუბელივით ჩამოსწოლოდა, ნათელი, მშვენიერი ქვეყანა ახლა მხოლოდ შორეულ, მიუწვდომელ სამოთხედ ეჩვენებოდა და ნეტავი იქ მოვმკვდარიყავიო, - ფიქრობდა.

მეორე დღეს თავისი საქციელით დარცხვენილი კოსტიურინი მთელი მათი ნაცნობობის მანძილზე პირველად შევიდა ჩისტიაკოვის ნომერში, ოთახს უხერხულად ათვალიერებდა და აქებდა:

- რა შესანიშნავია, მოლოზნისა გეგონება!..

მერე უცებ ატირდა, მის გრძელ, დაგრეხილ ულვაშზე დაგორებული დიდი, კრიალა ცრემლები წითელმაუდგადაკრულ, ჭუჭყიან მაგიდაზე ცვიოდა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ეს ამბავი უკვე აღარავის ახსოვდა. ტოლკაჩოვი ისევ აჩვენებდათ თავის დაბერილ მუსკულებს, ისევ ისე აიძულებდა ალტაცებულიყვნენ მისით. ჩისტიაკოვი კი მის ღაჟღაჟა, სქელ, მორგვივით კისერსა და უზარმაზარ მუშტს შიშით შეჰყურებდა და მის წინაშე თავს ისე უმწეოდ გრძნობდა, როგორც წიწილა ქორის წინაშე. ბინძური, უაზრო ძალა განრისხებული იდგა მის წინ და მის დაცვას ვერავინ ბედავდა. მიუხედავად ამისა, ჩამოსართმევად მას შემდეგ ხელს არასოდეს უწვდიდა, თუმცა ტოლკაჩოვს ეს ფეხებზე ეკიდა, გულიანად ხარხარებდა და ხშირად გამოელაპარაკებოდა კიდევაც:

- უცხოელო, ეშმაკები მალე გაგაფრენენ საზღვარგარეთ? აბა შენ იცი, დააჩქარე, თორემ ერთხელაც ავდგები და ნეკნებს სათითაოდ ჩაგიმტვრევ.

შეშინებული ჩისტიაკოვი კი გაჩუმებული იდგა და ფიქრობდა - ამ მუტრუკს ისიც არ ესმის, რა დიდი უზრდელობაა, იმ ადამიანს დაელაპარაკო, ჩამოსართმევად ხელსაც რომ არ გიწვდისო.

- ნუ გეშინია, - ხარხარებდა ტოლკაჩოვი, - ვიხუმრე, ვითომ რაში მჭირდები ამისთანა უმაქნისი!!

ამ სიტყვებზე ყველა შვებით ამოისუნთქავდა, ვინაიდან, სცემსო, - ყველას ეშინოდა.

- რას ერჩი, კაი ბიჭია! - ეუბნებოდნენ ჩისტიაკოვს ისე, რომ ამისა თვითონაც არ სჯეროდათ. მხოლოდ კარუევი უწევდა თანაგრძნობას, სამოცდამეოთხე ნომერში კარგა ხანია ის უკვე ფეხსაც არ ადგამდა.

- ახლა ორასოთხმოცი მანეთი მაქვს, გაზაფხულისთვის, ასე, აპრილის თვისთვის ოთხასი მექნება, - ამბობდა ჩისტიაკოვი, - მეტიც მექნებოდა, ერთ გაკვეთილში ვაჭარს ათი მანეთი რომ არ დაეკლოო. გარდა ამისა, [illegible] ვინაიდან სახლიდან ის თხუთმეტი მანეთი რაიკოს [illegible]



თითქმის არაფერს იღებდა, მხოლდ ამხანაგების ამარა იყო დარჩენილი. რაც შეეხება ბინის ქირას, ქირას ვანკა კოსტიურინი უხდიდა.

ჯიბეში ფული რომ დაიგულა, ჩისტიაკოვი გაცილებით მშვიდი და თავდაჯერებული გახდა. მთელი საღამოები იჯდა თავის ნომერში მარტოდმარტო და იმაზე ოცნებობდა, როგორ კარგად იცხოვრებდა საზღვარგარეთ. რაღაც-რაღაცეები ჩემოდანში უკვე ჩალაგებული ჰქონდა. ნივთებს რომ ალაგებდა, მის გულს ჩუმი, წყაროს წყალივით ანკარა, გამჭვირვალე სევდა ეუფლებოდა, შორეული, ჯერ განუცდელი და სასიამოვნო სევდა. რატომღაც ასე ეგონა, რაღაც ძვირფასის და მნიშვნელოვანის, რაღაც მშობლიურის წაღება ავიწყდებოდა, იმ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანისა და ძვირფასის, რის გარეშეც თავს ბედნიერად ვერასოდეს იგრძნობდა.

მეგობრების მიმართ ახლა უფრო თბილი და გულისხმიერი იყო, მათზე კი არ ბრაზობდა, ეცოდებოდა, ეცოდებოდა იმის გამო, რომ სვამდნენ, რომ მთელი მათი ცხოვრება მომავალშიც ისეთივე უფერული და სევდის მომგვრელი იქნებოდა, როგორც ახლა და როგორც სხვა ყველასი, და რომ ვერასოდეს ეღირსებოდნენ იმას, რაზეც ზოგჯერ მაინც ოცნებობდნენ. უცნაური, მოუწყობელი, კოშმარული სიზმარივით საშინელი ცხოვრება მათაც ისე შთანთქავდა, როგორც სხვა ათასობით ადამიანს. განსაკუთრებით ენერგიული, გაბედული კარუევი ეცოდებოდა, რომელიც ამ ბოლო დროს ერთთავად განერვიულებული და შუბლშეკრული დადიოდა.

- წამოდით, - ურჩია ახლაც ჩისტიაკოვმა.

- სად? - ვერ მიუხვდა კარუევი.

- სად და, საზღვარგარეთ.

ამაზე კარუევმა გაღიზიანებულმა უპასუხა:

- მე კი მეგონა... - მერე უცებ გაახსენდა და თავაზიანად უთხრა: - რა თქმა უნდა, წადით, გაემგზავრეთ, აბა აქ რისთვის უნდა იჯდეთ! ცოტას იმკურნალებთ, ნერვებს დაიმშვიდებთ...

- მინდა ეს ზაფხული შვეიცარიაში გავატარო.

- მაგას რა ჯობია! - შეაქო კარუევმა და ახალგაცნობილივით თავაზიანად გამოემშვიდობა - ცოტახნით ისიც სადღაც გამგზავრებას აპირებდა.

მარტის შუა რიცხვებში სამოცდამეოთხე ნომრის ერთ-ერთმა პატრონთაგანმა - პანოვმა დღეობაზე ჩისტიაკოვიც დაპატიჟა. ბოლო გაკვეთილიდან გამოსულ ჩისტიაკოვს სახეში ადრეული გაზაფხულის სითბო და სასიამოვნო სურნელი ეცა. "მალე, მალე წავალ..." -

გაიფიქრა გუნებაში, გული ჩიტივით აუფართქალდა და ისე, როგორც ყველა იმ ადამიანს, ვინც დიდი ხნით, სამუდამოდ ტოვებს თავის ქვეყანას, სული რაღაც გაუცნობიერებელმა სევდამ და ტკივილმა აუვსო. ქალაქს თავზე შავი, ღამეული ზეცა დასდგომოდა. გიგანტური თეთრი ფრინველებივით დასავლეთისკენ თეთრი, იდუმალებით მოცული უზარმაზარი ღრუბლები მიქროდნენ და მათ სწრაფ, იდუმალ ქროლვაში იყო ხმობა ასეთივე ლაღი, ბედნიერი, ფრთაშესხმული ქროლვისკენ. "მალე, მალე..." - ფიქრობდა ჩისტიაკოვი.

ნომერში რომ შევიდა, ყველანი კარგა ხნის შეკრებილები იყვნენ. არყის და ჩაის სმა უკვე მოეთავებინათ და ახლა სასიმღეროდ ემზადებოდნენ. ჩისტიაკოვი კუთხეში ოთხად მოკეცილ პალტოზე ჩამოჯდა და სევდამორეულმა შეკრებილებს ალერსიანად გადახედა. სულ რაღაც ერთ თვეში აქედან დიდი ხნით, სამუდამოდ წავიდოდა, ვეღარავის ნახავდა... ჯერ ყველამ ერთად ორი სტუდენტური სიმღერა იმღერა, მერე დანარჩენებს სამნი - შესანიშნავი სოპრანო მიხაელოვა, თავად მასპინძელი პანოვი, რომელსაც ძლიერი და ლამაზი ბანი ჰქონდა და ვიღაც ქერა სტუდენტი - ტენორი გამოეყვნენ. ჩამოწვა სიჩუმე. ჯერ ბანმა წამოიწყო:

"მშვიდობის ღამე ამ ცხოვრებით დაღლილ-დაქანცულთ..."

და ეს ისეთი მოულოდნელი, ისეთი მშვენიერი იყო, რომ ჩისტიაკოვი შეკრთა.

სიმღერა ზეიმური სიმშვიდით, ამაღლებული სევდითა და სიყვარულით ჟღერდა. ვიღაც დიდი და ღამესავით ბნელი, ვიღაც ყოვლისმხედველი, მონანიე და უძირო სევდით მოცული ნელა ახვევდა დედამიწას თავის ლბილ საბურველში. "ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჩვენზეა! ღმერთო, ეს ხომ ჩვენზეა!.." - გაიფიქრა ჩისტიაკოვმა და სიმღერას მთელი არსებით მიენდო.

როცა ბოლო ბგერაც მიწყდა, წკრიალა ტენორმა, თითქოს სანუკვარ, ალერსიან სიტყვებს დედამიწა ეხმიანებაო, იგივე გაიმეორა და ლოცვასავით გაისმა:

"მშვიდობის ღამე ამ ცხოვრებით დაღლილ-დაქანცულთ..."

მერე სივრცეს ასეთივე დიადი სევდით მონისლული ვაჟკაცური ბანი მოეფინა:

"მთელ დღეს შრომაში თავწახრილებს..."

და ციდან თითქოს რაღაც ძვირფასი, რაღაც ცრემლივით კრიალა დაეშვაო, ნაზმა, მიწის გოდებასავით მხურვალე კვნესამ ფართო, მკერდისმიერი ბანის წყვდიადი გააპო:

"სულის სიმშვიდის შრომაში მძებნელთ..."

"ღმერთო ჩემო, ღმერთო! ამას ხომ ეს გოგონა მღერის!.. ფიქრობდა ჩისტიაკოვი და ქალიშვილის ფერწასულ სახეს თვალს ვერ აცილებდა, - ო, ძვირფასო, ეს ხომ ჩვენზეა!.."

მერე ხმები ერთმანეთში აირია, ურთიერთს ერთ დიად, სევდიან ჰარმონიად შეერწყა და სამივემ ერთად გაიმეორა:

"მშვიდობის ღამე ამ ცხოვრებით დაღლილ-დაქანცულთ,
მთელ დღეს შრომაში თავწახრილებს,
სულის სიმშვიდის შრომაში მძებნელთ..."

მერე რაღაც სხვა სიმღერაც იმღერეს, მაგრამ ჩისტიაკოვს ის უკვე აღარ გაუგონია, საკუთარი თავის სიბრალულით მთელი სხეული უთრთოდა.

გონს იგი მხოლოდ რაიკო ვუკიჩის ირგვლივ ატეხილმა მხიარულმა ყიჟინამ მოიყვანა. ისევ რაღაცას უჩიჩხინებდნენ და ალიზიანებდნენ. ის კი გაჩუმებული იდგა, კრაზანას ნესტარივით ბასრ თვალებს ხან ერთს მიაპყრობდა, ხან მეორეს და გაყოფილი ნიკაპი უკანკალებდა.

- რას იტყვი, რაიკო, - ეკითხებოდა ვანკა კოსტიურინი, - თქვენში ყველას ასეთი კეხიანი ცხვირი აქვს, როგორც შენ?

რაიკომ შეყოვნებით უპასუხა:

- ამ დღეებში საზღვარზე თურქებმა ერთ სერბს - ბოინოვიჩს ყელი გამოსჭრეს.

და ყველას თვალწინ ყელგამოჭრილი სერბი წარმოუდგა, ვიღაც ბოინოვიჩი, რაიკოსავით ყვითლად სახეჩატეტკილი და ცხვირკეხიანი, ყელზე შავი, დიდი ჭრილობა რომ აჩნდა. ცხადია, ეს ძალზე არასასიამოვნო სურათი იყო და კოსტიურინმა ნაძალადევი სიცილით წარმოთქვა:

- დიდი ამბავი! უიმისოდაც ბლომად დარჩნენ.

რაიკო აენთო, გაყოფილ ნიკაპზე ეკალივით წვერი აებურძგნა და როცა დაილაპარაკა, ხმა მეტალივით მტკიცე და უკმეხი გაუხდა:

- მატყუარა ხარ!.. რუსული ცეკვით თავს ტყუილად იწონებ! შენ არც სამშობლო გაგაჩნია, არც სახლი!.. ღორი ხარ!

ეს საყვედური თითქოს პირადად მას ეხებაო, ჩისტიაკოვმა ყრუდ, წყნარად ჩაილაპარაკა:

- შენ კი, გიყვარს, რაიკო, შენი სერბია?

- რა თქმა უნდა, მიყვარს.

.....................................................................

- ჰო...

ყველანი დუმდნენ. უცებ რაიკომ სამზარეულოს უშველებელ დანას ხელი დაავლო, ჰაერში დაატრიალა და მკვახე ხმით იყვირა:

- მოვკლავ!.. გული მტკივა!.. სისხლი ყელში მებჯინება! მტკივა!.. ძალიან მტკივა!

ამ სიტყვებით რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დანა კედელს ჩასცხო, მაგრამ კედელს დანა ბრტყლად მოხვდა და ასხლტა.

ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ჩისტიაკოვმა მისი ოთახისაკენ გასწია. ეცოდებოდა პატარა რაიკო, ვისაც ასე ძალიან უყვარდა თავისი პატარა, შეურაცხყოფილი სამშობლო... გრძელ, ნახევრად ჩაბნელებულ, უამრავ ერთნაირ კარს შორის რომ მიაბიჯებდა, ყურში უცნაური ღრიალი ჩაესმა და წუთით შეჩერდა: "რაიკო ვუკიჩი" - ეწერა მოპირდაპირე კარს ცარცით, ეს უცნაური, ახლა უკვე მეტისმეტად ხმამაღალი ყვირილიც სწორედ იმ კარიდან ისმოდა. კაკუნზე რომ არავინ უპასუხა, ჩისტიაკოვმა კარი შეაღო და ფანჯრებიდან შემოსულ სინათლეზე რაიკოს პატარა, ტანმორჩილი ფიგურა გაარჩია - იგი ფანჯრის რაფაზე იჯდა და ხორხისმიერი ხმით ხმამაღლა მღეროდა.

- რაიკო! - წყნარად დაუძახა ჩისტიაკოვმა.

მაგრამ რაიკოს არაფერი გაუგია. არ გაუგია არც კარის ჯახუნი, არც ჩისტიაკოვის ნაბიჯის ხმა, არც მისი დაძახება. იგი ფანჯრის მოპირდაპირე მაღალ, შავად გამურულ აგურის კედელს მისჩერებოდა და თავის შორეულ სამშობლოს უმღერდა. მღეროდა მის უსაზღვრო ტანჯვაზე, შვილმკვდარ დედებსა და დაქვრივებულ ცოლებზე, ემუდარებოდა თავის შორეულ სამშობლოს, მიეღო პატარა რაიკო, თავის კალთაში მიეცა სამუდამო განსასვენებელი, იმ მიწისთვის ეკოცნა, რომელ მიწაზეც დაიბადა. მღეროდა სასტიკ შურისძიებაზე, დამარცხებულ მოძმეებზე, მღეროდა სერბ ბოივიჩზე, ვისაც ყელზე დიდი, შავი ჭრილობა აჩნდა, იმაზე, თუ როგორ სტკიოდა გული უბედურ, ტანჯულ სამშობლოზე მშობლიურ მიწას მოწყვეტილ პატარა რაიკოს.

ჩისტიაკოვს მისი სიტყვები არ ესმოდა, ესმოდა მხოლოდ ბგერები, ისეთივე ყრუ, უდაბური, [illegible] და [illegible]ური, როგორც მიწის [illegible]დება. ის ხმა [illegible] ადამიანის სიმღერას კი არა, [illegible] ძაღლის ყმუილს ჰგავდა. იგი ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვით, ისეთი უკიდეგანო სევდით იყო სავსე, მომღერლის დაჭრილი გულის დასანახად სიტყვები საჭიროც არ იყო. რაიკოს ხმა მაღალ, გამჭოლ ნოტზე მიწყდა და ორივენი დიდხანს იყვნენ ასე გაჩუმებულები, ვიდრე ჩისტიაკოვი მასთან ახლოს არ მივიდა და გამშრალ, ბოღმით სავსე, მგელივით ანთებულ თვალებში არ ჩახედა.

- რაიკო, - უთხრა მან წყნარად, - დიდი ხანია შენს ქვეყანაში არ ყოფილხარ, წადი, ფულს მე მოგცემ.

- იქ სახლია... - თქვა ჩაფიქრებით რაიკომ.

- სახლი? რა სახლი?

- ჩვეულებრივი... განა არ იცი, სახლი როგორია? გვერდით ურემი რომ ჩაუვლის, მისი ჭრიალი ისმის - ჭრრ... ჭრრ...

- აიღე, გამომართვი ფული, რაიკო.

- ნუ მიშლი... თუ შეიძლება, ხელს ნუ მიშლი. შენიანებთან წადი, მე აქ მარტო დამტოვე. გული მტკივა, გესმის, ძალიან მტკივა.

მაგრამ ჩისტიაკოვი თავისიანებთან არ წასულა. ნომერში შევიდა, რაიკოსავით ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და ცას ახედა. ისევ ჩუმად, იდუმალად მიქროდნენ თეთრი, უზარმაზარი ღრუბლები, მათ შორის შავი ჩანაქცევებივით ჩანდა უძირო, უკიდეგანო ზეცა, მაგრამ ახლა ცივი და უცხო იყო ღრუბლების ეს ხალისიანი ქროლვა, იგი არაფერს ეუბნებოდა მწუხარე, ფიქრით მოცულ ადამიანს.

"მეც მალე გავფრინდები..." - ფიქრობდა ჩისტიაკოვი, ცდილობდა აღედგინა თავისუფლების ცოტა ხნის წინანდელი ის განცდა, მაგრამ სრულიად სხვა - მშფოთვარე, მბრძანებლური გრძნობა დაუფლებოდა მის გულს, რომელიც ისე სცემდა და ფართხალებდა, როგორც ჩიტი გალიაში. და აი უცებ იგრძნო, რომ მასაც რაიკოსავით გზნებით, გატაცებით უნდოდა ემღერა, ემღერა სამშობლოზე. მის გულში გამოკეტილი მწველი, კრიალა ცრემლის ხმა აშკარად შეიგრძნო, სასიმღეროდ პირიც გააღო, მაგრამ, ვაითუ ვინმე შემოვიდეს, მომღერალი მნახოსო, ეუხერხულა, კარში გასაღები ორჯერ გადაატრიალა და ფანჯრისკენ უკან რატომღაც ფეხაკრეფით წავიდა.

- აბა! - თქვა თავისთვის გუნებაში, უსიტყვოდ რაღაც ჩაიმღერა, მაგრამ ისეთი ულიმღამო, ისეთი უსიცოცხლო იყო მისი ეს უსიტყვებო, გაუბედავი, უხერხულობის გამო ადგილზევე ჩამკვდარი სიმღერა, რომ ჩისტიაკოვს შეეშინდა. "სიტყვები... სიტყვებია საჭირო, უსიტყვებოდ არაფერი გამოვა.." - თავი თვითონვე იმართლა და სიტყვებს ძებნა დაუწყო, გაუელვა კიდევაც თავში უამრავმა სიტყვამ, მაგრამ არ იყო ერთიც სამშობლოს სიყვარულით ნაშობი. მთელი თავისი წარმოსახვა, მთელი თავისი გონება მოიკრიბა, ეძებდა წარსულში, ეძებდა წიგნებში, რომელიც კი ოდესმე წაეკითხა, იყო კიდეც მათ შორის ბევრი მჟღერი, ლამაზი სიტყვა, მაგრამ არ იყო არც ერთი, რომელიც ტანჯულ შვილს სამშობლოსკენ მოაბრუნებდა. მთელი თავისი არსებით გრძნობდა, თითქოს ხედავდა კიდევაც იმ სიტყვებს და ისიც იცოდა, რით გამოირჩეოდა იმათგან, რომელიც ტაძრის კარიბჭესთან ხელგაწვდილი მათხოვარივით მწირი და ღარიბი იყო. იმათ კი, ცრემლით და სისხლით განბანილთ კი, გავარვარებულ ნაღვერდლებს რომ ჰგავდა, ზეციური ცეცხლივით რომ ენთო, ვერ პოულობდა. და თავი ისეთივე ღარიბღატაკად იგრძნო, როგორც იმ უკანასკნელმა უპოვარმა, ვისი სულიც ისეთივე მჭლე და გამოფიტულია, როგორც მისთვის გასაკითხად მიწვდილი ლუკმა.

- ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო! - ჩურჩულებდა იგი შეძრწუნებული, - მე ხომ კარგი ადამიანი ვარ... მე ხომ კარგი ადამიანი ვარ...

ის, რაც სურდა და სჭირდებოდა, ეგონა უფრო სწრაფად მაშინ იპოვიდა, წერას თუ დაიწყებდა. აკანკალებული ხელებით ასანთი გაჰკრა, სანთელი აანთო, მაგიდიდან



გერმანული ენის სახელმძღვანელო გაბრაზებულმა ისროლა, თეთრ ფურცელზე წაიხარა და დაფიქრდა. და აი, მისმა ხელმა ფრთხილად, გაუბედავად, ბორძიკ-ბორძიკობით გამოიყვანა:

"სამშობლო".

მერე შედგა, შეყოვნდა და უფრო მტკიცედ მოხაზა:

"სამშობლო".

და სწრაფად, დიდი ასოებით დაამთავრა:

"მაპატიე!"

მერე დაწერილს დახედა, ქაღალდს დაემხო და სამშობლოს, საკუთარი თავისა და მთელ დღეს შრომაში თავწახრილთა სიბრალულით ატირდა. იმან, რომ შეიძლებოდა დიდი ხნით, სამუდამოდ წასულიყო, იქ, უცხო ქვეყანაში დაესრულებინა სიცოცხლე, სიკვდილის წინ თავისი დაშრეტილი ყურებით უცხო, სხვა ტომელთა საუბარი ესმინა, მთელი არსებით შეძრა. მიხვდა, რომ არა, არ შეუძლია უსამშობლოდ ცხოვრება, რომ ვერასოდეს იქნება ბედნიერი, ვიდრე ის - მისი სამშობლო იქნება უბედური. მის ამ განცხადებაში იყო დიდი სიხარულიც და დიდი, სტიქიური, ათასხმოვანი მწუხარებაც. და აი ამ სევდამ და მწუხარებამ ის ბორკილები დაამსხვრია, რომელიც მის სულს ასე ბორკავდა. თავისი სული მან უცნობ, მრავალსახე ტანჯული ძმის სულს შეუერთა და მის სნეულ, მტკივან მკერდში თითქოს ათასი ცეცხლოვანი გული ათრთოლდაო, თვალში ცრემლმომდგარმა წარმოთქვა:

- მიმიღე, სამშობლოვ!..

*თარგმნა*

***ლილი მჭედლიშვილმა***

*გვერდები გაფორმებულია ავტორის ნახატებით*

არილი

# ნადირობა გომისმთის ტყეში

ლია მოლარიშვილი

აი, ეს ვერცხლისფერი ტყე - მთვარის სხივებით დაქსოვილი, იდუმალი ჩრდილები კიდით კიდემდე რომ უწევს... სწორედ ასეთი - ხშირად დამსიზმრებია.

გივლიათ ოდესმე ზამთრის ტყეში? და ღამით, ღამით?

მონადირეებო, თქვენ კი, ალბათ... ოღონდ, ვინ იცის, ნადირის დევნით ქანცგაწყვეტილთ, შეციებულებს, ღამის გასათევის სამზადისში, შეუმჩნეველი დაგრჩათ, როგორ სუნთქავს ამ დროს ტყე თუ იმისი სული... შემკრთალი, ფრთხილად...

ხოლო თუ თოვდა, სულ არ უგდებდით ყურს სიბნელეში ხმელ, ყინვით დამზრალ ფოთლებზე ფიფქების ფენას. და ცეცხლს ანთებდით.

ცეცხლი მართლა გაგიფანტავდათ შიშს და სიცივეს.

ყველაფერი ის, რაზედაც მინდა ახლა გიამბოთ: როგორ ვიხილე ზმანებასავით შუაღამისას თეთრად გაცისკროვნება - მარტოდმარტომ, გზააბნეულმა, უდაბურ ტევრში - უბრალოდ დაიწყო...

* * *

ნოემბერი მიიწურა თუ არა, ჩემმა ახალგაზრდა ბიძამ (სულ ექვსიოდე წლით იყო ჩემზე უფროსი, გამოიტანა თავისი საამაყო თოფ-იარაღი და დაუწყო წმენდა. კარგად ვიცოდით, აწი ხშირად გადაიკარგებოდა, გადაასწორებდა კლდე-ღრეს. დადიოდა იხვზე, ტყის ქათამზე, დათვზედაც კი. თუმცა, დათვი - არასოდეს მოუკლავს.

არც კი ვიცი, ჰქონდა თუ არა სხვა რამ, უფო სასიამოვნო მისწრაფება? ცოლის მოყვანასაც კი არ ეშურებოდა მაინცდამაინც. მართალია, ჯერ საჩქაროც არაფერი იყო, მაგრამ მაინც...

ის ოცდასამისა, მე ჩვიდმეტის - მშვენივრად ვეგუებოდით ერთმანეთს. ისიც თითქოს უფრო მოყვარული იყო მარტოობისა: ხანდახან ორივეს შეგვიპყრობდა ხეტიალის, სახლიდან შორს წასვლის სურვილი. ეგ იყო, მე არსად მიშვებდნენ.

გვამსგავსებდნენ ერთიმეორეს. მაგრამ, უეჭველია, ის ბევრად მიმზიდველი იყო და ღონიერი, დიდი. თანაც, აუჩქარებელი, მშვიდი, მორცხვღიმილიანი. მე კი - ფიცხი, მოუთმენელი, ჯიუტიც...

კიდევ რა? ჰო, მე ხმამაღლა კითხვა მიყვარდა, იმას - მოსმენა. მალავდა, მაგრამ გულჩვილიც იყო. ერთხელ "ადამიანთა სევდა" წავუკითხე და ვითომ მუნდშტუკის გამოთლაში გართული, თავდახრილი ჩაჰკირკიტებდა ბზის პატარა ნაფოტს, მარიდებდა ცრემლით ავსებულ თვალებს.

გასაკვირიც კია, რად არ ებრალებოდა დახოცილი ნადირ-ფრინველი.

დეკემბერიც განახევრდა და თოვლი არ ჩანდა. ბიძაჩემს გომისმთისკენ ეჭირა თვალი - გათოვებას ნატრობდა. იყო პალიასტომზე. იმდენი იხვი ჩამოიტანა, ბებიამ შესაბოლად დაჰკიდა შუაცეცხლთან, სამზადში. შაშვი და ჩხარტა იმდენი იყო ჩვენს ეზოშიაც, ვერ დაითვლიდით, მაგრამ მგალობელ ფრინველს ბიძაჩემი არ ესროდა, სხვა მონადირეებს კი მე ვუშლიდი იმათ დახოცვას.



გუნდ-გუნდად მოედვნენ ბებერ კაკლებსა და წაბლებს ბოლოშავები. დამიზნება არც ჭირდებოდა: თვალდახუჭულს, გვერდზე თავმიბრუნებულს, ალალბედზე რომ გესროლა თოფი, რამდენიმე დაცვივდებოდა. მაინც გომისმთას გასცქეროდა ბიძაჩემი.

აცივდა, აცივდა... თოვლი კი არ ჩანდა.

ერთ მოღრუბლულ დილას, გავიხედოთ - ბიძაჩემი დგას ეზოში, შეიარაღებული ისე, რომ ძველ ფირალს შეშურდებოდა. წელზე ორ რიგად შემორტყმული სავსე სავაზნეებით. მხარზევით თოფის ლულა ლაპლაპებდა. ძაღლი, ტურიკა, მოუთმენლად წრიალებდა მის ახლოს, ფეხებში ებლანდებოდა და კუდს ურტყამდა ჩექმებზე.

- ოჰო! საით გაგიწევია? - ვკითხე მეც მოუთმენლად.

- ცოტას გავივლი, აგერ ახლოს... ტყისკენ... ეგება, შემხვდეს რამე, - მითხრა ღიმილით.

საჩქაროდ გადავიცვი ჩემი ძველი, დალიანდაგებული ქურთუკი, დავიხურე ყურებიანი თბილი ქუდი და მერელა დავუწყე ხვეწნა: მეც თან წამიყვანე-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ყოყმანის მერე დამთანხმდა.

ფრთხილად მივაბიჯებდით. გზა თანდათან უვალი ხდებოდა. ნელ-ნელა ვიწრო ბილიკად გადაიქცა, მერე კი ეს ბილიკიც მიიკარგა, მიილია და ნამდვილი ტყე დაიწყო - რუხი, ფოთლებშემოცლილი ხეებით დარაზმული. დაბურულს ვერ იტყოდი: აქ ჯერ არსად ჩანდა არც ნაძვი, არც სხვა რომელიმე წიწვოვანი და ეს შავად გათლილი, ტანმაღალი ხეები იდგნენ მლოცველებივით - ზოგი თითქოს ხელებგაწვდილი ცისკენ, ზოგიც მხრებდაშვებული, მოწყენილი.

გარეთ ტალახი დავტოვეთ და შიგ ტყეში სიმშრალე იყო, ფეხი აღარ გვეფლობოდა. ოღონდ, ფოთოლი ზოგან იმდენი ეყარა, დათვი ბუნაგს გაიკეთებდა. ჯერაც სალი, სინოტივეშეპარული, ისევ შარიშურობდა ჩვენი ნაბიჯის ქვეშ.

რაც უფრო შევდიოდით ტყის სიღრმეში, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა სიჩუმე - ისეთი მეტყველი... მხოლოდ ჩვენი ლაპარაკის ხმა არღვევდა მყუდროებას.

- აუუუ! - უცებ ისე წამომივლიდა ყვირილის სურვილი... არავითარი ექო...

- ასე ჩვენ ვერაფერს მოვინადირებთო, - შემახსენებდა ბიძაჩემი.

- რაც ფრინველი იყო ტყეში, ყველა სოფელში ჩამორეკა სიცივემ და რაღა უნდა შეგვხვდეს, ნეტავი? - ვეუბნებოდი მეც.

სულ არ მინდოდა, რომელიმე ჩიტს ან საცოდავ გზააბნეულ კურდღელს გადავყროდით. დიდ სიამოვნებას მგვრიდა, ასე უბრალოდ, უსაქმოდ რომ დავდიოდი ზამთრის ყურ, ტილოზე დახატულივით გარინდულ ტყეში.

ბოლოს მივუახლოვდით პატარა მდინარეს. აქ ტყე თითქოს ორად იყოფოდა, ერთი ნაწილი საგრძნობლად შემაღლებულ, ხის ფესვებით დაძარღვულ ფერდობზე იყო შეფენილი.

- ამ გორის გადაღმა, ასე, ერთი საათის სავალზე, მონადირეების ქოხია, - მითხრა ბიძაჩემმა, - რამდენჯერ გამითევია შიგ ღამე.

ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ისე მინდოდა მენახა ეს ქოხი. თუ ღამეს არ გავათევდი, უბრალოდ, ახლოს მივსულიყავი და რიგიანად შემეთვალიერებინა მაინც.

დაიღლებიო, - მარწმუნებდა ბიძაჩემი, მაგრამ ეტყობა, მასაც ეხალისებოდა ნადირობით შენიღბული ასეთი უცნაური ლაშქრობა. თოფი წალდივით გაედო მხარზე და უჩვეულოდ განათებული სახით მიყვებოდა რაღაც ძალიან სასაცილო ამბავს - როგორ ჩავარდნენ იხვებზე ნადირობის დროს ჭაობში ისა და ჩვენი მეზობელი სოლიკო. მერე როგორ დაანთეს ცეცხლი, ძლივს მოსულიერდნენ, გაშრნენ, ხოლო ღამით კი ტურები შემოესიათ და კარავს ნამდვილი ალყა დაარტყეს... ასე რომ, იხვებისთვის განკუთვნილი ასოცი გილზი მთლიანად ტურების დასაფრთხობად შემოგვეხარჯაო.

კარგა დიდი მანძილი გავიარეთ, სანამ ქოხი გამოჩნდებოდა. ასე მეგონა, თითქოს ჩვენამდე აქ არავის დაედგა ფეხი, რადგან მართლა ძნელად გადასალახი, გაუვალი ადგილები გვხვდებოდა: ხან ღრანტე, ხან ციცაბო, გასიპული აღმართი. ერთგან პირდაპირ ღელეში გავტოპეთ და კიდევ კარგი, რეზინის წყალგაუვალი ჩექმები გვეცვა. როგორც იქნა, გავედით პატარა ტრიალ ადგილზე (ეტყობა, ცოტაზე გაეკაფათ ტყე).

ქოხი დიდი იყო, ფერმასავით წაგრძელებული და გაჭირვების დროს ცოტა ხალხი როდი დაეტეოდა. კარი ღია აღმოჩნდა. ეს წესიაო, - ამიხსნა ბიძაჩემმა.

შიგნით იდგა თუნუქის ღუმელი და გარდიგარდმო ვიწრო ნარები ჩაემწკრივებინათ. იქვე - მაგიდა, ძელსკამებით. ერთი სიტყვით, მშვენივრად მოეწყობოდა კაცი.

მაშინვე წამოვწექი და თავქვეშ ამოვიდე ხელები.

- ცოტა დავისვენოთ და მერე დავბრუნდეთ, თორემ მოკლე დღეა და მართლა მოგიწევს მაგ გამხმარ ფიცრებზე დაძინება, - ღიმილით მითხრა ბიძაჩემმა, თან გადახსნილი თოფის ლულებში იჭვრიტებოდა.

- მერე რა მოხდა? - ვუპასუხე გაკვირვებით, - დიდი ამბავი!

- გადაირევიან სახლში, - თქვა მან, - რომელი მონადირე შენ მყავხარ.

მერე სული ჩაბერა ლულებს, დატენილი თოფი მიაყუდა კედელზე და თვითონ გარეთ გავიდა.

წუთში შემობრუნდა.

- შეხედე, ერთი, შეხედე! - მითხრა აღელვებით. თვალები უბრწყინავდა, - ნახე, რას თოვს!

მაშინვე წამოვფრინდი საწოლიდან, მაგრამ გარეთ არ გავქცეულვარ. პირთამდე მოღიავებულ კარში გავიშმდი - ისე თოვდა...

ხშირი, მსხვილი ფიფქები მშრალ მიწაზე არ დნებოდა და თანდათანობით, თვალდათვალ გადათეთრდა მიწაც და ნაღვლიანად ჩამუქებული ხეების ტევრიც თითქოს გამოაცოცხლა ფაფუკმა, ნაზმა მოსართავმა.

მომეჩვენა, რომ ჩვენ ვიყავით სათამაშო ბროლის ბურთულის შუაგულში, რომელსაც, შეარხევ თუ არა, ძირს დაფენილი თოვლი ზევით აიჭრება და დაუცხრომლად ცვივა და ცვივა...

ანაზდად ხმაური გაისმა. თითქოს სადღაც ხმელი ტოტები დაცვივდა. ცოტა ხანში კი ქოხისკენ მომავალი მონადირეები დავინახეთ. თოვლის ფარდიდან გამოვიდნენო - სწორედ ისე იყო. ნელ-ნელა მოაბიჯებდნენ. ერთი კოჭლობდა კიდევაც და ჯოხს ეყრდნობოდა.

ძაღლი ამათაც ახლდა. ნამდვილი ინგლისური სეტერი - თეთრი, ოდნავ დალაქული.

ეტყობა, ტყუილად ევლოთ - ხელში არაფერი ეჭირათ, გვერდზე ჩამოკიდებული ჩანთებიც ძალიან მსუბუქად მოჩანდათ.

ოთხნი იყვნენ. აქედან ერთს კარგად ვიცნობდით. ეს იყო ჩვენი სოფლის ამბულატორიაში მომუშავე ავთო ექიმი - დინჯი, დაუზარებელი ახალგაზრდა კაცი. ყველა ემადლიერებოდა, თუმცა ჭორაობდნენ: ახლანდელი ცოლი მაგისთვის მესამეაო.

ავთო ექიმი ბიძაჩემს გულღიად მიესალმა, მე გაკვირვებით გადმომავლო თვალი.

სხვები აღმოჩნდნენ ქალაქელი სტუმრები. ის ჯოხდაბჯენილი, სულაც, ექიმის ცოლისძმად გაგვეცნო. ოცი-ოცდაორი წლის თუ იქნებოდა. გამხდარი, გაჩხიკული. ქოხში შემოსვლისთანავე საწოლზე დავარდა ოხვრა-კვნესით, თან წყევლა-კრულვით იკლებდა ნადირობის მომგონს.

დანარჩენი ორნი ასაკოვანი კაცები იყვნენ. როგორც გავიფიქრე - ნამდვილი სწავლულების შე-



სახედაობით. ისინი თითქოს რაღაც უცნაურ შემთხვევას გადმოეგდო შუაგულ ტყეში. მიუხედავად ამისა, მცონარები არ ჩანდნენ. ხელად გააჩაღეს ცეცხლი.

ექიმი ზურგით მიეფიცხა გავარვარებულ ღუმელს და ისეთი ოხშივარი ავარდა, ორთქლის აბანოში გეგონებოდათ თავი. თურმე, მდინარეზე გადასვლის დროს, ფეხი დაცურებია და წყალში გაშხლართულა.

ერთმა "სწავლულმა" არაყი მიაწოდა და მანაც სწრაფად გადაჰკრა, თუმცა დასძინა: არა მგონია, ამან ანთებისგან მიხსნასო.

მე ჩუმად ვიჯექი კუთხეში, თან ყურს ვუგდებდი საუბარს.

- აი, შენ, ჩემო ლადო, გამოცდილი მონადირე ხარ, - ეუბნებოდა ექიმი ბიძაჩემს, - ძალიან დავაშავე, რომ არ შეგითანხმდი... თორემ რა გამოვიდა, ვერაფერს ვერ წავაწყდით...

- იფ-იფ-იფ! - ხელებს იფშვნეტდა ცეცხლით დიდად ნასიამოვნები, ჭაღარაწვერიანი, ცოცხალთვალება მონადირე, - გავიყინეთ, გავითოშეთ. დილის შვიდ საათს მერე გვატარებს ავთო ბატონი ასე უმისამართოდ... კარგი ადგილები ვიციო და ესაა კარგი ადგილები?

- ადგილები მართლაც არაა ცუდი, - ნელა ჩაილაპარაკა ბიძაჩემმა, - აგერ, სულ ახლოს მეგულება ერთი ლარტაფი, კურდღელი იცის ბლომად.

მაშინვე პირში სწვდნენ: სადა, აბა, სადაო?

გაჩაღდა მეტად ცხარე საუბარი. გული ელეოდათ, განიცდიდნენ, რომ ჯერ ვერაფერი მოინადირეს.

ექიმი გაშრა, გათბა, სახე აუღაღაჟდა. სიდინჯისა და აუღელვებლობის აღარაფერი ემჩნეოდა. თქვენ ისე მაინც არ გაგიშვებთ აქედან, რომ ტახი არ მოგაკვლევინოთო, - გაიძახოდა.

- არ გვინდა, ბატონო, ტახი. შინაური ღორის მწვადსაც კარგად გეახლებითო, - პასუხობდნენ ეშმაკურად "სწავლულები".

ამაზე ექიმი მთლად ფიცხდებოდა.

ბოლოს შეთანხმდნენ: გასულიყვნენ და შეეთვალიერებინათ ის კურდღლებიანი ლარტაფი.

ბიძაჩემი შეყოყმანდა, ისეთი საცოდავი თვალით გადმომხედა, მივხვდი - ჩემს გამო იკავებდა თავს და უარის თქმა კი ეძნელებოდა.

- დარჩები აქ ერთი-ორი საათით? - მიჩურჩულა ხვეწნით, - სახლში დაბრუნებას კი მოვასწრებთ დაღამებამდე.. ხომ არ შეგეშინდება?

- საშიში რაა? - გაიკვირვა ექიმმა, რომელმაც ყური მოჰკრა ბიძაჩემის ნათქვამს, - აგერ, პეტრეც რჩება. საჭმელსაც მოამზადებენ ჩვენს მოსვლამდე.

თურმე, ექიმის ცოლისძმას ერქვა პეტრე.

სულ არ მიზიდავდა რამდენიმე საათი ამ ლაქლაქა და მოწუწუნე ბიჭთან ერთად ყოფნა, მაგრამ რაღას ვიზამდი...

პეტრე, ეტყობა, მგელივით იყო მოშიებული. დახმარება არც უთხოვია, ხელად შემოდგა ქვაბი ცეცხლზე და ბუზღუნ-ბუზღუნით ჩაუძახა წყალში მთელმთელი კარტოფილები.

მე შევნიშნე: მაგას გარეცხვა უნდოდა-მეთქი.

- მართლა? - იკითხა შეეჭვებით, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია. მერე ზურგჩანთიდან კონსერვები და ძეხვიც წამოჰყარა. სახეზე მოუთმენლობა ეხატა, თვალებს კი უკმაყოფილოდ წკურავდა.

კონსერვის გახსნისას იმდენი იცოდვილა, ხელში იჩხვლიტა დანა, ამასობაში შეუჩერებლივ აძაგებდა ხორციანი კონსერვების გამომშვებ ყველა ქარხანას.

ისე იქცეოდა, მივხვდი - საერთოდ არ ვახდენდი მასზე რაიმე შთაბეჭდილებას. ხომ უბრალო ამბავია: ამგვარი დაუდევრობით მაშინ გიჭირავს თავი უცხო ადამიანის თანდასწრებით, როცა იგი სრულ არარაობად და ყოვლად უმნიშვნელო არსებად გეჩვენება.

"ანდა, - გავიფიქრე, - როცა დიდი უზრდელი ვინმე ხარ..."

პეტრემ უცებ ისე შემომხედა, მგონი მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი მასზე და დაბნეულმა რატომღაც ასაკი მკითხა.

- ჩვიდმეტი შევასრულე, - მივუგე ამრეზით.

- რას მეუბნები! - გაიკვირვა მან, - ვიფიქრე, ცამეტ-თოთხმეტ წელზე მეტის არ იქნება-მეთქი.

მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება ამანაც ვერ მოახდინა მასზე. იმის ნაცვლად, რომ წყნარად დამჯდარიყო და რაიმე ჭკვიანური, გულითადი საუბარი გაება, წამდაუწუმ მიმოდიოდა ქოხის ერთი ბოლოდან მეორეში; ხან გარეთ იყურებოდა. თანაც, გაუთავებლად ახრამუნებდა პურის ქერქს და ზედ ძეხვის ნაჭრებს ატანდა.

თოვა კარგა ხანია შეწყდა. ვიწრო სარკმლიდან ჩანდა მოწმენდილი, მკრთალი ლურჯი ცა.

მშიოდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, თუნდაც ლუკმა-პურისთვის მეხლო ხელი. თუმცა პეტრე ძალიან მეპატიჟებოდა თავის მომზადებულ უცნაურ, ღომივით აზელილ კერძზე, რომელსაც ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადიანად შეექცა თვითონ.

დრო ნელა გადიოდა. ისიც კი ვიფიქრე: უკვე მრავალი საათია, რაც ამ ქოხში ვზივარ და აღარასოდეს მეღირსება აქედან გასვლა-მეთქი, რომ უეცრად პეტრემ დაიყვირა: - მოვიდნენ! მოვიდნენო! და გავარდა გარეთ.

მეც მივედი ღიად დარჩენილ კართან. ყველაზე წინ ბიძაჩემი მოდიოდა. სხვებს კი დავინახე - რაღაც მოჰქონდათ. რა - აქედან ვერ გავარჩიე.

ჯერ კიდევ არ იყო ბინდი, მაგრამ ზამთრის მოკლე დღე ილეოდა. ვიფიქრე: ნეტა თუ მოვასწრებთ საღამომდე სახლში დაბრუნებას-მეთქი. ჩქარა თუ ვივლიდით, ალბათ, მოვასწრებდით...

პეტრემ თოფები შემოიტანა.

- აბა, შენი ბიძია ყოფილა ჩუბინი, - მითხრა გაოცებული სახით, - ეს ტყე კიდე - ნამდვილი ტანზანია...

ქოხში მთლად ამოლუმპული ძაღლები შემოცვივდნენ და ღუმელთან გაიშოტნენ.

გავედი, რომ მენახა, რას დასტრიალებდნენ მონადირეები ასეთი ფორიაქით. უსათუოდ რომელიმე მარტოხელა მგელს წააწყდნენ-მეთქი, ვფიქრობდი. ამიტომ, ჯერ ვერც კი მივხვდი, რა იყო ეს მოკლული ცხოველი... მაგრამ გული ცუდად გადამიქანდა. ცუდი წინათგრძნობით.

სულ ახლოს მივედი, ხელით გავწიე ბიძაჩემი (ძალიან შემჭიდროებულნი იდგნენ) და დავხედე...

- ეს რა არის?! - ვიკითხე გაოგნებულმა.

თოვლზე უნუგეშოდ ყელგადაგდებული, სისხლში მოსვრილი შველი ეგდო.

- რა არის ეს? - გავიმეორე ჩამწყდარი ხმით.

- შველია, ვერ ხედავ? - მომიგო პეტრემ, რომელიც გვერდით ამომდგომოდა.

ჩავიმუხლე შველთან. შველი იყო თუ ნუკრი? ალბათ, სულ ახლახან მიანება, ან იქნებ, კიდევ წოვდა ძუძუს. მქრქალ მოყავისფრო ბეწვზე ჯერაც კარგად ემჩნეოდა ხალები, ხოლო თავზე ოდნავ ამოწვერილ თეთრ რქებს სიმაგრე არ მისცემოდა. უკვე დანისლული ღია თვალებიდან თითქოს ისევ სდიოდა ცრემლი... ფერდი ჰქონდა გაგლეჯილი, დალეკერტებული მუქი სისხლი ღებავდა თოვლს.

ხელი შიშით გავწიე და შევახე გაყინულ თვალებზე, რომელსაც, ვინ იცის, სულ ცოტა ხნის წინ ლაღად მონავარდე უმწეო და გულუბრყვილო პატარა ცხოველის სუნთქვით ამონაორთქლი თბილი ოხშივარი ნისლავდა მხოლოდ...

მე უკვე ვიცოდი - ეს ბიძაჩემის ნამოქმედარი იყო და ახლა კიდევ მესმოდა ამის დამადასტურებელი ლაპარაკი, მთლად ატაცებულები ჩანდნენ... თითქოს რაღაც გასაოცარი, საძნელო რამ გადახდათ და ბედის წყალობით ძალიან გაუმართლათ, რომ ყოველივე ასე დასრულდა.

უკვე აღარ ვფიქრობდი იმაზე, როგორ დავბრუნდებოდით შინ, გავასწრებდით თუ არა დაღამებას... მშვიდად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით შევედი ქოხში, ჩამოვხსენი კედლიდან ერთ-ერთი თოფი - რომელიც პირველი მომხვდა ხელში, ქურთუკში გამოვახვიე და ქურდივით (თუმცა, ეს კიდევაც იყო ქურდობა) გამოვიძურწე გარეთ.

არავის შევუმჩნევივარ. ისევ შველს დასტრიალებდნენ და თუნდაც ედევნებინათ თვალი, უცნაურს ვერაფერს დაინახავდნენ იმაში, რომ ცოტაზე გავიარ-გამოვიარე და გადაჭრილი წიფლის სიახლოვეს შევჩერდი... აქედან იწყებოდა გზა. კარგად მახსოვდა, საიდანაც მოვედით. ბოლოს, ერთიც მივიხედე უკან და ჩქარი ნაბიჯით შევყევი მაღალი ნაძვებით გადმოხურულ ტყეს. ჯერ სულ პირდაპირ უნდა მევლო ხეივანივით სწორად გაწყობილ ნაძვნარში, სანამ იგი არ შეიცვლებოდა ველური მაყვლისა და ასკილის ბუჩქებით გაბარდული პატარა ტაფობით. ამის მერე მოდიოდა ცოტა სახიფათო, მაგრამ არა გადაულახავი კბოდე... და კვლავ შეუსვენებლად უნდა გამეგრძელებინა გზა ქვევითკენ, ვიდრე მდინარის პირზე შემომხვდებოდა წითლად აღუდღუდებული ცირცელი - უტყუარი გეზის მაჩვენებელი. მერე კი იმ მდინარეზედაც გადავიდოდი და რაღა რჩებოდა... როგორც ვფიქრობდი: მართალია, პირველად ვარ ამ ადგილებში, მაგრამ რა დამკარგავს. ადვილად გადავივლი ფერდობს და მეჩხერი ტყით სოფელში გავალ-მეთქი...

მართლაც, ჩქარა მივაღწიე ბარდნარს. თოვლს დაეფარა აქაურობა. მშრალი, ხოროში თოვლი კოჭებზევით მიწევდა და ნელი შრაშუნით თითქოს დამაიმედებლად მეხმიანებოდა ამ შემაშფოთებელ სიჩუმეში. თოფი, როგორც გამოცდილ მსროლელს, ისე მეკიდა მხარზე. მარტოოდენ გაქცევის ჯიუტ სურვილს ვყავდი ატანილი და მეჩვენებოდა, რომ სულ იოლად, ერთი ამოსუნთქვით გადავლახავდი მანძილს სახლამდე. სწრაფ სიარულში დამთბა და სახეზედაც წამოვხურდი, თითქოს ცეცხლი მეკიდა ლოყებზე.

აქა-იქ, პატარა გულწითელა ჩიტები მხვდებოდნენ. ისინი სკუპ-სკუპით დახტოდნენ თოვლზე და რომ მივუახლოვდებოდი, მსუბუქი შრიალით აიჭრებოდნენ მაღლა, ხის კენწეროებისკენ. ერთხელაც კოდალამ გადამიფრინა სულ ახლოს. მე კი მივდიოდი და მივდიოდი... ღრანტეებში ფეხი მიცურავდა, ხოლო მეტისმეტად დაქანებულ თავდაღმართზე თავი ველარ შევიკავე და ჩავვარდი ნამქერში. მაგრამ ეს არაფრად მიმაჩნდა - ჯერ კიდევ დიდი მღელვარების ტყვეობაში ვიყავი და რაღაც ძალა შეუპოვრად მეწეოდა წინ. მხოლოდ მაშინ გამინელდა ცოტა მგზნებარება, როცა მდინარეს მივადექი, მაგრამ ეს ადგილი სრულიად არ ჰგავდა იმას, რაც გამოვიარეთ დილით.

“მდინარეს ნაპირ-ნაპირ რომ გავყვე, - შევჩერდი და ვფიქრობდი გამალებული, - უსათუოდ სოფელში ჩავალ... მაგრამ იქნება შევცდე და ზევით, მთაში ამიტყუოს ამ გზამ?!“.

სადღაც ბუმ თუ ჭოტმა დაიკივლა. ეს ხმა იყო უსიამოვნო, მოულოდნელი და გამახსენდა, რომ დაღამებასაც ბევრი არაფერი უკლდა. მართლაც, ნისლივით სქელი ბინდი ნელ-ნელა, შეპარვით, თან კი გულმოდგინედ იკავებდა თავის საბრძანებელს. ჯერ კიდევ მქონდა აქედან მშვიდობიანად გაღწევის იმედი, მაგრამ დრო არ უნდა დამეკარგა და ვინანე, რომ შევყოვნდი. თითქმის სირბილით წავედი წინ, გადავიარე მდინარეზე ჭყაპა-ჭყუპით. წყალი, მე რომ მეგონა, იმაზე ღრმა აღმოჩნდა, ცოტაზე ჩამივიდა ჩექმებში და სისველე ყინვასავით მომხვდა.

ახლაღა ვიგრძენი შეციებაც. მთლად აკანკალე-

ეროვნული

ბული შორს შევყევი ჯუჯა ნაძვებით მოფენილ შემეჩხერებულ ტყეს. ეს რაღაც უცნაური ადგილი იყო: ჭონჭყო ნიადაგით, კოლბოხებიანი. ერთგან ჯგუფად იდგა მაღალი ხეები, რომლებსაც - თოვლის ქვეშაც ჩანდა - აბლაბუდასავით მოსდებოდა ნაცრისფერი ძენძი.

ისევ წამოთოვა. ამჯერად ძალიან ნელა, ფარფატით მოცვიოდა ფიფქები. უარესად ამიტანა სიცივემ. შიშს კი, როგორღაც, მაინც არ ვეჯაბნინებოდი, არ მინდოდა მეფიქრა, რამდენი ფათერაკია ჩასაფრებული ირგვლივ...

თოვა მატულობდა. ხოლო მე მივდიოდი შეუსვენებლივ... ხან მეგონა, რომ ეს სწორედ ის ფერდობია, რომელთანაც შევჩერდით დილით; ფართოდ დატოტვილი წიფლებიცა და კუნელით გადაპენტილი ხრამისპირიც - ყველაფერი ნაცნობია. უბრალოდ, თოვლმა უცვალა იერი და სადაცაა გამოჩნდება სოფლისკენ მიმავალი ბილიკი...

რა სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი რომელიმე ხნიერი ნაძვის ძირში, სადაც სიმშრალე და სიმყუდროვე ჩანდა, ხოლო მისი ძირს ჩამოწეული ტოტები საიმედოდ დამიფარავდა... მაგრამ ვიცოდი, ეს არ შეიძლებოდა და კვლავ წინ მივიწევდი, თუმცა უწინდებური სისწრაფით ველარ...

სიცივე უკვე ძვალსა და რბილში ატანდა. ნეტა, რა უფრო უარესი იყო: სიცივე თუ დაღლილობა... მაგრამ, მგონი, ნელ-ნელა გულში შემოპარული შიში აჭარბებდა ამათ. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ ტყე დამთავრდა - ხეებს მიღმა რაღაც ნათელი, ღია ადგილი ილანდებოდა, მაგრამ გავიდოდი იქ და აღმოჩნდებოდა, რომ ეს არის თოვლიფ დაფარული მდუმარე ველი, ოთხივე მხრივ გარშემორტყმული ისეთივე უსიერი ტევრით, როგორიც ახლა დავტოვე და უეცრად გაჩენილი პატარა იმედიც მიქარწყლდებოდა.

ტყე ხდებოდა უფრო საშიში, უფრო იდუმალი... დასასრული აღარ უჩანდა ერთმანეთზე მიჯრილი ხეების ულრანს. ბოლოს, კვლავ გამოვედი მდინარესთან. ახლა უფრო დავიწროებულიყო, მაგრამ მეტი ხმაურით მოჩქეფდა ლოდებზე და შორს რომ გავხედე, ქარაფებში იკარგებოდა. თითქოს ერთბაშად ტყე შემოტრიალდა და წინ დამიდგა თავისი კლდიანი მხარით, როგორც ზღაპარში.

მდინარეზე გადასვლა აღარ მიფიქრია. ნელა გავყევი გაშიშვლებული, დაბალი, ხვიარა მცენარეების მწკრივს. შორიახლოს, ხეთა განაპირას, რაღაც დავლანდე - მორუხო-ოქროსფრად ბზინავდა ბინდ-ბუნდში.

დავაკვირდი ამ მოჩვენებას და ყვირილი აღმომხდა. ფოცხვერი!.. იგი გაუნძრევლად, როგორც ქანდაკი, ისე იდგა და ათოვდა. მე რომ შევკივლე, ოდნავ შეატოკა ფუნჯიანი ყურები. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს შევცქეროდით ერთმანეთს. მშვიდ, მაგრამ შეკავებული რისხვით სავსე მრგვალ თვალებს არ მაშორებდა. ბოლოს, ნელა შეტრიალდა და დინჯი, მოზომილი მოძრაობით, მსუბუქი ნაბიჯით შეერია ტყეს.

ახლა სულ აღარ მციოდა. ქურთუკის საყელო გადავიღელე. ხელთათმანებიც მოვიხსენი; მოვიწმინდე ოფლით დანამული შუბლი. ხელები მითრთოდა. ზევით ავხედე ხის კენწეროებს: აქედან რომ არ დამესხა თავს!.. მგლისა უფრო არ შემეშინდებოდა, ვიდრე მაღლიდან, თან ზურგიდან წამოპარული ამ მოქნილი მტაცებლის.

ახლაღა გამახსენდა მგლებიც და გადავდგი ნაბიჯი. საით, აღარც ვიცოდი. გზას უკვე სულ ერთია, ვერ გავიგნებდი და ასე ალაბედზე უნდა მევლო. როგორმე დაღამებამდე გამესწრო ტყიდან (ამაზე ფიქრი კი, ცხადია, გულუბრყვილობა იყო... მოგვიანებით, ეს ამბავი რომ ვუამბე, გამოცდილი ხალხი მეუბნებოდა, რომ ბედმა გამიღიმა, გადავრჩი, თორემ გომისმთა იმოდენაა, სახიფათო ადგილებით სავსე: დათვები - შიმშილით გაავებული - ხან სოფელში ჩამოდიოდნენ და ტყეში რომ გადამყროდნენ... მერე მგლები...).

თოფი მაინც დიდ იმედად მქონდა. ახლა მამძიმებდა, მხარს მწყვეტდა, მაგრამ ეს სიმძიმეც მამხნევებდა.

თოვდა... უკვე მუხლამდე ვეფლობოდი ფაფუკ თოვლში და კვლავ შეუჩერებლივ თოვდა. თითქოს ყველამ პირი შეკრა ჩემს საწინააღმდეგოდ: ცამაც და ახლა სიბნელეც შეუბრალებელი სისწრაფით იკიდებდა ფეხს. მალე ზამთრის დღის უკანასკნელი, უნიათო სხივიც ჩაქრა და პირისპირ შევრჩი წყვდიადს.

ბუკიოტმა დაფეთებული თვალების კაშკაშით ჩამიქროლა ზედ სახესთან. თოფი მოვიხსენი და გათოშილი ხელებით მაგრად ჩავბღუჯე... ასეთი რამ სიზმრადაც რომ მენახა ადრე, სისხლი გამეყინებოდა ძარღვებში.

მხოლოდ თოვლით დაფარული მიწა და დაფუმფლული ტოტები ირჩეოდა ბაცად ამ ულმობელ, კუნაპეტ ღამეში. ხელის ცეცებით მივედი ნაძვთან და დავჯექი მის ძირში. ახლა უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რამდენ ხანს გასტანდა ეს შესვენება... იქნება საუკუნოც გამოდგეს-მეთქი, - გამიელვა. თოფი კვლავ გულში მქონდა ჩაკრული, ვიორთქლავდი ხელებს, რომ როგორმე ცოტაოდენი სითბო მეგრძნო. ამაოდ...

ნაძვის ტანს საამო სურნელი ასდიოდა. ლოყა მივადე მის ქერქს. ახლა ეს ხე მფარველად მესახებოდა.

"ეგება, მართლა სიზმარი იყოს, - გავიფიქრე თვალდახუჭულმა, - დღეს დილით არსად წამოვსულვართ სახლიდან მე და ბიძაჩემი...".

მაგრამ ყოველივე ისეთი ცხადი იყო, რომ ერთი წამითაც ვერ მოვიტყუებდი თავს და ვერ შევეფარებოდი ტკბილ ოცნებას (ან, რა საჭიროა ოცნებას მიეცე, თუკი იქედან გამოფხიზლებულს ათასჯერ უფრო მტანჯველი გეჩვენება სინამდვილე).

არ მინდოდა, ხის ძირას გავყინულიყავი; ხოლო მე ვგრძნობდი, როგორ ვიყინებოდი. მეძინებოდა... სიცივის, შიშის, მთელი ჩემი საცოდავი მდგომარეობის მიუხედავად - მეძინებოდა.

უკანასკნელი ძალების დაძაბვით მაინც წამოვდექი და შევეცადე, ფეხები დამებაკუნებინა - რაკი გაგონილი მქონდა, რომ დიდ სიცივეში უნდა იხტუნო, იმოძრაო, მაგრამ ისე ვიყავი გადაღლილი და ფეხებსაც ისეთი ტკივილი მიღრღნიდა, მაშინვე ჩავიკეცე მიწაზე.

მესმოდა, როგორი ჩუმი შრიალით ეფინებოდა თოვლი ნაძვს, მთელ მიდამოს... ხის განიერი ტოტები თოვლს არ უშვებდა; მხოლოდ ზოგჯერ, ბუმბულის ნაწეწებივით შემოქროლდებოდა სუსტი ფანტელი.

ყურს ვუგდებდი სულ უმცირეს გაფაჩუნებას. თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს ადამიანი კი არ ვიყავი - მარტო კივილსლა რომ ათხოვებს ყურს - არამედ ყველაზე მგრძნობიარე, სიფრიფანა მწერად გადავიქეცი და ზედ გულზე გადამივლიდა საგანგაშო სიგნალივით ტყის სუნთქვა თუ ოდნავი ამოოხვრა.

ბოლოს თოვა შეწყდა. სუსტად მქროლავი ქარიც ჩადგა და ნამდვილი მდუმარება ჩამოვარდა. შავ ცაზე უფრო შავ სილუეტებად ირჩეოდა ხეები. ცოტა ახლოს კი თოვლი მაინც სანუგეშოდ ხვდებოდა თვალს - ნაცრისფერ-მოვერცხლისფრო ფოლგასავით იდო.

მგლების შეყმუვლება რომ გავიგონე, მხოლოდ სახეზე ავიფარე ხელები. ყმუილი შორიდან მოდიოდა, მაგრამ რა იმედი იყო... ვისაც ტყის სიახლოვეს უცხოვრია, უსათუოდ ერთხელ მაინც მოისმენდა ამ ხმას და არ შეიძლება მერე ოდესმე სასიამოვნოდ მოჰგონებოდა იგი. მე კი აქ ვერაფერი დამიფარავდა - ხეზე ასვლაც არ შემეძლო.

სწორედ ამ დროს მკრთალი სინათლის წრეები დაეცა ჩემს პირდაპირ თოვლს და ნელ-ნელა გადიდდა, გაფართოვდა. ბოლოს, იმდენად გაიფანტა სიბნელე, რომ ამ ტოტებდაბარდნილი ნაძვის ქვეშაც შემოაღწია ცეცხლის ალივით მოცახცახე შუქმა; მიწაზე დაცვენილი გირჩებიც გავარჩიე და მუხლებზე დადებული თოფის ლულაც პლატინასავით გაბზინდა.

ჯერ მეგონა, რომ მთვარე გამოვიდა ცაზე, მაგრამ არა, მთვარე არსად ჩანდა, ხოლო წყვდიადი, რაღაც სასწაულით, თანდათან ილეოდა, ქრებოდა... ცის ერთი მხარე, რომელიც გუმბათივით ებჯინებოდა ტყიანი ქარაფის წვერს, ვარდისფრად შეიღება, გაცისკროვნდა და ტევრად წამოსული სხივები მოეფინა თოვლში შებურულ მიდამოს.

თვალს არ ვუჯერებდი. ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი ჩემს წარმოდგენაში ხდებოდა...

"ნუთუ უკვე გავიყინე და მოვკვდი?! მხოლოდ ჭკუიდან ნუ შევცდები... მხოლოდ ძალიან ნუ შემეშინდება, თორემ გონებას სულ დავკარგავ!..".

არ ვიცი, რა ძალამ გამომიყვანა ჩემი თავშესაფრიდან (რომელიც, სინამდვილეში არც ისე უსაფრთხო იყო). ახლა ველარაფერს ვუკვირდებოდი, გარდა თითქოს გაღიმებული, პირგაბადრული ცისა. მაშინ გამიელვა ფიქრმა, რაც დღესაც მტკიცედ მწამს - რომ მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული მარტოობისა, ადამიანი მაინც არასდროს რჩება მარტო... ვიღაცის თვალი მუდამ დაგვყურებს, ვიღაც გვმფარველობს...

შევცქეროდი ჩემს წინ გადაშლილ სანახაობას - ჩრდილოური ნათების თვით ყველაზე თეთრი ღამეც ვერ შეედრებოდა ამ ღამეს, იდუმალსა და სინაზით გასხივოსნებულს - და კვლავ მეჩვენებოდა: "ყველაფერი ჩემს გამოა! მთელი სამყარო ძალიან პატარაა... დედამიწა სულ ერთი ბეწო. როგორ შეიძლება აქ დავიკარგო? აჰა, სანთელი ჩამოანათეს, რათა მიპოვონ".

ბოლოს რძესავით რბილი შუქი გაიცრიცა, გაბუნდოვნდა, ნელი ციალით იხევდა უკან და იმალებოდა ტყის სიღრმეში. მივხვდი, ისევ თავიდან უნდა შევებმოდი წყვდიადს, მდუმარებას.. ოღონდ, ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო.

სადღაც, ძალიან შორს გავარდა თოფი. ერთხელ, მეორედ, მესამედ...

არ მჯეროდა, რომ ეს რაიმეს მიშველიდა, მაგრამ სულ ერთია, მე მაინც, მთლად გათოშილი ხელებით, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ავწიე თოფი და გავისროლე...

- ეეი!.. ცოცხალი ხარ? - მეუბნებოდა პეტრე და ფარნის შუქს მიბრჭყვიალებდა სახეში. მე თვალებს ვხუჭავდი, ხმის ამოღება კი არ შემეძლო. ძაღლებიც დაჩუმებული, თოვლში დაყუნცულები ისხდნენ.

პეტრემ ხელთათმანები მომხსნა და დასიებული თითები დამისრისა. ტკივილისაგან შევყვირე. უცებ შემიშვა ხელი.

- ჰოო, - ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა, - უცეცხლოდ ვერ გავალთ... მაგრამ მანამდე, სულ ერთია, უნდა გაუძლო, თოვლით უნდა დაგიზილო ხელები. დიდი არაფერი, გადარჩები, აქაურობა ალიასკა მაინც არ არის, ერთ ღამეში რომ გაიყინო, - თან კბილს კბილზე ურტყამდა სიცივით.

კიდევ შევძელი გაღიმება. რაღაც გამახსენდა და ალბათ - ძველი ლაპარაკი გომის ტყის აფრიკულ წარმოშობაზე...

მერე ორივე ვისხედით ცეცხლთან. კარგა ხანს არ გამიარა ხელების მწვავე ტკივილმა, მაგრამ ეს რა იყო იმ გრძნობასთან შედარებით, რითაც ახლა ვიყავი შეპყრობილი, როცა მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, მართლა სიზმარივით ჩაიარა ნამდვილმა განსაცდელმა და ახლა აგერ, მეყურებოდა ადამიანის ხმა.

თვალმოუცილებლად მივჩერებოდი პეტრეს. რა ვიცი, იქნება კიდეც მეშინოდა: თვალს რომ დავხუჭავ, არ გაქრეს-მეთქი... ხან თავზე ვეფერებოდი ორივე ძაღლს. დარწმუნებული ვიყავი, ყველა ესენი მხსნელებად მომივლინა თეთრმა ღამემ.

პეტრე კი შეუჩერებლივ ლაქლაქებდა. პირველად რომ მენახა, ვიფიქრებდი, რომ გადატანილი შიში ალაპარაკებდა ამდენს, მაგრამ მე ხომ ვიცნობდი; და რა უცნაურია - ეს ყბედობა ახლა აღარ მეჩვენებოდა მომაბეზრებელი. მან ხომ ამოდენა სახიფათო გზა გამოიარა, რომ მოვეძებნე. თუმცა, მარწმუნებდა: ჩემი თოფის გულისთვის გადავდე თავი - ვერც წარმოიდგენ, რა ძვირი ღირს - და ისე, რაღა მაგას სტაცე ხელი, თოფების მეტი რა იყოო იქ...

ბოლოს მკითხა: არა, მაინც რა მოგარბენინებდა, რა არის შენი გამოქცევის მიზეზიო.

არც ამაზე მითქვამს არაფერი. ნამდვილი მუნჯივით, გაყუჩებული ვიჯექი და ოდნავ გაღიმებული შევყურებდი.

- მგონი ვიცი, - თვითონვე უპასუხა თავის თავს, - ვხვდები, რატომ გამოიპარე. მარტო მე კი არა, ყველამ ასე იფიქრა, - და პატარა ხნის შეყოვნების მერე დასძინა, - იცი, მე მაშინ ბავშვი მეგონე, შენ კი თურმე... მაინც როგორი გამბედავი ყოფილხარ. შენს ადგილას სხვა, არ ვიცი, რა ჭკუაზე დამხვდებოდა, გულგახეთქილი.

მერე მიუბრუნდა ძაღლებს, ახლა ამათ აქებდა: მეძებრებს უმადლოდე, გადაგარჩინეს, თორემ ტყუილია, ვერავინ გიპოვიდაო.

ვდუმდი. ისევე მიძნელდებოდა ერთი სიტყვის წარმოთქმა, როგორც სიზმარშია: ფეხის გადადგმა რომ გინდა და ვერაფრით ვერ ახერხებ - თითქოს უხილავი ბორკილები გიჭერს...

მხოლოდ, როცა პეტრე თვითონაც გაყუჩდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაფიქრებული შესცქეროდა ცეცხლს დანარჩენი მაშველების მოლოდინში, გავბედე და ვკითხე:

- შენ... როცა ტყეში მოდიოდი ჩემს საძებრად, რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავს?

- რას შევნიშნავდი ამ უმთვარო, ბნელ ღამეში... ვითომ, რა უნდა ყოფილიყო?

- არა, არაფერი... ალბათ, მომეჩვენა...

* * *

რაღა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩამიარა თავს გადახდენილმა ამბავმა - ყოველდღე ხომ არ ვიკარგებით ტყეში - მომცა სიცხე; თითქმის მთელი კვირა ვიწექი გამოუნელებელი დაღლილობით და მეგონა, რომ ალბათ, ველარასდროს შევძლებდი ძველებურად ცხოვრებას. სულ უნდა ვწოლილიყავი უცნაურ, მტანჯველ ძილ-ბურანში წასული, აზუზუნებული თავითა და ტყვიასავით დამძიმებული კიდურებით - ჭიქა წყალიც ვერ მიმქონდა პირთან.

ბოლოს, რასაკვირველია (ყველაფერს აქვს დასასრული), ამანაც განვლო. ოღონდ, რატომღაც გადავწყვიტე: სახეზე აუცილებლად შევიცვლებოდი-მეთქი და მიკვირდა, რომ სარკეში არც გამხდარი ვჩანდი, არც ფერდაკარგული. ჩვეულებრივი გამომეტყველება მქონდა, არაფერი გასაოცარი...

კარგა ხანს კრინტიც ვერ დამძვრევინეს მომხდარზე და ერთადერთი ბიძაჩემი იყო, ვინც არაფერს მეკითხებოდა. ძალიან ვერიდებოდით ერთმანეთს, თან, თითქოს ვემდუროდით. ამას გარეშე თვალი ვერც შეატყობდა - მხოლოდ ჩვენ ორს გვესმოდა.

არც მე, არც იმას, ერთი სიტყვითაც არ გვიხსენებია გომისმთა, არ დაგვიდანაშაულებია ერთმანეთი დაუფიქრებელ საქციელში... მაგრამ ერთხელ (უკვე თებერვალი ილეოდა), მარტონი რომ ვიყავით სახლში - ბიძაჩემი მთლად დაშლილი ძველი რადიოს ამუშავებას ცდილობდა - რაღაცაზე უბრალოდ გამოველაპარაკე და მერე ვკითხე: არ გინდა, რამე წაგიკითხო-მეთქი?

- კი, რატომაც არაო, - შევატყვე, ძალიან გაუხარდა, ჩვენი ძველი ჩვეულება რომ გავიხსენე და ამით ბოლო მოვუღე ჩუმ მომდურაობას.

მაშინ გადავშალე "შვლის ნუკრის ნაამბობის" მთლად დაფურცლული, საჟურნალო გამოცემა და დავიწყე კითხვა...

მხოლოდ საათი წიკწიკებდა. ნელა, მკაფიო ხმით ვკითხულობდი, თავი არ ამიწევია, მაგრამ ამ ადგილზე რომ მივედი: "ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ბალახი, გადავდგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!." - მაშინ კი მალვით გავხედე ბიძაჩემს და დავინახე, რომ ხელში უძრავად გაშეშებოდა გადაჭრილი გრძელი მავთული.

ხმის კანკალით მაინც გავაგრძელე: "ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვცილდე - მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდენ!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი რას?..".

ბიძაჩემმა თავი ასწია და მუდარით შემომხედა. არაფერი უთქვამს. არც ერთი სიტყვა და მეც უხმოდ დავხურე წიგნი. მერეც დიდხანს არ ამოგვიღია ხმა...

ალბათ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო (და გულის სიღრმეში კიდეც მქონდა იმედი), რომ ამის შემდეგ ბიძაჩემი საერთოდ ხელს აიღებდა ნადირობაზე, მაგრამ ასე არ მომხდარა. მწყერობა იყო თუ იხვების სეზონი - ისევ გადაიკარგებოდა სამ-სამ დღეობით, ოღონდ ახლა მარტო, თანაც უფრო ხშირად, ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ.

მალე სხვა საქმეებიც გამოუჩნდა - სამუშაოდ მოეწყო უცხოელებთან რკინიგზის მშენებლობაზე და ძველებურად ველარ იცლიდა, რომ თავისუფლად ევლო, სადაც მოეგუნებებოდა.

თოფი კი - დიდებული, ძველი ფრანგულივით მოვერცხლილი თოფი - უსაქმოდ ეკიდა კედელზე მის ოთახში (რადგან ეს იმზომ ლამაზი იარაღი იყო, ჩვეულებრივ დაშლილს ვერ შეინახავდი, დაგენანებოდა).

ერთხელ ბიძაჩემს სტუმრად მოჰყვა რამდენიმე გერმანელი მშენებლობიდან.

ერთმა კარგა ხანს ატრიალა ხელში დიდი ოსტატობით ნაკეთები თოფი, აღტაცებული ათვალიერებდა და მერე ბიძაჩემს შესთავაზა: მომყიდეო.

იმდენი ფული შეაძლია, რამდენსაც მთელი წლის მუშაობით ვერ მოუყრიდა თავს, მაგრამ ბიძაჩემი უარს ეუბნებოდა, წყნარად, ღიმილით.

გაოცებულ გერმანელს ვერ გაეგო, რა იყო ამგვარი სიჯიუტის მიზეზი. მით უფრო, რომ ჩვენი ძველი ხის სახლი პირდაპირ ღაღადებდა ხელმოკლეობაზე.

- Ich ferschtehe nicht, warum? - იმეორებდა მხრების აჩეჩვით გერმანელი, რაც ნიშნავს: "ვერ გამიგია, რატომ?".





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა მძელური

# მომერა



მდორე ნაკადად მიედინება და გუგუნებს ჭავჭავაძის პროსპექტი. საბჭოური ჯართის ნაკადში სულ უფრო ხშირად და მოურიდებლად მისრიალებენ ძვირადღირებული ჯიპები და ახალი მერსედესები. მათი მუქი საქარე მინებიდან დაუფარავი სიამაყით, ნიშნის მოგებით და შიშითაც კი იყურებიან ოჯახქორები, ხაზინის ქურდები და კახპები. სხვაც ბევრი ნაგავი მოჰყვება და მიაქვს ჭავჭავაძის გამზირს - ესე ფიქრობს და ეჩვენება მომერას - ხელისუფლებასთან და ფულთან მრუშობით დაღლილი ამ ადამიანების უმეტესობა დღის ბოლოს რესტორნებთან შეაჩერებენ ძვირფას ჯიპებს და მერსედესებს, პრეზენტაციებს დაესწრებიან, რომელიმე შოუზე გადაინაცვლებენ. იქ, სადაც საშუალება ექნებათ ფხიზლად ადევნონ თვალი ერთმანეთს.

ტროტუარზე, ცაში ვედრებით ტოტებაშვერილი ჭადრის ხეზე მხრით მიყრდნობილი მომერა დაუფარავი ზიზღით მიაცილებს გამზირზე მოძრავ ძვირფას ავტომობილებს და მათ მფლობელებს. მისი სიძულვილი რეკავს ღვთის კარებზე... იგი ოცნებობს მახვილით მოსულ ღმერთზე და ელოდება, როგორც პირველი მსხვერპლი და ნათლია შურისმაძიებლისა...

სასტიკი ფიქრიდან მშიერი მუცლის გვრემამ გამოაფხიზლა მომერა, ცარიელ ჯიბეებში ხელები მომუჭა, თავი დაატრიალა და მათხოვრის ცბიერი მზერით გამოიხედა. ნაცნობ ადამიანებს დაეძებს ქუჩაში. უნდა ფული გამოართვას, ისესხოს, იჩუქოს. ჭადრის ხეს მოსცილდა და აუჩქარებლად დაიძრა ტროტუარზე. ყოველ ნაბიჯზე მომრავლებული პატარ-პატარა მაღაზიების ვიტრინებისაკენ განზრახ არ იყურება. იქ მადის აღმძვრელად ალაგია ხორცისა და თევზის კონსერვები, ნაირნაირი სიგარეტის კოლოფები, “ეროვნული ლუდი“ ყაზბეგი.

მომერა თავის თავს ანუგეშებს, არწმუნებს და ჰპირდება, ერთი ტომატიანი “კილკა“ უნდა, ერთი კოლოფი სიგარეტი, უნდა ლუდიც. არა, დღეს ლუდს არ დალევს. ტროტუარზე უაზროდ სიარული შეწყვიტა და გუნების თვალით კიდევ ერთხელ გააანალიზა თვალსაწიერი მის გარშემო. ქუჩაზე მოხერხებული ადგილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან კარგად მოჩანს ყვავილების ჯიხური. პურის მაღაზია. ცხვარივით ერთ ადგილას შეჯგუფებული თონეთელი მემაწვნე ქალები. მიწისქვეშა გადასასვლელთან ბოსტნეულით მოვაჭრე ბებო, აქეთ გაზეთების გამყიდველი, მუდამ უფულო მკითხველებით გარშემორტყმული. მოპირდაპირე მხარეს მზესუმზირის ჭლექიანი გამყიდველი მზის გულს დაეძებს ტროტუარზე და უკმაყოფილოდ იყურება მოღრუბლულ ცაში.

ყველა ამ ადამიანის ვალი აქვს მომერას.

გამზირზე მოძრავ ტროლეიბუსებს თვალითა ჩხრიკავს. გაჩერებაზე ნაცნობ ჯიბგირებს დაეძებს მგზავრებს შორის. თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ შეიძლება თავის გატანა. ოღონდ აზრიანად უნდა იმოძრაო. ერთ ადგილზე უსაქმოდ დაყუდებულს შეიძლება მილიციამ შეგიქმნას უხერხულობა. გუშინ, მაგალითად, კაბრიოლეტში გამოჭიმული ცხვირმოუხოცავი ოპერები, მანქანიდან გადმოუსვლელად უსინჯავდნენ ხელებზე ვენებს, უთათუნებდნენ ჯიბეებზე და იქედნურად ეკითხებოდნენ, არა მუშაობ?! არ იპარავ?! მა რითა ცხოვრობ, ჰა ბიჭო?!

დღე ისე არ გაივლის, სახლიდან საშოვარზე გამოსულ მომერას უბნის ინსპექტორი თვალში ეკალივით არ დაერჭოს. ერთი შავხუჭუჭა უშუბლო ბიჭია. შორიდან ზვერავს მომერას. ეტყობა ჯერ ვერ დაუძლევია ქალაქელი კაცისადმი გლეხის ქვეცნობიერი კრძალვა და სიძულვილი. ისე, ნამდვილი მუშა ფუტკარია. მზესუმზირაზე და მწვანილზე რომ არაფერი ვთქვა, ყველა სავაჭრო ობიექტში თავის კეხიან ცხვირსა ყოფს, არ ეზარება. თუ სადმე “სვარკის აპარატი“ აინთო, ჩაქუჩი აკაკუნდა, მუშა ალილინდა, მაშინვე იქ გაჩნდება.

დღეს ბედი არა სწყალობს. უკვე მესამე საათი იყო, უშედეგოდ დაყიალობდა ქუჩაში, შიმშილი წარამარა ახსენებდა თავს. ფულის სათხოვნელად მისასვლელი პირი არა ჰქონდა გაჭირვების მიერ სახლიდან კაპიკების საშოვნელად გამოყრილ ადამიანებთან. მართალია წვრილადა სესხულობს, ვალის დაბრუნება არ იცის. ამ ნაკლს თვითონაც აღიარებდა გულის სიღრმეში. იმედგადაწურული იდგა ტროტუარზე, როცა სახლის სადარბაზოსთან კოტე დაინახა.

სახეზე გაზეთაფარებული კოტე კითხვით გართული მოდიოდა, ჩანს მის შემჩნევას განზრახ არ აპირებდა. სხვა გზა არ იყო, შუბლის ძარღვი გაიწყვიტა და შეეხმიანა.

- როგორ ხარ ძმაო კოტე? სადა ხარ ბიჭო დაკარგული? - პირფერულად მოიკითხა, შესცინა, მოისაკლისა.

- რა ვიცი, სულ აქ არა ვარ? - გაიკვირვა იმან.

- ოჯახში ხომ კარგად... როგორ მიდის შენი ბიზნესი?

- გმადლობთ, ოჯახში არა გვიშავს. დიახ, - უხალისოდ პასუხობდა კოტე და საშუალებას არ აძლევდა საჭირო მიმართულებით დაეძრა სასაუბრო თემა, - უნდა მაპატიო, ცოტა მეჩქარება, - ჩაილაპარაკა მან, გაზეთები იღლიაში ამოიკეცა და წასვლა დააპირა.

მომერამ ყველა უხერხულობა ერთბაშად დაძლია.

- მომე რა ერთი-ორი ლარი, დალევა მინდა.

- აუხ, - შეწუხდა კოტე, - ბოლო ფულით გაზეთები შევიძინე, არ მეყიდა, რა ვქნა. ხმაში ყალბი სინანული გამოერია და სიტყვა ბანზე აუგდო. აქეთ რომ მოვდიოდი, ფული “მაჩუქე გოგიამაც“ მთხოვა. ეგ ვინ არის ტო? რამე რომ არ წაგართვას, ვარიანტი არ არის. ნახევარი კოლოფი სიგარეტით გავუმასპინძ-

ლდი. ორი ღერი კიდევ დამრჩა, თუ გინდა, შენც მოგაწევინებ.

სიგარეტი მაინც გამოართვა მომერა პირშავმა. იმედგაცრუებულს "მაჩუქეს" ხსენება ძალიან არ ესიამოვნა. მათი სამოქმედო ტერიტორიები ერთმანეთს ესაზღვრებოდა და სიმთვრალეში "მაჩუქე" ხშირად არღვევდა ტერიტორიულ პრინციპს. ხელწერა და ტექსტიც პრიმიტიული ჰქონდა, დალევს, დათვრება, დაბანცალებს და თვალმოჭუტული გაკვირდება. თუ გაუჩერდი, ყელში მოიწევს საკოცნელად, ნაცნობი ხარ თუ უცნობი. სათხოვნელს მკაფიოდ ვერ გამოთქვამს, ბურტყუნებს. არ ვიცი, სიმთვრალით მოსდის თუ სირცხვილით ემართება. მოკლედ, შენ თვითონ უნდა მიხვდე, რომ არყის ფული სჭირდება, სიგარეტისაც. ბავშვებს "ჟივაჩკა" უნდათ. ტორივით ხელი თქვენს კისერზე მეგობრულად უძევს ამ დროს და არ გიშვებს. ერთი სიტყვით, "მაჩუქეს" ყიადან ამოფრქვეული არყის ოხშივარს თავი რომ დააღწიოს, სასწრაფოდ იცარიელებს ჯიბეებს გულისხმიერი კლიენტი.

მომერამ სიგარეტი თითებით დასრისა და ნერვიულად ამოიოხრა თამბაქოს კვამლი ფილტვებიდან. ნეტავ ვინ შეარქვა "მაჩუქე", ნეტავ მას რას ეძახიან ქუჩაში.

კისერმოღრეცილი ახალგაზრდების ჯგუფმა კინაღამ გადაქელა ამ სევდიან ფიქრში ჩაძირული მომერა. ტროტუარზე ლამაზი ქალი მოდიოდა. გამომწვევად მოირხეოდა, მოშრიალებდა ტანადი. გამვლელები თვალებად გადაიქცნენ, თითქოს მანქანებმაც სვლა შეანელეს. ქალაქის ხმაურმა სადღაც შორს გადაინაცვლა ყურთასმენიდან, ქუჩა გაირინდა და ვნებიანად აჩურჩულდა, მომე რა, მომე რა... მის წინ ჩავლილმა ლამაზმანმა წარბი გამაფრთხილებლად აზიდა, სწრაფი შემფასებელი მზერა ესროლა, თითქოს მათ შორის არსებული უფსკრულის გაზომვა სურდა და პირი მოარიდა.

განადგურებულმა მომერამ გაუპარსავ სახეზე ხელი მოისვა და თავისი ფეხსაცმლების შელახულ ჭვინტებს დააცქერდა დარცხვენილი. სილამაზემ სიცოცხლის მძაფრი სურვილი ააგიზგიზა მასში და ყველა ხელმოცარულის სახელით შესძახა, ჩავიცვათ ლაკის "ტუფლები" და მოვატყუოთ ქალის უტყუარი ინსტინქტი ძმებო!

ერთი კოლოფი სიგარეტი, ერთი კონსერვი ტომატიანი "კილკა" მომერას დღევანდელი სასურსათო პროგრამა იყო და ჯიუტად ცდილობდა მის შესრულებას. ამავე დროს დათრგუნული თავმოყვარეობა ახსენებდა თავს.

წაეთრიე რა სახლში, შეჩემა! - ცხარობდა მის არსებაში ის თავმომწონე ბიჭი, ოდესღაც რომ იცნობდა. კი ბატონო, წავა, ჯანდაბას თევზის კონსერვი. მაგრამ სიგარეტს რა უყოს. რა გაათენებს უსიგარეტოდ მარტოხელა კაცის ცივ და მოსაწყენ ღამეს.

მადლობა ღმერთს. მომერამ ჯიბგირები ჯერ კიდევ მოძრავ ტროლეიბუსში დალანდა. ისინი წინა კარებში იდგნენ და ხელოვნურად უქმნიდნენ დაბრკოლებას გაჩერებაზე ჩამსვლელ და ამომსვლელ მგზავრებს. მერე ერთმანეთს თვალით ანიშნეს, სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ტრანსპორტიდან და მისკენ ქნეს პირი. გია წინ მოდიოდა, ამხანაგი მოშორებით მოსდევდა, აქაოდა ერთად არა ვართო. იგი თვალს არ აცილებდა გიას ხელების მოძრაობას.

შიშობს, ფული არ მოუტეხოს. "ფაქტით" არიან, დაასკვნა მათი ქცევის შემყურე მომერამ და იმედი ჩაესახა გულში. მომპარავებთან ღირსეულად უნდა დაეჭირა თავი, იმათ არ უყვართ მათხოვარა, მოდრეკილი კაცები. სახეზე "ვაჟნი" აიფარა და გიას მიესალმა. "ზდაროვა ბრატ". პირზე აკოცეს და ხელები მოუთათუნეს მხარზე ერთმანეთს.

- გაიცანი, - ამბობს გია, - ლტოლვილია სოხუმიდან. ეხლა ჩემი "პადდელნიკია", ხელობას ვასწავლი.

- იშოვნება რამე? - ცბიერად ეკითხება მომერა. გია გამომცდელად უყურებს და არა მალავს. ხო. გინდა რამე?

- დალევა მინდა.

- ცოტა მოითმინე ძმაო, ეს ტროლეიბუსი დაიძრას, დაახვიოს აქედან. ჩემი "გოიმი" უცბად აზრზე არ მოვიდეს და აქ არ მოგვივარდეს. გვერდზე ვეჯექი და სახეზე მიცნობს. ბიჭო, თუ ჩემი ძმა ხარ, ერთი ეს გამაგებინე, - განაგრძო მხიარულად ჯიბგირმა, - დღეს, ამ ჩვენს ქვეყანაში, ლუკმა-პურის ფულის შოვნის გარდა კიდევ არსებობს რაიმე სხვა საფიქრალი? და თუ არ არსებობს, გამაგებინე, რაზე ფიქრობს ეს ხალხი? გათიშულები სხედან ჩემმა მზემ. შენ ოღონდ მიდი, ხელი გაანძრიე, - ფილოსოფოსობს თუ ტრაბახობს მომერას წინაშე ჯიბგირი, ან იქნებ თავს იმართლებს?!

ტროლეიბუსმა ზოზინით აკრიფა მასა და ზუზუნით გამოეკიდა ელექტროხაზებს. ისინი სახლის სადარბაზოში შევიდნენ. გიამ საცვალში დამალული ქალის პორტმანი ამოაძვრინა და "ოფიციალურად გაჩითა".

ჯიბგირების მონაგარს ქალის პარფიუმერია, გოგონას სურათი, ლამაზი საწერი კალამი, ექვსი ლარი და ხურდა ფულები შეადგენდა.

ლტოლვილმა "სტუდენტმა" ფულის დანახვაზე მოგუდული ყიჟინა დასცა. "მეტრმა" ამრეზით გადახედა მას.

- ორი ლარი გეყოფა? - ეკითხება გია მომერას. და ერთლარიანს და ხურდებს ხელში აჩეჩებს. "სტუდენტს" სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. ჩვენი ძმა ბიჭო, აგრძნობინა გიამ. "ა ჩიომ რეჩ", ეთანხმება იგი და მხრებს იჩეჩავს. საფულე კიდევ ერთხელ გასინჯეს საგულდაგულოდ და სადარბაზოდან გამოვიდნენ.

- შენ კიდევ ძმაო, სმას შეეშვი და საქმეს მიხედე, - თავს უფლება მისცა და ჭკუა დაარიგა გამომშვიდობებისას გიამ მომერა.

ჯიბგირებმა ტუსტუსით გადაკვეთეს გამზირი და მოპირდაპირე მხარეს გაჩერებაზე მგზავრებს შეერივნენ.

მომერამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ერთლარიანს მოუთათუნა, ხურდა ფული თითებით გადამარცვლა და გონებაში ითვლის. "კილკას" და უფილტრო სიგარეტს თუ იყიდის, ხურდაც დარჩება... ტომატი ნაღველს ულიზიანებს, ძროხის "ტუშონკა" ურჩევნია, სიგარეტიც ფილტრიანი აჯობებს. აი, ორმოცდაათი თეთრი რომ აშოვნინა კიდევ... არა, ერთი ლარი კიდევ უნდა სრული ბედნიერებისათვის.

ამ ყოფაში იყო, მუცლისა და გონების კამათში, როცა ტროტუარზე მისკენ მომავალი პატარა ბიჭი შენიშნა. სახედაღარული ბავშვი მშვიდად არავის ატარებს ქუჩაზე. გვერდში აედევნება, ნაბიჯებს აუწყობს, ცალ ხელს გაუშვერს, მეორეთი ყელს გამოიწევს და ევედრება, ბიძია დამეხმარე, დეიდა დამეხმარეთ, რაა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვინ იცის, იქნებ პატარა მაწანწალამ თანაგრძნობა ამოიკითხა მომერას სახეზე, აღარ აცილებს იმედით სავსე მზერას. "დამეხმარე, რა" სწრაფად უახლოვდებოდა და თავის პატარა ჭუჭყიან მუჭს სათხოვნელად უმარჯვებდა.

მომერას ელდა ეცა, თავზარი დაეცა. "ძაღლების" მოულოდნელ თავს წამოდგომაზე არ იბნეოდა და იფანტებოდა ისე, როგორც ეხლა დაიბნა და დაიფანტა კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი. ცალი ფეხის ქუსლზე დაბზრიალდა, სადარბაზოში შევარდა და კარები ზურგს უკან მოიჯახუნა. ნერვიული სიცილი აუვარდა. ჩუმად ხითხითებდა თავის თავზე, სულს ძლივს ითქვამდა. სადარბაზოს ჭუჭყიან კიბეებზე ჩამოჯდა. სიბნელეს თვალი შეაჩვია. მის ფეხებთან ქალის გადმობრუნებული საფულე ეგდო. უცნობი ადამიანის იავარქმნილი სამყაროს ნაწილი. სინდისის ქენჯნამ შეიპყრო. სინანული დაეუფლა. მოხურული კარის ღრიჭოდან სინათლის ვიწრო სხივი იჭრებოდა ირიბად სადარბაზოში, რომელსაც ახლოს ჩავლილი ადამიანები ჩრდილავდნენ გარედან. უეცარი სხივი სანახევროდ ჩაქრა. თითქოს შუაზე გაწყვიტეს. გულმა რეჩხი უყო, კარებთან ბავშვი იდგა და შემოსვლას ყოყმანობდა. ბოლოს გაბედა, კარები შემოაღო და გაბურძგნული თავი შემოყო. კიბეებზე ჩამომჯდარი მომერა დალანდა და სახედაღრეჯილმა შეჰღაღადა, ბიძია, დამეხმარე, რაა?!

მომერას წელანდელი დარცხვენა და სინანული სადღაც გაქრა. პირიქით, გაშმაგებამ შეიპყრო. კიბიდან წამოხტა, ბიჭუნას მიეჭრა და მაგრად ჩასჭიდა ქეჩოში ხელი. დამფრთხალმა ბავშვმა გაქცევა სცადა. - არა მცემო, ძია, - ემუდარებოდა იგი და მაჯაზე ძაღლის ლეკვივით ფხოჭნიდა, კბენაც კი დაუპირა.

სახეშეშლილი მომერა მაწანწალას მთელი ძალით ანჯღრევდა და ეჯაჯგურებოდა. თვითონაც არ იცოდა, რა დაემართა. ბავშვი ქუჩაში გაათრია, ტროტუარის კიდეზე დააყენა და ძალად აყურებინებდა, თან გაუგებრად ისროდა დაუმთავრებელ ფრაზებს.

- აი, აი, შეხედე ამას. არა, მოიცა, აი ამას შეხედე! ხედავ? ამ მანქანებს ხედავ?! აი, შენი გასაზრდელი ფული. შენი სახლი. დედა გყავს? არა გყავს! აი, მაგათ შეჭამეს დედაშენი. მაგათთან მიდი, ჩემთან რად მოდიხარ. რა ფულსა მთხოვ. მაგათ უნდა მოსთხოვო. ოლონდ დამეხმარე არ უნდა უთხრა. დამეხმარე ამათზე არ მოქმედებს. გაიგე შენა! ვის ვეუბნები! - ანჯღრევდა ბავშვს მომერა.

- ფული მომე შე ახვარო-თქო, უნდა უთხრა. მომეცი, თორემ დავიბანე ხელები შენს ბინძურ სისხლში-თქო! გაიგე, რა გითხარი ბიჭო? აბა, გაიმეორე ეხლა. გაიმეორე შენი!

- ფული მომე, - გაუბედავად ამოღერღა ბიჭმა და მიაჩერდა უარესის მოლოდინში. - ხმამაღლა გაიმეორე! - ფული მომე, შე ახვარო, - თითქმის იყვირა ბიჭმა. - ძალიან კარგი, ჩაილაპარაკა უეცრად დამშვიდებულმა მომერამ, ოლონდ ხელების სისხლში დაბანა არ დაგავიწყდეს. ეხლა წაეთრიე აქედან და ამ ქუჩაზე გამოვლილი არ დაგინახო, - დაამთავრა აღმზრდელობითი მუშაობა მან და ისეთი წიხლი ამოსცხო, ლამის მანქანების ბორბლებში ისროლა. ბიჭი გაიქცა, გამზირი გადაკვეთა და იქიდან სიძულვილით სავსე მზერა ესროლა. მომერამ კარგად გაარჩია მისი მეტყველი გამოხედვა. მე კი არა, ისინი, ხელით უთითებდა პროსპექტზე მოძრავ მანქანებზე. მაწანწალამ საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა, დაატრიალა და ენა გამოუყო. მერე შეტრიალდა და წავიდა. უკან აღარ გამოუხედია.

მომერა ისევ ქუჩაში იდგა. ის კმაყოფილი იყო. შარვლის ჯიბეში ხელს უთათუნებდა ლარიანს და ხურდა ფულს თითებს შორის მარცვლავდა.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასის ლალასი

# მილორად პავიჩი: „როგორც მწერალი ორასი წლის წინ დავიბადე“

„მილორადი“ სერბულად „უსაყვარლესს“ ნიშნავს. მილორად პავიჩის სახელი ბევრი ჩვენგანისთვის უცნობია. ეს სერბიელი მწერალი რამდენჯერმე იქნა წარდგენილი ნობელის პრემიაზე. "Paris Match"-ის თანახმად, „პავიჩი, უეჭველად, ოცდამეერთე საუკუნის პირველი მწერალია“. მისი რომანები ისე უნდა იკითხოთ, როგორც ქანდაკებას ათვალიერებთ ხოლმე. პავიჩი ბელგრადში ცხოვრობს. მას სამჯერ ვესაუბრე. აი ჩვენი საუბრების შედეგი.

## პირველი შეხვედრა

ბელგრადი. ქუჩებში არც ისე დიდი მოძრაობაა. გაგა ყვავილების მაღაზიაში თაიგულს ყიდულობს. ჩვენი ტაქსი ჩერდება ბრაცე ბარუჰის ქუჩაზე, ორ ნომერთან. ძველი შენობის კარი ღიაა. შევდივართ. სადარბაზოს მარჯვენა კედელზე ჰკიდია მობინადრეთა საფოსტო ყუთები. ერთ-ერთი მათგანი იმავე ზომისაა, როგორც ყველა დანარჩენი ყუთი ერთად. "Sunday Times"-მა აღიარა, რომ მილორად პავიჩმა ბორხესთან, ნაბოკოვთან, ზინგერთან, კალვინოსა და ეკოსთან ერთად შექმნა ჩვენი ეპოქის ლიტერატურული საუნჯე.

პირველი სართული, ხის ძველი თეთრი კარი. ზარს ვრეკავთ და უეცრად ვხედავთ ლეხ ვალენსას ორეულს! „ლეხ ვალენსა უფრო პირმსუქანია“, შენიშნავს გაგა. „და ნაკლებად მეტყველი თვალები აქვს“, დავძენ მე. ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი პავიჩი მიგვიძღვის მაღალჭერიანი სასტუმრო ოთახისკენ, სადაც დგას რამდენიმე თეთრი სავარძელი. კედლებს ამშვენებს მისი ვაჟის, ივანის ფერწერული ტილოები (ივანი პარიზში ცხოვრობს). პავიჩი, „რომელიც აზროვნებს ისე, როგორც ჩვენ ვოცნებობთ ხოლმე“, სასმელს გვთავაზობს და გვთხოვს, გავსინჯოთ შესანიშნავი ნამცხვარი, შემდეგ კი გვაცნობს თავის მეუღლეს. ქალბატონ პავიჩს ხელს ვართმევთ და მწერალი გვეუბნება (სანამ ჩვენ ვათვალიერებთ გამოცემებს მისი წიგნებისა, რომლებიც თარგმნილია ყველა ენაზე, ჩინურისა და ნორვეგიულის გარდა): „ვერაფრით მოვაღწიე, რომ ჩემი რომანები დადებითად შეეფასებინათ სერბიაში, ამიტომ კრიტიკოსზე დავქორწინდი!“ ვიცინით. შემდეგ ის აწერს „ხაზართა ლექსიკონის“ ეგზემპლარზე: „მშვენიერ ქალიშვილს! მილორად პავიჩი“. ის წიგნს ჩუქნის თავის თანამემამულესა და სტუდენტს, გაგა როზიჩსაც, რომელმაც ბრწყინვალედ თარგმნა პავიჩის ნაწარმოებები ბერძნულ ენაზე. პავიჩთან ერთად მივემგზავრებით ბელგრადის ცენტრში, სადაც მწერალი უნდა დაესწროს ახალი კინოთეატრის გახსნის აღსანიშნავ საღამოს.

პავიჩს ბავშვივით მოუხერხებლად დაჰყავს მანქანა, თანაც გამუდმებით ატარებს მას მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით (ქუჩებში, სადაც ცალმხრივი მოძრაობაა). ის გვიჩვენებს ბაღით გარშემორტყმულ ორსართულიან სახლს, სადაც ბავშვობა გაატარა. მწერალი მანქანას ყოველთვის საკმაოდ შორს აჩერებს იმ ადგილიდან, სადაც უნდა მივიდეს. ეს ცნობისმოყვარეობას აღმიძრავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პავიჩი თითქოს საკუთარ მამულში მიდი-მოდის. ის პატარა ნაბიჯებით მიემართება ქალაქის ცენტრისკენ. „აი ეროვნული თეატრი“, მეუბნება ის. აქ, მოზრდილ სკვერში, მას ბევრი ადამიანი ცნობს, მწერალი თითქოს არაფერს აქცევს ყურადღებას. თუმცა, ალბათ, ყოველივეს ამჩნევს.

პავიჩი ყოველთვის ერთსა და იმავე პოზაში - საწოლზე გაშოტილი - წერს. თავის პატარა ბლოკნოტში შეაქვს ყოველი აზრი, რაც კი თავში მოუვა. „ყოველთვის ასეა“, ამბობს ის. „მართალია, ვამჩნევ გარემომცველ სილამაზეს, მაგრამ სილამაზის დანარჩენი ნაწილი შეუმჩნევლად იძირება დუნაის ცისფერ ტალღებში“. ჩემი პირველი შეხვედრა პავიჩთან დამთავრდა სასტუმრო „მეტროპოლის“ წინ. ამ ხნის განმავლობაში მისთვის თვალი არ მომიშორებია და მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა მოვახერხე. მომდევნო შეხვედრა შედგა მეორე დღეს, ათ საათზე, მის ბინაში.



## მეორე შეხვედრა

**თანასის ლალასი: გუშინ ყურადღებით გაკვირდებოდით. ბავშვური ქცევა გახასიათებთ. რომ არ მცოდნოდა თქვენი ვინაობა, ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ყველაზე გამოჩენილი თანამედროვე სერბიელი მწერალი ბრძანდებით“.**

მილორად პავიჩი: მართლაც, ბავშვის თვისებები მაქვს. ვცდილობ, ისე აღვიქვა სამყარო, თითქოს მას პირველად ვხედავ. ვცდილობ დავივიწყო, რაც დამიწერია, რათა შევძლო ცხოვრებისა და ლიტერატურული საქმიანობის გაგრძელება.

**- უკვე შექმნილი ნაწარმოებები ხელს ხომ არ გიშლიდათ შემოქმედებით მოღვაწეობაში?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თუ არ დავივიწყებ ძველ ნაწარმოებებს, ახალს ვერაფერს დავწერ, რადგან ყოველი ახალი თხზულების წერისას თავი ახალბედა მწერლად უნდა ვიგრძნო.

**- ალბათ, რომანისტებს ყველაზე მეტად ნაწარმოების დაწყება და დასრულება უჭირთ.**

- ყველაფერი ვიღონე, რომ ჩემს რომანებს არ ჰქონოდა მკაფიო დასაწყისი და დასასრული. მაგალითად, "ქარის შიდა მხარეს" ორი დასაწყისი აქვს. საიდანაც გსურთ, იქიდან დაიწყეთ მისი კითხვა. რაც შეეხება "ხაზართა ლექსიკონს", მისი კითხვა შეგიძლიათ დაიწყოთ ნებისმიერი ამბიდან. მაგრამ წერისას მახსოვდა მხოლოდ ის, რომ მკითხველს ნებისმიერი ნაწილი უნდა წაეკითხა ნებისმიერი სხვა ნაწილის შემდეგ ან მანამდე. მოვახერხე, თავიდან ამერიდებინა კითხვის ტრადიციული წესი, რომელიც გულისხმობს კითხვას კლასიკური დასაწყისიდან კლასიკურ დასასრულამდე.

**- აუქმებს თუ არა დასაწყისისა და დასასრულის კლასიკურ ცნებებს ერთზე მეტი დასაწყისი და დასასრული?**

- კიდეც რომ ვერ გავაუქმოთ, ჩვენ ვთავისუფლდებით მათგან და ამით საკუთარ თავსაც ვათავისუფლებთ.

**- აღიარებთ თუ არა, რომ ყოველ დასაწყისს შეესაბამება ერთადერთი დასასრული?**

- არა. ეს ასე არაა.

**- მაგრამ რაც იბადება, კვდება კიდეც.**

- ზუსტად ასეა, მაგრამ რადგან სიცოცხლეში ვერ გავექეცი ამ ჩიხს, ვცდილობ, ის ჩემს რომანებში მაინც ავიცილო თავიდან.

**- წარმოადგენს თუ არა ფანტაზია იმ იარაღს, რომლის საშუალებითაც ებრძვით ცხოვრებისეულ "ფაქტებს"?**

- თუკი არსებობს მკაფიო მიჯნა რეალობასა და წარმოსახვას შორის, თავისუფალი ადამიანი ანადგურებს მას. ვინაიდან მწერალი ვარ, ამგვარი გრძნობა ძალზე ხშირად მეუფლება. მჯერა, რომ მწერლის ყველაზე მნიშვნელოვან უნარს წარმოადგენს იმ ზღვრის მიღწევის უნარი, სადაც რეალობა და ფანტაზია ურთიერთს ერწყმის.

**- გუშინ შევნიშნე, რომ ავტომანქანას ყოველთვის ტრანსპორტის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით ატარებთ. ნუთუ არ გეშინიათ, რომ ამით სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ?**

- დიდი ხნის განმავლობაში ვეკითხებოდი თავს: "საიდან იცი, რომ კარგად წერ ან რომ აღიარებას მოიპოვებ?" გადავწყვიტე, მეწერა იმაზე, რაც ყველაზე მეტად მიყვარდა. გამოსავალი ამაში ვიპოვე. ახლა ვიცი, რომ ვცდებოდი.

**- რა გზით უნდა მიაღწიოს მწერალმა სრულყოფილებას?**

- ჩემი აზრით, სრულყოფილებას მაშინ ვუახლოვდებით, როდესაც ჩვენი შიში მაქსიმუმს აღწევს. რაც უფრო ახლოს ვართ იმასთან, რისიც გვეშინია, მით უფრო ვუახლოვდებით სრულყოფილებას. შიში ზღვრული ძალისხმევისკენ გვიბიძგებს. სწორედ ასე მიიღწევა სრულყოფილება.

**- მაშასადამე, შემოქმედებისკენ შიში გვიბიძგებს?**

- დიახ. მხოლოდ შიში. შიში გვიბიძგებს.

**- არსებობს თუ არა შიშის გარკვეული სახეობა, რომელიც თქვენ გთრგუნავთ?**

- ყოველგვარი შიში მთრგუნავს. შიშის ყოველგვარი სახეობა. სწორედ ესაა ჩემი ჯვარი. შიში მწერლის განუყრელი თანამგზავრია. ახლა ისეთივე მძაფრ შიშს ვგრძნობ, როგორც - ბავშვობისას. ჩემი შიში არასოდეს "დაბერდება". ბავშვობისას მარტოობისა მეშინოდა. მეშინოდა ცარიელი სახლისა ღამით. მეშინოდა იმ სახლის უკანა ეზოსი, სადაც გავიზარდე. მეშინოდა მისი. განსაკუთრებით - სიბნელეში.

**- როგორც ჩანს, თქვენი შიშები კონცენტრირებული იყო იმ სახლზე.**

- ალბათ, სწორედ ამიტომ ვცდილობ ხოლმე ჩემი რომანების აგებას იმავე ხერხით, რომლითაც, უნარი რომ შემწევდეს, სახლს ავაშენებდი. ეს შიში (ერთ-ერთი იმათგან, რომელთაც გამუდმებით ვებრძვი) პერმანენტულად თან მახლავს. "ქარის შიდა მხარეს" აქვს ორი შესასვლელი და ერთი შიდა ეზო. "ხაზართა ლექსიკონიც" მოზრდილი ნაგებობაა. ადამიანებს აოცებს, რომ მას ბევრი შესასვლელ-გამოსასვლელი ანუ კარი აქვს. მკითხველის შესვლა ან გამოსვლა სახლიდან დამოკიდებულია მისსავე სურვილზე.

**- რა საქმიანობას ეწეოდა მამათქვენი?**

- არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ის შენობებს აგებდა. ნამდვილ შენობებს. ეს არ მომწონდა. მერჩივნა, მოქანდაკე ან მხატვარი ყოფილყო, რადგან თავისუფალ დროს ის აქანდაკებდა და ხატავდა.

**- რატომ არ აირჩია მოქანდაკის პროფესია?**

- ეს იყო პერიოდი ორ მსოფლიო ომს შორის, როდესაც მშენებლის პროფესია უფრო შემოსავლიანი გახლდათ, ვიდრე - მოქანდაკის ან მხატვრისა. მაგრამ მამაჩემს თავის პროფესიაში მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის არ მიუღწევია. მოქანდაკე კი მართლაც კარგი იყო.

**- ნუთუ იმდენი ენერგია ჰქონდა, რომ დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ქანდაკებებსაც ქმნიდა?**

- მამაჩემს შეეძლო ერთდროულად ათასი საქმე ეკეთებინა. შესაძლოა, შიში მას უფრო ძლიერ სტიმულს აძლევდა, ვიდრე - მე.

**- მიამბეთ დედათქვენის შესახებ.**

- ის ფილოსოფიით იყო გატაცებული. ენაწყლიანი მოსაუბრე გახლდათ. მიყვებოდა უამრავ ამბავს ჩვენი ოჯახის წევრებისა და წინაპრების შესახებ.

**- გადმოგეცათ თუ არა მემკვიდრეობით მამის ან დედის თვისებები?**

- ფაქტობრივად, არა. თუმცა, ზოგჯერ, როდესაც სარკეში ვიყურები, ასე მგონია, მამაჩემს ვხედავ.

**- ესე იგი, გარეგნობით მამას ჰგავხართ.**

- სწორედ ამას გეუბნებით. მისგან მემკვიდრეობით არავითარი თვისებები არ მიმიღია. მხოლოდ გარეგნობით დავემსგავსე.

**- ვინმემ ხომ არ მოახდინა ზეგავლენა თქვენს ცხოვრებაზე?**

- ჩემმა წინაპრებმა.

**- რას გულისხმობთ?**

- მამაჩემის ოჯახს. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ბევრი მათგანი ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას. მეთვრამეტე საუკუნეში პირველმა პავიჩმა გამოაქვეყნა თავისი ლექსების კრებული. ის ბერი იყო. ლათინური იცოდა და წერდა წიგნებს ლათინურსა და მშობლიურ ენებზე. შემდეგ, ყოველ მომდევნო თაობაში, ერთი პავიჩი მაინც ჰკიდებდა ხელს ლიტერატურულ შრომას.

**- რომელი პროფესია გიზიდავდათ, სანამ მწერლის პროფესიას აირჩევდით?**

- ყოველთვის მინდოდა მწერალი ვყოფილიყავი. ჩემმა გარემოცვამ მიბიძგა ამისკენ, რადგან მწერალთა შორის ვიზრდებოდი.

**- გახსოვთ თუ არა პირველი მწერალი, რომელმაც თქვენი აღტაცება გამოიწვია?**

- დიახ. ეს იყო ბიძაჩემი, ნიკოლა პავიჩი. ამასთან, ბავშვობისას ლიტერატურას კი არ ვკითხულობდი, არამედ - ვუსმენდი. იმთავითვე შევითვისე ორი რამ: სერბი-



ული ზეპირი ტრადიცია (ხალხური სიმღერები და ანდაზები) და, აგრეთვე - ბიზანტიური საეკლესიო მეტყველება და კულტურული ტრადიცია.

**- რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზეპირმა ტრადიციამ თქვენი ლიტერატურული სტილის ჩამოყალიბებაში?**

- ჩემი აზრით, ფრაზა, პირველ ყოვლისა, სასიამოვნოდ უნდა ჟღერდეს. ამგვარი ფრაზა შემდეგ მწყობრად ლაგდება ქაღალდზე და განკუთვნილია არა მკითხველისთვის, არამედ - მსმენელისთვის. შემდეგ ჩნდება ახალი პრობლემა: ძილი არ უნდა მოჰგვარო მკითხველს.

**- თქვენ თვითონ ბევრი მწერალი გგვრით ძილს?**

- უამრავი. მათი წიგნების კითხვას თავს ვარიდებ. ჰომეროსს უფლება ჰქონდა, ეძინა, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა, ძილი მოეგვარა თავისი მსმენელებისთვის.

**- რა შემთხვევაში იწვევს ლიტერატურული ნაწარმოები მკითხველის მოწყენას?**

- როდესაც ის არ მოითხოვს მკითხველისგან მისი ფანტაზიის დაძაბვას. ვფიქრობ, ლიტერატურული ქმნილება მარტოოდენ მკითხველის აზრებზე არ ზემოქმედებს. ეს კი ნიშნავს, რომ შემოქმედებაც მხოლოდ სააზროვნო პროცესი როდია.

**- რა არის საჭირო, აზროვნების გარდა?**

- სიყვარული! უნდა გიყვარდეს ის, რასაც წერ. გარდა ამისა, ხელი არ უნდა შეუშალო შინაგან ენერგიას, გადაედინოს შენს ნაწარმოებში. მხოლოდ ამ გზით იპოვის ის გზას მკითხველებისკენ.

**- ოდესმე ხომ არ გიგრძვნიათ, რომ დაიღალეთ სილამაზისგან?**

- როგორ არა! ერთხელ ვახსენე კიდეც ეს ფრაზა - "სილამაზისგან დაღლა". ადამიანი იღლება სიყვარულისგანაც და სილამაზისგანაც.

**- ალბათ, ხელოვნებაში სილამაზის ეტალონს ბუნების სილამაზე წარმოადგენს?**

- ხელოვნების არავითარ ქმნილებას არ ძალუძს ბუნების სილამაზის სრულად გადმოცემა. მაგრამ სილამაზე ხელოვნებაში წარმოადგენს ბუნების სილამაზის ნაწილს.

**- როგორ წარმოგიდგებათ ხელოვნების სიმბოლო?**

- ალბათ, როგორც ნაკადულში მდგარი გრძელფეხა ფრინველი. ეს ნაკადული არ უნდა ამოშრეს. თუ ხელოვნება წყვეტს მოძრაობას, ის კვდება.

**- წერის დროს ფიქრობთ თუ არა მკითხველზე?**

- იშვიათად. თუმცა, ხშირად მახსენდება გამოჩენილი რომანისტის, ივო ანდრიჩის სიტყვები: "წერის დროს უნდა ითვალისწინებდე ერთ მიზანს - აატირო მკითხველი, მაგრამ არ იტირო თვით შენ, ავტორმა".

**- რა საგანგებო თვისებები მოეთხოვება მწერალს?**

- უპირველეს ყოვლისა, სიმტკიცე. თუმცა, მე იღბალიც დამეხმარა. პოლიტიკური მიზეზების გამო დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩემი თხზულებების გამოქვეყნებას იუგოსლავიაში. შემეძლო, შემეწყვიტა წერა, მაგრამ ეს არ ჩამიდენია. გარდა ამისა, ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას. ვწერდი ლიტერატურის შესახებ. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე საკუთარი თხზულებების გამოცემა, მაგრამ ეს ძალიან გვიან მოხდა. სხვა შემთხვევაში ახლა, ალბათ, ვირტუოზი მევიოლინე ვიქნებოდი.

**- რატომ მაინცდამაინც მევიოლინე?**

- ერთ დროს ამ პროფესიას ვეუფლებოდი.

**- როდის გამოიცა თქვენი ნაწარმოებები?**

- სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი, დამეცადა 1967 წლამდე, როდესაც, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, შევძელი ჩემი პირველი წიგნის გამოცემა. მაშინ ოცდათვრამეტი წლის გახლდით. ამგვარად, არასოდეს მქონია ლიტერატურული დებიუტი. იმ დროს ის ვიყავი, რაც ახლა ვარ. მაგრამ ადამიანს იღბალი ყოველთვის როდი წყალობს. ფაქტობრივად, ყველაზე უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი სხვა ცოცხალ ავტორებთან შედარებით, რადგან იმ ერის წარმომადგენელი ვარ, რომელიც ყელაზე მეტად სძაგთ მსოფლიოში.

**- რას იტყოდით სერბეთის შესახებ?**

- ესაა ქვეყანა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საერთაშორისო ფინანსურსა ან რელიგიურ მხარდაჭერას. მისი იზოლაციონიზმი ისეთივეა, როგორც აშშ-სა და რუსეთისა, რაც სერბებს გაცილებით ძვირად უჯდებათ. ესაა ერი, რომელსაც არა აქვს მეხსიერება. სერბებს არ ძალუძთ პატიება, მაგრამ აქვთ სწრაფად დავიწყების უნარი. ისინი კარგი მეომრები არიან, მაგრამ - ცუდი დიპლომატები. ისინი იგებენ ბრძოლებს, მაგრამ მარცხდებიან ომებში. ისინი ეწამებიან რედუქციონიზმისგან. ყოველთვის ითვლიან, ვინაა პატრიოტი და ვინ - არა. აქცენტია სიტყვაზე "არა". ისინი გამუდმებით ფიქრობენ მტრებზე და არ დარდობენ, როდესაც ჰკარგავენ მეგობრებს. მათ შექმნეს სახელმწიფო (და ლიტერატურა) მეათე საუკუნეში, მაგრამ ძნელად ინარჩუნებენ და ადვილად ჰკარგავენ სახელმწიფოებრიობას. ესაა ნიჭიერი ერი. სერბიელნი იყვნენ: ტესლა, პუპინი, მილევა აინშტაინი, ივო ანდრიჩი, ვლადა დივაჩი და დუან კოვაჩევიჩი - შესანიშნავი დრამატურგი და კუსტურიცას ბოლო ფილმის თანაავტორი.

**- როგორ ფიქრობთ, ადამიანი იბადება მწერლად თუ თვითონ აყალიბებს თავისთავს, როგორც შემოქმედს?**

- როგორც მწერალი, ორასი წლის წინ დავიბადე. უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე გითხარით, რომ ევროპის უდიდეს ბიბლიოთეკებში იპოვით ჩემი წინაპრების მიერ დაწერილ წიგნებს. სწორედ საკუთარ წინაპართა შესახებ მოგონებები მეხმარებოდა ყოველთვის, როდესაც ახალი ნაწარმოების წერას ვიწყებდი. მათ რამდენიმე ლექსი მივუძღვენი არქაულ, მათსავე ენაზე.

**- როგორ აღიქვამდნენ ისინი თქვენს რომანებს, მათი წაკითხვა რომ შეძლებოდათ?**

- ალბათ, ძალზე დაიბნეოდნენ.

**- როდესაც კითხულობ თქვენს წიგნებს, იგრძნობა, რომ ისინი მათემატიკური გონების ნაყოფია.**

- ფილმი "ლურჯი ბიზანტია", რომელიც ემყარება ჩემს ნოველას "ვეჯვუდური ჩაის სერვიზი", მათემატიკის თემას ეძღვნება. თანამედროვე მათემატიკისგან განსხვავებით, მე-6-7 საუკუნეების ბიზანტიაში არსებობდა რიცხვთა განსხვავებული კონცეფცია. მათი მათემატიკა ეფუძნებოდა, ძირითადად, სამ ელემენტს: რიცხვ "ერთს", წერტილსა და გამოსახულების ფორმას. ახლა კითხულობენ: როგორ იყო შესაძლებელი მათემატიკის აგება სამ არაგაზომვად ელემენტზე? ამგვარად, თუ გაითვალისწინებთ ბიზანტიურ მათემატიკას, შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ჩემი ნაწარმოებები წარმოადგენს მათემატიკური გონების ნაყოფს.

**- როგორ ფიქრობთ, მწერალს წესრიგი შეაქვს სამყაროს ქაოსში?**

- დარწმუნებული არა ვარ, რომ შეიძლება ხელოვნების ქმნილება ვუწოდო იმას, რასაც წესრიგი შეაქვს გარემომცველ ქაოსში. არასოდეს მომინდომებია წესრიგის შეტანა იმაში, რაც ღმერთის შექმნილია. ფაქტობრივად, მსურს ავსახო ეს ქაოსი ჩემი წიგნების მეშვეობით. სხვა არაფერი. ჩემთვის ეს საკმარისია.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ქაოსის ასახვით ავლენთ ღმერთის არსს?**

- ქაოსის გამოვლენა ღმერთთან მიახლოების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.

**- მეგონა, რომ ღმერთის არსს სიზმრებში ვწვდებით.**

- სწორია. სიზმრებიც ქაოსის საუფლოა. ჩემს ერთ-ერთ წიგნში შევნიშნე, რომ "ღმერთს იპოვით ყოველი სიზმრის ფსკერზე". თუ ჩავაღწევთ ჩვენი სიზმრების ფსკერამდე, იქ საკუთარ სიკვდილს ვიხილავთ. გაღვიძებისას კი დავივიწყებთ იმას, რაც ვნახეთ.

**- შეგიძლიათ თუ არა, განსაზღვროთ ღმერთის რაობა?**

- "ხაზართა ლექსიკონის" გამოქვეყნების შემდეგ სწორედ ეს მკითხა ერთმა ისრაელელმა პროფესორმა: "თქვენ საუბრობთ ქრისტიანული ეშმაკის, იუდაისტური ეშმაკისა და მაჰმადიანური ეშმაკის შესახებ. სადაა ღმერთი თქვენს ნაწარმოებებში?" ღმერთი წიგნია-მეთქი, ვუპასუხე. რა თქმა უნდა, არა ჩემი წიგნი, არამედ წიგნი საზოგადოდ. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- სადაა ღმერთი?**

- ღმერთი, ჩემი აზრით, ჩვენშია. ის ყოველდღე გვასწავლის რაიმეს.

**- სხვადასხვაგვარია თუ არა ეშმაკი სხვადასხვა რელიგიაში?**

- დიახ. ამიტომ ჩემს წიგნში სამი ეშმაკი მყავს მოხსენიებული.

**- ხომ უსამართლობაა, რომ ზოგ ადამიანს აქვს შემოქმედებითი ნიჭი, ზოგს კი - არა?**

- ბედნიერებაა, რომ მხოლოდ ზოგ ჩვენგანს აქვს შემოქმედებითი ნიჭი. გაიხედეთ ფანჯარაში. რა მრავალფეროვნებაა. ეს მშვენიერია, თითოეულ ჩვენგანს სხვადასხვანაირი შესაძლებლობები აქვს. მე არ შემიძლია ვაკეთო რაიმე, ლიტერატურული შრომის გარდა. მაგალითად, ვერ ავაგებდი შენობებს ისე, როგორც ამას მამაჩემი აკეთებდა.

**- თქვენ იმ განსაკუთრებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, ვინც ეპოქას თავისი კვალი დააჩნია.**

- ეს იმდენად ჩემი დამსახურება როდია, რამდენადაც - ჩემი წინაპრებისა. უბრალოდ, მათი ნიჭი და მიდრეკილებები ჩემშია კონცენტრირებული. ის ინსტრუმენტი გახლავართ, რომლის მეშვეობით ოჯახის ენერგიამ და ძალამ თავისი ყველაზე მძაფრი გამოხატულება ჰპოვა.

**- გიფიქრიათ თუ არა, რაში მდგომარეობს თქვენი დანიშნულება?**

- გადავარჩინო იმდენი სილამაზე, რამდენსაც შევძლებ. ესაა ხელოვანის ჭეშმარიტი ფუნქცია.

**- ოდესმე ხომ არ გდომებიათ რომანზე მუშაობის შეწყვეტა მის დამთავრებამდე?**

- შემოქმედების პროცესში ყოველი მწერალი განიცდის ორ კრიზისულ მომენტს7 პირველი მათგანი ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც მწერალი გაიაზრებს თავის ჩანაფიქრს რომანის შესახებ. ამ დროს მწერალი წინ უსწრებს თავის ქმნილებას. ეს უკანასკნელი ინერტულია და იძულებით უნდა დაძრათ ადგილიდან, რათა არ ჩამოგრჩეთ. მეორეა კულმინაციური მომენტი, როდესაც ნაწარმოები აღიჭურვება საკუთარი დინებითა და სიჩქარით. ის ძლევს ავტორს, რადგან უფრო სწრაფია და მეტი ენერგია აქვს. ესაა ყველაზე რთული მომენტი. ავტორი ამ დროს უკვე გადაქანცულია წინამორბედი მუშაობით. მაგრამ მან მაქსიმალურად უნდა სცადოს ბალანსის შენარჩუნება და არ უნდა დაკარგოს კონტროლი რომანზე. ეს ბავშვი ნაადრევად არ უნდა დაიბადოს. თუ ავტორი გაუმკლავდება ზემოხსენებულ ორ მომენტს, შედეგიც კარგი იქნება. შეიქმნება სიცოცხლისუნარიანი რომანი, ავტორი კი ორი მომდევნო წლის განმავლობაში იავადმყოფებს, "ხაზართა ლექსიკონის" დაწერის შემდეგ ორი წლის განმავლობაში თავი ვერ დავაღწიე მძიმე ავადმყოფობას.

**- წარმოგიდგენიათ თუ არა სიცოცხლე ოცნების გარეშე?**

- ეს, ალბათ, სიცოცხლის განადგურებას ნიშნავს.

**- აუცილებელია თუ არა სიცოცხლისთვის ოცნება?**

- აუცილებელია თუ არა ოცნებისთვის სიცოცხლე? ოცნების მეშვეობით ადამიანს შეუძლია დაიბრუნოს თავისი ოდინდელი სრულყოფილება, რომელიც დაკარგა.

**- გიკითხავთ თუ არა საკუთარი თავისთვის, რისთვის ვარსებობთ?**

- პასუხი ამ კითხვაზე მოიპოვება ჩემს რომანში "ქარის შიდა მხარე": დრო სატანის შექმნილია; მარადისობა - ღმერთის ქმნილებაა. იქ, სადაც დრო და მარადისობა ერთმანეთს გადაკვეთს, წარმოიშობა სიცოცხლე, აწმყოში არის მომენტები, როდესაც მარადისობა არ გადაკვეთს დროს. სამყაროში, ალბათ, არსებობს ზონები, სადაც მარადისობა არასოდეს გადაკვეთს დროს. ამიტომაა, რომ თვით ეს მომენტი არამდგრადია. იქ სიცოცხლე არ არსებობს. სიცოცხლე არსებობს მხოლოდ აწმყოს მომენტებში.

**- გჯერათ თუ არა, რომ დიადი ნაწარმოები იქმნება დიადი სულის ან დიადი გონების მიერ?**

- მე პირადად მწამს, რომ დიადი ქმნილებები იქმნება გონებაში სულის მოგზაურობის შედეგად, ისევე, როგორც სულში გონების მოგზაურობის შედეგად. ამგვარ ქმნილებებს სუნთქვის უნარი შესწევთ.

**- აუცილებელია თუ არა, იყო ნიჭიერი მკითხველი, რათა ჩასწვდე ნიჭიერი მწერლის თხზულებას?**

- ნაწარმოები არ გაიხსნება უნიჭო მკითხველისთვის. საბედნიეროდ, მსოფლიოში მეტი ნიჭიერი მკითხველია, ვიდრე - ნიჭიერი რეცენზენტი. და, აგრეთვე, მეტი ნიჭიერი მკითხველია, ვიდრე - ნიჭიერი ავტორი. ჩვენი საუკუნის საუკეთესო და ყველაზე ნიჭიერი მკითხველი გახლდათ ბორხესი. ნიჭიერ მკითხველად ვერავინ იქცევა მარტოოდენ სწავლის მეოხებით, ისევე, როგორც მხოლოდ სწავლის საფუძველზე ვერავინ შექმნიდა "ჯადოსნურ ფლეიტას".

**- როგორ გესმით "ნიჭის" ცნება?**

-ესაა ინტელექტუალური ან სულიერი ვიტამინი. სამყაროში ყოველთვის შეინიშნება სულიერი ვიტამინების დეფიციტი, მაგრამ საქმე ისაა, სჭირდება თუ არა კაცობრიობას ის ვიტამინი, რომელსაც მას აწვდის ესა თუ ის მწერალი დროის გარკვეულ მომენტში. თუ სთავაზობ სამყაროს მისთვის საჭირო ვიტამინს, ის უზარმაზარ საშოდ იქცევა და გშთანთქავს. ნიჭი მხოლოდ ვიტამინია ან სპერმა. შესაძლებელია, ვინმემ შეუსაბამო ვიტამინი შეიმუშაოს, რაც ნიჭის ამაოდ ხარჯვას ნიშნავს. იმისათვის, რათა მწერალმა მიაღწიოს მიზანს, ე.ი. რათა მისი ქმნილებები იკითხონ, საჭიროა ეგრეთ წოდებული "შვიდი ზეციური საბაჟოს" გავლა. ის უნდა აღიარონ გამომცემლებმა, მკითხველებმა და რეცენზენტებმა. სიკვდილის მომენტში მწერალი გაივლის მორიგ "ზეციურ საბაჟოს". სამყარო იკვებება ვიტამინებით, რომლებიც მას მიაწოდა გარდაცვლილმა მწერალმა, თუმცა თვით ეს მწერალი მას აღარ სჭირდება. შეიძლება დადგეს დრო, როდესაც სამყაროს კვლავ გაუჩნდება იმავე ვიტამინების მოთხოვნილება და სწორედ ამას ვუწოდებთ მწერლის გაცოცხლებას. ავტორი ხელახლა იბადება სიკვდილის შემდეგ.

**- რა არის მორიგი ზეციური საბაჟო?**

- ესაა მომენტი, როდესაც მწერლის ენა კვდება, რადგან ენები, საერთოდ, კვდება. მწერლის მშობლიური ენა უნდა შეითვისოს სხვა ენამ, მაგრამ მოხდება თუ არა ეს? ამჟამად ვერავინ წაიკითხავს ჰორაციუსს პოეტის ენაზე. არავინაა უკვდავი. უკვდავება ღმერთის ანმყოა.

**- რატომ უარყოფენ ადამიანები ღმერთის უფლებას ცოდვაზე?**

- ესაა მათსა და ღმერთს შორის არსებული განსხვავების დადგენის ერთადერთი გზა. სხვა საკითხია, რატომ ელიან ადამიანები, რომ სხვა ვინმე აუცილებლად შესცოდავს. შეიძლება იმიტომ, რომ ესაა ომების გამართლების ერთადერთი ხერხი.

**- რომელ მწერალთან ისურვებდით შეხვედრას?**

- კარგი შეკითხვაა. ერთხელ შევხვდი იმ მწერალს, რომელთან შეხვედრაზეც ვოცნებობდი. ეს იყო დ.მ.თომასი, ავტორი რომანისა "თეთრი სასტუმრო". ის კანადაში ვნახე. თომასმა ისევე მომხიბლა, როგორც - მისმა ქმნილებამ.

**- რას ჰკითხავდით ბორხესს?**

- არაფერს. უბრალოდ, მოვუსმენდი.

## მესამე შეხვედრა

ჩვენი მესამე შეხვედრა შედგა ჩინებულ რესტორანში. სადილი სადღეგრძელოთი დაიწყო.

მპ: მიხარია, რომ დღეს აქ ჰომეროსის შთამომავლები არიან.

**თლ: რას ნიშნავს თქვენთვის ჰომეროსი?**

- ყოველთვის ვცდილობდი, მიმებაძა ძველი ეპიკოსი პოეტებისთვის. ჰომეროსისთვის. მაგრამ "ილიადასა" და "ოდისეას" აქვს მკაფიო დასაწყისი და დასასრული, მაშინ, როდესაც სხვა ბერძენი და სერბიელი ეპიკოსი პოეტები იწყებდნენ სიმღერას მათ მიერ შერჩეული ნებისმიერი ეპიზოდიდან და ამთავრებდნენ იქ, სადაც მოესურვებოდათ. გაუმარჯოს მათ! ესაა ლიტერატურის ისტორიის უძველესი გაკვეთილი. რა თქმა უნდა, ძნელია მისი გამოყენება პრაქტიკაში. ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულია, როდესაც ხარ ეპიკოსი პოეტი, რომელიც ზეპირად წარმოთქვამ რაფსოდიებს და, იმავდროულად, იწერ მათ, რათა წიგნის ფორმა მისცე.

**- შემოქმედების პროცესში მკითხველებს ითვალისწინებთ თუ მსმენელებს?**

- ყოველთვის ვითვალისწინებ მსმენელებს. ჩემი აზრით, საუკეთესო ლიტერატურა ზეპირი ხასიათისაა. წინა შეხვედრის დროს უკვე გითხარით, რომ ბევრი რამ ვისწავლე ბალკანეთის ზეპირი ლიტერატურიდან და ბიზანტიელი საეკლესიო ორატორებისგან, მაგალითად, იოანე ოქროპირისგან. ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა "ახალი ოქროპირიც" კი მიწოდა. "კარგად ტემპერირებული" წინადადების მოსმენა ისეთსავე სიამოვნებას გვანიჭებს, როგორც - კოხტად მორთული ოთახები.

**- როგორ ჟღერს მშვენიერება?**

- როგორც მოცარტისა და ბახის სავიოლინო მუსიკა.

**- დიდხანს სწავლობდით მუსიკას?**

- ის-ის იყო, უნდა დამეწყო სოლისტი მევიოლინის კარიერა, რომ გადავწყვიტე, მწერალი გავმხდარიყავი. ახლაც ზეპირად მახსოვს მაქს ბრუხის სავიოლინო კონცერტი.

**- სხვადასხვა რამ მოსინჯეთ და, ბოლოს, საუკეთესო არჩევანი გააკეთეთ, არა?**

- ჩვენი გარემო ზემოქმედებს ჩვენს გადაწყვეტილებებზე. გარკვეულ მომენტში ყველას გვგონია, რომ რაც ჩვენ მოგვწონს, სხვებსაც ხიბლავს. ვფიქრობთ, რომ ჩვენს შვილებს მოეწონებათ ის, რაც ჩვენ მოგვწონს. მაგალითად, მამაჩემის აზრით, მინდოდა, გამოჩენილი დიზაინერი გამოვსულიყავი.

**- ცნობილმა ბერძენმა მწერალმა, სტრატის ცირკასმა ერთხელ მითხრა: "ყველაზე მეტად მიჭირს ნაწარმოების დასასრულის მიგნება, შემდეგ კი სამუშაოს ადვილად ვართმევ თავს".**

- ასე არ ვფიქრობ. მინდა, ჩემს რომანში მკითხველი შევიდეს იქ, სადაც სურს, და გამოვიდეს იქ, სადაც ესიამოვნება.

**- ალბათ, რომანის წერის პროცესში ყოველდღე აგრძელებთ იმას, რაც წინა დღეს დაწერეთ.**

- არა. ასე არასოდეს ვიქცევი. რომანი მოიცავს ბევრ ურთიერთგანსხვავებულ ელემენტს, რომლებიც თანდათან წარმოქმნის გარკვეულ სტრუქტურას. ძალზე ძნელია, ჩასწვდე ჩემს ნაწარმოებს მხოლოდ აზროვნების მეშვეობით (პავიჩი ჯიბიდან იღებს პატარა მწვანე ბლოკნოტს და რაღაცას წერს, თან ხელს აფარებს). ესაა ჩემი ახალი რომანი "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში". ამ ბლოკნოტში ვიწერ ყველაფერს, რასაც ვფიქრობ მის შესახებ. "ხაზართა ლექსიკონს" ათასგვერდიანი რვეული დასჭირდა.

**- გადაგაქვთ თუ არა ფრაზები ამ ბლოკნოტიდან სუფთა ქაღალდზე?**

- რატომაც არა? რომ გაიგოთ, როგორ იწერება რომანი, უნდა შეიგრძნოთ წიგნის სუნთქვა. ყოველი ცალკეული წიგნი სუნთქავს. რომანი ბავშვის მსგავსად იბადება. ეს ბლოკნოტი სხვა არაფერია, თუ არა მომავალი რომანის ემბრიონი.

**- რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, წიგნი სუნთქავსო?**

- თუ არ გსურთ, თავი შეაწყინოთ მკითხველს, უნდა გაითვალისწინოთ მისი გონების ურთიერთგანსხვავებული დონეები: ინტელექტი, ინტუიცია, წარმოსახვა, ფარული და აშკარა წარმოდგენები. თუ ასე მოიქცევით, თქვენი ნაწარმოები სუნთქვას შეძლებს ან გამოააშკარავებს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთაებრივსა და ადამიანურ შრეებს.

**- შეიძლება თუ არა მწერალი ჩრდილში დარჩეს უნიჭო მკითხველების ზეგავლენით?**

- რა თქმა უნდა. ამის ნიმუში თქვენ წინაშეა. იუგოსლავიაში დიდი ხნის განმავლობაში თითქმის არ კითხულობდნენ ჩემს ნაწარმოებებს. როდესაც მოვიდა მკითხველთა ახალი თაობა, ვითარება შეიცვალა.

**- რითი გამოირჩევა ეს თაობა?**

- ახალ თაობას შეუძლია ჩემი წიგნების მოსმენა და უყვარს ისინი. ჩემი ცოლი, ჟასმინა (ის ძალზე ახალგაზრდაა) ამ თაობას ეკუთვნის. უცნაურია, რომ ახალგაზრდები მათი თაობის მწერლად მიმიჩნევენ. ყველაზე ზუსტი თვალსაზრისი ჩემი თხზულებების შესახებ გამოთქვეს 60-იან წლებში დაბადებული თაობის წარმომადგენლებმა.

**- ჩემი შეკითხვებით თავი ხომ არ მოგაბეზრეთ?**

- პირიქით. ცხოვრება იმითაა საინტერესო, რომ არსებობს კითხვები.

**- არსებობს თუ არა პასუხები ყველა კითხვაზე.**

- სამყაროში მეტი პასუხია, ვიდრე - კითხვა.

**- ხომ არ ემთხვევა ტელევიზიისა და კინოს განვითარება ლიტერატურის დეკადანსს?**

- ჩემი აზრით, ლიტერატურაში დადგა დეკადანსისა და კრიზისის პერიოდი, მაგრამ ეს არ ეხება რომანს. კრიზისი, პირველ რიგში, კითხვაზე ზემოქმედებს. ამიტომ ვცდილობ, ვაიძულო მკითხველი, უფრო აქტიური იყოს. რაც შეეხება ხელოვნების სხვა დარგებს, ნამდვილად მჯერა, რომ არსებობს შვიდი მუზა. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გასაჭირშია, ის დახმარებისთვის სხვებს მიმართავს. მეც მივმართე დახმარებისთვის ხელოვნების სხვა დარგებს.

**- და გამოსავალი იპოვეთ?**

- არ ვიცი. მივხვდი, რომ შვიდი მუზიდან ზოგიერთი განვითარდა, სხვები კი - არა. ამჟამად ასეა. მოგვიანებით ვითარება შეიცვლება.

**- ხელოვნების რომელი დარგია განვითარებული ამჟამად?**

- ამჟამად განვითარებულია ის დარგები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანს, მიუახლოვდეს მათ ნებისმიერი მხრიდან. მათ შექცევად დარგებს ვუწოდებ.

**- დამისახელეთ რომელიმე მათგანი.**

- არქიტექტურა, ქანდაკება.

**- რომელია შეუქცევადი დარგები?**

- მუსიკა, ლიტერატურა. მეგონა, შევძლებდით ლიტერატურის (რომელიც შეუქცევადია) გარდაქმნას შექცევად დარგად.

**- თქვენ ბრწყინვალედ მსჯელობთ, მაგრამ ეს რაღაც ფანდი მგონია.**

- ფანდებია აგრეთვე კლასიკური რომანის დასაწყისი და დასასრული. ძველი მსოფლიოს ლიტერატურაში, ზეპირ ლიტერატურაში ყოველთვის შენიშნავთ თხრობის ახალ დასაწყისსა და კიდევ ერთ დასასრულს, იმათ გარდა, რომლებიც ერთხელ უკვე შეამჩნიეთ, ან კიდევ - განსხვავებული ამბების ერთსა და იმავე დასაწყისს. ცხოვრებაში ვერასოდეს იპოვით ამა თუ იმ ამბის დასაწყისს ან დასასრულს. ლიტერატურამ შეიძლება მიმართოს ფანდს, თუ გმირის სიკვდილი და სიცოცხლე დამოკიდებულია კითხვის ხერხებზე. ყოველივე ეს ააქტიურებს მკითხველს. ერთ-ერთ ამგვარ რომანში გმირ ქალს შეუყვარდება მკითხველი. ისმის კითხვა: რა უნდა მოიმოქმედოს მკითხველმა? საკითხავი, აი, ეს არის. უპასუხებს თუ არა მკითხველი ქალის სიყვარულზე?

**- ოდესმე კომუნისტი ხომ არ იყავით?**

- ერთმა ფრანგმა კომუნისტმა დამისვა ამგვარი შეკითხვა და ვუპასუხე, რომ უკანასკნელი ბიზანტიელი ვარ. მას არ გამოუქვეყნებია ეს პასუხი. ალბათ, იფიქრა, რომ გაცილებით უარესია იყო ბიზანტიელი, ვიდრე - კომუნისტი.

**- მითხარით, რაში მდგომარეობს ყველაზე დიდი უბედურება?**

- ესაა განადგურება იმისა, რაც მოპოვებული გაქვს.

**- ალბათ, ეს თქვენი რეაქციაა სერბეთში მიმდინარე მოვლენებზე?**

- ისღა დამრჩენია, არ შევწყვიტო შენება თვით ომის დროსაც. "ქარის შიდა მხარის" გმირიც აშენებს, მაშინ, როდესაც სხვები ომის დროს ყველაფერს აპარტახებენ.

**- წარსულში უამრავი ომი იყო და ვშიშობ, რომ მომავალშიც ასე იქნება. როგორ განმარტავთ ამას?**

- არსებობს ძველი მითი, რომლის თანახმად, ცოცხალი არსება ადამიანია, თუ ის წელში გამართული დადის და ცხოველია, თუ წელში იხრება.

**- არსებობს რაიმე იმედი?**

- არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ადამიანები არასოდეს კითხულობდნენ იმდენ წიგნს, რამდენსაც ახლა. ჩემი გამომცემლები ამბობენ, რომ მყავს დაახლოებით ხუთი მილიონი მკითხველი. ბევრ მწერალს მეტი მკითხველი ჰყავს, მაგრამ თვით ჩემ მკითხველთა რაოდენობაც კი აღემატება რომელიმე ქვეყნის არმიას. ეს უკვე მნიშვნელოვანი რამაა. შესაძლოა, ამ მკითხველებს სჯერათ, რომ სიყვარული დაამარცხებს სისასტიკეს ჩვენს სამყაროში, სადაც მეტი სილამაზეა, ვიდრე - სიყვარული; მეტი კარგი რომანია, ვიდრე - მათ საკითხავად გამოთავისუფლებული დრო. მოდით, დავითვალოთ არა ამომრჩევლები, არამედ - მკითხველები.

**- ახლა ბოლო შეკითხვას დაგისვამთ. ამ დღეების განმავლობაში დავრწმუნდი, რომ თქვენ გარშემო მხოლოდ ქალები არიან, მამაკაცები კი - იშვიათად. რატომ? ეს შემთხვევითობაა თუ განზრახ შექმნილი ვითარება?**

- მათ ასე გადაწყვიტეს. ჩემი აზრით, ქალი "თვისებრიობაა", რომელიც საჭიროებს "რაოდენობას", რათა იქცეს ხელოვნების ქმნილებად. "ის რაღაცის ნახევარი იყო. ძლიერი, მშვენიერი, ნიჭიერი ნახევარი რაღაცისა, რაც, ალბათ, მასზე უფრო ძლიერი, დიდი და მშვენიერი გახლდათ. გარდა ამისა, ის იყო რაღაც დიდებულისა და იდუმალის ნახევარი. ქალი კი სრული მთელი იყო. პაწია, დაბნეული, არც ისე ძლიერი ან ჰარმონიული მთელი, მაგრამ - მაინც მთელი" ("ქარის შიდა მხარე").

*ინგლისურიდან თარგმნა*
*თამარ ლომიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილორად პავიჩი

# ორი ერაყელი სტუდენტი



1

მითქმა-მოთქმა არასოდეს აგორდება მიზეზის გარეშე და არაფერი ისე სწრაფად არ ვრცელდება, როგორც ამბავი ხუროთმოძღვრებისა, მშენებლის ოსტატობისა. დაახლოებით 1970 წლის შემდეგ მსოფლიოს ყველა მხრიდან დაიძრნენ სტუდენტები ბოგდან ბოგდანოვიჩისკენ, რომელიც ბელგრადში არქიტექტურის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს. ამასთან, ეს იყო არა ის მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელსაც სურს ლექციაზე მიიღოს სწორედ ის, რასაც წინასწარ ელის, არამედ ის ხალხი, ვინც ლექციაზე რაღაც ისეთის იმედით მიდის, რასაც წინდაწინ ვერ წარმოიდგენს. მთელ მსოფლიოში დაირხა ხმა ბოლო სასწავლო სემესტრის განსაცვიფრებელი სპეცკურსის შესახებ, რომელიც თითქმის მისტიკური ხასიათის იყო და არქიტექტურას განიხილავდა, როგორც სამეტყველო ენას, ხოლო ქალაქებს - როგორც ამ ენის სიტყვებს. ბოგდანოვიჩზე ამბობდნენ, იგი ერთი იმათგანია, ვინც თითით აჩვენებს მიმართულებას საკუთარ გზას და გზაც იქითკენ მორჩილად მიემართებაო, ხოლო მისი შეგირდები თავიანთ გზებს გორგლად ამოახვევენ ხოლმე და ჯიბეში ინახავენო. იმჟამად ხუროთმოღძვართუხუცესი ბოგდანოვიჩის (ოსტატს უყვარდა, როცა ასე მოიხსენიებდნენ) კურსის მსმენელთა შორის აღმოჩნდა ორი ბაღდადელი სტუდენტი, გერი ძმები, აბუ ჰამიდი და იბნ იაზიდ თერმეზი. ძმები იმდენად მდიდრები და ლამაზები იყვნენ, რომ იძულებულნი გახდნენ თავები გადაეპარსათ, რათა მოძალებულ დედაკაცებს სწავლაში ხელი არ შეეშალათ. ბელგრადში მათ ჩამოიყვანეს ორი ფორეჯებით ტანდაწინწკლული ძაღლი, ერთი თმაწითელი ზანგი ლამაზმანი და ჩამოიყოლეს საშინელი სიზმარი, რომელიც მათ მოდგმას წყევლად ჰქონდა ქცეული და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სიზმარს "ზევგარი" (ხარის უღელი) ერქვა, რადგან მართლაც უღელივით ედო ქედზე ოჯახის მამაკაცს. ამ სიზმარს სიკვდილის შესახებ ძმები საკუთარი ხუთი თითივით იცნობდნენ, მაგრამ არ ძალუძდათ მისი ქედიდან მოშორება, ადარებდნენ მას საყანე მიწას, რომელსაც წყვილი ხარი ერთი დღის განმავლობაში მოხნავს და იცოდნენ, რომ ყველაზე საშინელი იგი წვიმან ღამეებში იყო, როცა ასე კარგია რახის სმა. ყოველ საღამოს ძმები ისე მიდიოდნენ დასაძინებლად, თითქოს მძიმე სამუშაოსთვის ემზადებიანო, საწოლთან წყლის სახაპ ჭურჭელსა და ჩექმებს დაიწყობდნენ ხოლმე, ნესტოებს კი საგულდაგულოდ დაიგმანავდნენ, რათა მატყლს ჩაეხშო ცხენის სისხლის სუნი, რომელიც მათ გამუდმებით თან სდევდათ. ძილში ძმებს დროდადრო სული ეხუთებოდათ და იგუდებოდნენ, მაშინ ილვიძებდნენ მათი ძაღლები, რომლებიც ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში წყალს აღარ ეკარებოდნენ. ეს იმგვარი ძაღლები იყვნენ, რომელთა სხეულზე ყველა ფორეჯი უნდა გადაგეთვალა, რადგან თუ ასეთ ძაღლს 300-ზე ნაკლები ფორეჯი აქვს, იგი საშიში არ არის, მაგრამ თუ ფორეჯების რიცხვი 300-ს აღემატება, შეუძლია ცოცხლად დაფლითოს ადამიანი. ერთ ძაღლს 234 ფორეჯი ჰქონდა და იგი საშიშროებას არ წარმოადგენდა, სამაგიეროდ მეორე, 299-ფორეჯიანი, სულ ახლოს იდგა საბედისწერო მიჯნასთან და შავი ტია მბო გამუდმებით ვიშვიშებდა:

- აი ნაეხთ, ვინმე თუ არ დაგლიჯოს!

ამ ქალის შესახებ ამბობდნენ, იგი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით არის ლამაზიო, ძუძუები ადამიანის თავის ზომისა აქვსო (ეს ჩანდა კიდეც, და თითო ძუძუზე ადამიანის თითო სახე აქვს აღბეჭდილიო: მარცხენაზე ქალისა, ხოლო მარჯვენაზე - ულვაშიანი კაცისაო (ეს კი არავის ენახა). ასე იყო თუ ისე, გერი ძმების თქმით ტია მბო ერთ ადამიანურ არსებაზე აშკარად მეტს წარმოადგენდა, ისინი კაბის ქვეშ ჩიბუხებს უბოლებდნენ ქალს და მორიგეობით ეძინათ მასთან - ერთი ჩვენგანი ტიასთან იძინებს, ხოლო მეორე - მბოსთანო.

ყველამ ერთად იქირავა ბინა ვუკის ძეგლისა და არქიტექტურის ფაკულტეტის მახლობლად, სადაც ტია მბოც ჩარიცხეს. დღეები წყვილ-წყვილად მიედინებოდნენ, მიდიოდნენ ტყუპი ძმებისა თუ ანტიკური ღმერთების მსგავსად. თავიდან ძმები და მათი ქალი საკვებს უფრთხოდნენ და მხოლოდ რძეს სვამდნენ, მაგრამ მალე ყველაფერს შეეჩვივნენ და ამბობდნენ, უზენაესი მზრუნველობას არსად მოგვაკლებსო.

ზამრთის ერთ საღამოს ძმებმა დაიჭრეს ფრჩხილები, რათა თან ზედმეტი არაფერი გაეყოლებინათ და არქიტექტურის ფაკულტეტის სარდაფს მიაშურეს ბოგდანოვიჩის პირველ ლექციაზე დასასწრებად. ისინი აუდიტორიაში კი არა, კინოდარბაზის მსგავს ოთახში აღმოჩნდნენ.

- წრე მცირდება წრით (Orbe minius orbe) - განაცხადა ბოგდან ბოგდანოვიჩმა და, რათა ინტერესის გარეშე მოსულები დაუყოვნებლივ თავიდან მოეცილებინა, ჩათვლის წიგნაკებში ყველა სტუდენტს გაუკეთა ჩანაწერი, მთელი კურსი გავლილი აქვსო. სამაგიეროდ, უკლებლივ ყველა, ვინც მაშინვე არ წავიდა, ბოლომდე და, შეიძლება ითქვას, სამუდამოდ დარჩა.

- სილამაზე იმდენად რთული რამ არის და მისი შექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნა ისეთ შრომას მოითხოვს, რომ მასთან ყოველი შეხება შვებას გვანიჭებს, რადგან ვხვდებით, რომ სამყაროში ენერგიის საერთო განაწილებისას ჩვენ გათავისუფლებულნი აღმოვჩნდით გარკვეული რაოდენობის შრომითი დანახარჯისაგან. სილამაზის შესაქმნელად გაღებულმა სხვისმა ძალისხმევამ შეამცირა ჩვენი წილი დაქანცულობისა, გადაგვარჩინა ძალების ხარჯვას, სწორედ ამიტომ გვატკბობს სილამაზე. ჩვენ, უბრალოდ ვისვენებთ სილამაზეში და ამავე მიზეზის გამო ის, ვინც ქმნის სილამაზეს, ვერ დატკბება მისით და ვერ დაისვენებს მასში.

აი, ასეთი სიტყვები გაისმოდა სიბნელეში ან, შესაძლოა, ასე ესმოდათ სიტყვები ერაყელ სტუდენტებს. შემდეგ კი დაიწყო ლექცია და მათ თავს დაატყდათ მთელი ნიაღვარი ვიზუალური ხატებისა, რომელთა დემონსტრირება პროექტორით იმდენად სწრაფად ხდებოდა, რომ დრო არ გრჩებოდა ნანახის შესახებ რაიმეგვარი წარმოდგენის შესაქმნელად. როგორც ჩანს, თავიდან სტუდენტებს უბრალოდ, უნდა ეყლაპათ კადრები, რომელთა ბუნებისა არაფერი გაეგებოდათ და ეს ნაკადი მოედინებოდა მრავალი დღისა და მრავალი ღამის განმავლობაში. სტუდენტები ისე შეფუთვნილიყვნენ სიბნელეში, როგორც პალტოში და თანდათან ხვდებოდნენ, რომ მათ თვალთა წინ მიემართებოდა უსასრულო მწკრივი უცნაური ნაგებობებისა, უფრო სწორად კი, მთელი ქალაქების გეგმებისა. ასე ერთი შეხედვით და სიბნელიდან წამიერი ამოტივტივებისას ვერ გაიგებდი ეს ჯერ აუშენებელი ნაგებობების გეგმები იყო, თუ ფოტოები დიდი ხნის წინ დანგრეული დასახლებებისა, რომელთა მხოლოდ საძირკვლები შემორჩენილიყო. ამას მართლაც ვერავინ გაარჩევდა. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენებას თან არ ახლდა არანაირი კომენტარი, გარდა ბოგდან ბოგდანოვიჩის რუტინული შენიშვნებისა, რომ ხდება ძალიან ძველი მასალის დემონსტრირება, რომლის ასაკი ერთიდან რამდენიმე ათასწლეულამდეა...

არქიტექტურის ლექციებისგან დასვენებისას ერაყელ ძმებსა და მათ საყვარელს მოწყენისათვის არ ეცალათ. ფორეჯებიანი ძაღლები კუდებს სკამზე აბათქუნებდნენ, ხოლო ტია მბოს თმა მაშინვე სურნელს იცვლიდა, როგორც კი ქალი თავის მშობლიურ ამაჰარულ ენაზე ალაპარაკდებოდა, უფრო ჭკვიანი კი იგი მაშინ ჩანდა, როცა საუბრობდა არა ამაჰარულად, არამედ ახალნასწავლ სერბულ ენაზე. ტია მარცხენა ხელით მაგიდაზე რაღაცას ხაზავდა და იმავდროულად მარჯვენა ფეხით სრულიად უშეცდომოდ წერდა რვეულში. იგი თავის გულის გასახარად ამზადებდა საჭმელს, ისე აყრიდა მარილს, თითქოს მთელ ოთახს ამარილებსო და ირწმუნებოდა, რომ ზუსტად იმავე დროს სადღაც ადის-აბებაში იმავე კერძს ამზადებდა მისი დედა. ტია მაშინვე ალვიძებდა თავის ერაყელ საყვარლებს, როგორც კი იგრძნობდა, ისევ "ზეგარი" ესიზმრებათო. გარდა ამ სიზმრისა და ნავთობის ჭაბურღილებიდან მდინარი ფულისა, თერმეზიმ და აბუ ჰამიდმა მემკვიდრეობით მიიღეს კიდევ ჭადრაკის ერთი პარტია, რომელსაც ყოველ ზაფხულს თამაშობდა მათი ოჯახის უკვე მესამე თაობა; სარამადანოდ თითოეული მხრიდან თითო სვლა კეთდებოდა. ახლა სწორედ ეს დრო ახლოვდებოდა. ძმებს ფეხები სტკიოდათ, რადგან ამ წელს უკვე მეორედ ამობიბინდა ბალახი. მათ ყველა საქმე მიატოვეს, მაგიდას მიუსხდნენ და დღე და ღამ თავთავის სვლაზე ფიქრობდნენ.

- აი, სადამდე მომიყვანა ერთი წმიდა ადგილიდან მეორეზე ხტომამ, - მოთქვამდა თამაშისას აბუ ჰამიდი.

- ზოგჯერ მეჩვენება, - ეუბნებოდა პასუხად იბნ იაზიდ თერმეზი, - რომ დღეები, რომ დღეები და ღამეები ჩემს წარსულში მონაცვლეობით კი არ არის განლაგებული, როგორც ისინი ჩემთან მოდიან, არამედ ყოველი წარსული ღამე უკავშირდება ყველა სხვა ღამეს, ხოლო ყოველი დღე - სხვა დღეებს, ისევე როგორც ჭადრაკის დაფაზე თითოეული შავი უჯრედი ირიბად უკავშირდება შავებს, ხოლო თეთრი - თეთრებს. ალბათ, წარსული მხოლოდ დედოფლის ან კუს თვალით შეიძლება დაინახო: დღეებისა და ღამეების ირიბი შეერთებით რომელიმე მწკრივად. ხოლო აწმყო, ურთიერთმონაცვლე დღეებისა და ღამეების მისი მწკრივით, მეფის, ეტლისა და პაიკის თვალსაწიერიდან მოჩანს. ამასთან, მეფე, ეტლი და პაიკი ვერაფერს ხედავენ აწმყოს გარდა. დედოფალი კი აწმყოსაც ხედავს, იგი ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც ორმაგი ხედვა აქვს მიმადლებული. მომავლის ხილვა კი მხოლოდ მხედრის ხვედრია, იგი თავისი თვალსაწიერის ორ მესამედზე აწმყოს ჭვრეტს, ერთ მესამედზე კი - მომავალს... სამწუხაროდ, ჩვენ მხედრები არ ვართ.

- საბედნიეროდ, თქვენ მხედრები არ ხართ, თორემ გეცოდინებოდათ, რა მოგელით მომავალში, - ეხმაურებოდა თერმეზის ტია მბო, რომელიც იჯდა და თვალმოუშორებლად დასცქეროდა თავის ბროლის ჭიქას. ტია მბოს ჰქონდა მშვენიერი მწვანე თვალები და წამწამები, რომლებიც წარბებს სწვდებოდა. ამბობდნენ, მის აზრებს ენა კი არა, სწორედ თვალები ამხელსო. ტია მბოს ბროლის ბოკალი ზუსტად მისი თვალების ფერისა იყო. ტიას სიამოვნებდა, როცა მაგიდასთან მიმჯდარი წრუპავდა სასმელს, თანაც ბოკალს მაგიდაზე დადგამდა ან ხელში ატრიალებდა და მის სიმწვანეს უმზერდა. ბოკალი ტიას ჯერ კიდევ ბავშვობაში აჩუქეს და აღმოსავლეთი აფრიკიდან ჩამოყოლილი ერთადერთი ნივთი იყო ეს მწვანე მინა, რომელიც ისევე უნათებდა მას წყვდიადს, როგორც ციცინათელები უნათებენ ღამეს მოგზაურს. მულატი მბო ბოკალში იმზირებოდა, სისხლი უდუღდა, დაღრჭენილი კბილებიდან ორთქლი ასდიოდა, მუდამ სილამაზის საჭვრეტად მზადმყოფ მშვენიერ თვალებს არასოდეს აფახულებდა. ერთ საღამოს მან თავის საყვარლებს უზარმაზარი ლანგრით მიართვა წაბლის ნახშირზე შემწვარი ქათმის კურტუმოები.

- ზოგჯერ მეჩვენება, - თქვა მან, - რომ ჩემი თვალები ამ ბოკალს შეესისხლხორცნენ, ჩემი მზერა ყველაზე სწრაფად და ადვილად მისი ჭვრეტისას ისვენებს. მისი სიმწვანე ჩემი თვალების ფერს ერწყმის, იგი მეგობრად მექცა... ზოგჯერ მინა თითქოს ცდილობს რაღაც მომითხროს; თქვენმა მხედრებმა თუ იციან, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?

დროდადრო გერი ძმები ტია მბოს უხმობდნენ ხოლმე მათთან ჭადრაკის სათამაშოდ, მაგრამ ქალი უარზე იდგა. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ ამ დაფაზე ადამიანებს ავი სულები ეთამაშებიან, მაგრამ მათ თვალით ვერ დაინახავ.

- როგორ თუ ვერ დაინახავ? - ეკითხებოდა მას თერმეზი.

- ვერ დაინახავ და მორჩა, - პასუხობდა ქალი, - აიღე შავი ფიგურა და ნახავ, რომ მას შავი საღებავის ქვეშ აქვს თეთრი სული ხისა, რომლისგანაც იგი არის გამოთლილი. იმის თქმა მინდა, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს გარედან როგორ არის დანაწილებული ფიგურები: ყველა ფიგურა, თეთრიც და შავიც, შიგნიდან ნახევრად შავია, ხოლო ნახევრად თეთრი. ბრძოლა შავსა და თეთრს შორის სინამდვილეში თითოეული მათგანის შიგნით მიმდინარეობს და არა გარეთ. და ამ შინაგან ბრძოლაზე გავლენას ვერ მოახდენს სვლები, რომლებსაც თქვენ მოიფიქრებთ. თამაშში მხოლოდ ორი მოწინააღმდეგე არმია როდი მონაწილეობს; ის უჯრედიც მონაწილეობს, რომელზეც ისინი გადადიან. როგორც კი ისინი შავ უჯრედზე აღმოჩნდებიან, შავი საწყისი თეთრსა და შავ ფიგურებში, ესე იგი ბოროტი სული ად-



ამიანებში და ბოროტი სული ბოროტ სულებში ძალას შეიწოვს ამ ბნელი ზედაპირიდან, ამ ბოროტეული საფუძვლიდან და პირიქით, როგორც კი ისინი თეთრ უჯრედზე აღმოჩნდებიან, მაშინვე ძალა ემატება და შემწეობა ეძლევა იმ ნათელ საწყისს, რომელიც პარტიაში მონაწილე ადამიანებსა და ბოროტ სულებში ცოცხლობს. ასე რომ, ბრძოლაში მონაწილეობს არა მხოლოდ მათი არსების ნათელი და ბნელი საიდუმლოებები, არამედ მიწაც მათ ფეხთა ქვეშ. და რაკი ასეა, რა გავლენა შეგიძლიათ მოახდინოთ თქვენი უბადრუკი სვლებით მოვლენათა საბოლოო შედეგზე? ან რა აზრი აქვს ისეთ თამაშში მონაწილეობას, რომელშიც არარა ხართ და არაფერს წარმოადგენთ?

## 2

ქალაქში ფოთლებმა ფერი იცვალა. შემოდგომამ კოვზებსა და თეფშებში ჩაიბუდა. ტია მბო სიცივეს შეეჩვია და ზამთრისთვის ემზადებოდა. იგი ღვინოს ასხამდა ყურძნის მარცვლებს, რათა გაზაფხულზე სუფრაზე ნედლი ყურძენი არ მოკლებოდათ. ბოგდან ბოგდანოვიჩის გაკვეთილებმა რიტმი იცვალა. კადრები ეკრანზე უფრო ნელა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. სტუდენტებმა დეტალების გარჩევა შეძლეს. მსგავსება და განსხვავება იმაზე მიუთითებდა, რომ ნაგებობათა საძირკვლების გეგმები რამდენიმე ოჯახად ერთიანდებოდა. და მაშინ მოძღვარმა პირველი დავალება მისცა შეგირდებს: საჭირო იყო ერთ-ერთი მათგანის შერჩევა და შემდგომში მთელი ყურადღების ამ ოჯახზე კონცენტრირება. და აი, გარკვეული ნიშნების ირგვლივ დაიწყო სტუდენტების გარკვეული ჯგუფების ფორმირება. ყველაფერი, რასაც მრავალი კვირის განმავლობაში უმზერდნენ, ახლა მათ წინაშე წარმოდგა როგორც სიმრავლე ურბანისტული სქემებისა, რომელთა საფუძველზე საჭირო იყო ძველი ქალაქისა და მისი ცხოვრების რეკონსტრუირება. ყოველ ჯგუფს, არჩეული გეგმის შესწავლის შემდეგ უნდა აღედგინა ქალაქი, მისი წეს-ჩვეულებები, ნაგებობები, ტრანსპორტი, რელიგია, საზოგადოებრივი მოწყობა და ცხოვრების პოლიტიკური პირობები - ყველაფერი ენის, მუსიკისა და სხვა თავისებურებების ჩათვლით. ჯგუფებმა საქმეს მოჰკიდეს ხელი. ისინი შენობათა პროექტებზე კი არ მუშაობდნენ, არამედ - მთელი უტოპიური ქალაქის პროექტზე იმ ვარაუდებზე დაყრდნობით, რომლებიც თვითონვე შეიმუშავეს მიღებული გეგმების საფუძველზე.

“ეს ჯოჯოხეთურად ძნელი საქმიანობაა“, - ფიქრობდნენ თავდაპირველად ბოგდან ბოგდანოვიჩის სტუდენტები და ტვინს იმაზე იჭყლეტდნენ, თუ როგორ გაერჩიათ ძველ სქემებზე ტაძარი, ქალაქის მოედანი, ნავსადგომი ან სხვა ნაგებობები. ზოგჯერ ისინი დახმარებისთვის მიმართავდნენ მოძღვარს და სთხოვდნენ რამე აგვიხსენიო, მაგრამ ის უარზე იდგა და ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა:

- უმჯობესია, ყველაფერი ერთბაშად გაიგო და არა თანდათანობით. მაგალითად, უმჯობესია, ორი საგანი ერთდროულად შეისწავლო და არა თანმიმდევრობით. ამ ორი სახეობის ცოდნას ერთმანეთს ვერც კი შეადარებ. თუმცაღა, კიდევ უკეთესია ერთდროულად ორი კი არა, სამი საგანი შეისწავლო. ოღონდ, ადამიანს უჭირს ერთდროულად ორ საგანზე მეტის შესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელსაც ძალუძს აზრად გარდაქმნას, აბსტრაქციად აქციოს მის მიერ შექმული პური და ყველი.

აქ სტუდენტებმა შენიშნეს, რომ უჭირდათ მოძღვრის სიტყვების შინაარსში წვდომა, ტია მბო კი აკისკისდა და განაცხადა, რომ ყველაფერი ეს ძალზე მარტივია, შემდეგ კი ასეთი მაგალითი მოიყვნა:

- ვთქვათ, შენ გყავს ქმარი და უცებ იგებ, რომ იგი ღალატობს - ეს არის ერთი საგნის შესწავლა. ვთქვათ, გყავს ქმარი და გაიგე, რომ იგი შენს დასთან ღალატობს - ეს არის ერთდროულად ორი საგნის შესწავლა. ვთქვათ, გყავს ქმარი და გაიგე, რომ იგი შენს ძმასთან ღალატობს - ეს არის ერთდროულად სამი და, იქნებ, ოთხი საგნის შესწავლა.

სტუდენტები იცინოდნენ ასეთ მაგალითებზე, თავს უცნაურად გრძნობდნენ, ისე დადიოდნენ თანაკურსელებს შორის, როგორც ტყეში ან ქარში დადის ხალხი და განაგრძობდნენ თავიანთ ნახაზებში ხეტიალს. სწორედ მაშინ, როცა ყველამ თავისი ჯგუფი აირჩია, მოხდა მოულოდნელი რამ: ორი ერაყელი სტუდენტი ერთ ჯგუფში აღმოჩნდა, ხოლო ტია მბო - მეორეში. ძმებმა ძლივს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოლიეს ქალი, მათ ჯგუფში გადასულიყო, სადაც, სიმართლე რომ ითქვას, ამ ორს გარდა, არც არავინ იყო. ტია მოვიდა თავისი მწვანე ბოკალით, მწვანე თვალებით და ბოკალში ჩაწყობილი ფანქრებით და მუშაობა დაიწყო. ერაყელმა ძმებმა აირჩიეს არქიტექტურული ლექსიკონი, რომელიც შედგებოდა უცნაური მახვილკუთხა ფორმის ნიშნებისგან, გეგმების მათ კომპლექტში თვალში გეცემოდა სამკუთხაკაპიტელებიანი კოლონადები, ნამგლისმაგვარი ცარიელი სივრცეები და ურთიერთპარალელური მოგრძო ეზოები. მუშაობის დაწყება ძლივს მოასწრეს, რომ მაშინვე მიხვდნენ, რას ნიშნავს შეისწავლო ორი საგანი ერთდროულად და არა ერთი მეორის მიყოლებით. ერთმა სტუდენტმა შემთხვევით აღმოაჩინა და ყველას შეატყობინა, რომ ნიშნები, რომლებსაც ისინი მთელი თვის განმავლობაში უმზერდნენ, სულაც არ იყო ნაგებობათა გეგმები. ეს იყო ძლიერ გადიდებული ასოები უძველესი ანბანებისა, იეროგლიფებიდან დაწყებული და ბერძნულითა და გლაგოლიცათი დამთავრებული. ცალკე აღებული და გადიდებული ეს ასონიშნები მართლაც გეგმებივით გამოიყურებოდა და ბოგდან ბოგდანოვიჩის მიერ შერჩეულ სწავლების მეთოდს უნდა ეჩვენებინა, როგორ ვლინდება გარკვეული კულტურის ანბანში მისი არქიტექტურული ენა და ის, რაც ამ ენაზე არის დაწერილი. მოძღვარმა გამიზნულად დაუმალა ეს ფაქტი შეგირდებს, ახლა კი მისი სტუდენტები ველარაფერს გააწყობდნენ: მათ გამოუმუშავდათ ჩვევა, ასონიშნები ნაგებობათა გეგმებად აღექვათ.

ასე შეისწავლეს ერაყელმა სტუდენტებმა და მათმა საყვარელმა ერთდროულად ორი საგანი: ჯერ ერთი, მათ მიერ შერჩეული ქალაქის ქუჩები სინამდვილეში რომელიღაც მკვდარ ენაზე დაწერილი და ძლიერ გადიდებული სტრიქონებია; და მეორე, ამ ენის ასონიშნები, რომლებიც იბნ იაზიდ თერმეზიმ და აბუ ჰამიდმა ისე აირჩიეს, რომ წინასწარ არაფერი იცოდნენ, თუ რა ენა იყო ეს, აღმოჩნდა მათი უძველესი პროტოსამშობლოს ლურსმული ნიშნები, დამწერლობა შუმერული ცივილიზაციისა, რომელიც დაკავშირებული იყო ბაბილონის ქალაქებთან ურთან და ურუქთან, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე რომ მდებარეობდნენ. ამის გაგებამ საოცარი ძალით აღავსო ძმები, ტია მბომ კი თქვა:

- მაშასადამე, შეგვიძლია ჩვენი ქალაქი წავიკითხოთ.

ძმებმა მას “ზევგარი“ უწოდეს, რადგან ამ გზით თავიანთი საზარელი სიზმრის ძლევას იმედოვნებდნენ.

- უკვე საუკუნეებია, ჩვენ ისედაც “ზევგარში“ ვცხოვრობთ, - ამბობდნენ ისინი, - რატომ არ უნდა ავუგოთ სახლი ამ სიზმარს?

ტია მბო ამ სახელწოდების წინააღმდეგი იყო, იგი ცხენის სამურველით წმენდდა თევზს, ისე რომ ქერცლი, ნაპერწკლების მსგავსად, ყოველმხრივ იფანტებოდა, ლექციებზე დაჰქონდა თავისი ბოკალი და ტკბებოდა მისით, შიგ ჩაწყობილი ფანქარ-კალმიანად. მაგრამ ქალაქის რეკონსტრუქციაზე იგი თავდაუზოგავად მუშაობდა, მარცხენა ხელით მაგიდაზე ხაზავდა და დროდადრო მაგიდის ქვეშ რაღაცას იწერდა მარჯვენა ფეხით.

- მოსმენილი გაქვთ ლეგენდა ეფესის სასახლეზე? - იკითხა მან ერთხელ, - მისი საძირკვლის პროექტს დედამიწაზე ხაზავენ, სასახლე კი ზეცაში შენდება... ასე შეუძლია ადამიანს ზეციური სასახლე შეიძინოს... მაგრამ სხვაგვარი სასახლეებიც არსებობს, რომელთა პროექტები პირიქით, ზეცაში იხაზება და აქ, მიწაზე ხორციელდება. ჩვენი ქალაქიც ასეთია... დროდადრო იგი ძალიან მაშინებს... რატომ მაიძულეთ ეს ქალაქი თქვენთან ერთად მეშენებინა? დროდადრო საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას, ჩემი ყველა საქმე და საქციელი ისე თანაბრად თუ არის დაშორებული ჩემგან, როგორც წრეწირის ყველა წერტილია დაშორებული მისი ცენტრისგან. იქნებ ზოგი მათგანი წრის საზღვრებს გარეთ გადის? და მაშინ, ვიღას ეკუთვნის ისინი? იქნებ, თავად ღმერთს?

ერაყელი ძმები იცინოდნენ ტია მბოს შიშსა და ეჭვზე და სამივე ერთად ქმნიდა თავიანთი არაჩვეულებრივი ქალაქის ქუჩებს, ტაძრებს, მოედნებსა და სასახლეებს, კოშკებსა და ნავსადგურებს. ანბანის ასონიშნები ნაგებობებად გარდაიქმნებოდა. ძველი ენიდან ქალაქი იწყებდა ამოზრდას. სამუშაოთი დაღლილები მეცადინეობის შემდეგ ბელგრადის ქუჩებში სეირნობდნენ და ქალაქი იმავე ტემპით ხდიდა ფარდას მათ წინაშე თავის იდუმალ სახეს, რა ტემპითაც მიიწევდა წინ ქაღალდზე “ზევგარი“. ბელგრადის ქარებს რომ მიჰყვებოდნენ და უფრო ახლოს ეცნობოდნენ მათ, ძმებმა გაიგეს, რატომ გაიყვანეს თავის დროზე ბელგრადის ქუჩები ერთი შეხედვით ასე უაზროდ და მიღრეცილ-მოღრეცილად. ღამით მოისმინეს ქვაფენილქვეშ როგორ ეშვებოდა უძირო ჯურღმულში კანალიზაციის წყალი და შეიგრძნეს დიდი ქალაქის ქვეშ გაწოლილი ის თვალუწვდენელი უფსკრული, რომლის წარმოდგენისას ვაკე ადგილზეც კი თავბრუ გეხვევა. ნახეს, როგორ იღებდა შუქნიშნით განათებული ფოთლები ხან მწვანე, ხან ყვითელ, ხან წითელ ფერს, თითქოს თვალის დახამხამებაში წელიწადის ერთ დროს მეორე ცვლისო. შენიშნეს, რომ ადამიანები წაბლსა და ცაცხვს აიძულებენ მთელი ცხოვრება ერთიმეორის გვერდით იდგნენ, თუმცა ამ ხეებს ოდითგანვე სძულთ ერთმანეთი, იმდენად სძულთ, რომ ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი მათგანი ვეღარ უძლებს ამას და ხმება, სიბერეში ხომ სიძულვილი სიყვარულზე გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება. ღამ-ღამობით ისინი ქალაქში სეირნობდნენ. საიდანღაც ქალების ჩუმი სიმღერა მოისმოდა, კიდევ საიდანღაც მიმწვარი რძის სუნი მოდიოდა, შორიდან კი ძმების ყურამდე ქალაქის ტრანსპორტის გუგუნი აღწევდა. ზოგჯერ ისინი თავზე თბილი ნაცრით დატენილ ტოპრაკებს შემოიხვევდნენ ხოლმე, რათა ცივ ღამეებში გამჭრიახი თვალი შეენარჩუნებინათ, ზოგჯერ ზაფხულის ღამეში მოხვდებოდნენ და ესმოდათ, როგორ გამოსცემდა მათ ფეხქვეშ აჭრიალებული ბლის კურკები კბილების ღრჭენის ხმას. მათ ისწავლეს ნაგებობის შემქმნელი ხუროთმოძღვრის ხელის გარჩევა, ხელისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იმორჩილებდა ერთმანეთისადმი სიძულვილით გამსჭვალულ საშენ მასალებს - ხესა და ქვას. მათ დაინახეს როგორ ასხამდნენ მშენებლები შუაღამისას ფარულად ღვინოს საძირკველში, როგორ ცდილობდნენ კედლის შენებისას აგურქვეშ ფრინველის ჩრდილი მოემწყვდიათ, გაიგეს, რომ ხე-ტყე მშენებლობისთვის წელიწადში მხოლოდ სამი თვის მანძილზე შეიძლება მოიჭრას, ოღონდ ეს არავითარ შემთხვევაში ახალმთვარობისას არ უნდა გააკეთო, თორემ მასალას ჭია გამოღრღნის, რომ ვიდრე ქვას საჭრეთელს დაჰკრავდე, მას რაღაც უნდა უჩურჩულო, რომ ყოველ დილით, სამუშაოს დაწყების წინ ტუჩებზე ჯვარი უნდა გადაიწერო... და ლამაზსა და მდიდარ სტუდენტებს სირცხვილით ავსებდა იმის წარმოდგენა, რომ ის ძველი მშენებლები მზად იყვნენ პურზე, წიწაკასა და წყალზე გადაევლოთ და შენება არ შეეწყვიტათ... ადვილი მისახვედრია, რომ მათ შეეძლოთ პური და ყველი აზრად გარდაექმნათ და ეს აზრი ქვის იყო. ტია მბომ კი კიდევ ერთხელ გააოცა ძმები.

ტია, ბევრი ეთიოპელი თანამემამულის მსგავსად, მართლმადიდებელი იყო და ერთხელ პანჩეველი ბოშებისგან იყიდა ხატი, რომელიც ჰამიდისა და თერმეზის ავტომობილში ჩამოკიდა. მერე კი ერთ საღამოს ალექსანდრე ნეველის ტაძარში მწუხრის ლოცვაზე მიიყვანა საყვარლები. ისინი ტიას საკმევლის მსუბუქ ნისლში შეჰყვნენ, ქალმა კი უთხრა სტუდენტებს, რომ სურდა ელოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რა საქმისთვის გინდა ილოცო? - ჩაეკითხნენ მას თერმეზი და ჰამიდი.

- "ზევგარისთვის".

- "ზევგარისთვის"? - გაიცინეს ძმებმა.

- სასაცილო არაფერია, - უთხრა მათ ტია მბომ, - ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამ პროექტმა გამოუვალ მდგომარეობაში შეგვიყვანა.

იგი სიმართლეს ამბობდა. რაღაც დროის განმავლობაში ლურსმული ქალაქი შენდებოდა. მაგრამ მერე მშენებლები ჩიხში მოხვდნენ. ასოები ეწინააღმდეგებოდა მათ ნებას და არაფრის წაკითხვის საშუალებას აღარ აძლევდა.

3

გამოჩნდა გეგმები, ესე იგი ასოები, რომელთა გაშიფვრა უჭირდათ, ხოლო ასეთ საძირკველზე აგებული შენობის დანიშნულება ამოუხსნელ გამოცანად ეჩვენებოდათ. განსაკუთრებით რთული იყო ორი რამ.

1. შენობების გეგმებს (ასოებს) შორის ერთ მათგანს ძალიან უცნაური, ტეხილი ფორმა ჰქონდა ორი გამოსასვლელით ერთ მხარეს. ძმები ფიქრობდნენ, რომ გეგმა, შესაძლოა, რომელიღაც დანგრეული ტაძრის საძირკველს ასახავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო. მათ ეს ფუნდამენტი დახატეს, ესე იგი ასო დაწერეს ქაღალდის ნაგლეჯებზე, თილისმასავით სულ თან დაჰქონდათ ეს ნაგლეჯები და ცდილობდნენ ამოეცნოთ ფარული შინაარსი უცნაური ლინგვისტური ნიშნისა, რომელსაც არა და არ სურდა შენობად გადაქცევა. რას შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი ნაგებობა? - ამაოდ იმტვრევდნენ ისინი თავს.

- ჭეშმარიტების ერთი ბოლო ყოველთვის მიწაში არის ჩამალული და ფესვივით კვებავს მას, - თქვა იბნ იაზიდმა და ლუპა მოიმარჯვა და მათი ლექსის ყოველი ასოს, მათი მომავალი ქალაქის ყოველი დეტალის შესწავლა დაიწყო. ასე აღმოაჩინა პროექტ "ზევგარის" კიდევ ერთი გამოცანა:

2. ასოებს კიდეებზე უსწორმასწორობები, არასწორი ფორმის შვერილები ჰქონდათ და სტუდენტებმა არ იცოდნენ საჭირო იყო თუ არა ქალაქის პროექტში მათი გათვალისწინება.

მაშინ ტია მბომ შესთავაზა შეემოწმებინათ, რა ტექსტი იყო დაწერილი ლურსმულად, რა შინაარსი ჰქონდა მას. აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილა ფრაგმენტი ძველი ეპოსისა გილგამეშზე, ხოლო სტრიქონები, ძმებს ქალაქად რომ უნდა ექციათ, აღებული იყო თიხის ფირფიტიდან, რომელიც წარღვნას აღწერდა. ტაეპი, რომელიც მათი ქალაქის საფუძვლად იქცა და რომლის ასოები შენობათა გეგმებად იქნა გამოყენებული, აღწერდა თავსხმას, ყველაფერ ცოცხალს რომ ანადგურებდა. უკვდავება წყლიდან მოდის და წყალში ქრება - ასეთი შინაარსი ჰქონდა ფირფიტას, რომლის ასოებს ძმები სახლებად აქცევდნენ.

ოღონდ ამგვარმა მინიშნებამ არც ასოთა კიდეებზე მდებარე უსწორმასწორობების საკითხს მოჰფინა ნათელი და ვერც იმ უცნაური შენობის დანიშნულება აუხსნა, ერთ მხარეს ორი შესასვლელი რომ ჰქონდა. მაშინ ძმებმა გადაწყვიტეს ამ ორი საგნის გამო თავიანთ ოსტატს დაკითხოდნენ.

- მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა სულ ადვილია, - უთხრა მათ ბოგდან ბოგდანოვიჩმა, - შეგიძლიათ, როგორც გსურთ, ისე მოიქცეთ. მე კი მხოლოდ იმას აგიხსნით, საიდან გაჩნდა ასოთა კიდეებზე ეს უსწორმასწორობები. ისინი არანაირად არ არის დაკავშირებული გადამწერის განზრახვასთან, სრულიად შემთხვევით წარმოიქმნა. ისინი არც ასოების ფორმას ცვლის და არც ტექსტის შინაარსს. მოკლედ რომ ვთქვათ, აი, რა მოხდა: ჩვენთვის უცნობ გადამწერს გილგამეშის ეპოსი თიხის ფირფიტიდან პერგამენტზე რომ გადაჰქონდა, მელნად ცხენის სისხლს იყენებდა და სანთლის შუქზე მუშაობდა. მუმლს, სანთლის შუქზე რომ ირეოდა, სისხლის სუნი იზიდავდა, ისინი კალამზე სხდებოდნენ და მაშინვე იხრჩობოდნენ და იხოცებოდნენ, შემდეგ კი, ცხენის სისხლში აზელილები, ეწებებოდნენ ასოებს, აი, საიდან გაჩნდა ასოთა კიდეებზე უსწორმასწორობები. ეს არის ქინქლათა მიკროსკოპული გვამები. ამ საკითხზე მეტს ველარაფერს გეტყვით.

პირველი საკითხი კი ძალიან რთულია, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვი, იგი ისეთი ბუნების არის, რომ ადამიანმა მასზე პასუხის მისაღებად ერთდროულად სამ-ოთხ საგანზე მეტი უნდა შეისწავლოს, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. და სწორედ ეს ფაქტი გვიცავს მეტისმეტად სახიფათო კითხვებისაგან. მაგრამ შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს პასუხი თავისთავად გაჩნდეს. ასე რომ, ალბათ მთავარი, თვით პასუხი კი არა, მისი საფასურია. თუ საქონელი იყიდეთ და უკვე შინაც წაიღეთ, მერე კი აღმოჩნდა, რომ მას ისეთი ფასი ადევს, რომელსაც ვერ გადაიხდით, ცუდ დღეში ჩავარდებით. იფიქრეთ ამაზე და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ...

ახლა სტუდენტები ძალიან ფრთხილად განაგრძობდნენ "ზევგარზე" მუშაობას, დღე დღეს მისდევდა და მალე მათ ნახაზები დაამთავრეს, დიპლომები დაიცვეს, კიდევ თითო სვლა გააკეთეს მემკვიდრეობით მიღებული ჭადრაკის პარტიაში, მოჰკიდეს ძაღლს ხელი და ბაღდადში დაბრუნდნენ. ოღონდ ტია მბომ არ მოისურვა საყვარლებს გაჰყოლოდა.

- რატომ არ გინდა ერაყში წამოხვიდე და ჩვენთან ერთად აშენო? - ჰკითხეს ძმებმა ქალს განშორებისას.

- მე აფრიკაში დავრჩები და იქ დავიწყებ შენებას, - უპასუხა ტიამ და ერთ-ერთი ძაღლი თავისთან დაიტოვა, სწორედ ის, რომელსაც 299 ლაქა ჰქონდა და შეეძლო ადამიანი დაეგლიჯა. ტია საავადმყოფოს აშენებდა, დროდადრო საფოსტო კონვერტს აიღებდა, გახსნიდა მას და ცრემლით ალბობდა, მერე კი მარილიანსა და ცარიელ კონვერტს ბაღდადში აგზავნიდა. თერმეზი და აბუ ჰამიდი თავიანთ ქვეყანაში სახელგანთქმული არქიტექტორები გახდნენ და მათი შემდგომი ბედი "ათას ერთი ღამის ზღაპარს" ჰგავდა. ბელგრადში მოსული ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მთხრობელების მიერ სურვილის მიხედვით გადაკეთებული ცნობები ამ სახელგანთქმული კრებულის ამბებს მოგაგონებდათ. ყოველ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ ორი ბაღდადელის ბედი არაფრით ჰგავდა მათი საყვარლის ბედს.

ტია მბოს კი საზარელი რამ დაემართა. ეთიოპია-სომალის ომის დროს მტრის არმიამ დაიკავა ქალაქი, რომელშიც ტია საავადმყოფოს აშენებდა. როდესაც ჯარისკაცები შენობაში შეიჭრნენ, ტია მბო თავის სახაზავ მაგიდასთან იჯდა. მარცხენა ხელით იგი ფანქარ-სახაზავით ხაზავდა, ხოლო მარჯვენა ფეხით რვეულში შეჰქონდა ყველა იმათი სახელები, ვისთანაც ოდესმე პური გაეტეხა. ყოველდღიურად მას ახალ-ახალი სახელები ახსენდებოდა და ფეხით იწერდა რვეულში, რომელიც მაგიდის ქვეშ იდო სიბნელეში 299-ლაქიანი ძაღლის გვერდით, ზემოთ კი მაგიდაზე ისევ "ზევგარის" გეგმას ხაზავდა, რადგან ეს იყო ერთადერთი მოგონება, რომელიც მას შიშით ძრწოლისას სიმშვიდეს ჰგვრიდა.

ჯარისკაცი, რომელმაც კარი შეამტვრია, ჯერ ძაღლს დაეჯახა, მაგრამ ტია მბოს მისთვის არც კი შეუხედავს. იგი მაშინვე სამხედრო ფეხსაცმლით მოსილ მის ფეხებს მიაჩერდა. იატაკი შენობაში შავი და თეთრი ფილებით იყო მოკირწყლული, როგორც მოითხოვდა კიდეც ტიას პროექტი. ოთახში რომ შევიდა, ჯარისკაცი თეთრ ფილაზე დადგა და აქ შეეჯახა ძაღლს. ცხოველი წამოხტა, ადამიანს დაუყეფა და მზად იყო თავს დასხმოდა კიდეც,

მაგრამ წამით შეყოყმანდა, ვიდრე კბილებს ჩაასობდა. ტია მბოს მოეჩვენა, რომ მან ზუსტად იმდენი იყოყმანა, რამდენი ლაქაც აკლდა სამ ასეულამდე. მაგრამ ეს დროც კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჯარისკაცს უკან დაეხია (ტიამ დაინახა, რომ მან თეთრი ფილიდან შავზე გადაინაცვლა), რის შემდეგაც იგი გონს მოეგო და ძაღლი მოკლა. მაგრამ ტია მბოს ყურადღება არ მიუქცევია, რა ხდებოდა ირგვლივ, იგი ისევ მეომრის ფეხებს უყურებდა. ჯარისკაცის ფეხსაცმელი შავ ფილაზე იყო უკანაკნელი რამ, რაც ტია მბომ ამ ქვეყნად დაინახა, რადგან ჯარისკაცმა ხელი დასტაცა მწვანე ბოკალს, დაამსხვრია იგი და ბასრი მინით ქალს თვალები ამოსთხარა...

როდესაც თერმეზიმ და აბუ ჰამიდმა ამ უბედურების ამბავი შეიტყვეს, მათ გაახსენდათ, როგორ ცხოვრობდნენ ბელგრადში ტიასთან ერთად, რა გეგმები და იმედები ჰქონდათ მაშინ და ახლა, ათი წლის შემდეგ, ისევ გაშალეს "ზევგარის" გეგმები, რომელსაც ოდესღაც ტიასთან ერთად აპროექტებდნენ, მაგრამ აუშენებელი დარჩათ. მათ დაინახეს უსწორმასწორო ლაქები ასოთა კიდეებზე და ისევ გაოცდნენ იმ უჩვეულო ორშესასვლელიანი ნაგებობის ხილვისას, რომლის დანიშნულება მათთვის ამოუხსნელ საიდუმლოდ დარჩა.

- ორი თვალით ნუკი უყურებ, სამით უმზირე, - უთხრა თერმეზიმ გერ ძმას, - ტია მბო ხომ უკვე ველარაფერს ხედავს და ჩვენ მის ნაცვლადაც გვმართებს ცქერა!

აბუ ჰამიდი იჯდა და გრძნობდა, რომ მის ფეხებთან გაწოლილი ძაღლი უფრო სწრაფად ბერდებოდა, ვიდრე თვითონ.

- იქნებ მდინარის პირას სახლის ნაცვლად "ზევგარი" აგვეშენებინა, რომელსაც ტია მბოსთან ერთად ახალგაზრდობა შევალიეთ? - თქვა მან.

- რა საჭიროა ასეთი პროექტი? - იკითხა თერმეზიმ.

- შეგვეძლო იქ ტია მბო მიგვეყვანა, რათა "ზევგარს" ხელით მაინც შეხებოდა, ქაღალდზე ხომ მას ველარასოდეს იხილავს. თანაც, რატომ არ უნდა დავსახლდეთ ლექსში? იმ ლექსზე უკეთესი არაფერია, რომელშიც ცხოვრება შეიძლება.

ძმები იმდენად მდიდრები იყვნენ, რომ ასეთი პროექტისთვის ადვილად იშოვნეს ფული. შემდეგ ევფრატის ნაპირას შეარჩიეს ადგილი, სადაც წითელი წვიმა მოდიოდა ხოლმე და ზუსტად სტუდენტობაში შესრულებული ნახაზების მიხედვით დაიწყეს შენება.

ცხადია, მათ არ უცდიათ მთელი ქალაქის რეკონსტრუირება, არამედ გადაწყვიტეს აეშენებინათ მხოლოდ ერთი მოედანი და ყველაფერი ის, რაც მოედანს გარს ერტყმოდა, იმ ორშესასვლელიანი უცნაური შენობის ჩათვლით, რომლის დანიშნულება ძმებმა ვერ გამოიცნეს. ეს იყო საოცარი სამუშაო. ნაგებობები ერთიმეორის მიყოლებით შენდებოდა, ხოლო, როდესაც ცას კიდევ ერთხელ გადაუარეს იმავე ღრუბლებმა, აქ ოდესღაც უკვე რომ გაევლოთ, თითქოს ახალი ღრუბლები აღარ დარჩა და ამიერიდან ყველაფერი თავიდან უნდა განმეორდესო, გერმა ძმებმა დაასრულეს სამუშაო და თითოულმა მათგანმა საცხოვრებლად "ზევგარის" თავისი ნაწილი აირჩია, ერთი ოთახი კი ტია მბოსთვის დატოვეს.

"ზევგარში" ცხოვრება ძალიან სასიამოვნო იყო. შენობები ყოველდღიურად ავლენდნენ ახალ-ახალ პრაქტიკულ უპირატესობებს, ზოგი მათგანის დანიშნულება ახლაღა გამოაშკარავდა, მაგრამ უცნაური ორშესასვლელიანი ნაგებობა ისევ ჯიუტად მალავდა თავის საიდუმლოს. სწორედ აქ უყვარდათ საღამოობით ჯდომა აბუ ჰამიდსა და იბნ იაზიდ თერმეზის. აქ სიგრილე იყო და უკეთეს აკუსტიკას ვერც ინატრებდი. ერთ საღამოს ისინი ისხდნენ, ორივე ბოლოდან კბეჩდნენ პურს და თხის ყველსა და წიწაკას ატანდნენ, ტია მბოს იხსენებდნენ და ფორეჯებს ითვლიდნენ თავიანთი ახალი ძაღლის ტანზე. ცაზე ღრუბლები იყრიდა თავს, ხოლო ვარსკვლავები ისეთი მჩხვლეტავი შუქით ანათებდნენ, რომ მათი მზერისას ძმებს თვალები ეშუშხებოდათ. შემდეგ არქიტექტორებმა გაიგონეს, რომ სახურავზე წვიმა ახმაურდა. თერმეზიმ ერთ-ერთი შესასვლელიდან გარეთ გაიხედა და ისევ უკან რომ შებრუნდა, თქვა:

- წითელი წვიმა წამოვიდა, ისე, როგორც ჩვენს სიზმარში. ვიდრე თავისას არ გაიტანს, არ გადაიღებს.

და მართლაც, თავსხმა ისეთი ძალით დაატყდა მიწას, რომ შხეფებმა ნათურებამდე მიაღწია, რომლებიც მხოლოდ იმ უცნაურ შენობაში ენთო, სადაც ახლა ორი არქიტექტორი იჯდა. უცებ დედამიწაზე ნიაღვარი გადმოეშვა და მისმა ზავთმა წვიმის ხმა შთანთქა, ქუჩები აბობოქრებული ნაკადებით აივსო. საზარელი წითელი მდინარე ნაგებობაში შეიჭრა, ზუსტად გაიმეორა გადამწერის კალმის მოძრაობა, რომელმაც ათასზე მეტი წლის წინ გამოსახა ის ლურსმული ნიშანი, ნაგებობის საძირკვლად რომ იქცა, ნაკადმა კედლებამდე მიაღწია, ტალახით ჭერამდე ამოავსო ოთახები, მერე ისევ უკან გამობრუნდა. წითელმა თავსხმამ ზუსტად გაიმეორა ყველა სწორი თუ ოვალური ხაზი, რომელიც ოდესღაც ცხენის სისხლით გამოიყვანეს და კიდევ ერთხელ დაწერა ასო, რომელიც წარღვნას აღნიშნავდა. როდესაც წყალმა დაიკლო, ხოლო მის მიერ მოტანილი შლამი გახმა, აბუ ჰამიდი და იბნ იაზიდ თერმეზი ტალახისა და წყლის ნაკადით კედელზე მიჭყლეტილები დარჩნენ და საუკუნეების განმავლობაში ტალახის ქერქქვეში არავის შეუნიშნავს მათი სხეულები.

ისინი შემთხვევით იპოვეს, როცა არქიტექტურის შემსწავლელმა სტუდენტებმა დავალება მიიღეს, რესტავრაცია ჩაეტარებინათ ერაყის ნაპირას მდებარე უცნაური ნანგრევებისათვის. სწორედ მათ შენიშნეს კედლების უსწორმასწორობა და თავიანთ მოძღვარსაც მიაქცევინეს ყურადღება.

*თარგმნა მიქელ ირემაძემ*



იასმინა მიჰაილოვიჩი

# მილორად პავიჩის პოსტმოდერნული პოეტიკის ელემენტები

მილორად პავიჩის რომანების პოსტმოდერნად აღიარება გამოძახილია კლაგენფურტის უნივერსიტეტის სლავურ ენათა მკვლევარის - ანდრეას ლიტნერის სტატიისა. მან 1988 წელს "Wiener Slawistischer Almanach"-ში "პოსტმოდერნულ ნაწარმოებად" შეაფასა "ხაზართა ლექსიკონი." მოგვიანებით მსგავს შეფასებებს წააწყდებოდით იმ თეორეტიკოსთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა (რადომან კორდიჩი, სავა დამიანოვი, ალექსანდარ იერკოვი) ნაშრომებში, რომელთაც პოსტმოდერნული სტილისტიკისა და პოეტური აღქმის ზოგიერთი ელემენტი შეიცნეს პავიჩის მთელ პროზაში, განსაკუთრებით კი, მის რომანებში "ხაზართა ლექსიკონი" და "ჩაით დახატული პეიზაჟი."

ევროპაში და, მეტადრე გერმანულენოვან სამყაროში, "ჩაით დახატული პეიზაჟის" თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო იმძლავრა თვალსაზრისმა პავიჩისა და პოსტმოდერნიზმის ერთგვარობისა, ისე რომ, სულ ახლახან "Viennese Algemeine Zeitung"-მა ეს ავტორი "ევროპული პოსტმოდერნიზმის თავკაცად" აღიარა, ხოლო პროფესორმა როლფ დიტერ კლუგემ - ტიუბინგენის სლავური სემინარის მონაწილემ - საჯაროდ მოითხოვა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა სახელწოდებით "პავიჩი და პოსტმოდერნი."

1990 წელს ბერლინში გერმანელ სლავისტთა კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში - "სიზმრებზე მონადირენი, სამთა საუბარი და ჩაით დახატული პეიზაჟი: მილორად პავიჩის პოსტმოდერნული პოეტიკა" - დაგმარ ბურკჰარტი, სლავურის მკვლევარი ჰამბურგიდან, შეეხო ავტორის მხოლოდ პოსტმოდერნულ ნაღვაწს. ბურკჰარტი ასახელებს პოსტმოდერნული ლიტერატურის შვიდ ძირითად თავისებურებას, რასაც შემდგომ აანალიზებს "ხაზართა ლექსიკონისა" და "ჩაით დახატული პეიზაჟიდან" მოხმობილი მაგალითების საფუძველზე. გადავწყვიტე, დავესესხო მის ძირეულ ფორმულირებებს (უფრო ზუსტად, ამ შვიდ პუნქტს) და შევეცადო ერთი ხელის მოსმით მოვხაზო პავიჩის მთელი პროზის ზოგიერთი თავისებურება, რაც, შესაძლოა, აღქმულ იქნას პოსტმოდერნის გასაღებად და, ამდენად, ალბათ, შეგვაძლებინებს შემდგომ კვლევას ამ მიმართულებით.

პოსტმოდერნული ლიტერატურისათვის, უწინარეს ყოვლისა, ნიშანდობლივია იდეოლოგიური საფუძვლის უარყოფა. ზოგადად თუ ვიტყვით, პოსტმოდერნისტთა უმეტესობის ამგვარი დამოკიდებულება მჟღავნდება მათ დაპირისპირებაში ლოგოცენტრიზმსა და რაციონალიზმთან, ანუ შემოქმედებთან იმ იდეოლოგიური ძალადობისა, რომელიც არსებითად მეტყველებს საფრთხეზე, მთელი ჩვენი შემეცნების საფუძველთა საფუძველსა და თვალსაწიერს ჯერაც რომ ემუქრება. პავიჩის თხზულებებში ეს ნიშანთვისება, სხვა ყველაფერთან ერთად, ირონიად და ისტორიული ჭეშმარიტებისა თუ გამოცდილების გაკილვად აღიქმება. სინამდვილისათვის ჩრდილის მიყენება, ფორმალური ხერხებით რომ ხორციელდება და ცალკეულისა და ზოგადის დონეზე იჩენს თავს "ხაზართა ლექსიკონში," სხარტადაა გამოხატული პავიჩის მახვილსიტყვაობის დამაგვირგვინებელ აფორიზმში - "ჭეშმარიტება ოდენ ფანდია," რომელიც ასე წაიკითხება, - ისტორია მხოლოდ



ჭორის ანასხლეტია.

მეორე მხრივ, სამყაროს წარმოსაჩენად ფანტასტიკურის, ირონიულის, ალეგორიულისა და პარადოქსულის მოშველიება მისდამი მავანის დამოკიდებულებაზეც მეტყველებს. მაშასადამე, ხორცშესხმული დამახინჯება რეალობისა (ჩაფიქრებული ნამყოში, აწმყოსა თუ მომავალში), ერთობ კრიტიკულ განზომილებასაც იტევს, ოღონდ შეფარვით და ფაქიზად, ანუ არატიპობრივ გამოხატულს. მაგალითად, "ჩაით დახატულ პეიზაჟში" უკიდურესი სიმძაფრით აღბეჭდილი თავისებურებანი თავს იჩენს ათანასიე რაზინის ქმედებათა და "წარმატებათადმი" მთხრობელის უჩვეულოდ ბუნდოვან დამოკიდებულებაში, ისევე როგორც პარადოქსულ ფერიცვალებაში - კაცისაგან დასაღუპავად განწირული ეშმაკი კაცობრიობის მხსნელად რომ გვევლინება (ზოგიერთი იტალიელი კრიტიკოსი ამ რომანს ფაუსტის მითის პოსტმოდერნულ რეინტერპრეტაციად მიიჩნევს).

ინტერტექსტუალობა თუ ჟანრისა და მოტივების დონეზე რაღაცების მინიშნება პოსტმოდერნული ლიტერატურის კიდევ ერთ, ალბათ ყველაზე უფრო ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს. განსხვავებული ჟანრების, თხრობის მოდელებისა თუ სტილის, ასევე კომბინაციათა თამაშის მოშველიებით წარმოიქმნება ჰიბრიდული სტრუქტურა და პოლიფონიური ტექსტი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს რეალობისა და სამყაროს შეცნობის ხერხების თაობაზე ადრევე გამოთქმულ ეჭვს და ეფუძნება დაჟინებულ მტკიცებას იმისა, რომ სამყაროს აღქმა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტების, ანუ მათი ფრაგმენტების, ამონარიდებისა თუ მინიშნებების მეშვეობით. ეს კი ანალოგიურია ფსიქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიტიკური თერაპიისა, რომლის მცდელობაც იქითკენაა მიმართული, რომ წვრილმანი, თითქოსდა არარსებული ელემენტების ერთმანეთთან ძალდაუტანებლად დაკავშირებით შესაძლებელი გახადოს პირველქმნილი გულმავიწყობისა და დავიწყებული რაობისაკენ დაბრუნება.

იმან, რაც დღეს პოსტმოდერნულ თავისებურებადაა კლასიფიცირებული, პავიჩის ლიტერატურულ ნაღვაწში თავი იჩინა მისი ლექსების პირველსავე კრებულში "პალიმფსესტები," რამდენადაც აზრობრივ-სტილისტურ შრეებად დანაწევრება მისეული გამოსახვის სტილისა და პოეტიკის უმთავრეს ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

არაერთი ლიტერატურულ-ლინგვისტური მოდელის - მითის, ლეგენდის,

ჰაგიოგრაფიის, აპოკრიფების, ზღაპრების, ისტორიის და სხვ. - ამოქმედებითა (საერთოდ, ძველი ტექსტის პრეტექსტად ქცევითა) და, იმავდროულად, მათი რეინტერპრეტირებული თუ პაროდირებული ფორმების მოშველიებით, პავიჩი ფერადოვან ლიტერატურულ სტრუქტურას თანამედროვე პროზის ყველა მონაპოვრით ამდიდრებს. მაშასადამე, ხორციელდება განსხვავებულ კულტურათა გამთლიანება და ჰარმონიზაცია, ძველისა და ახლის შერწყმა.

პოსტმოდერნული თხზულებების მესამე თავისებურება ამბის გადმოცემისას მიზეზობრივი ლოგიკის უქონლობაში გამოიხატება. ეს კი წერის რეალისტური მანერის მოშლითა და ამბის ქრონოლიგიური თანამიმდევრობისა თუ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების უგულებელყოფითაა განპირობებული.

პავიჩის შემოქმედებაში ამ ასპექტის ხორცშესასხმელად აუცილებელი მექანიზმის შესწავლა, ალბათ, უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს. თუმცა, როგორც ჩანს, მისი განხორციელების მანერა გულისხმობს იმ სხვადასხვაგვარი ფანტასტიური პარადიგმის მოშველიებას (სავა დამიანოვიჩი ამას ფანტასტიკის "პოსტმოდერნიზაციას" უწოდებს), მეტწილად სიზმრისეულ შთაბეჭდილებებზე რომაა დამყარებული. ამას გარდა, მე უფრო ისა მგონია, რომ სინამდვილეში ეს გახლავთ ამ ავტორის რომანებში ამბის მიზეზობრივი ულოგიკობის კვალობაზე ხელოვნურად შექმნილი ილუზია. რაკი "ხაზართა ლექსიკონში" აზრს თავად მკითხველი აგებს იმის მიხედვით, თუ წაკითხვის რა სტილს აირჩევს, ამბის ლოგიკა არჩევანის ლოგიკას ეთანადება. ამის საპირისპიროდ, "ჩაით დახატულ პეიზაჟში," რომლის გააზრებაც - თუმც ნაკლებად, ვიდრე "ხაზარულ ლექსიკონში" - ასევე მკითხველის არჩევანზეა დამოკიდებული, ეს თავისებურება, ჩემი აზრით, კიდევ უფრო თვალსაჩინოა; ოღონდ, როგორც ჩანს, შედარებით მკაცრი კომპოზიციითა და თხრობის თანმიმდევრულობით იგი კლასიკური რომანის ნიმუშს უფრო უახლოვდება. ამგვარი შთაბეჭდილების მიზეზი იმ ვითომცდა დროისმიერი ქაოსის არსებობაში უნდა ვეძიოთ, პოსტმოდერნული ლიტერატურის კიდევ ერთ თავისებურებას - დროისა და სივრცის კავშირის რღვევას - რომ ეხმიანება. ეს ასპექტი გარკვეულწილად უკვე მის წინამორბედში მოიაზრება, რადგან იგი დაფუძნებულია რეალისტურის რღვევასა და დროისა და სივრცის ერთიანობის ლოგიკური წესრიგის უგულებელყოფაზე.

ეს ყველაზე ღირსშესანიშნავ თავისებურებად მესახება პავიჩის პროზასთან შეხებისას. დროებით ალმოცენებული განსხვავებული დონეების აღრევითა და შექუჩებით იგი ქმნის განსაკუთრებულ დროს - დროს თავად ტექსტისა, უდროობისა და ყოვლისწარმავალობის შთაბეჭდილებით რომ გვავსებს. სივრცისეულ თავისებურებათა მატების კვალობაზე თავად სივრცე უგულებელყოფილია, ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, ისადგურებს სივრცისა და წამის წარმავალობის განცდა. და სწორედ ეს განცდა იძლევა საფუძველს ამ ავტორის თხზულებათა თავისებურად აღქმისა, რასაც მე, უაღრესად რადიკალური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, "ჯადოქრულ აღქმად" მოვნათლავდი.

"ხაზართა ლექსიკონში" დროისა და სივრცის შრეები უფრო თვალსაჩინოა, რადგან ნათლად შეიცნობა და ქრონოლოგიურად შეჯერდება, როგორც "ხაზართადროინდელი," "ბაროკოს ხანისა" და "ამჟამინდელი" საფეხურები; "ჩაით დახატულ პეიზაჟში" კი ყველაფერი უფრო სიღრმისეულად და ფაქიზადაა შესრულებული, ოღონდ შედეგი ისეთივეა. ასევე მგონია, რომ დროის ამსახველი პოეტიკის შესწავლა "ჩაით დახატულ პეიზაჟში" ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა ლიტერატურის, ისევე როგორც აღქმის, თეორიას, თუმცა, ეგებ, თეორიულ ფიზიკასაც მოეშველიებინა რაღაც-რაღაცები ამ რომანიდან მისეული მიმართებებისა თუ ჰიპოთეზების დასტურად.

მეხუთე ნიშან-თვისება პოსტმოდერნული ლიტერატურისა ისაა, რომ იგი ესწრაფვის არა თხრობის თანმიმდევრულობას, არამედ სილაღეს, რაც არსებითად აღიქმება, როგორც სურვილი - "ლაღი რუდუნებით" ხორცი შეესხას ამბის დაუსრულებლობის ჩანაფიქრს.

პავიჩის მთელი პროზისათვის ნიშანდობლივი დაუსრულებელი ამბის შთამბეჭდაობა ფორმისა და შინაარსის შემცველი მრავალგვარი შესაძლებლობითაა განპირობებული; ეგაა, რომ მოთხრობებში ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ნაწარმოების ბოლო ფრაზებშია გაცხადებული: "ხაზართა ლექსიკონში" - რომანისათვის დამახასიათებელ ფორმაში, ხოლო "ჩაით დახატულ პეიზაჟს" თუ გადავხედავთ - მის, ასე ვთქვათ, დაუმთავრებლობაში.

პრობლემა ლიტერატურული გმირისა, რომლის ქმედებანიც ფსიქოლოგიურ დონეზე არ მოიაზრება, პოსტმოდერნული ლიტერატურული ტექსტის კიდევ ერთი თავისებურებაა და იმის მანიშნებელია, რომ პიროვნების ფსიქოლოგიზაციის გარეშე შეუძლებელია კლასიკური იდენტიფიკაცია. გმირის დიფუზურობა განპირობებულია იმ პირის განსხვავებულ თვალსაზრისთა და პერსპექტივათა თანაარსებობით, რომელიც ერთსა და იმავე დროს ავტორიც შეიძლება იყოს, მთხრობელიცა და თავად გმირიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათი განმასხვავებელი ნიშანთვისებები განზრახაა აღრეული და გაბუნდოვანებული.

პავიჩის შემოქმედების თავისებურება ყველაზე თვალსაჩინოდ თავად ავტორისა და მოქმედ პირთა იდენტურობის პრობლემაში ცხადდება. პავიჩის ყველა გმირი, როგორც პიროვნული, ისე სქესობრივი, წარმომავლობითი, ეროვნული, საზოგადოებრივი და კოსმიური თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარად გამოვლენილი პიროვნულობის კვლევის საგანს წარმოადგენს... იმავდროულად, ათასნაირი გამეორება, გარდასახვა და წინააღმდეგობრიობა იმას მიანიშნებს, რომ ისინი არა ინდივიდუალურ, არამედ სიმბოლურ მითოლოგიურ-არქეტიპულ სახეობას განეკუთვნებიან.

პერსონა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე თავისებურება პოსტმოდერნული ლიტერატურისა გახლავთ

ავტოთემატიზაცია ან, უფრო ზუსტად, გამართვა მეტალიტერატურული მსჯელობისა, რაც უაღრესად საგულისხმოა, როდესაც საქმე პოეტური გამოსახვის სფეროს შეეხება.

მკითხველისაკენ მიმართული მეტაპოეტური მეტყველება პავიჩის პროზაში ამ პოსტმოდერნული პრინციპის სრულ ერთგულებას გულისხმობს. მისი მიზანია მკითხველთან ურთიერთობის განსხვავებული სტილისა და, აქედან გამომდინარე, აღქმის სახეცვლილი ესთეტიკის დანერგვა. შემოქმედი მკითხველის ჩამოყალიბება შესაძლებელს ხდის პავიჩის ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოხატული აზრისა და მნიშვნელობის მრავალსახოვნების უფრო სრულქმნილ რეალიზებას. მეორე მხრივ, მრავალრიცხოვანი ბუნდოვანი ავტოპოეტური ტექსტური ფრაგმენტების არსებობა კიდევ უფრო ართულებს ამ ფენომენს.

მილორად პავიჩის პოსტმოდერნული თვალსაზრისით განსახილველ პროზაში ზოგიერთი სავარაუდო ელემენტის ამ მყისიერი გაანალიზებისას ჩემი მიზანი იყო იმ თითო-ოროლა პრობლემის მონიშვნა, გააზრება და განზოგადება, უფრო ღრმა და ამომწურავ ანალიზს რომ მოითხოვს.

მთელ რიგ პოსტმოდერნულ ლიტერატურულ გამოკვლევებში, რომელთაგან უმეტესი წარმატებით შეგვიძლია მოვიშველიოთ პავიჩის ლიტერატურული შემოქმედების გასაანალიზებლად, როგორც ჩანს, დელიოზ-გვატარის ტერმინი "რიძომა" ყველაზე უკეთ ეთანადება აზრის წყობასა და გამონათებას პავიჩის რომანებში.

ჟილ დელიოზი და ფელიქს გვატარი წერენ: "უცნაურია, რომ წიგნი, რაც უფრო ფრაგმენტულია, მით უფრო გამთლიანებულია..." რიძომას თავისებურებანი,

რომელთა შესახებაც ისინი საუბრობენ, "ხაზართა ლექსიკონში" უნდა მოვიძიოთ. ეს რომანი ხაზებისა და განზომილებების ასიმეტრიული ხლართის დინამიური მოდელია; მას რამდენიმე შესასვლელი აქვს, ხოლო ცენტრალური ღერძი, ან თავად ცენტრი, არ გააჩნია. იგი გადახსნილ ცოცხალ ორგანიზმსა ჰგავს, გამუდმებით რომ იზრდება და ფეთქავს; მასში ცალკეულ ჩანაწერთა განფენა მნიშვნელობათა სიმრავლეს განაპირობებს; ეს მუდმივი მიმართებაა არა მარტო თავის თავთან, არამედ იმასთანაც, რაც მის გარეთაა, ანუ როგორც პეტერ ვანსიტარტი ამბობს: "არსებითად, ესაა გიგანტური მასა, გარემო მარადმზარდი ანტენებით, მობილური დროითა და სივრცით, მობილური ამბებითა და ვარაუდებით, როგორც სიზმარში." მიწისქვეშეთი, ზედაპირი და ზე-ზედაპირი განუწყვეტლივ ეთანახმიერება მრავალფეროვნებას ამ წიგნში და თანაარსებობს მასთან, რაც შესაძლებელი შეიქნა დეცენტრალიზაციითა და იერარქიის უკუგდებით.

თუმცა "ქარის შიდა მხარეში," ერთი შეხედვით, არ ჩანს არანაირი რიძომა-სტრუქტურა. და მაინც, მარტო მაშინ, როდესაც წაიკითხავთ ორივეს - ჰეროსა და ლეანდრეს - ამბავს, ხაზოვანი მოძრაობისა და აგებულების ილუზია გაგიქარწყლდებათ. მხოლოდ მოგვიანებით იბადება მკითხველის ცნობიერებაში - ისევე, როგორც წიგნის შუაში აღმოჩენილი ლურჯი ფურცლის სიცარიელეში - ახლებური სტრუქტურა და მნიშვნელობა. აი, მაშინ ამოქმედდება იდუმალი ქსელი და ერთ მთლიანობად კრავს ორთავ ამბავში ჩარგულ ყველა ყლორტს საზრისისას.

მაშინ, როდესაც "ხაზართა ლექსიკონში" რიძომას პრინციპი სწორედ წიგნის სტრუქტურაში იჩენს თავს და, ისიც ზედაპირზე (თუმც მის იდუმალ, ცნობიერ და არაცნობიერ ქმედებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება), "ქარის შიდა მხარეში" რიძომა წიგნის სტრუქტურის გარეთ რეალიზდება და, როგორც ჩანს, პავიჩის მთელ პროზაში მკითხველისადმი სახეცვლილი დამოკიდებულება ამ რომანში მეტ შთამბეჭდაობასაც კი იძენს, რადგან მოქმედება და მკითხველსა და მწერალს შორის საქმიანობის დანაწილება მეტისმეტად რადიკალურად იხრება მკითხველისაკენ.

"რიძომა ნებისმიერ მოცემულ წერტილს ნებისმიერ სხვა მოცემულ წერტილთან აკავშირებს... რიძომა ცენტრის, იერარქიისა და კოდურობის უარმყოფელი სისტემაა," - წერდნენ დელიოზი და გვატარი. "ქარის შიდა მხარეში" ცენტრის მოშლა და მნიშვნელობისა თუ აზრის ტალღებად განფენა ხორცს ისხამს ამბავთა ურთიერთშერწყმის ლურჯ ოკეანეში, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მოგვიანებით - იმ დროს, როდესაც მკითხველი მის წიგნს ხურავს.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*რუსუდან მახათაძემ*



ეროვნული ბიბლიოთეკა




http://www.opentext.ge/arili

წკაპ HERE

სტ 207/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "არეტე"




ახალი
გამომცემლობა




ახალი
წიგნები